N21 (520) 27/V-2/VI-2010 ფასი 1 ლარი

1168
2010

გზა

ქართული პროზის საგანძური

ტომი №13
გრიგოლ აბაშიძე
წიგნი II

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად 4 ლარი ღირს

შემდეგი ტომი
არჩილ სულაკაური

ექსკლუზივი

ია სუხიტაშვილისა და მიშა მესხის გასაიდუმლოებული ქორწილი

ვის უმალავს ცნობილი წყვილი საკუთარ ჯვრისწერას

„შუა ქალაქის“ შემქმნელებმა მსახიობს იმედი გაუცრუეს

რამ „შეიწირა“ ლელა მებურიშვილი

ეგლს მიჯაჭვული ბოგინას აქტიური ცხოვრება

„ცეკვას მაინც ვახერხებ!“

„გზის“ დარტყმა

რა იციან მერობის კანდიდატებმა თბილისის შესახებ

ISSN 1987 - 5029

გმირი მამა, რომელმაც 11-შვილიანი ქალი შეირთო







უმაღლესი ხარისხის ფარითო არჩევანი ყველასტუარი და მოდერნის სტილში გაფორმებული დიზაინის უახლესი მოდელები

საძინებლები
710 ლარიდან

პანცი
ლიონი

PANTSI
LION

სამზარეულოები
400 ლარიდან

კედლები
540 ლარიდან

ოფისი
ქ. თბილისი, მექანიზაციის ქ.№1
ტელ: (995 32) 664-458
ფაქს: (995 32) 664-522

მაღაზია სალონი "პანცილიონი":
1.თბილისი, ერისთავის ქ. №2 (მე-2სართული)
ტელ: 66-41-90

2. თბილისი, ერისთავის ქ №5
(ავეჯის სავაჭრო ცენტრი "საბა")
ტელ: 69-29-20

3. ლილოს სავაჭრო ცენტრი
(ლილოს საბითუმო ბაზრობა)
ტელ: 14-36-41

ქ. თელავი, ჭავჭავაძის ქ. 5
ტელ: 895 61 41 21

ქ.ხაშური , სტალინის ქ. 150
ტელ: 899 25 62 57

ქ.ახალციხე, თამარ მეფის 9
ტელ: 899 94 83 47

e-mail: ccpp@inbox.ru
www.senator-panci.ge

www.britishcentre.ge

BRITISH CENTRE

დაზოგეთ დრო ენერგია და ბიუჯეტი !

შეისწავლეთ ინგლისური ოთხჯერ უფრო სწრაფად !

ბრიტანული ცენტრის ჯარი ღიაა ნებისმიერი მსმენელისთვის !



ირინა ონაშვილი:

„პირველივე გაკვეთილიდან მივხვდი, რომ ზუსტად იქ მოვხვდი, სადაც საჭირო იყო. საოცრად კარგი გარემოა, თბილი ატმოსფერო, ამასთან ერთად უმაღლეს დონეზეა დისციპლინა. ძალიან ხშირად მიწევს უცხოელ მეგობრებთან ურთიერთობა და ვატყობ, რომ ჩემი ინგლისური საოცრად დაიხვეწა. კომპლექსი არასდროს მქონია და რა დონეზეც ვიცოდი, ისე ვლაპარაკობდი, მაგრამ ახლა უკვე ვამაყობ ჩემი ინგლისურით. აუცილებლად ვაპირებ სწავლის გაგრძელებას ბრიტანულ ცენტრში და ამ დონეზე არ გავჩერდები".

ლელა მებურიშვილი:

„ბრიტანულ ცენტრში ენას კი არ გასწავლიან, აგალაპარაკებენო, მითხრეს და ეს სწორედ, ის იყო, რაც მე მჭირდებოდა. აღმოვაჩინე, რომ ბრიტანულ ცენტრში ინგლისური ენის მასწავლებლები, მოქმედი ლექტორები გადიან ენის შემსწავლელ მაღალ საფეხურებს, იმისთვის, რომ უფრო დახელოვდნენ და დახვეწონ თავიანთი ცოდნა. ერთი სიტყვით, მოვედი და დავრჩი. თვე-ნახევარია დავდივარ და ინგლისურად ლაპარაკის ყველანაირი კომპლექსი მომეხსნა".

დირექტორი დალი ლომიძე:

„თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბრიტანული ცენტრი საკუთარი აკმაყოფილებს ყველა ასაკისა და პროფესიის წარმომადგენელს".

რუსთაველის 36; ტელ: 933 878; 989 999; 934 000
აღმაშენებლის 189; ტელ: 941 111; 952 222
ფალიაშვილის 60; ტელ: 221 915
ჰეჯინის 9; ტელ: 332 557; 514 143

www.britishcentre.ge

„ტექნო ბუმი" - ბაზარზე ბუმოთ შემოვიდა

ტექნიკის მაღაზიათა ქსელი „ტექნო ბუმი" ადგილობრივ ბაზარზე დიდი ხმაურით და ნამდვილი ბუმით გამოჩნდა. ახალი ქსელი ბაზარზე სლოგანით „ძველი პარტნიორი ახალი ტექნოლოგიებით, ტექნიკითა და ყველაზე დაბალი ფასების ბუმით„ დაბრუნდა. პრეზენტაცია ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარე „ტენქო ბუმის" მაღაზიაში და ბათუმში გორგილაზის №90 ნომერში გაიმართა. მოწვეული ჟურნალისტებისა და სტურების გარდა, პრეზენტაციაზე ბევრი ცნობილი სახე იმყოფებოდა, მათ შორის იყვნენ ტელეწამყვანები, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და კერძო კომპანიების პირველი პირები. მაღაზიის ოფიციალური გახსნის ცერემონიაზე ელიტ ელექტრონიქსის ყოფილი მმართველი გუნდისა და „ტექნო ბუმის" ამჟამინდელი მფლობელების სიტყვით გამოსვლის შემდეგ, საკუთარი პოზიცია საჯაროდ დააფიქსირეს საზოგადოებისთვის ცნობილმა სახეებმა და „ტექნო ბუმს" წარმატებები უსურვეს.

პრეზენტაციიდან დღემდე „ტექნო ბუმის" ოთხივე მაღაზიაში, რომელთაგან ორი თბილისში, ორი კი ბათუმში მდებარეობს, ხალხის ნაკადი არ წყდება. კომპანიის გენერალური დირექტორი ეთერ ქოქოლაძე აცხადებს, რომ ყოველდღიურად კომპანიის სავაჭრო ბრუნვა 60-70 ათასი ლარის ფარგლებშია.

„ტექნო ბუმში" ამ დროისთვის მსოფლიო ბრენდების კომპიუტერები, მობილური ტელეფონები, საყოფაცხოვრებო და ციფრული ტექნიკაა წარმოდგენილი, რომლებიც საქართველოში ყველაზე დაბალ ფასად იყიდება. კომპანიის ინფორმაციით, მომხმარებელს არაერთი სიურპრიზიც ელის. „ჩვენ მომხმარებელს ხარისხს, ტექნიკის ბრენდებისა და შეუდარებელი ფასების ბუმს ვპირდებით. გარდა ამისა, „ტექნო ბუმი" გამორჩეული იქნება მომხმარებლისადმი სიყვარულით. ასევე ვპირდებით ძალიან ბევრ სიახლეს და სიურპრიზს. „ტექნო ბუმი"-ეს ჩვენ ვართ, ძველი პარტნიორი ახალი ტექნოლოგიებით, ტექნიკის ბრენდებისა და შეუდარებელი ფასების ბუმით", -აცხადებს „ტექნო ბუმის" გენერალური დირექტორი ეთერ ქოქოლაძე.

კომპანიაში ამ დროისთვის სულ 120 ადამიანია დასაქმებული. რაც შეეხება ანზორ ქოქოლაძეს, ის „ჯეო ჯგუფს" ხელმძღვანელობს და პარალელურად „ელიტ ელექტრონიქსის" დასაბრუნებლად იბრძვის. როგორც ცნობილია, სასამართლო პროცესები ამჟამადაც მიმდინარეობს. რაც შეეხება ელიტ ელექტრონიქსთან კონკურენციას, „ტექნო ბუმის" გენერალური დირექტორის თქმით, ეს მათთვის ძალიან მტკივნეული იქნება, თუმცა, როგორც ქოქოლაძე აცხადებს, „ტექნო ბუმს" ელიტ ელექტრონიქსისთვის კონკურენციის გაწევა მაინც მოუწევს.

საზოგადოების მხრიდან განსაკუთრებული მხარდაჭერა ეს ძალიან დიდ სტიმულს გვაძლევს და ამავდროულად პასუხისმგებლობას გვაკისრებს. იმედი გვაქვს ამ პასუხიმგებლობას თავს გავართმევთ და მათ იმედებს გავამართლებთ"-აცხადებს ეთერ ქოქოლაძე.

„ტექნო ბუმი" საცალო და საბითუმო ბაზარზე გააქტიურებას გეგმავს და უახლოეს მომავალში თბილისში და ბათუმში ბუმის ცენტრების გახსნას გეგმავს.

Techno BOOM ბუმი

თბილისი: ვაჟა-ფშაველას გამზირი 21
ბათუმი: ერას ქუჩა 90
43 01 02

№21 (520)
27 მაისი -
2 ივნისი. 2010 წ.
ფასი 1 ლარი

■ მინიატიურები 5
ოე, იუნესკო, „დავაი“ აქედან!.
■ ჭრელი მსოფლიო 6
■ პოლიტიკა 8
■ საზრდო 9
■ თემიდა 12
ცოტნე გამსახურდია მშრალ შიმშილობაზე გადავიდა
■ კოლეგა 15
აუსრულებელი ოცნება, შეურაცხყოფილი მართლმადიდებლები და შვილების იმედად დარჩენილი ჟურნალისტი
■ მრავალჟამიერ! 17
■ მსახიობი 18
მხიარული და შეყვარებული გოგონა „ტყავს იცვლის“ და გამომძიებლად გადაიქცევა
■ ეკრანს მიღმა 20
თანამედროვე კონკია „ქართულად“, კოლუმბიურ-ამერიკული „ფესვებით“ და გუნდი, რომელსაც იდეები არ ელევა
■ ამპლუა 22
იდეისთვის შეწირული 5 წელი, ნუცა კუხიანიძის აუხდენელი ოცნება ანუ უკან — ჰოლივუდისკენ...
■ ფსიქოპორტრეტი 24
რატომ შეინახა საქორწინო კაბა თამთა ჭელიძემ გარდერობში
■ ვარსკვლავები 26
■ სულის სიმტკიცე 28
ავტოავარიის შედეგად ეტლს მიჯაჭვული გოგონას აქტიური ცხოვრება
■ მინირომანი 30
„სამმანეთიანი“ ქალი
■ სამართალი 32
უბინაოდ დარჩენილი მოხუცები
■ სიტუაცია 34
ჩემი და სხვისი აღმოჩენები

ქვეყანა

ოე, იუნესკო, „დავაი“ აქედან!.

საქართველოს მაღალი, ლამაზი და ჭკვიანი პრეზიდენტი კი (სხვათა შორის, დავითაშვილის შვილის ნათლია) ამ დროს, ქუთაისსა და მის მიდამოებში „დვიჟენიობდა“ და ისეთ რამეებს იძახდა?! უჰ, მტრისას, ყურში არ შეიშვებოდა!

5

სახე

„ხშირად ერთად ვჩნდებით“

„ძალიან მაღიზიანებს ჩემს ყოფილ ქმარზე ლაპარაკი: ყველა მასზე მეკითხება და დავიღალე. ამოწურულია ეს თემა ჩემთვის და აღარასდროს ვილაპარაკებ მასზე“.

18

ცხოვრება

ეტლს მიჯაჭვული გოგონას აქტიური ცხოვრება

„20 წლის ვიყავი, როცა საცხოვრებლად თბილისში გადმოვედი და უნივერსიტეტში, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტზე ჩავაბარე. III კურსზე გახლდით, როცა ავტოავარიაში მოვყევი და სწავლის დასრულება ვეღარ შევძელი“.

28

ფოტოკადრები

აჩრდილები და „იდი პროჩა“

„წლების წინ, ჩემს ნათესავს ავარიაში 20 წლის გოგონა დაეღუპა. როგორც წესი, მიცვალებულს პატივი მიაგეს. ერთ დღეს გოგონას ოთახში მამამისი შევიდა და ტირილი დაიწყო. უცებ დაინახა, რომ ჭერიდან რაღაც ჩრდილი დაეშვა და შვილი გამოეცხადა“.

76

24400
საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

■ არაჩვეულებრივი გამოფენა 36

„არაჩვეულებრივი გამოფენა“ ზუგდიდში
■ ავტო 39
■ ეს სამყაროა 40
■ ანტიდეპრესანტი 42
■ საკითხავი ქალებისათვის 42
■ ისტორიის ლაბირინთები 44

საქართველოს პირველი
რესპუბლიკის გამოცხადება
■ ტაძარი 47

საქართველოს ეკლესიის ადგილი დიპტიქში და
სამოციქულო საყდრის სტატუსი
■ გასტროლები 49
■ ჯანმრთელობა 50
■ ჩემი ცხოვრების გზა 52

ნიჭიერი მომღერლის ტრაგიკული წარსული
■ ტკივილი 54

როგორ ცხოვრობენ ქართველები აფხაზეთში
■ გვიმრავლოს! 55

გმირი მამა, რომელმაც 11-შვილიანი
ქალი შეირთო ცოლად
■ თინეიჯერული პონტები 57

პრესტიჟული პროფესიის მანკიერი მხარეები
■ ნეტის პოეზია 60
■ ავტოპორტრეტი 61

ლალი მოროშკინა. მე, პრეზიდენტი და
მსოფლიო ჩემპიონი (გაგრძელება)
■ ფანტასტიკური დეტექტივი 65

რუსუდან ბერიძე. ინტერვიუ
მიცვალებულთან (დასაწყისი)
■ რომანი 69

სვეტა კვარაცხელია. ძლიერი სუსტი
ქალი (გაგრძელება)
■ რეალური 73

ULTRIX (გაგრძელება)
■ გზავნილები 76

ყველა ერთისათვის
■ შობილი-ზაცია 82
■ მოზაიკა 86
■ ქართული სპორტის ლეგენდები 87

ფარიკაობის ოქროს ხანა
■ მუნდიალი 89
■ ერუდიტი 91

იცნობენ თუ არა მერობის
კანდიდატები საკუთარ ქალაქს...
■ გასართობი 94
■ ასტროლოგია 96
■ სკანვორდი 97
■ საფირმო კროსვორდი 98

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე

დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი,
რეზო თხილიშვილი

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com

რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

სამყარო



ცოცხლად დამარხულები

ადამიანებს ცოცხლად ძირითადად, ლეთარგიული ძილის შემთხვევაში მარხავდნენ. ეს არის ავადმყოფური მდგომარეობა, რომლის დროსაც ადამიანი უმოძრაო და ურეაქციოა. ლეთარგიული ძილი შესაძლოა, რამდენიმე საათი და თვეებიც კი გაგრძელდეს.

36

ადამიანი



ნიჭიერი მომღერლის ტრაგიკული წარსული

„ახალი პროექტი დაიწყო და ცნობილი გახდა, რომ ასაკობრივი ბარიერი არ არსებობდა, შვილები, ახლობლები შემომიჩნდნენ, — „ნიჭიერში“ მონაწილეობა აუცილებლად უნდა მიიღოო, — და ბოლოს, მათმა მუდარამ გაჭრა...“

52

ბიბლუსი

ადრე ამ კლდის ძირში ერთი უცნაურად შეზნექილი ადგილი ყოფილა, თითქოს გოლიათმა მუშტი ჰკრა და შეიტანაო... ოთხი-ხუთი კაცი შიგ თავისუფლად იმართებოდა. მას ხალხმა „დევის მუშტი“ შეარქვა.

— არც დევია დიდი ხვითო, მაგრამ ეშმაკს ნამდვილად სჯობს...

60

ტაიმ-აუტი

იცნობენ თუ არა მერობის კანდიდატები საკუთარ ქალაქს...

ამჯერად ჩვენი რესპონდენტები გოგი თოფაძე, ზვიად ძიძიგური, გია ჭანტურია, გიორგი ლაღიძე და ნიკა ივანიშვილი არიან. ვნახოთ, ვინ უფრო კარგად იცნობს ქალაქს, რომლის თავკაცობასაც აპირებს.

86

ოე, იუნესკო, „დავა“ აქედან!

შესავლის ნაცვლად **კობა როა, კობა, დავითაშვილი, ხომ იცით? მივიდა დიდუბეში ამომრჩევლებთან შეხვედრაზე და ძააალიან ნაწყენი წამოვიდა! იმიტომ, რომ კვერცხები ესროლეს! არა, კვერცხი კი უყვარს, მაგრამ უმი იყო, თანაც, იმ დილას კარგა ღრმად ნასაუზმევი გახლდათ...**

საქართველოს მაღალი, ლამაზი და ჭკვიანი პრეზიდენტი კი (სხვათა შორის, დავითაშვილის შვილის ნათლია) ამ დროს, ქუთაისსა და მის მიდამოებში „დვიჟენიობდა“ და ისეთ რამეებს იძახდა?! უჰ, მტრისას, ყურში არ შეიშვებოდა!

კიდევ ერთხელ (უკვე მერამდენედ) მიხდება იმაზე წუწუნი, რომ რედაქტორისა და სტამბის კაპრიზის გამო (აბა, თუ ამოჭრიან?! — ტესტი „შიდასარედაქციო პლურალიზმზე“...) „პროვოკაციას“ სამშაბათს ვწერ, თქვენ ხუთშაბათს კითხულობთ, ამიტომ ოთხშაბათს რომ აღლუმი ჩატარდება, არ ვიცი, იქ რა მოხდა. არადა, საღადაო რომ ბევრი იქნება, ახლა — სამშაბათსვე დარწმუნებული ვარ და თქვენ ხუთშაბათს დამიდასტურეთ...

თუმცა ჩემი აზრი წინასწარვე შემიძლია გითხრათ: „კვირის პალიტრის“ ბოლო ნომერში, ჩემი კოლეგა მერაბ მეტრეველი ასე იწყებს თავის „კვირის ფიქრებს“: „ძალიან პატარა ვიყავი, დედამ პირველად აღლუმზე რომ წამიყვანა... იმდენად პატარა ვიყავი, რომ არ მახსოვს, 7 ნოემბრის აღლუმი იყო, 1-ელი თუ 9 მაისის“. ჰოდა, რა გამახსენდა, იცით? ჩემი კოლეგისგან განსხვავებით, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ 4 წლის ვიყავი, ძალიან კარგად მახსოვს, რომ პირველად ვიყავი საპირველმაისო „მშრომელთა დემონსტრაციაზე“ (ასე ერქვა მაშინ) და ასევე მერაბისაგან განსხვავებით (მიუხედავად იმისა, რომ ბუშტები მეც მიყვარდა), „პარადები“ იმის მერე აღარ მიყვარს. არა, იმას კი არ ვამტკიცებ, რომ უკვე სკოლამდელი ასაკიდან დისიდენტი ვიყავი ან განსაკუთრებული მეხსიერება მაქვს-მეთქი. მიზეზი გაცილებით ტრივიალური და ბავშვურია — იმდენ ხალხში მამაჩემისთვის თქმა მომერიდა, თან იქ ყოფნაც მაინტერესებდა და... ჩავიფსი!!!

ჰოდა, რატომ მოვყევი ახლა ეს ამბავი — მე, პატარა ბიჭს თუ მრცხვენოდა მხოლოდ ამ მიზეზისა და ბავშვობის დროინდელი უსიამოვნების გამო და იმ ამბის მერე ამდენი ხანია, ვერ ვიტან ასეთ „მარშირებებს“; ამათ რატომ არ რცხვენიათ და ასე მალე რატომ დაავიწყდათ?! 4 წლის ბავშვის ჩასველება რა არის იმასთან შედარებით, ამათ რომ ჩაისვარეს?!

კარგი, რაც არის, არის... 26 მაისს გილოცავთ...

ჰო, ახლა პრეზიდენტის ქუთაისური ვოიაჟი — არა, მე ახალს რას გეტყვით, ალბათ თავად იხილეთ ყველაფერი, მაგრამ მაინც... ის დღე ბაგრატის ტაძარში მისი აღდგენის პროექტის პრეზენტაციით დაიწყო: ყველა ექსპერტის დედაც ვატირეო, იუნესკოს გავკარი გარდიგარდმოო, თქვენ — ქუთაისელ ახალგაზრდებს თუ გინდათ ასეთი სახით აღდგენა, აღვადგენთ კიდეცო! „გვიიინდა! გვიიინდა! გვიიინდა!“ — „მქუხარედ და ხანგრძლივად დასძახეს“ პასუხად და საკითხიც გადაწყდა. ამის შემდეგ ჩატარდა ნიკა ვაჩეიშვილის (ძეგლების დაცვის უსტაბაში, ისე, წესიერი კაცი ჩანს ეგ) გამოკითხვა — რომელი ქართული ტაძარი რამდენი მეტრია სიმაღლეშიო? — და აქ გაირკვა მთავარი მიზეზი: ჩვენს მიშიკოს ხომ უკვე ყველა სფეროში აქვს შექმნილი „ყველაზე ლამაზი“, „ყველაზე დიდი“, „ყველაზე დემოკრატიული“, „საქართველოს ისტორიაში პირველი“, „ყველაზე“... „ყველაზე“... „ყველაზე“... მოკლედ, ვაჩეიშვილის „დაკითხვისას“ (მისი სახე თუ გახსოვთ ამ დროს?..), რომელიც ბავშვების დიალოგს ჰგავდა („ჯეკი ჩანი მოერევა თუ ბრიუს ლი?“). აღმოჩნდა, რომ რესტავრაციის შემდეგ ბაგრატის ტაძარი იქნება ყველაზე მაღალი საქართველოში („სვეტიცხოველი 44 მეტრია, ეს იქნება 44 მეტრი და რაღაც...“)!!!

მერე გახარებული პრეზიდენტი სათაფლიასა და კიდევ მეორე მღვიმეში წავიდა, მერე — აუზის სანახავად (ხომ იცით, ეგ ტანკისტი... კი არა და, წყალბურთელთა ნაკრების წევრი იყო, ომამდე), მერე... მერე... მერე...

ამასობაში კი ერევანში „დიპ ფიორფლ“ ჩამოვიდა, ჩვენთან კი — „ბონი ემ“... და ირანის პრეზიდენტიც გვყავს დაპატიჟებული... ჩამოვა, აბა, რას იზამს?! საქართველოს ისტორიაში პირველად!..

P.S. **სასხვათაშორისოდ ვახსენე პრეზიდენტის მიერ მღვიმეში ყოფნა, მაგრამ ისევ უნდა დავუბრუნდე: აქ, ახლომახლო (ზუსტად ეს სიტყვა გამოიყენა) პრომეთე იყო მიჯაჭვული და ამ მღვიმეს დღეიდან, „პრომეთეს მღვიმე“ უნდა ვუწოდოთო! აი, ნათლიმამაც გამოვედი ამ სახელისო(?) (ისე, მაგას ნათლია ჰქვია, ბატონო პრეზიდენტო, თქვენი ნათლიმამა კი კობა დავითაშვილია), აბა, „ყუმისთავი“ რა სახელიაო (ეს არ უთქვამს, იგულისხმა...). რატომ დავუბრუნდი ამ ამბავს, იცით? ერთი, ბესო ჯუღელი რომ ჰყავდათ მაგათ და ახლა რომ აღარ ჰყავთ, დედაკაცების ჰიგიენის საშუალებებს რომ აწარმოებდა, იმან იყიდა სოფელ ჭოპორტში ტბა და მისი შემოგარენი, „ჭოპორტი“ გაუტყდა და არავის არ ჰკითხა, ისე, იქაურობას „მშვენიერა“ დაარქვა. „მშვენიერა“ მშვენიერია, მაგრამ ერთი მოგასმენინათ, იქაურები როგორ ამკობენ...**

ჰმ, „ყუმისთავი“ არ მოსწონს და ყუმები რომ მართავენ ქვეყანას, ეგ არაფერი...

P.P.S. **ირინა სარიშვილმა, — ამათ ხელში ქვეყნის დატოვება უკვე შეუძლებელია (ოპოზიციაც იგულისხმა), სექტემბერში „არენაზე“ გამოვდივარო!**

პროვოკატორი

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com

საფრანგეთში ქალებს ჩადრის ტარებისთვის აჯარიმებენ

საფრანგეთის მინისტრთა კაბინეტმა მხარი დაუჭირა კანონპროექტს, რომლის მიხედვითაც, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ჩადრით გამოჩენა კანონდარღვევად მიიჩნევა. ქალბატონები, რომლებიც საზოგადოებრივ ადგილებში ჩადრით გამოჩნდებიან, დაჯარიმდებიან, ხოლო მამაკაცებს, რომლებიც მათ ჩადრით სიარულს აიძულებენ, დააკავებენ.

კანონპროექტს მხარი პარლამენტმა უნდა დაუჭიროს და როგორც იურისტები ირწმუნებიან, კანონის დაცვა იოლი არ იქნება.

შეგახსენებთ, საფრანგეთის პარლამენტმა ჯერ კიდევ 2004 წელს დაამტკიცა კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თვალში საცემი რელიგიური სიმბოლოების გამოყენება აიკრძალა. არადა, ამ ქვეყანაში 5 მილიონი მუსლიმანი ცხოვრობს. ■

იაპონელები რობოტების დასმარებით ქორწინდებიან

ტოკიოს ერთ-ერთ პარკში ქორწინების ცერემონია რობოტმა ჩაატარა — 36 წლის ქალმა და 42 წლის მამაკაცმა, სტუმრების თანდასწრებით, რობოტ I-Fairy-ის მიერ დასმულ ტრადიციულ შეკითხვებს უპასუხეს, შემდეგ კი ქორწინება ტოკიოს ცენტრში, ერთ-ერთ რესტორანში აღნიშნეს.

რეგისტრატორ I-Fairy-ს მიკროსქემიან თავზე გვირგვინი ეკეთა, პლასტმასის ხელში კი თეთრი ყვავილების თაიგული ეჭირა. ■



ლაბორატორია „დნმ-დიაგნოსტიკა“
პჯრ (PCR) — მეთოდი

1. გენომური დაქტილოსკოპია (სადავო მამობის დადგენა);
2. მემკვიდრული დაავადებების დიაგნოსტიკა;
3. ონკოლოგიური და გენეტიკური დაავადებებისადმი მიდრეკილების განსაზღვრა;
4. სქესობრივი გზით გადამდები ბაქტერიული და ვირუსული ინფექციების დიაგნოსტიკა:
   - ორივე სქესის პაციენტთა გამოკვლევა ქორწინებამდე;
   - ორსულობის შეწყვეტისა (თვითნებური აბორტი) და ნაყოფის სიმახინჯეების გამომწვევი მიზეზების დიაგნოსტიკა;
   - საშვილოსნოს ყელის პათოლოგიების გამომწვევი ყველა მაღალი ონკოგენური ტიპების პაპილომავირუსის გამოვლენა;
   - B, D და C ჰეპატიტების დიაგნოსტიკა;
   - C — ჰეპატიტის გენოტიპირება.

კონსულტაცია უფასოა

ქ. თბილისი, ა.ყაზბეგის გამზ. 14ბ, ტელ: (995 32) 18-37-84; (899) 55 61 97; (877) 94 94 13; dna_diagnostics@hotmail.com

რუსები კავკასიელებს აღარ ემსახურებიან

ტაქსის მომსახურება, სახელწოდებით — „მოსკოვის სამება“, რომელიც რუსეთის დედაქალაქში 2010 წლის მარტში გამოჩნდა, კავკასიელების გამოძახებას უყურადღებოდ ტოვებს — ამის დასადასტურებლად, რადიოსადგურ „ვერცხლის წვიმის“ კორესპონდენტმა და დილის შოუს — „საუზმე ჩემპიონთათვის“ წამყვანმა, ალექს დუბასმა ტაქსების მომსახურების სააგენტოში დარეკა და კავკასიური აქცენტით ტაქსი მეჩეთთან გამოიძახა. ოპერატორმა მას მომსახურებაზე უარი განუცხადა, მიზეზად კი ხელმძღვანელობის დირექტივა დაასახელა. როგორც ჩანს, „ტაქსისტებს“ კავკასიური იერისა და განსხვავებული მრწამსის მქონე ადამიანთა მომსახურება ეკრძალებათ. ■

ხორვატელმა პენსიონერმა ლატარიაში მოგებული ფული მეგობრებს დაურიგა

ხორვატელმა პენსიონერმა, მუსიკის მასწავლებელმა ფრანე სელაკმა ლატარიაში მოგებული 600 ათასი გირვანქა სტერლინგი მეგობრებსა და ნათესავებს დაურიგა. როგორც გაირკვა, მას ეს თანხა ჯერ კიდევ 2003 წელს მოუგია, შემდეგ კი მდიდრული ვილა შეუძენია და 20 წლით უმცროს ქალზე დაქორწინებულა. მისი მეგობრების თქმით, მაშინ სელაკი ამბობდა: ცხოვრებით ვტკბები, ასე მგონია, თავიდან დავიბადე და ვიცი, რომ უფალი მთელი ამ დროის მანძილზე მაკვირდებოდაო.

რამდენიმე წლის შემდეგ იმედგაცრუებულმა 81 წლის პენსიონერმა მეგობრებთან დაიჩივლა — ფულით ბედნიერების ყიდვა შეუძლებელიაო და თავისი მდიდრული ვილა გაყიდა, ფული ოჯახის წევრებსა და მეგობრებს დაურიგა, თავად კი ხორვატიის ცენტრალურ ნაწილში, მშობლიურ ქალაქ პეტრინში მარტო დასახლდა. ■

გამოყენებულია ინტერნეტპორტალ ambebi.ge-ს მასალები

„ქართული პროზის საგანძური“

თქვენთვის და თქვენი შვილებისთვის!





არჩილ სულაკაური



ნიკო ლორთქიფანიძე

გოდერძი ჩოხელი

წიგნი II

ყოველ ხუთშაბათს, ჟურნალ „გზასთან" ერთად
შეიძინეთ ცნობილი ქართველი მწერლების თითო ტომი

ქართული კლასიკისა და თანამედროვე პროზის რჩეული ნიმუშები

ტომი №13 - გრიგოლ აბაშიძე

წიგნის ფასი **3!** დიახ, სამი ლარი!

ეს ფასი ძალაშია მხოლოდ 27 მაისიდან - 3 ივნისამდე!

უკვე გამოსული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში

№1 გურამ დოჩანაშვილი
№2 მიხეილ ჯავახიშვილი
№3 ნოდარ დუმბაძე
№4 ილია ჭავჭავაძე
№5 გურამ რჩეულიშვილი
№6 ვაჟა-ფშაველა
№7 რეზო ჭეიშვილი
№8 აკაკი წერეთელი
№9 გურამ გეგეშიძე
№10 დავით კლდიაშვილი
№11 ოტია იოსელიანი
№12 გრიგოლ აბაშიძე (წიგნი-I)

გამოიწერეთ გზა და საგანძურის ყველა ტომს ადგილზე მოგართმევთ

„ელვა.ჯი“ ტელ: 38 26 73; 38 26 74

სპეციალური პირობები სკოლებისთვის

ქვეყანა

ამერიკის ახალი სტრატეგია
და მარტოდ დარჩენილი საქართველო

„ობამამ ქართველები მიატოვა და რუსეთს მათი საზღვრების გასწვრივ, შემდგომი პროვოკაციული ქმედებებისთვის მწვანე შუქი აუნთო“, „საქართველოს გაცვლა რუსეთზე თეთრი სახლის ოფიციალურ პოლიტიკად იქცა“... — ასეთი ფრაზები უცხოურ პრესაში მას შემდეგ მომრავლდა, რაც ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ საქართველო რუსულ-ამერიკული ურთიერთობის განვითარების გზაზე დაბრკოლებას არ წარმოადგენს. ამის გამო აღშფოთება უკვე გამოხატეს სენატორმა მაქკეინმა და სახელმწიფო მდივნის ყოფილმა თანაშემწემ დევიდ კრამერმა. მაქკეინმა საკუთარი ქვეყნის პრეზიდენტი ღალატშიც კი დაადანაშაულა და განაცხადა: „მან ქართველები მოსკოვთან გადატვირთვის ღილაკზე დაჭერის ფასად გაყიდა“. საგარეო პოლიტიკაში ახალი ტენდენციების შესახებ სასაუბროდ, სამხედრო და პოლიტიკურ ექსპერტს, პახა კაციტაძეს შევხვდით.

ხათუნა ბახტურიძე

— ბატონო კახა, როგორ ფიქრობთ — მიხეილ სააკაშვილის მცდელობა, გააქტიუროს ურთიერთობა ირანთან, იმ ფაქტით ხომ არ არის განპირობებული, რომ აშშ-მა საქართველოს გამო რუსეთთან კონფრონტაციას, თანამშრომლობა ამჯობინა?

— ჩემი აზრით, სააკაშვილმა ამერიკისა და ევროპის ჯიბრზე, იმპულსური გადაწყვეტილება მიიღო. ირანის პრეზიდენტმა უკვე გააკეთა განცხადება, რომ ირანი და საქართველო ერთი ცივილიზაციის სივრცეს მიეკუთვნებიან. ალბათ ჩვენი პრეზიდენტიც ასე ფიქრობს... აბა, რას უნდა ნიშნავდეს ის ფაქტი, რომ უკრაინა ევროპაში უვიზო რეჟიმს აღწევს, საქართველო კი — ირანში?!. მალე ხელისუფლების „მოდელირებული“ ექსპერტები ვარსქენ პიტიახშს დიდ ქართველ პატრიოტადაც შერაცხავენ, — ის ხომ პროირანული კურსის მომხრე იყო!.. ისე, მე აღარც ის გამიკვირდება, თუ უახლოეს მომავალში ჩრდილოეთ კორეასთანაც დავიწყებთ უვიზო რეჟიმის შემოღებაზე საუბარს. როგორც ჩანს, ევროპულ სივრცეში დაპირებული ინტეგრაციის ნაცვლად, ჩვენი ხელისუფლება ირანული ცივილიზაციის სივრცეში ინტეგრაციას გვთავაზობს.

— ირანთან უვიზო რეჟიმის შემოღება ამერიკასთან ურთიერთობაზე როგორ აისახება?

— ამერიკამ უკვე გაყინა საქართველოსთან ურთიერთობები. გარკვეული პროგრამები მხოლოდ ინერციით ხორციელდება. ჩვენს ქვეყნებს შორის სამხედრო თანამშრომლობა უკვე აღარ მიმდინარეობს.

— აბა, ქართველი მისია ავღანეთში რას ნიშნავს?

— ეს ერთადერთი გამონაკლისია. 5 წლის წინ საქართველოში კვირაში ერთხელ მაინც ჩამოდიოდა მაღალი რანგის ამერიკელი სამხედრო ჩინოსანი. ახლა აღარც კი მახსოვს, უკანასკნელად როდის ვნახე აქ ამერიკელი სამხედრო. ჩემი სუბიექტური მოსაზრებით, ამერიკელებმა სააკაშვილს უკვე ჯვარი გადაუსვეს, ახლა უბრალოდ იმაზეა ლაპარაკი, თუ რა ფორმით ჩამოაცილონ პოლიტიკას...

— ობამას პოლიტიკური სტრატეგია ჯერ გაცხადებულიც არ იყო, მაგრამ დასავლური პრესა უკვე ლაპარაკობდა, — აშშ-ის ახალი პრეზიდენტი რუსეთის მიმართ კომპრომისზე წავა და საქართველოში თავის ინტერესებსაც იოლად დათმობსო. გარდა ამისა, როგორც უცხოელი ექსპერტებისა და პოლიტოლოგების დიდი ნაწილი ამბობს, ამერიკა მხოლოდ საქართველოში კი არა, მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში თმობს თავის გავლენას.

— თქვენ იცით, რომ სამხედრო საკითხებში კარგად ვერკვევი. ის ანტისარაკეტო სისტემა, რომელიც ბუშს პოლონეთში უნდა განელაგებინა, სამხედროებს გამოცდილიც კი არ ჰქონდათ. ე.ი. ეს მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო, რუსეთის გასაღიზიანებლად გამიზნული. ახლა ობამას ადმინისტრაცია ბულგარეთსა და რუმინეთში კარგად გამოცდილი ანტისარაკეტო სისტემის განთავსებას აპირებს. მერწმუნეთ, არანაირი არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, პოლონეთში განლაგდება ნატოს ანტისარაკეტო სისტემა თუ რუმინეთში. ასე რომ, ვინც ამბობს, — ამერიკამ პოლონეთი მიატოვაო, — მას ამერიკა-პოლონეთის ურთიერთობების შესახებ წარმოდგენაც კი არა აქვს.

— როგორი შეიძლება იყოს ახალი მსოფლიო წესრიგი ან ამერიკელებს რატომ აქვთ იმის იმედი, რომ გადამწყვეტ მომენტში, რუსეთის ნდობა შეიძლება?

— რუსეთთან დაკავშირებით, ასეთ კითხვას ბევრი ამერიკელიც სვამს. ვაშინგტონში არც ისე გულუბრყვილოები არიან, რომ ბრმად ენდონ რუსებს. უნდა თუ არა მოსკოვს, მაინც მოუწევს რეალური მოქმედებებით იმის დადასტურება, რომ ეწერება იმ ურთიერთობების სისტემაში და იღებს იმ თამაშის წესებს, რომელსაც ვაშინგტონი პარტნიორებს სთავაზობს. ეს შეთავაზება კი ასეთია — არა ლიდერი და ჰეგემონი, არამედ პირველი თანასწორთა შორის. ანუ მსოფლიო წესრიგი „იერარქიზებულ“ ხასიათს მიიღებს და მეტ-ნაკლებად, ადგილები ყველას მიერ იქნება განსაზღვრული. ობამას მრჩეველი რუსეთის საკითხებში, მაიკლ მაგფოლი უაღრესად გამოცდილი მეცნიერია. ამიტომ ძალიან მეეჭვება, ამერიკელები ამ ცვლილებებს გარანტიების გარეშე იწყებდნენ.

— ამ ახალი სიტუაციის მიხედვით, რუსეთს რა პოზიცია ექნება საქართველოს მიმართ?

— რუსეთი საქართველოსთან ერთპიროვნულად არ „ითამაშებს“ — მოსკოვის გადაწყვეტილებები ვაშინგტონთანაც იქნება შეთანხმებული და ბრიუსელთანაც. დარწმუნებული ვარ, ეს პოლიტიკა დაეყრდნობა კონსენსუსს დიდ სახელმწიფოებს შორის და არა დაპირისპირებას, როგორც ადრე იყო. რუსეთს ახლა ოკუპაცია არაფერში სჭირდება. თუ მაინც მოხდა მისი პროვოცირება, ეს პარალელურად, ვაშინგტონისა და ბრიუსელის პროვოცირებაც იქნება. ამის რესურსი სააკაშვილის ხელისუფლებას — არა, მაგრამ ირანს ნამდვილად აქვს. ამ ყველაფრიდან რას მივიღებთ, უკვე სხვა საკითხია...

— თუ ვაშინგტონი თავის პოლიტიკას ცვლის და ცდილობს, ყველა ქვეყანასთან მშვიდობიანად მოაგვაროს პრობლემები, ხომ შეიძლება, ჩვენს ხელისუფლებას ირანთან მოლაპარაკებისთვის სანქცია ვაშინგტონიდან ჰქონდეს მიღებული?

— ასეთ მოსაზრებას ხელისუფლების მომხრეები ავრცელებენ, მაგრამ ეს ისეთი ზღაპარია, რომლის სერიოზულად განხილვაც კი არ ღირს.

— ევროპარლამენტის მორიგ მოხსენებასთან დაკავშირებით, სხვადასხვა ვერსია გავრცელდა. თქვენი ინფორმაციით, არის თუ არა დოკუმენტში აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ოკუპირებულ ტერიტორიებად მოხსენიებული?

— არა. თქვენ, ჟურნალისტებსაც კი გატყუებენ. მე პირადად ვნახე მოხსენების ტექსტი — იქ უფრო მეტი საშინელება წერია, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია.

— რას გულისხმობთ?

— ე.წ. სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებს, თუ ომის დროს სახლები დაენგრათ და ქონება გაუნადგურდათ, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ სარჩელის შეტანის უფლება აქვთო. ჩვენი ხელისუფლება ამასაც გვიმალავს. მათ რომ საჩივრის მასობრივად შეტანა დაიწყონ, წარმოგიდგენიათ, რა მოხდება?!

— მაშინ, რა არის იმის მიზეზი, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები რუსეთთან უპირობო დიალოგის დაწყებაზე ალაპარაკდნენ?

— ვაშაძის განცხადებას გულისხმობთ?

— დიახ.

— ვაშაძის შემდეგ, მისმა მოადგილემ გააკეთა განცხადება, — უპირობოდ კი გვინდა მოლაპარაკების დაწყება, მაგრამ მოსკოვმა რაღაც პირობები მაინც უნდა დაგვიკმაყოფილოსო. ეს ხომ სასაცილოა! ვაშაძე სამინისტროში არაფერს წყვეტს. მრჩება შთაბეჭდილება, რომ პრეზიდენტმა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც იმპულსურად თქვა რაღაც, ვაშაძემ ეს „გაახმოვანა“, მაგრამ საზოგადოების უარყოფითი რეაქცია რომ დაინახეს, უკან დაიხიეს.

— კი, მაგრამ ამ საკითხზე უგულავამაც რომ ისაუბრა, „ნიუსუკისთვის“ მიცემულ ინტერვიუში?

— იმიტომ, რომ ხელისუფლება „მთლიანი“ აღარ არის. უგულავამ და მერაბიშვილმა უკვე იციან, რომ სააკაშვილზე ამერიკას ხელი აქვს ჩაქნეული, მას ზურგს აღარავინ უმაგრებს და საკუთარი თამაში წამოიწყეს რუსეთთან.

— ამ ყველაფერს შედეგად რა მოჰყვება?

— წმინდა მეცნიერულ პროგნოზს ვაკეთებ და არა პოლიტიკურ შეფასებას — ეს ხელისუფლება დიდხანს ვეღარ გაატანს...

— ფიქრობთ, რომ სააკაშვილის შეცვლის შემთხვევაში, ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემების მოგვარება შესაძლებელი გახდება?

— ის, რომ ჩვენ ყელამდე პრობლემებში ვართ, მხოლოდ სააკაშვილის კი არა, საზოგადოების ბრალიც არის. ვიდრე ცუდი ბატონისგან თავის დასახსნელად, კარგი ბატონის ძიებას თავს არ დავანებებთ, არაფერი გვეშველება.

■

„არჩილი ძალიან დიდი ბიჭიც იყო...“

„ამაყი იყო! დიახ, ამაყი, ზნეკეთილი, ულალატო და უკომპრომისო, ნორმა და ნამუსი კაცობისა, ვაჟკაცობისა, ქედუხრელობისა. მასთან სიახლოვე კათარზისდარ შედეგს იძლეოდა, ამას ყველა აღიარებდა, დიდი თუ პატარა. მასთან მეგობრობა, მისი ყურადღების დამსახურება უკვე აღიარებას ნიშნავდა, კაცობის ემბაზში განბანვას და გაკეთილშობილებას. ასეთი გახლდათ არჩილ სულაკაური, ღირსეული მწერალი, მოქალაქე, საზოგადო მოღვაწე“, — ეს სიტყვები გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ 2002 წელს, მწერლის გარდაცვალებიდან ხუთი წლის შემდეგ დაიბეჭდა... „ქართული პროზის საგანძური“ ჟურნალ „გზასთან“ ერთად, მე-14 ტომად, მომავალ ხუთშაბათს სწორედ არჩილ სულაკაურის ნაწარმოებების კრებულს შემოგთავაზებთ, მანამდე კი მის ოჯახს ვეწვიეთ და ქალბატონ მერი სულაკაურს მეუღლის გახსენებაც ვთხოვეთ.

ირმა ხარშილაძე

— ნიკო კეცხოველს შემოკრებილი ჰყავდა ახალგაზრდა მწერლები: არჩილი, ნოდარ დუმბაძე, თამაზ და ოთარ ჭილაძეები, მოგვიანებით კი მუხრან მაჭავარიანი. „ჩემი ბიჭებიო“, — ასე ეძახდა მათ და თუ რაიმე საღამო იმართებოდა, ყველგან ეს ბიჭები გამოდიოდნენ. იმხანად ძალიან მოდური იყო და ბევრს უყვარდა არჩილის ლექსები — „ნუ გათათრდები“ და „ქართლის გზაზე“ — „ქართლის ბაღები, მზიანი, ოქროფერილი ყანები, უხვი და ბარაქიანი...“ მოკლედ, ის უკვე ძალიან პოპულარული იყო. მეც ფილოლოგიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი და არჩილი უნივერსიტეტში გამაცნეს.

— და გაცნობისთანავე შეგიყვარდათ?

— მაშინვე — არა. მეც ბევრი თაყვანისმცემელი მყავდა და როდესაც მითხრეს, — მოსწონხარო, არჩილიც იმ თაყვანისმცემელთა სიაში „ჩავწერე“ (*იცინის*). ერთხელაც, შინ გამაცილა. გზად ბევრ თემაზე ვისაუბრეთ — ყოფითზეც და პოეტურზეც. მაგალითად, იმ საღამოს არჩილმა გალაკტიონის პოეზია სულ სხვაგვარად დამანახვა და მაშინ აღმოვაჩინე, რომ თვითონაც ყველასგან განსხვავებული იყო.... მეოთხე კურსზე ვსწავლობდი, როცა შევუღლდით. ის უკვე ასპირანტურაში სწავლობდა. შემდეგ სიმონ ჩიქოვანმა მიიწვია ჟურნალ „მნათობში“, მერე შვილებიც შეგვეძინა — გიგი და ლაშა... მისგან ხმამაღალ სიტყვას ვერ გაიგონებ-

ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა !

გსურთ, ისწავლოთ ერთ-ერთი პრესტიჟული, სახელმწიფოს მიერ აკრედიტებული უნივერსიტეტის მაგისტრატურაში?

ნუ გაუშვებთ შანსს!!!

გიწვევთ თბილისის საბანკო-საფინანსო და მენეჯმენტის სასწავლო უნივერსიტეტში სპეციალობაზე — ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმე, მხოლოდ 25 ადგილზე, სწავლის საფასური — მხოლოდ 1700 ლარი.

სტაჟირება მე-2 კურსიდან.
წარჩინებულები დასაქმდებიან.

საგუთეგის მილების გოლო ვადაა 10 მაისი.
ტელ: 96-36-41

იცით, რა ბედნიერი ვიყავი მასთან?..

დით და მეც მეუბნებოდა: მერი, ბავშვები ისე გაზარდე, სხვა ქალებივით წივილ-კივილი არ დაუწყოო. არადა, მეც საკმაოდ მშვიდი და გაწონასწორებული ვიყავი... იმასაც შევეჩვიე, რომ არჩილი ყოველთვის გამორჩეული იყო. ბევრი ჯილდო, მათ შორის — რუსთაველის პრემია მწერალთა შორის ერთ-ერთმა პირველმა სწორედ მან მიიღო. არჩილის ნაწარმოებები ხშირად იბეჭდებოდა, ხოლო მისი „სალამურას თავგადასავალი“ პოპულარული გახდა — უამრავ ენაზე ითარგმნა. ჰოდა, საზღვარგარეთ ყველაზე პოპულარული ქართველი მწერლის მსოფლიო მნიშვნელობის ჯილდოც — „ოქროს საწმისი“ ნოდარ დუმბაძესა და არჩილს გადასცეს. საერთოდაც, იმ თაობის მწერლები, ე.წ. 60-იანელები ძალიან ნიჭიერები იყვნენ. არჩილის 50 წლისთავთან დაკავშირებით, ოტია იოსელიანმა არაჩვეულებრივი წერილი — „პირველთაგან თანატოლთა შორის“ დაწერა და სწორედ იქ აღნიშნა: არჩილი ჩვენი წინამძღოლი იყოო... საოცარია, არა? — შექსპირის „ჰამლეტი“ თავიდან ბოლომდე, ზეპირად იცოდა. ის ჩემს ლიტერატურულ გემოვნებასაც აფასებდა და რჩევასაც ყურად იღებდა ხოლმე. ისიც კარგად მახსოვს, რუსი ჟურნალისტის ერთ ინტერვიუში — „10 შეკითხვა მწერალს“ — რომ ჰკითხეს: ვინ არის ყველაზე ლამაზი ქალიო? — უპასუხა: ჩემი მეუღლეო! — ეგ როგორ უთხარი-მეთქი? — ვუსაყვედურე, არადა, ყოველთვის ცდილობდა, ჩემთვის ესიამოვნებინა... მეგონა, სულ ასე იქნებოდა (*ჩაფიქრდა*)... საშინლად გარდაიცვალა... გვიანობამდე მუშაობდა, მე უკვე ვიწექი. ცუდად ვარო, — და თვითონაც დაწვა. წამოვდექი. ვიფიქრე, — დავხედავ-მეთქი. სამწუხაროდ, შინ ნიტროგლიცერინიც არ აღმომაჩნდა, ტელეფონიც გათიშული იყო... ყველაფერი ისე მოხდა, თითქოს იმ ღამეს უნდა „წასულიყო“. არადა, არაფერი აწუხებდა, არც უავადმყოფია, თუმცა რამდენიმე დღით ადრე თამაზ ჩხენკელისთვის უთქვამს: მივდივარო... იმ პერიოდში უამრავი პატარ-პატარა სიუჟეტით დატვირთულ დიდ მოთხრობას — „სეფე დავლეს“ წერდა და შეიძლებოდა, ის რომანადაც ექცია. თითქოს ჩქარობდა. ერთხელ მითხრა კიდეც: იმ მოთხრობის რაღაც ნაწილი დავასრულე და უჯრაში ჩავდეო, — მსგავსი რამ არასდროს უთქვამს. მოგვიანებით, მაგიდაზე ვნახე მისი უკანასკნელი ლექსები: „კაფე „თბილისის“ ნოსტალგია“ და „აჰა, გასრულდა ეს ბოლო ლექსიც, დავხურე კარი და დარაბები. გარეთ მთიბავის სიმღერა მესმის, მოდის, მოცელავს... სხვა არაფერი...“ თითქოს ნელ-ნელა ემზადებოდა წასასვლელად, მაგრამ... მე რატომ არაფერი მითხრა (*ჩაფიქრდა*)?.. 70 წლის იყო. იცით, რა ბედნიერი ვიყავი მასთან?..

— შვილებთან როგორი იყო? მეგობრობდნენ?

— გიგი და ლაშა რომ წამოიზარდნენ, მათთან გაცილებით დიდ დროს ატარებდა და ხშირად, ზღვაზე დასასვენებლადაც უჩემოდ მიჰყავდა. მათ ერთმანეთთან კაცური ურთიერთობა ჰქონდათ. ლაშა მხატვარია. როცა არჩილი გამომცემლობა „ნაკადულის“ დირექტორი იყო, ლაშას წიგნებს აძლევდა გასაფორმებლად, გზადაგზა კი მისთვის რჩევებსაც არ იშურებდა... რაც შეეხება გიგის, ის ხომ მამის კვალს გაჰყვა...

არჩილ სულაკაურის კრებულს — „100 ლექსი“ — მისი შვილის, გიგი სულაკაურის წინასიტყვაობა აქვს დართული, რომლის ნაწყვეტსაც აქვე შემოგთავაზებთ: „...როცა წამოვიზარდე და დავმეგობრდით, ბოლომდე, ვიდრე არ წავიდა, ყოველ, თითოეულ ლექსს მიკითხავდა. დამირეკავდა ხოლმე და მეტყოდა: ხომ არ გამომივლი, გიგი... და მეც ვიცოდი, მამასთან ახალი ლექსები ან მოთხრობა მელოდა. მერე ვისხედით და ვსაუბრობდით, ლექსებს ვარჩევდით. რაღაცნაირად, ყოველი მისი ლექსი ჩემი ნაწილიც ხდებოდა, თითქოს (ღმერთო, მაპატიე!) ლექსის შექმნაში მეც მიმიძღოდა გარკვეული წვლილი. საუკეთესო დრო იდგა ჩვენს ცხოვრებაში... მის წიგნზე მუშაობისას მერამდენჯერ დავრწმუნდი, რომ არჩილი არა მარტო შესანიშნავი პოეტი, ძალიან დიდი ბიჭიც იყო...“

შვილიშვილებს — გიორგის, ლუკასა და მატასის მოესწრო. უფროსი — გიორგი განსაკუთრებით ჰყვარებია, თითქოს.

** გიორგი სულაკაური:**

— მახსოვს, პაპა „სეფე დავლეს“ რომ სწერდა, მის კაბინეტში შევდიოდი ხოლმე და ხელნაწერს ვკითხულობდი. უცნაური ურთიერთობა იცოდა. ყველაფერში თავისებური იყო და საკუთარი წესები, პრინციპები ჰქონდა. რამეს თუ ვკითხავდი, იმწუთას არასდროს მიპასუხებდა — დიდხანს ფიქრობდა და მერე ისე გვიან მპასუხობდა (თანაც — ამომწურავად), რომ ხანდახან, რა ვკითხე, ისიც აღარ მახსოვდა. მისი გარდაცვალების წინადღეს „თბილისობა“ იყო და სპორტის სასახლესთან, ბაზრობაზე ერთად გავედით, რაღაცები ვიყიდეთ, გავისეირნეთ. ოქტომბრის თბილი დღე გახლდათ, კარგი დღე იყო... მეორე დილას კი დარეკეს, არჩილი გარდაიცვალაო (*ჩაფიქრდა*).

— რჩევების მოცემა არ უყვარდა?

— არასდროს. სიტყვიერი აღმზრდელობით-დიდაქტიკური მეთოდი არ ჰქონდა. ნაკლებად კრიტიკული იყო და ყველაფერზე დადებითად რეაგირებდა. ამის გამო, მეც უფრო მორიდებული ვიყავი. ეგ კი არა, მის ოთახშიც მორიდებით შევდიოდი და ხელს არაფერს ვახლებდი. განა მეუბნებოდა, — გიო, ამას ხელი არ მოჰკიდოო! ასეთი წესი იყო: მის უკითხავად ხელს არაფერს ვკიდებდი.

— გეფერებოდა ხოლმე?

— კი, მოფერება იცოდა, ძალიან მოსიყვარულეც იყო, მაგრამ... თავისებურად. გადაწყვეტილებების მიღების დრო რომ დამიდგა და კაცად ჩამოყალიბება დავიწყე, პაპა ძალიან მომაკლდა: ის ბრძენი იყო და დარწმუნებული ვარ, ბევრ რამეს შევეკითხებოდი...

— მაშინ ძალიან ახალგაზრდა იყავი, სტუდენტი და ალბათ, პაპასთვის რაღაც მნიშვნელოვანის თქმა ვერ მოასწარი. უკვე 30 წლის კაცი ხარ, შვილიც გყავს და საინტერესოა, ახლა რას ეტყოდი?

— ვეტყოდი, რომ მენატრება, ძალიან მიყვარს, ძალიან ბევრი რამ მასწავლა და (*ჩაფიქრდა*)... ძალიან მაკლია. ■

არჩილ სულაკაურის შვილიშვილი გიორგი და შვილთაშვილები

გაიხსნა ავერსის ახალი აფთიაქი “მეგა აფთიაქი”

პეკინის №23-ში “ავერსის” მეგა აფთიაქი გაიხსნა. აქ, “ავერსის” სააფთიაქო ქსელის სხვა ობიექტებისგან განსხვავებით, სამკურნალო და ჰიგიენურ საშუალებებთან ერთად იყიდება მაღალი ხარისხის დეკორატიული კოსმეტიკა, ჩვილი ბავშვის აქსესუარები, სხეულის მოვლის საშუალებები ორსულთათვის...

ჩვეულებრივი აფთიაქისგან მეგა აფთიაქი იმითაც გამოირჩევა, რომ ყოველგვარი პროდუქცია, გარდა მედიკამენტებისა, ღია თაროებზე, მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომ ადგილას აწყვია, ისე რომ, ყველას შეუძლია, თავად დაათვალიეროს ნებისმიერი პროდუქტი, გაეცნოს მის შემადგენლობასა და მოხმარების წესებს.

დიაბეტით დაავადებულთათვის მეგა აფთიაქში ცალკე განყოფილებაა, სადაც დიაბეტური პროდუქცია იყიდება: საკვები, ორცხობილა, უშაქრო წვენები, შაქრის საზომი ხელსაწყოები, შაქრის შემცვლელთა ფართო ასორტიმენტი, ინსულინი, ტერფის პრობლემების სამკურნალო საშუალებები.

ცალკე განყოფილებაშია წარმოდგენილი ორსულთა მოვლის საშუალებები: ჰიგიენის საგნები, მკერდისა და სხეულის მოსავლელად განკუთვნილი კოსმეტიკა, ტრიკოტაჟი. აქვეა განსაკუთრებული ბამბის ტრიკოტაჟი ჩვილი ბავშვებისთვის.

ბავშვთა განყოფილებაში შეგიძლიათ შეიძინოთ ყველაფერი, რაც ჩვილს სჭირდება: ჰიგიენური საშუალებები, საფენები, საკვები (ფაფა, ორცხობილა, ხილფაფა, წვენი), აქსესუარების სრული ასორტიმენტი (საწოვარა, ბოთლი, რეზინის სათამაშოები, რომლებიც პატარებს კბილის ამოჭრისას დაეხმარება), ასევე - მანეჟი, საწოლ-მანეჟი, ოჭივარი (ჭოჭინა), შეზლონგი, სასეირნო და ჩასაწვენი ეტლები.

“ავერსის” მეგა აფთიაქში კოსმეტიკური ბრენდების მრავალფეროვანი ასორტიმენტია წარმოდგენილი, მათ შორის - “დოქტორ სკინი”, “დიამანტ დე ლა მერის” შავი ხიზილალის ექსტრაქტზე დამზადებული ნაწარმი, “გალენიკი”, “ვიში”, “ავენე”, “კლორანი”... აქვე შეგიძლიათ შეიძინოთ ფრჩხილის მოვლის საშუალებები, “ზოლინგერისა” და “ჰუბერტის” ფირმის მაკრატლები, ქლიბები, ქუსლის სახეხი პემზა.

მხოლოდ “ავერსის” მეგა აფთიაქში იყიდება “ჯილეტის” სასაჩუქრე ნაკრები, რომელიც “ავერსის” დაკვეთით სპეციალურად დაამზადა “დიპლომატ ჯორჯიამ”.

“ავერსის” მეგა აფთიაქში მხოლოდ უმაღლესი ხარისხის დეკორატიული კოსმეტიკა იყიდება: “ფარმასის”, “რევლონისა” და “ლორეალის” ტონალური კრემები, თხევადი და მყარი პომადები, ფრჩხილის ლაქები, ტუშები და თვალის ჩრდილები.

მხოლოდ მეგა აფთიაქში შემოგთავაზებენ სასაჩუქრე ჩანთებსა და სავარცხლებს “აჰავასა” და “დოლივას” პროდუქციის შეძენისას, ასევე - “დოლივას”, “აჰავას”, “რევლონის”, “ფარმასის”, “დოქტორ სკინის”, “ლაკალუტის” ტესტერებს.

“ავერსის” მეგა აფთიაქში მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური კონსულტანტები, რომელთაც სტაჟირება ექიმებსა და კოსმეტოლოგებთან გაიარეს. ისინი კარგად იცნობენ მეგა აფთიაქში წარმოდგენილ პროდუქციას და ნებისმიერი მათგანის შესახებ ამომწურავი და სანდო ინფორმაციის მოწოდება შეუძლიათ.

“ავერსი” გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!

ალმაშენებლის 148/2

საინფორმაციო სამსახური: 967-227

WWW.AVERSI.GE

ცოტნე გამსახურდია მშრალ შიმშილობაზე გადავიდა

რატომ დახია მანანა არჩვაძემ შვილის პირადი წერილი?

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ვაჟის, ცოტნე გამსახურდიას სიცოცხლე საფრთხეშია. შეგახსენებთ: ის სასჯელს მსჯავრდადებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში იხდის. 9 წლითა და 6 თვით აღუკვეთეს თავისუფლება. განაჩენი გასაჩივრებულია. ცოტნე თავს უდანაშაულოდ აცხადებს. მკითხველმა ისიც იცის, რომ პროტესტის ნიშნად, 105 დღე იშიმშილა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა. მაშინ, უწმინდესმა და უნეტარესმა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ციხეში მოინახულა და შიმშილობის შეწყვეტისკენ მოუწოდა... 4 მაისს კი ცოტნე გამსახურდიამ კვლავ გამოაცხადა შიმშილობა. მიზეზად სამკურნალო დაწესებულებაში ადმინისტრაციის მხრიდან პატიმრებზე განხორციელებული ფიზიკური და ფსიქიკური ზეწოლა დაასახელა.

„ცოტნემ უნდა შეწყვიტოს შიმშილობა და ფიზიკურად უნდა გადამირჩეს“

თეა ხურცილავა

21-დღიანი შიმშილობის შემდეგ, უკიდურეს ფორმას მიმართა და 24 მაისიდან მშრალ შიმშილობაზე გადავიდა. ადვოკატი ქეთი ბექაური მას შეხვდა; ცოტნემ განცხადება გამოატანა, ამ განცხადების გადაცემა ადვოკატს მინისტრ ხათუნა კალმახელიძისთვის სურდა, მაგრამ ადმინისტრაციის თანამშრომლებმა წაართვეს...

*როგორც ადვოკატები აცხადებენ, პატიმრის მდგომარეობა უმძიმესია. სრულ იზოლაციაში ამყოფებენ. „მასთან პერიოდული პრესა არ შედის, საკანში რადიო არ აქვს, მიმოწერის, ოჯახთან ტელეფონით სარგებლობის უფლება აუკრძალეს. ციხის ადმინისტრაცია მისგან არანაირ წერილობით განცხადებას არ იღებს. ადმინისტრაციის უკანონო მოქმედების გაპროტესტების უფლება ჩამოერთვა, არც ერთი მისი განცხადება ადრესატამდე არ მიდის, უბრალოდ ნადგურდება და არ ტარდება კანცელარიაში. ასევე ცენზურას გადის ცოტნეს პირადი წერილები და ნადგურდება. მასთან რამდენიმე დღე შეხვედრაც აგვიკრძალეს, ქალბატონმა მანანა არჩვაძემ დავით ბაქრაძეს წერილობით მიმართა. ბაქრაძის წერილობითი მითითების შემდეგ, ცოტნესთან მხოლოდ ერთხელ დამიშვეს. მას შემდეგ საკანში აღარ მიშვებენ და ცოტნე გამსახურდიას, რომელიც უკვე მძიმედაა, უჭირს გადაადგილება, ფიზიკური რესურსი აღარ აქვს, საგამოძიებოს ოთახში მახვედრებენ. ზოგჯერ გამოსვლას ვერ ახერხებს. ეს ყველაფერი რაა, თუ არა ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვა?! ასეთი მოპყრობით, პატიმრობის შესახებ კანონის რამდენიმე მუხლი დაირღვა. ასევე დარღვეულია პატიმართა მოპყრობის მინიმალური, სტანდარტული წესები, რომელიც გაეროს პირველი კონგრესის მიერ ჯერ კიდევ 1948 წელსაა მიღებული, დარღვეულია ევროკონვენციის მუხლები. ცოტნე გარე სამყაროს მოწყვეტილია და ასე, საგანგებოდ ისჯება. საქალაქო სასამართლოდან ცოტნე გამსახურდიას საქმე ჯერ არც კი გადაუგზავნიათ სააპელაციო სასამართლოში. ვერ გეტყვით, რას ელოდებიან. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ 4 მაისს ჩვენ პირველი განაცხადი — „ცოტნე გამსახურდია საქართველოს წინააღმდეგ“ — ევროსასამართლოში უკვე გავგზავნეთ. გასაჩივრებულია მისი უკანონო დაკავება და დაპატიმრება, ევროკონვენციის მეხუთე მუხლის დარღვევა. შიდა სამართლებრივ რესურსს ამოვწურავთ, მაგრამ ევროსასამართლოს იმედად ვრჩებით“, — აცხადებს ადვოკატი **ქეთი ბექაური**.*

20 მაისს შვილს ციხეში ქალბატონი მანანა არჩვაძე-გამსახურდია შეხვდა. მასთან ექსკლუზიური ინტერვიუ ჩაწერეთ.

— ქალბატონო მანანა, თქვენი ვაჟი 20 დღეზე მეტია, შიმშილობს. როგორია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და ამ უკიდურეს ფორმას ისევ რატომ მიმართა?

— ცოტნეს 105-დღიანი შიმშილობიდან ძალზე მოკლე დროა გასული, რომ ორგანიზმს დაკარგული ძალები ოდნავ მაინც აღედგინა. ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. ფაქტობრივად, კბილები დაშლილი აქვს, ფეხები — შეშუპებული, თმის ცვენა დაწყო, ძალიან გამხდარია. ექიმი ვარ და ვიცი, ყოველივე ამის მიზეზი რაც არის; მეშინია ამ ყველაფრის, ძალიან ვნერვიულობ. ეს მდგომარეობა ასევე აშინებს საზოგადოების იმ დიდ ნაწილსაც, რომელიც ცოტნეს თანაუგრძნობს. 4 მაისს დაწყებული შიმშილობის მიზეზი, №8 საპყრობილის სამკურნალო დაწესებულებაში მომხდარი ფაქტი გახდა: ფსიქიკურად დაავადებულ პატიმარზე არაადამიანურ მოპყრობას ჰქონდა ადგილი. ჯალათებმა ტარიელ საყვარელიძის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორება მოახდინეს. მან აუცილებელი წამალი მოითხოვა, დასამშვიდებელი სჭირდებოდა; ამ მოთხოვნას ადგილობრივმა ჯალათებმა იმით უპასუხეს, რომ 29-30 აპრილს და 1-ელ და 2 მაისს მუდმივი ზეწოლის ქვეშ ამყოფებდნენ. თავის ქალა დაუზიანეს, ყური აახიეს, ზედა კიდურები დაუშავდა. ცოტნეს შემზარავი ხმა მთელი 4 დღე ესმოდა. ეს წამება დანარჩენ პატიმრებზე ზემოქმედებისთვის იყო გამიზნული. 2 მაისს, როცა საყვარელიძე დააბრუნეს და იგივე ჯალათები დაინახა, რომლებიც ულმერთოდ აწამებდნენ, საშინელ ისტერიკაში ჩავარდა, ეს ბუნებრივია. ამის შემდგომ, ცოტნემ პროტესტის ნიშნად, შიმშილობა დაიწყო. ახლა ცოტნე „კარცერულ“ მდგომარეობაშია. ფსიქოლოგიური ზემოქმედებით ცდილობენ გატეხონ, რომ შეწყალებაზე წავიდეს. ვინც ცოტნე გამსახურდიას ოდნავ მაინც იცნობს, არავის შეეპაროს ეჭვი, რომ რაიმე დათმობაზე წამსვლელია, ეს არ მოხდება. უდანაშაულო ადამიანი მერვე თვეა, ისჯება. ცოტნე გამსახურდიას ღირსებისა და პატივის შელახვას ვერ მიაღწევენ... ცოტნეს პროტესტის შემდეგ, ტარიელ საყვარელიძე საპყრობილეში გადაიყვანეს. ამის უფლება არ ჰქონდათ, რადგან ავადმყოფია და შეიძლება, შეაწუხოს სხვა პატიმრები, მაგრამ მათთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. სიტუაციას გაარიდეს, რადგან ცოტნე კატეგორიულად ითხოვდა იმ პატიმართან შეხვედრას. საყვარელიძის მშობლებმა ტელევიზიით გაიგეს, რომ მათი შვილი სასტიკად ნაწამებია და რომ ცოტნემ ამის გამო შიმშილობა გამოაცხადა. დედამ ე.წ. სახალხო დამცველს მიმართა, რომელმაც თავისი წარმომადგენლები გაგზავნა. მას სახალხო დამცველის ფუნქცია არ აკისრია, პირიქით, ჯალათებს არ ამხელს. საყვარელიძეს შიშის ქვეშ დააწერინეს, თითქოს მის მიმართ არანაირი წამებისთვის არ მიუმართავთ. მან ისეთი საშინელი გზა გაიარა, ყველაფერზე ხელისმომწერია, მით უმეტეს, ჯანმრთელი არ არის. დედამ მიმართა ტუღუშს და შვილის მონახულების უფლება მისცეს. 23 მაისს საყვარელიძის მშობლებს შეეხვდი. დედა ამბობს, რომ წამების კვალი ჯერაც ეტყობა. ახეული ყური გაკერილია, ბუნებრივია, იარა აქვს და ამ ფაქტს ვერასოდეს დაფარავენ. სახეზე აქვს ესკორაციები, ნაჟღენთები, ზედა კიდურები — დაზიანებული. დედის თხოვნის მიუხედავად, სხვა დაზიანებები არ აჩვენა და თურმე დამალვას ცდილობდა. საუბარიც ვერ შედგა, რადგან ხმას არ იღებდა. ნამდვილად დარწმუნდა, რომ მისი შვილი ნაწამებია.

— ქალბატონო მანანა, მსგავსი კონკრეტული ფაქტები კიდევ ხომ არ გაქვთ?

— ასეთი ბევრია. სულ მოკლე ხანში უზარმაზარი მასალა მექნება და არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საქართვე-

ლოს ფარგლებს გარეთაც გაიგებენ და შეიგნებენ, რომ ამ ქვეყანაში ტოტალიტარული სისტემაა და არც ერთ ფაშისტურ და ნაცისტურ რეჟიმს ადამიანების მიმართ ასეთი უღმერთო სატანჯველი არ შეუქმნია. ჯალათების მხილება დაიწყო, ამას მივყვებით და ბოლომდე ყველა პატიმრის უფლებას დავიცავთ, რადგან არავის აქვს მათი ხელყოფის უფლება. 34 წლის დავით გუჯეჯიანი ქსნის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ადმინისტრაციის თანამშრომლებმა 14 მაისს სასტიკად სცემს. სხეულის მძიმე დაზიანებები მიაყენეს: მარცხენა ზედა კიდური, მხრის ძვალი გატეხილი აქვს, რაც გადმოდის ლავიწის, სახის ძვლებზე, ქვედა ყბის ძვალზე. საშინელი სანახავია, რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება. ამ ფაქტამდე, 2009 წლის 14 დეკემბერს, გუჯეჯიანი მსჯავრდადებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში იმყოფებოდა, სადაც ჯალათებმა უმძიმესი ტრავმა მიაყენეს. ამის შემდეგ ქსანში გადაიყვანეს. მისი დამცველისა და ოჯახის დიდი ძალისხმევით, საქმე აღძრულია იმ პიროვნებების წინააღმდეგ, რომლებმაც ეს ჩაიდინეს. ასევე, საჩივარი სტრასბურგშია გაგზავნილი... 2010 წლის 8 თებერვალს პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში, „მეოთხე ქირურგიაში“ მყოფი პატიმარი, 28 წლის ზურაბ ბოსტაღანაშვილი ძალადობის მსხვერპლი გახდა. მამის გადმოცემით, ის ნარკოტიკის მომხმარებელია და C ჰეპატიტის ურთულესი ფორმითაა დაავადებული. მან არ შეასრულა ბრძანება — არ დაიწყო ხელები ზურგს უკან და ამის გამო ლეიბი წაართვეს, ჰაერზე გასვლის უფლება და ოჯახთან სატელეფონო კავშირიც აუკრძალეს...

24 მაისს კი კიდევ ერთი ფაქტი შევიტყვე: 43 წლის ნუგზარ შაროვი ქუთაისის ახალი საპყრობილიდან დაჭრილი გადმოიყვანეს. ახლობლების გადმოცემით, იგი თერაპიის განყოფილებაში, მე-13 პალატაში იმყოფება... ფაქტი იმდენია, ჩაწერას ვერ ვასწრებ. ბევრი პატიმარი შიშით ვერ აღიარებს, გგონია, რომ ხვალ უარესი რამ მოხდება. არ იციან, რომ ეს ფაქტები გადაეცემა იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ადამიანის უფლებებს იცავენ და შემდეგ მათზე მონიტორინგს განახორციელებენ. ახლა მეტ-ნაკლებად, უფრო დაცულები ხდებიან ის მსჯავრდადებულები, რომლებზეც ასეთი გაუგონარი სისასტიკე ხორციელდება. „თეთრხალათიანი ჯალათები“ — ასე დაარქვა ზვიად გამსახურდიამ ციხეში მყოფ ჯალათებს, ვინაიდან ისინი აქტიურად უბამენ მხარს ადმინისტრაციას და ფარავენ იმ საშინელებებს, რაც ხდება. ეტყობა, გააზრებული არა აქვთ, რომ ამის გამო მაინც დაისჯებიან. ვაფრთხილებ — დაუსჯელი არავინ დარჩება. ისინი უმძიმეს მეთოდს მიმართავენ, საკანში მყოფ პატიმრებთან შეაქვთ საკვები და მასში ურევენ ისეთი სახის პრეპარატებს, რომლებიც აგზნებას იწვევს.

— ეს რაში სჭირდებათ?

— აგზნებული პატიმრები უმართავები ხდებიან და ამის შემდგომ, ხმაურზე შემოდიან ჯალათები და მათი სასტიკი ცემა და „დამუშავება“ იწყება. ფიზიკურად უსწორდებიან ისე სასტიკად, რომ სიკვდილის პირამდე მიჰყავთ. ამას კი აყურებინებენ დანარჩენ პატიმრებს და ამით აჩუმებენ. ამას სისტემატური ხასიათი აქვს. ბოლო თვეების მანძილზე ისე იმატა დაკავებულთა რიცხვმა, თუ ასე გაგრძელდა, საქართველო სატუსაღოდ იქცევა.

— როგორც ვიცით, ცოტნეს პირადი მოხმარების ნივთებიც წაართვეს...

— მინდა, ვამხილო ყველა ის პირი, რომელიც ცოტნე გამსახურდიას მიმართ ჩატარებულ ამ ღონისძიებაში მონაწილეობდა. 4 მაისს საავადმყოფოს დირექტორი ბუთლიაშვილი, ვინმე ცხვედიანი, გვიჩიანი და მათი თანმხლები პირები ვიდეოკამერით შეუცვივდნენ ცოტნეს საკანში. ჩამოართვეს ყველაფერი, პირადი ნივთები, მათ შორის — უწმინდესის გაგზავნილი სეფისკვერი, სათვალე — რომელიც მისთვის აუცილებელი ნივთია, — კალმისტარი და ნაკურთხი წყალიც კი. ცოტნემ მითხრა, — რადგან ნაკურთხი წყალი წამართვეს, ამ ფაქტის შემდეგ, პროტესტის ნიშნად, 3 დღე წყალიც არ დამილევია, თუმცა ონკანში მოდიოდა; აღბათ ონკანსაც გადამიკეტავდნენ, ამის საშუალება რომ ჰქონოდათო. ცოტნეს ცუდად ეპყრობიან იმის გამო, რომ მან ციხის ადმინისტრაცია ამხილა. 3 დღე კალმახელიძე „დაბრძანდებოდა“ №8 საპყრობილეში. ჭუკ-ჭუკებდა ბუთლიაშვილთან და იმ ხელმძღვანელებთან, რომლებიც ამას ახორციელებდნენ. მას არ მოუწოდებია მათთვის, რომ დაეცვათ შინაგანაწესი, პატიმრობის შესახებ კანონი. ცოტნესთან ყოფნის პერიოდში, თავად მოვისმინე საშინელი გმინვა, ყვირილი, შველას ითხოვდნენ.

— როგორი იყო დედა-შვილის შეხვედრა?

— მაქსიმალურად ცდილობენ, ცოტნე წონასწორობიდან გამოიყვანონ და მასზე ფსიქოლოგიური ზეწოლა მოახდინონ. პატრიარქის ნაჩუქარი მადულარაც წაართვეს. მოშიმშილე გათოშილი და გაყინულია. იმდენი იშიმშილა, მგონი, ყველანაირი რეკორდი მოხსნა და მისთვის თბილი წყალი აუცილებელი იყო. ცხვედიანმა მადულარაც არ დაუტოვა... ყველამ გაიგოს — მანანა არჩვაძე კი არა, არავინ გაჩერდება, ამ საშინელებას არავინ შეეგუება. 2 კვირის განმავლობაში ცოტნე აბსოლუტურად იზოლირებული იყო. უსმენდა წივილ-კივილს და საშინელებებს. მასთან ადვოკატსაც აღარ უშვებდნენ, არც სასულიერო პირებს, ოჯახის წევრებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მივმართე დავით ბაქრაძეს განცხადებით. რამდენიმე საათი ვიმყოფებოდი ერთ-ერთი პიროვნების კაბინეტში და გამოვუცხადე, — შიმშილობას გამოვაცხადებდი, თუ არ მიიღებდნენ ზომებს ცოტნე გამსახურდიაზე განხორციელებული ზეწოლის საწინააღმდეგოდ. პროტესტის ყველანაირ ფორმას მივმართავ. მთელ მსოფლიოს ისედაც შევატყობინე ყველაფერი, ყველა საქმის კურსშია. არავინ ინუგეშოს თავი, რომ ოდესმე დაცული იქნება... ამ პროტესტის შემდეგ, მხოლოდ ერთხელ, ჩემს გასაჩერებლად, ქეთი ბექაური სულ 10 წუთით შეუშვეს პატიმართან. როგორც ბექაურმა, ასევე მე, 11 და 21 მაისს განცხადებით მივმართეთ კალმახელიძეს და მან ურეაქციოდ დატოვა. ყველა უნდა ჩაერთოს და ერთად დავიცვათ მოქალაქეები საშინელი ზეწოლისა და ჯალათური ქმედებებისგან, რომელსაც ისინი ახორციელებენ. არავის აქვს მათი სიცოცხლის ხელყოფისა და მათზე ფიზიკური ზეწოლის უფლება.

პრაქტიკული ფსიქოლოგიის ცენტრი „პიკი“

გთავაზობთ ფსიქოლოგიურ დახმარებას:

- ინდივიდუალურ და ჯგუფურ ფსიქოლოგიურ კონსულტირებას
- ხატვით თერაპიას ბავშვებისთვის
- სასწავლო ტრენინგ-კურსებს

მისამართი: თბილისი, ბარნოვის 71.
ტელ.: 895 28 60 40; 890 246 777

www.piki.ge

— ამჟამად, კონკრეტულად რას ითხოვს მოშიმშილე ცოტნე გამსახურდია?

— სამეურვეო საბჭოს შექმნას მოითხოვს, რომელიც განახორციელებს მონიტორინგს სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ იმ დანაშაულებრივ ქმედებებზე, რაც ყველა დაწესებულებაში ხორციელდება. სურს, ყოველივე, საპატრიარქოს ეგიდით განხორციელდეს. სამეურვეო საბჭოში უნდა შევიდნენ ყველა პროფესიის ადამიანები. ვნახოთ, საპატრიარქო რას გადაწყვეტს. არა მგონია, უწმინდესმა ხალხის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ გადარჩენაზე უარი თქვას. 21 მაისს „სოლიდარობის ქარტია“ შეიქმნა. პოლიტიკური პატიმრების ადვოკატების მომზადებული ქარტიაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ ადვოკატები არიან შესულნი. ჯერჯერობით, 47 პირის ხელმოწერა გვაქვს და მათი რიცხვი იზრდება. ქალბატონმა ეკა ბესელიამ მიტინგი ჩაატარა და არაჩვეულებრივი, 26-მეტრიანი ბანერი გამოიტანა, სადაც უკანონო პატიმრების ფოტოსურათები იყო, — ნაწილის, რადგან მათი რიცხვი ძალიან დიდია. ეს იყო საჩვენებელი და მისანიშნებელი მათთვის, რომ ყველაფერი ვიცით და ყველაფერი დეტალურად გვაქვს შესწავლილი. პატიმრებთან ერთად, მოსამართლეების ფოტოებიც იყო: „სააკაშვილის ჯალათი და სააკაშვილის პატიმარი“. სანახაობრივად, კარგი იყო, მაგრამ გულისმომკვლელია, რადგან ეს ჩვენი ეროვნული ტრაგედიაა. ვხედავთ, თუ როგორ უსწორდებიან საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად ეროვნებისა, აღმსარებლობისა, ასაკისა. 14 წლის ბიჭი ჯართის ქურდობისთვის დაუკავებიათ და ციხეში, უკვე 17 წლის გახდა. შეიძლება, დაეპატიმრო ბავშვი იმის გამო, რომ შენ დაამშიე და იძულებული გახადე პატარა, რკინის ნაჭერი აიღოს?! მინდა, დავაფიქსირო, რომ ყველა პროცესს, რომელიც საქართველოში მიმდინარეობს, ევროპიდან და აშშ-დან ეხმაურებიან. ძალიან აქტიურობენ საქართველოდან განდევნილები, ჩვენი ემიგრანტები. ისინი აქტიურად შემოუერთდნენ ამ ქარტიას და მაქსიმალურად შეეცდებიან, საინფორმაციო საშუალებებით ყველგან გავრცელდეს ის, რაც ხდება. „დამშვიდებული ბრძანდებოდეს“ ყველა ჯალათი, მისი მეთაური, რომელიც ავლაბარში ბრძანდება, რომ არსად მას თავი არ გამოეყოფა. ხელთ მაქვს კერძოდ, ნიუ-იორკისა და ბოსტონის ქართველი ემიგრანტების ხელმოწერები, საპროტესტო მიმართვის ტექსტით, ასევე — ხელმოწერები კაროლინაში მცხოვრები, საქართველოდან წასული ოსი ემიგრანტებისა. ის, რაც ხდება, მომაკვდინებელია: ფაქტობრივად, საქართველო, როგორც სახელწიფო, აღარ არსებობს, ეს არის უკვე დიდი ციხე.

— როგორც შევიტყვეთ, 20 მაისს ციხეში ინციდენტი შეგემთხვათ...

— მე და ცოტნეს სასამართლოს შემდგომ, ერთმანეთი აღარ გვინახავს — კანონით მონიჭებული უფლება ჩამორთმეული მქონდა. მას 20 მაისს შევხვდი. საპყრობილეში დანიშნულ დროს მივედი, მაგრამ 2 საათი წინ და უკან მარბენინეს. არ მიშვებდნენ, მეუბნებოდნენ, ზემდგომთან ვათანხმებთო. სანამ არ დავუკავშირდი პოლიტიკური პარტიების ლიდერებს, ასევე რადიო „ობიექტივს“, არ შემიშვეს. ჩხრეკის ე.წ. პროცედურა ჩამიტარეს. რა უნდა შემეტანა მოშიმშილე ცოტნესთან?.. ჩაცმულიც ისე ვიყავი, რომ ზედმეტი რაღაცები არ დაეწყოთ, პიჯაკიც კი არ მეცვა. სისასტიკე ჯალათმა ქალმა გამოიჩინა. ცოტნეს გაღიზიანებას მოვერიდე და მისთვის არ მითქვამს. არადა, ველოდი, რომ ძალიან ლმობიერად მომეპყრობოდნენ და შემიყვანდნენ. ბევრი დრო დასჭირდა, სანამ ის საშინელი რკინის კარი გაიღო... ცოტნე არ მელოდა. გადავეხვიეთ და ვკოცნიდით ერთმანეთს. ძალიან ვღელავდი — არ ვიცოდი, როგორ მდგომარეობაში დამხვდებოდა. უკიდურესად გამხდარი დამხვდა. კბილებიც გაჰფუჭებია. ამდენმა შიმშილმა იმოქმედა. მას წამლებიც კი წაართვეს. შიმშილობის შედეგად, ცილებისგან, ცხიმებისგან დაიცალა ორგანიზმი, გლუკოზა გამოელია და ძვლების საშინელი ტკივილი ჰქონდა. მანამდე შევუგზავნე წამლები, მაგრამ წაართვეს და თქვეს, — თუ დასჭირდება, გვყავს ექიმი და დაუნიშნავსო. არადა, ეს სულ სხვა პრეპარატებია. ცოტნეს არც ის პრეპარატები, რომელიც მათ აქვთ, და არც მათი ჯალათი ექიმები არ სჭირდება... 3 საკეტით ჩაკეტილი კარი ჩემი შესვლის შემდეგ ღიად დატოვეს. ცოტნემ უთხრა, — სულ მისმენთ, კარი მაინც დაკეტეთ, დედასთან ერთად ისე ჩამკეტეთ, როგორც ვიყავიო, — მაგრამ ისევ გაიღო კარი და მხოლოდ კატეგორიული პროტესტის შემდეგ დაგვანებეს თავი. ეს იყო ჩვენი ღირსების შემლახავი პროცედურა... დრო ამოიწურა. გამოსვლისას რამდენიმეჯერ კიდევ გადავეხვიე ჩემს შვილს და დავტოვე. დავშორდი გულნატკენი და შეშინებული, რადგან უმძიმეს მდგომარეობაშია. ცოტნემ უნდა შეწყვიტოს შიმშილობა, ფიზიკურად უნდა გადამირჩეს... ყველას ყველაფერს დავავიწყებ, არ გავჩერდები! წინამორბედ „სუკელებს“ ჰკითხონ, მანანა არჩვაძე როგორ იბრძოდა თავისი მეუღლის დასაცავად და ის მოენატრებათ... იქიდან გამოსულს, ისევ ე.წ. ჩხრეკა ჩამიტარეს. საზიზღრობაა — ამას აკეთებს ქალი, ის ქალი კი არა, ჯალათია. იმ ქალის სახეს ცხოვრებაში არ დავივიწყებ. ბოდიშის მოხდით დავაფიქსირებ: მაქსიმალურად შეეცადა, ჯერ დეტექტორით ყველანაირად შევემოწმებინე, ყველა კუთხით, ამის შემდგომ, სხეულზე ხელების შეხება დაიწყო. დიდი უხერხულობა ვიგრძენი. მერე მკითხა, — რა მიგაქვთ აქედანო? — რაც მიმაქვს, ეს მე მეკუთვნის, პირადია და არ შეიძლება, თქვენ ამაში ჩაერიოთ-მეთქი. — ახლავე მომეცით, თორემ შემოვიყვან ბადრაგს და ისინი მოგივლიანო. უადგილო ადგილებში ფათური განაგრძო. ვაფრთხილებ საზოგადოებას, რომ საქართველოში დადიან ასეთი ჯალათები, ახორციელებენ იმ აღვირახსნილ ქმედებას, რაც არც ერთ კანონში არ ჯდება. რა უნდა გამომეტანა მოშიმშილე ცოტნესგან, რომელიც 2 კვირაზე მეტია, სრულ იზოლაციაშია?!

— რა წაგართვეს?

— პირადი წერილი მომქონდა, რამდენიმე გვერდზე იყო დაწერილი. ეს წერილი ცოტნემ გადმომცა და მითხრა, რომ ეს იყო ციხეში ყოფნისას ნაფიქრი დედაზე, პირადი განცდები, რაც მხოლოდ და მხოლოდ მე და ჩემს შვილს გვეხება. მითხრა, — მანანა, აქვე გადახედეო. — ამის კითხვაში ვერ დავკარგავ ახლა დროს, ჩვენ ვისაუბროთ და ამას სახლში წავიკითხავმეთქი, — ვუპასუხე. არც წამიკითხავს, მომქონდა და რაც ეწერა, ის ჩემსა და ცოტნეს შორის უნდა დარჩენილიყო. ჩემი შვილის განცდების ხელში ჩაგდება ვიღაც ჯალათს სურდა! ძალიან შეურაცხყოფილი ვიყავი და ბოლოს იძულებული გამხადეს, აკანკალებული ხელებით, ჩემი შვილის ნაწერი (რომელიც უძვირფასესია ჩემთვის და ვერც წავიკითხე) გამენადგურებინა. მთელი სხეულით ვკანკალებდი, რადგან ვანადგურებდი ჩემი შვილის გრძნობას, აზრებს, რომელიც იმ წერილში ჩადო. ცოტნეს არ უყვარს დამოკიდებულების აფიშირება, ერთი-ერთზე, პირისპირ გამოხატავს ხოლმე, მაგრამ ქაღალდზე რომ გადაიტანოს, ეს იშვიათობაა. დედა-შვილის ურთიერთობაში ჩარევის უფლება ვის აქვს?! ჯალათი ჩაერია!.. დავანაკუწე ჩემი ხელით. არ მინდოდა, ცოტნეს ეს მათგან გაეგო, მაგრამ ქეთი ბექაურმა უთხრა. შემომითვალა, — 10-ჯერ, 100-ჯერ გთხოვ, არ ინერვიულო, ისევ დაწერსო, — მაგრამ რა პერიოდში, რა მდგომარეობაშია დაწერილი, ხომ აქვს ამას მნიშვნელობა?! ერთნაირ ხასიათზე ხომ არ შეიძლება, ადამიანი იყოს... რაც დღეს ხდება, ამაზრზენია. როცა პრეზიდენტის მეუღლეს ასეთ დღეში აგდენებ, სხვა რა დღეში იქნება?!. ჩემ მიმართ კანონი დაირღვა. იმდენი ციხე და გადასახლება გამომივლია, რომ ძალიან კარგად ვიცი კანონი.

— ხანგრძლივი შიმშილობის დროს, ცოტნეს სიცოცხლე საფრთხეში იყო. მაშინ პატრიარქმა შეაწყვეტინა. ისევ საპატრიარქო ხომ არ ჩაერევა, რომ დაარწმუნონ, შიმშილობა შეწყვიტოს?

— არ ვიცი, რა გზით მივაღწიოთ იმას, რომ ცოტნემ შიმშილობა შეწყვიტოს. უწმინდესი ყოველთვის კითხულობს ცოტნეს მდგომარეობას. რომ მოვინახულე, იმ დღესაც დამიკავშირდნენ, პატრიარქის თხოვნით, და გაიგეს, ცოტნე როგორ იყო. ძალიან ცუდადაა. 24 მაისს მეუფე თეოდორე უნდა შებრძანებულიყო. თურმე კალმახელიძის უშუალო ვიზა სჭირდება ამხელა წოდების მქონე სასულიერო პირს!.. არც მოძღვარი შესულა ცოტნესთან; აბსოლუტურ იზოლაციაში მყოფი დამხვდა. ჯალათობის დამკვიდრებისა და ამის გაგრძელების უფლებას ნამდვილად არავის მივცემთ. ახლა არ ვიცი, რის არჩევნებს ჩაატარებენ, მთავარია, ჩატარდეს არჩევნები ერთი რამის — რომ ქართველმა ერმა, ერთხელ და საბოლოოდ, უარი თქვას ყოველგვარ ძალადობაზე. ■

აუსრულებელი ოცნება, შეურაცხყოფილი მართლმადიდებლები და შვილების იმედად დარჩენილი ჟურნალისტი

„13 წლის ვიყავი ვიყავი, როდესაც აფხაზეთის ომში გაპარვა ვცადე, მაგრამ პოლიციამ სადგურზევე დამაკავა... შინ დაბრუნებული კი დედამ საბერტყი ჯოხით მცემა“, — ასე იხსენებს თავისი ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტს ჟურნალისტი ალეკო ელისაშვილი. მისი ყველაზე დიდი ნატვრა — გამხდარიყო ჯარისკაცი, აუსრულებელი დარჩა. როგორც თავად ამბობს, იარაღშიც შესანიშნავად ერკვევა და მიზანშიც კარგად ისვრის. გული სწყდება, რომ აგვისტოს ომის დროს ფრონტის წინა ხაზზე ვერ მოხვდა, მხარზე ავტომატგადაკიდებულმა უაზროდ ირბინა, მტერი კი თვალითაც ვერ ნახა. ამაყობს თავისი უერთგულესი მეუღლით, რომელმაც საკუთარ კარიერაზე (პროფესიით ჟურნალისტია) ოჯახის გამო უარი თქვა, და შვილებით, რომლებთან დაკავშირებითაც სამომავლოდ დიდი იმედი აქვს. დარწმუნებულია, რომ ერთ-ერთი მათგანი მის ოცნებას ფრთებს შეასხამს...

ხათუნა ბახტურიძე

— ალეკო, მაინც რას ელით შვილებისგან?

— 2 ბიჭი მყავს. მართალია, ჯერ ძალიან პატარები არიან (ერეკლე 5 წლისაა, სანდრო კი 3-ის), მაგრამ აქედანვე მაქვს იმედი, რომ ერთ-ერთი მათგანი — ალბათ უფრო სანდრო — სამხედრო საქმეს აირჩევს და ოფიცერი გახდება. უფროსმა უკვე გამაფრთხილა, არქიტექტორი უნდა გამოვიდეო. ლამაზი სახლების აშენებაზე ოცნებობს. წყნარი, დახვეწილი, უკონფლიქტო ტიპია, ჩხუბის თავიდან ასარიდებლად, ყოველთვის კომპრომისზე მიდის. პატარა ნამდვილი ჩხუბისთავია, ჯანიანიცაა (*იცინის*)... აუტანელი ხასიათი აქვს, თავის უფროს ძმას ბაღში სხვებისგან იცავს, სახლში კი თავადვე ჩაგრავს. გონებაც უჭრის და შეუპოვარიცაა. ნამდვილი სამხედროა.

— თავად რატომ ვერ მოახერხე შენი ოცნების ასრულება ან ჯარისკაცობაზე მეოცნებე ადამიანი, ჟურნალისტი როგორ გახდით?

— ჩემი ოცნების ასრულება იმიტომ ვერ მოვახერხე, რომ შეძლებული ოჯახის შვილი არ ვიყავი. როდესაც პროფესიის არჩევის დრო დამიდგა, ჩემს ოჯახს ძალიან გაუჭირდა, სამხედრო საქმე კი იმ პერიოდში სრულიად უპერსპექტივო იყო. ალბათ იცით, რომ ნადიბაიძის მინისტრობის დროს სამხედროებს ნორმალური ხელფასი კი არა, ტანსაცმელი და საჭმელიც კი არ ჰქონდათ. არადა, ჯარისკაცობა ჩემი ბავშვობის ოცნება იყო. ისე, თავდაპირველად მზვერავობა მინდოდა. იმისთვის, რომ უფრო გამძლე გავმხდარიყავი, ფეხებს ცხელ წყალში ვაწყობდი, თითებში ნემსებს ვირჭობდი... რომანი „ფარი და მახვილი“ ჯერ კიდევ ბავშვობაში წავიკითხე. როდესაც წამოვიზარდე, სამხედრო ლიტერატურის კითხვაც დავიწყე. ამ თემაზე დაწერილი არც ერთი წიგნი და ჟურნალი არ გამიშვია ხელიდან. სამხედრო ტერმინებს ვიზეპირებდი, ფორმით დავდიოდი... აფხაზეთის ომში გაპარვის მცდელობის შემდეგ დედამ მთხოვა, ოღონდ მსგავსი რამ აღარ გაიმეორო და სამხედრო კარიერის მოწყობაში ხელს არ შეგიშლიო. ძალიან გახარებული ვიყავი, ათასნაირი გეგმა დავაწყვე: ჯერ კადეტთა კორპუსში ჩაბარებას ვაპირებდი, მერე ვიფიქრე, რომ სამხედრო აკადემია აჯობებდა... სამწუხაროდ, ვერც ერთი მოვახერხე და ვერც მეორე. საბუთები უნივერსიტეტში, ისტორიის ფაკულტეტზე სულ ხელის კანკალით შევიტანე, ფეხები უკან მრჩებოდა. მეორე კურსიდანვე დავიწყე მუშაობა ჟურნალისტად „დილის გაზეთში“. 17 წლის ასაკიდან ჩემი ხელფასი ოჯახის ბიუჯეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო გახლდათ. შეიძლება ითქვას, რომ წარმატებული ჟურნალისტი ვარ, მაგრამ დღემდე ვოცნებობ ჯარისკაცობაზე.

— ჟურნალისტობა რატომ გადაწყვიტეთ? იფიქრეთ, რომ ამ პროფესიით ოჯახის დახმარებას შეძლებდით?

— სხვათა შორის, შემთხვევით „გავჟურნალისტდი“. ალბათ მატყობთ, რომ ბევრი ლაპარაკი მიყვარს, პოლიტიკაც ყოველთვის მაინტერესებდა (სამხედრო საქმის შემდეგ). ერთხელ, ჩემი მეგობრის სახლში ვიყავი და პოლიტიკაზე ვქაქანებდი. თურმე ჩემს ლაპარაკს მეორე ოთახში მყოფი მეგობრის ნათესავი — „დილის გაზეთის“ მთავარი რედაქტორი, ქალბატონი მანანა კარტოზია უსმენდა. თანამშრომლობა იმ დღესვე შემომთავაზა. ასე მოულოდნელად და დაუგეგმავად აღმოვჩნდი ჟურნალისტიკაში. ვერ ვიტყვი, რომ ამ პროფესიით მილიონერი გავხდი, მაგრამ საარსებო წყარო კი გამიჩნდა. მოგვიანებით, პრესიდან რადიოში გადავედი, მერე — ტელევიზიაში.

— რესპონდენტებთან ურთიერთობისას მათი მაკომპრომეტირებელი მასალები თუ გამოგიყენებიათ?

— არა, არც კომპრომატები გამომიყენებია „მამაძაღლობისთვის“ და არც ფუ-



ლის გამო დამიფარებია ვინმესთვის ხელი. ისე კი ასეთი რამ ხშირად შემოუთავაზებიათ. სხვათა შორის, ისეთი ინფორმაციაც არაერთხელ მქონია, რომლის გამომზეურებაც ჩემს საქმეს სასიკეთოდ წაადგებოდა, მაგრამ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, თავი შემიკავებია. მაგალითისთვის, ერთ ამბავს მოგიყვებით: ვიცოდი, რომ „მოდელირებული ქრონიკის“ ეთერში გასვლის დღეს ანუ 13 მარტს, საღამოს თავდაცვის სამინისტროში „პირველი ხარისხის“ განგაში გამოცხადდა. კონფლიქტურ რეგიონებში ისე დაიძაბა სიტუაცია, რომ ერთი ტყვიის გასროლას შესაძლოა, ომის დაწყება მოჰყოლოდა. მე

მართალია, ჯერ ძალიან პატარები არიან (ერეკლე 5 წლისაა, სანდრო კი 3-ის), მაგრამ აქედანვე მაქვს იმედი, რომ ერთ-ერთი მათგანი სამხედრო საქმეს აირჩევს და ოფიცერი გახდება

მეორე დღეს ეთერში გავედი, მაგრამ ამის შესახებ არაფერი მითქვამს. ეს ამბავი მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ გავამჟღავნე.

— პოლიტიკოსები, რომლებსაც საჯაროდ ხშირად აკრიტიკებთ, ფიზიკური ანგარიშსწორებით არ გემუქრებიან?

— მხოლოდ ერთხელ დამემუქრნენ სოდ-ის თანამშრომლები.

— რა მიზეზით?

— როგორც ორგანიზაცია „თბილისის ჰამქარის“ ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, მეტეხის პლატოზე დაწყებული სასტუმროს მშენებლობა გავაპროტესტე. მარტო ის კი არ ვთქვი, რომ სასტუმროს აშენების გამო კლდე 12 მეტრით დაადაბლეს და ამით ლანდშაფტი დაარღვიეს, არამედ ისიც ვთქვი, რომ ამ მშენებლობას ტარიელ ონიანი აფინანსებდა. ამის გამო სოდ-ში დამიბარეს და დამკითხეს. ჯერ წყნარად მეუბნებოდნენ, — გვითხარი, საიდან იცი, რომ სასტუმრო ტარიელ ონიანის ფულით შენდებაო? უარი რომ ვუთხარი, დამემუქრნენ, — სარდაფში ჩაგიყვანთ და იქ აგალაპარაკებთო. ვუთხარი, — თუ ასე გადაწყვიტეთ, კი, ბატონო, ჩამიყვანეთ სარდაფში, სად გაგექცევით, მაგრამ ჩემი ინფორმაციის წყაროს არ გავამხელ-მეთქი. ადგნენ და გამომიშვეს — აბა, ამის გამო მართლა ხომ არ მაწამებდნენ?!

— დარწმუნებული რატომ იყავით?

— იმიტომ, რომ ამით კანონს დაარღვევდნენ. მე, როგორც ჟურნალისტს, უფლება მაქვს, ინფორმაციის წყარო არ დავასახელო. გარწმუნებთ, რაიმე ზეწოლა რომ განეხორციელებინათ, აუცილებლად ვიტყოდი. არც სოდ-ის თანამშრომლები მადარდებენ და არც პოლიტიკოსები. ჟურნალისტი ვარ და ყველა მათგანს მუშტრის თვალით ვუყურებ, მხოლოდ ის მაინტერესებს, ვინ რას აკეთებს ხალხის სასიკეთოდ და ვის შეიძლება ვანდო ჩემი ქვეყნის ბედი.

— ისე, როგორ ფიქრობთ — დღეს ქართულ ტელესივრცეში ობიექტური ჟურნალისტები არიან?

— შეუძლებელია, ჟურნალისტი ობიექტური იყოს. ობიექტი — უსულო საგანია, მე სუბიექტი ვარ და შესაბამისად, სუბიექტურიც. ბოლოს და ბოლოს, ადამიანი ვარ, როგორ შეიძლება, ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით ჩემი აზრი არ მქონდეს?!

— კი, მაგრამ ჟურნალისტმა შუალედის დაცვა ხომ უნდა მოახერხოს!

— რატომ არის შუალედის დაცვა საჭირო? მთავარია, მაყურებელს არჩევანის საშუალება ჰქონდეს. ვისაც ჩემი აზრები არ მოსწონს, „რეალტივიზე“, „რუსთავი 2“-სა ან პირველ არხზე გადართოს.

— ტელეკომპანია „კავკასია“ ბოლო დროს ხშირად ეხვევა სკანდალში. ამ ფაქტს კონკრეტული მიზეზი ხომ არ აქვს?

— ალბათ „კავკასიაზე“ „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ თავდასხმას გულისხმობთ... ბევრი ამბობს, რომ ეს დაგეგმილი პროვოკაცია იყო. გარწმუნებთ — არც ჩვენ და არც ვინმე სხვას არაფერი დაუგეგმავს, ყველაფერი სპონტანურად მოხდა. მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის წევრები ჩვენი სტუმრების მიმართ ძალიან აგრესიულად იყვნენ განწყობილნი. ჩვენ, როგორც სხვა დროს, ამჯერადაც ვიზრუნეთ ჩვენი სტუმრების უსაფრთხოებაზე. ამიტომაც დაგვატყდა თავს მათი რისხვა.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანთა ინტერესებს ხშირად ისე გულმოდგინედ ვიცავთ, საკუთარი სარწმუნოების დაცვა გვავიწყდება და თავისუფლების სახელით მოლაპარაკე ადამიანებს მისი შეურაცხყოფის უფლებას ვაძლევთ?

— არ უარვყოფ, რომ დეისაძის მიერ დაწერილი „საიდუმლო სირობა“ საძაგლობაა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამ წიგნის პოპულარობას იმ ადამიანებმა შეუწყვეს ხელი, ვინც ხმაური ატეხეს.

— თუ ფიქრობდით, რომ ამ წიგნის ამბავი საერთოდ არ უნდა ქცეულიყო ხმაურიანი მსჯელობის საგნად, ამ თემაზე გადაცემა რატომ მოამზადეთ?

— ამ საძაგელი წიგნის გარშემო სკანდალი უკვე დიდი ხნის ატეხილი იყო, როდესაც ჩვენ გადაცემა გავაკეთეთ. ვიფიქრეთ, დიალოგის ცივილიზებული ფორმით წარმართვა ჯობდა. აბა, ის იყო კარგი, ერთი კვირის განმავლობაში უნივერსიტეტთან ცემა-ტყეპა რომ იმართებოდა?!. მართლა მიმიფურთხებია იმ „საიდუმლო სირობისთვის“, არც დეისაძე მაინტერესებს და არც მისი ავადმყოფური პრეტენზიები, მაგრამ არც „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ წარმომადგენელთა საქციელია გამართლებული. ჩემთვის მიუღებელია ძალადობა ქრისტიანობის სახელით. ქრისტიანთა ძალა სიტყვაშია. ჩვენი რწმენის შეურაცხმყოფლებსაც ხომ სწორედ ის უნდათ, რომ ქრისტიანულ მორალს ვუღალატოთ?!

— ალეკო, თქვენს მოსაზრებებს მეუღლეც იზიარებს?

— ჩემს მოსაზრებებსაც იზიარებს, მენდობა კიდეც. იცის, რომ ჩემი საქმის კეთებისას გულწრფელი ვარ. ისე, ურჩევნია, რაიმე ბიზნესით ვიყო დაკავებული და უფრო მშვიდად ვცხოვრობდეთ, მაგრამ... აგვისტოს ომიდან ერთი თვის შემდეგ, კეზერაშვილს ნარკომანი რომ ვუძახე, ჩემი მეუღლე ორი კვირა გაფითრებული დადიოდა. ჩემი საქციელის სისწორეში ეჭვი არ შეჰპარვია, უბრალოდ შეეშინდა: ორი შვილი გვყავს, ამათგან კი ყველაფერია მოსალოდნელიო...

— აგვისტოს ომის დროს, წინა ხაზზე მოხვედრა მართლა გინდოდათ?

— ძალიან მინდოდა. ომში ვიყავი, მხარზე ავტომატი მეკიდა, მაგრამ ერთი ტყვიაც კი არ გამისვრია, — ეს ხომ ძალიან უცნაურია. ადრეც ასე ვფიქრობდი და აგვისტოს ომის დროს საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ახლა ჩვენს ქვეყანას ყველაზე მეტად, განათლებული, მაღალკვალიფიციური ოფიცრები სჭირდება. გული ძალიან მწყდება, ამის თქმა რომ მიწევს, მაგრამ რა ვქნა, სიმართლე ეს არის, — ჩვენ არაკვალიფიციური, გაუნათლებელი ოფიცრები და სამარცხვინო გენერლები გვყავს. გული მეკუმშება, რომ მახსენდება, როგორ გამორბოდნენ ბრძოლის ველიდან.

— ომის შემდეგ თუ გისაუბრიათ მათთან?

— არა, სათოფეზე აღარ მეკარებიან. თუმცა ზოგიერთი შორიდან მითვლის — ჩვენ, არაფერ შუაში ვართ, რაც დაგვავალეს, ის გავაკეთეთო.

— რა დაავალეს? გაიქეცითო?..

— არა, როგორც ოფიცრები ამბობენ, მათ ცხინვალზე ძირითადი დარტყმის მიყენება არ უნდოდათ, ფიქრობდნენ, რომ ჯავა უნდა აეღოთ და როკი გადაეკეტათ, ცხინვალი კი უბრალოდ, ალყაში მოექციათ. თურმე სააკაშვილს მათთვის მაგიდაზე მუშტები უბრახუნებია, — ჯავასა და როკს თავი დაანებეთ, ცხინვალს „დაარტყითო“! ასეთი რამ არ მესმის: თუ ოფიცერი ან გენერალი ხარ, მუშტები როგორ უნდა გიბრახ-

რატომ დამალა ცნობილმა წყვილმა დაქორწინება

„ჯვრისწერა და მიშას დაბადების დღე ერთდროულად აღვნიშნეთ“

რამდენიმე დღის წინ შევიტყვეთ, რომ პოპულარული მსახიობები — ია სუხიტაშვილი და მიშა მესხი დაქორწინდნენ. საზოგადოების თავშეყრის ადგილებში ისინი არაერთხელ გამოჩენილან ერთად, მაგრამ ყოველთვის ამბობდნენ, — ჩვენ შორის „ისეთი“ არაფერი ხდება, მხოლოდ კარგი მეგობრები ვართო! ახლა კი გაირკვა, რომ წყვილი საკუთარ გრძნობებს 1 წლის მანძილზე მალავდა. 11 მაისს, ბათუმში ყოფნისას, იამ მიშასგან მოულოდნელი წინადადება მიიღო და მათ ჯვარი აჭარაშივე დაიწერეს.

მარი მოდებაძე

ბევრმა იცის, რომ იას პირველი ქორწინებიდან ქალიშვილი ჰყავს, ქალების გულთამპყრობელი მიშა კი აქამდე ქორწინებაში არ ყოფილა.

ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციის გადასამოწმებლად, თავად ია სუხიტაშვილს დავუკავშირდით და გაბედნიერება მივულოცეთ. მან ეს ფაქტი დაადასტურა, თუმცა ვრცელი კომენტარისგან თავი შეიკავა და გვითხრა: პირად თემებზე სასაუბროდ, მომდევნო დღეებში დამიკავშირდითო. მოგვიანებით ისიც შევიტყვეთ, რომ წყვილი ბათუმში მარიშა მაისურაძის დაბადების დღის აღსანიშნავად წასულა. მარიშას ტელეფონით დავუკავშირდით და საინტერესო ინფორმაციაც მოვიპოვეთ:

— იასთან და მიშასთან კარგა ხანია, ვმეგობრობ და რასაკვირველია, მათი სიყვარულის შესახებ ყველაფერი ვიცოდი. 10 მაისს ჩემი დაბადების დღე იყო, 11 მაისს კი — მიშასი. ჩვენმა მეგობრებმა, ნუცა კუხიანიძემ და გუკა რჩეულიშვილმა სიურპრიზი მოგვიწყვეს და გვითხრეს, — ყველანი ბათუმში ჩამოდით, ორივეს დაბადების დღე აქ აღვნიშნოთო. გზაში მიშამ გაგვანდო, რომ იასთან ჯვრის დაწერა სურდა, თუმცა ამის შესახებ შეყვარებულისთვის არაფერი უთქვამს... ჩემმა დაბადების დღემ არაჩვეულებრივად ჩაიარა, მეორე დღეს კი მე და ნუცა გავცვივდით, იას კაბა ვუყიდეთ, შემდეგ კი მიშამ მას ცოლობა სთხოვა.

— იას როგორი რეაქცია ჰქონდა?

— ეს მისთვის ძალზე მოულოდნელი იყო, თუმცა როცა ვიღაც გიყვარს, იმ ადამიანისგან შემოთავაზებული ასეთი წინადადება, რა თქმა უნდა, ძალზე სასიამოვნო და სასიხარულოა. მოკლედ, იმ დღეს ჯერ ჯვარი დაიწერეს, საღამოს კი მათი ქორწინებაც და მიშას დაბადების დღეც ერთად აღვნიშნეთ. ძალიან გავერთეთ, კარგი დრო გავატარეთ.

— იას მეჯვარე შენ იყავი?

— არა. ყველა იქ მყოფ მეგობარ გოგონას სურდა, იას მეჯვარე ყოფილიყო, მაგრამ მოძღვარმა გვითხრა, — პატარძალს ერთი ხელისმომკიდე სჭირდებაო, — ამიტომ იას მეჯვარე მხოლოდ ნუცა კუხიანიძე გახლდათ.

— დიდი ხანია, რაც იასა და მიშას ერთმანეთი უყვართ?

— საკმაოდ. ისინი უკვე ერთადაც ცხოვრობდნენ, თუმცა ასეთი ოფიციალური ქორწინება იასთვის მაინც მოულოდნელი და სასიხარულო იყო. ძალიან მიხარია მათი ამბავი და ამ წყვილს დიდ ბედნიერებას ვუსურვებ!

P.S. მარიშას მილოცვას ჩვენც ვუერთდებით. იასა და მიშას გაბედნიერებას ვულოცავთ და ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებთ!

უნოს ვინმემ, თუნდაც ის შენი ქვეყნის მთავარსარდალი იყოს?! კვინიკაძეს და მაზნიაშვილს ასეთ რამეს ვინ გაუბედავდა?! სამწუხაროდ, ჩვენი თანამედროვე გენერლები და ოფიცრები მორცხვი და დამყოლი ტიპები აღმოჩნდნენ, მაგათ სამხედრო ფორმის ნაცვლად, ბალერონის კაბები უნდა ეცვათ.

— დარწმუნებული ხართ, რომ ამ სიტყვებს არ უარყოფთ?

— უარესსაც ვიტყვი: პირადად ყურაშვილმა, გორის დაბომბვა დაიწყო თუ არა, ბრძოლის ველიდან ისე მოკურცხლა, თბილისამდე ვერ დააკავეს. ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ. არმია „პარაზიტია“, არაფერს აწარმოებს, მხოლოდ ჭამს და მოიხმარს, ამიტომ როდესაც საქმე საქმეზე მიდგება, სამხედრო, განსაკუთრებით კი — გენერალი საკუთარი მოვალეობის შესრულებას არ უნდა გაურბოდეს. აგვისტოს ომის შემდეგ ბევრმა თქვა, — ალბათ ქართველები გადავგვარდითო... ეს სისულელეა. ჩვენ უძლიერესი მეომრები გვყავს, უბრალოდ, კარგი გენერლები გვჭირდება. ომს ჯარისკაცი არ იგებს, ყველაფერი მეთაურზეა დამოკიდებული. ჩვენ არც ერთი დონის მეთაური არ გვივარგოდა, თორემ ჯარისკაცებმა მგლებივით იბრძოლეს. შინდისთან 12-მა თუ 17-მა ბიჭმა რუსული არმიის მთელი ასეული შეაკავა; იარაღი რომ გაუთავდათ, თავები დაიხოცეს... არსებობს მოწმე, რომელიც ამბობს, ბიჭებს ტყვიები რომ გაუთავდათ, თქვეს, — მტერს ტყვედ არ ჩავბარდებითო, — და თავები დაიხოცეს. წარმოგიდგენიათ, მათ რომ კარგი გენერალი ჰყოლოდათ, რას იზამდნენ?! ასე რომ, არ გადავჯიშებულვართ. აგვისტოს ომში რეზერვისტის სტატუსით ვიყავი. მეთაური გაგვექცა, 30 თუ 40 ბიჭი წინ და უკან დავრბოდით, ვიხვეწებოდით, — ბრძანება მოგვეცით, რამე გაგვაკეთებინეთ-თქო!.. ზოგი რას გვეუბნებოდა, ზოგი — რას; ბოლოს გვითხრეს, — რაც გინდათ, ის ქენითო. ჩემს თავს ვიქებ; იქ ჩემზე პატარა, გულიანი, მხეცი ბიჭები იყვნენ, ბრძოლა უნდოდათ და მეთაური ვერ ნახეს. არადა, 40 ბიჭი რაღაცას მაინც გავაკეთებდით...

— როგორც ჟურნალისტი, აგვისტოს ომის დროს განვითარებულ მოვლენებს როგორ აფასებთ?

— მე მგონია, რომ სააკაშვილი დასავლეთიდან შეაგულიანეს, უთხრეს, — ცხინვალი დაიკავე, რუსებს კი ჩვენ გავაჩერებთო. მაცდუნებელი წინადადება იყო. იმ პერიოდში, საპარლამენტო არჩევნებისა და 7 ნოემბრის გამო, პრეზიდენტის იმიჯი ძალიან იყო შერყეული და მისი რეაბილიტაციისთვის ცხინვალის დაბრუნება საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა. აშკარაა, რომ ხანგრძლივი ომისთვის მზად არ ვიყავით. ომი ჩვენ დავიწყეთ, მაგრამ ამის უფლება გვქონდა, იმიტომ, რომ ჩვენს ისტორიულ მიწა-წყალზე, ჩვენი კონსტიტუციის ფარგლებში მოქცეულ ტერიტორიაზე სეპარატისტები დათარეშობდნენ და მათთვის პასუხი უნდა გაგვეცა. სამწუხაროდ, საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვის შნო არ აღმოგვაჩნდა. როდესაც ამ ყველაფერზე ვფიქრობ, დეპრესიაში ვვარდები, საკუთარი თავის მიმართაც კრიტიკული და ირონიული ვხდები. ნერვები მეშლება, ამდენ უსამართლობას რომ ვხედავ და ვერაფერს ვაკეთებ. იმედი მაქვს, ჩვენი შვილები მაინც შეძლებენ საქართველოსთვის ძველი ღირსების დაბრუნებას...

სახე

მხიარული და შეყვარებული გოგონა „ტყავს იცვლის“ და გამომძიებლად გადაიქცევა

სერიალის — „შუა ქალაქში“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი — თიკა შარშან მოულოდნელად „გაქრა“. მოგვიანებით გაირკვა, რომ მისი წასვლის მიზეზი „ღამის შოუს“ სტუდიის ახალი პროექტი იყო, სადაც მსახიობს ახალ როლში იღებენ. ლელა მეგზურიშვილი უკვე მუშაობს ამ როლზე ახალ სერიალში, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს დაუკვეთა. ამჯერად ლელა გამომძიებელ ქალს განასახიერებს. ახალ სერიალსა და სხვა საინტერესო საკითხებზე სასაუბროდ, მსახიობს შინ ვეწვიეთ.

ნათია ჟივიძე

— ლელა, ამჟამად თეატრალური როლებით თუ ხარ დაკავებული?

— ჯერჯერობით არც ერთ ახალ სპექტაკლში არ ვთამაშობ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სცენაზე აღარ ვდგავარ. მარჯანიშვილის თეატრში კვლავაც ხშირად გადის სპექტაკლები: „ზაფხულის ღამის სიზმარი“, „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“ და „ონეგინი“. სამივე სპექტაკლში ვმონაწილეობ.

— როგორც ვიცი, კიდევ ერთ ახალ სერიალშიც გიღებენ.

— მართალია. ეს გახლავთ დეტექტიური სერიალი, სადაც გამომძიებელ ქალს ვთამაშობ. ამ საკითხზე დაწვრილებით საუბარი ჯერჯერობით არ მსურს, რადგან ზუსტად არც ვიცი, როდის გამოვა ეკრანზე. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ეს სერიალი ჩემთვის განსაკუთრებულად საინტერესოა, რადგან მასში აბსოლუტურად განსხვავებულ როლს ვთამაშობ.

— აქამდე ყოველთვის მხიარულ და შეყვარებულ გოგონას თამაშობდი...

— მართალი ხარ. თეატრშიც სულ ასეთი როლები მქონდა და სერიალებშიც. ამ შემთხვევაში კი, ეს გამომძიებელი ქალი ჩემზე ასაკით ცოტა უფროსი და უფრო სერიოზული ადამიანია. ყველა მიცნობს „შუა ქალაქიდან“ და ჰგონია, რომ თიკასნაირი ვარ, ეს როლი კი მაყურებელს დაუმტკიცებს, რომ ცოტა სერიოზული როლის თამაშიც შემიძლია. ვინც „შუა ქალაქს“ უყურებს, ისინი ლელადაც აღარ აღმიქვამენ, — რატომღაც, ყველას თიკა ვგონივარ და მთხოვენ კიდეც, ისევე მოვიქცე, როგორც თიკა იქცეოდა. ახალი სერიალით კი, დარწმუნებული ვარ, იმედი გაუცრუვდებათ და იტყვიან, — თიკასნაირი რატომ არ არისო?.. მაგრამ ვფიქრობ, ზოგს პირიქით, ახალი როლი ძალიან მოეწონება და ეს პერსონაჟიც შეუყვარდება. მეგონა, ეკა უფრო მკაცრი გამომძიებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ რეჟისორს — ლაშა ცერიაშვილს მიაჩნია, რომ რაკი ის დადებითი პერსონაჟი უნდა იყოს, უფრო რბილი ხასიათიც უნდა ჰქონდეს.

— მსახიობობა შენი ბავშვობის ოცნება იყო?

— ცოტა რთული კითხვაა. ბავშვობაში რატომღაც, ექიმობა მინდოდა, მერე მასწავლებლობაზე ვოცნებობდი. მოკლედ, ყველაფერი მინდოდა, მსახიობობის გარდა. საბოლოო ჯამში, მივხვდი: არტისტობა ის პროფესიაა, რომლის მეშვეობითაც, შემიძლია, ყველა ის პროფესია „შევითავსო“, რომელიც მომწონდა და მომწონს. ბავშვობაში სტუდია „ბერიკებში“ დავდიოდი და ბევრ სპექტაკლში მითამაშია. მერე თეატრალური უნივერსიტეტის სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტები თავიანთ სადიპლომო სპექტაკლებში მიწვევდნენ. ამ ყველაფერმა ამ სფეროში ისე ჩამითრია, რომ აღარ შემეძლო, მსახიობი არ გამოვსულიყავი. გარდა ამისა, ქალბატონი ციცინო კობიაშვილი (*ჯაბა კილაძის დედა. — ავტ.*) გახლავთ რეჟისორი, რომლის გაზრდილიც ვარ. სწორედ მან შემაყვარა და მასწავლა ეს პროფესია. ახლაც მეხმარება — ახალ როლს რომ მომცემენ, პირველ რიგში, მას ვურეკავ და ვეკითხები, რა ვქნა. ციცის ძალიან ბევრ სპექტაკლში მიმიღია მონაწილეობა.

— რომელი იყო შენი პირველი და წარმატებული როლი, გახსოვს?

— კი, ესეც ციცის უკავშირდება. „ბერიკებში“ დადგა ზღაპარი — „ყვითელი კოდალას ორდენი“, სადაც ერთ პატარა გოგონას როლს ვასრულებდი და ცხვირპაჭუა მერქვა. ეს ზღაპარი ჩვენი ბავშვობის მართლაც ზღაპრული მოგონებაა. ულამაზესი სპექტაკლი იყო, ხალხს ძალიან მოსწონდა და ისეთ ტაშს გვიკრავდნენ ხოლმე, ციცისთან ერთად, აბსოლუტურად ყველა მონაწილე ვტიროდით... საოცარი შეგრძნება იყო, რომელიც მას შემდეგ, მგონი, არც განმიცდია.

— რამ განაპირობა შენი კარიერული წარმატება?

— მსახიობისთვის ნიჭი აუცილებელია, მაგრამ ბევრ ნიჭიერ ადამიანს ვიცნობ, რომელსაც წარმატებული კარიერა არა აქვს, ნაკლებად ნიჭიერი კი შეიძლე-

ბა, უფრო წარმატებული იყოს. შესაბამისად, ნიჭთან ერთად, გამართლება და იღბალიც საჭიროა. გარდა ამისა, ადამიანზეც ბევრია დამოკიდებული. თუ რთული ხასიათი გაქვს და შენთან მუშაობა არასასიამოვნოა, მაშინ ალბათ წარმატებასაც ვერ მიაღწევ. იმას არ ვამბობ, ძალიან კარგი ვარ-მეთქი. შესაძლოა, ვიღაცისთვის ჩემთან მუშაობაც საკმაოდ რთული იყოს. პირადად მე, ყოველთვის მიმართლებდა. გამიმართლა, როცა ციცისთან მოვხვდი. მით უმეტეს, რომ მაშინ კონსერვატორიაში ვსწავლობდი, ბევრს ვმეცადინეობდი და საერთოდ არ მქონდა თავისუფალი დრო. მიუხედავად ამისა, „ბერიკებში“ მისვლა მაინც გადავწყვიტე. ციცის ჯგუფში რომ არ მოვხვედრილიყავი, მსახიობი ალბათ არც გამოვიდოდი. მოკლედ, მგონი, ეს ყველაფერი ყველაზე მეტად უფლის დიდი წყალობაა.

— ნამდვილად არ ვიცოდი, ფორტეპიანოზე თუ უკრავდი. ახლა მუსიკას რა ადგილი უკავია შენს ცხოვრებაში?

— იმ დღიდან, როცა გადავწყვიტე, მუსიკისთვის ნაკლები დრო დამეთმო, ნელ-ნელა საერთოდ ჩამოვშორდი. არც კი მახსოვს, ბოლოს როდის ავხადე თავი ჩემს ინსტრუმენტს. მიუხედავად ამისა, გული მაინც არ მწყდება, რადგან კონსერვატორიაში სწავლის შედეგადაც ბევრი რამ ვისწავლე. ჩემი მასწავლებელი დაკვრას ჩვეულებრივად არ მასწავლიდა — მიხსნიდა, როგორ მეფიქრა; დაკვრისას ყოველთვის რაღაც სიუჟეტებს წარმოვიდგენდი ხოლმე. ეს ყველაფერი მოგვიანებით ცხოვრებაში დამეხმარა. ნებისმიერ სფეროსთან შეხებისას შეიძლება, რაღაც ისწავლო. გარდა ამისა, მაშინ ერთი ძალიან ახლო მეგობარი შევიძინე, რომელთანაც დღემდე ვურთიერთობ.

— სამწუხაროდ, თეატრში ბევრი ადამიანი ვერ დადის, შესაბამისად, მსახიობისთვის პოპულარობის მომტანი — ტელეეკრანი უფრაა. შენ როდის გახდი პოპულარული?

— ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. თეატრში იმდენი ხალხი მაინც ვერ ივლის, რამდენიც ტელევიზორს უყურებს. პირველად რომ მიცნეს, მაშინ ჯერ არც ერთ სერიალში არ მქონდა ნათამაშები. „ვაკის თეატრალურ სარდაფში“ ლევან წულაძემ დადგა „გველისმჭამელი“, სადაც ერთ-ერთ მთავარ როლს ვთამაშობდი. იმ პერიოდში მეგობრებთან ერთად, გუდაურში წავედი. სასტუმროს ფოიეში ვიჯექი, ვიღაც ქალები რომ მოვიდნენ და მკითხეს, — შენ ის გოგო არა ხარ, „გველისმჭამელში“ რომ თამაშობო? მაშინ პირველად გავიგე, რა მაგარი შეგრძნება ყოფილა, როცა ვიღაც სპექტაკლიდან გცნობს. მერე იყო სერიალი „საპონი“ და მაშინ მართლა ისეთი პოპულარულები გავხდით, რომ სკოლებში გვიწვევდნენ, ბავშვებს ვხვდებოდით და მათთან ერთ დღეს ვატარებდით. ეს ყველაფერი თავისთავად, ძალიან სასიამოვნო იყო. არადა, მაშინ საკმაოდ პატარა ვიყავი — 19 თუ 20 წლის. იმ წელს ვამთავრებდი თეატრალურ უნივერსიტეტს და ვერც აღვიქვამდი, რომ ასეთი პოპულარული ვიყავი. ახლაც კი მიკვირს, თავში რატომ არ ამივარდა, რადგან პატარა ასაკში ეს ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა. „შუა ქალაქმა“ კი ხალხის ისეთი სიყვარული მომიტანა, რომ მაშინ მივხვდი, რისთვის ღირს მსახიობობა.

— „შუა ქალაქის“ ყოფილ მსახიობებს გული სწყდებათ, რომ ამ სერიალში აღარ არიან. შენ არ განიცდი?

— რა თქმა უნდა, მეც გული მწყდება. მთელი წელი სერიალის გადასაღები სტუდია ჩემი სახლივით იყო. გარდა ამისა, ძალიან კარგი კოლექტივია და ყველასთან ვმეგობრობ. ახლაც გვაქვს ურთიერთობა. შეძლებისდაგვარად, ვნახულობთ ხოლმე ერთმანეთს. მიხარია, რომ ის დრო მათთან დავყავი, გამიმართლა და „შუა ქალაქში“ მოვხვდი. ეს მართლა უცნაურად მოხდა. კასტინგზე წასვლას საერთოდ არ ვაპირებდი, რადგან ეს სერიალი უკვე ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. თან, „საპონში“ უკვე ნათამაშები მქონდა და ვფიქრობდი, რომ კიდევ ერთი სერიალი არ მინდოდა, რადგან „საპონში“ ლეკა მერქვა და მერე მთელი თბილისი ლეკას მეძახდა, — ფიქრობდნენ, რომ მეც ისეთი ვიყავი. რომელიმე რეჟისორი რომ დაფიქრდებოდა სერიოზულ როლზე ჩემს აყვანაზე, ბოლო წუთს გადაიფიქრებდა ხოლმე: ეს ხომ ლეკაა და არ გვინდაო... რატომღაც ეგონათ, რომ მხოლოდ ისეთი მსუბუქი როლის თამაში შემეძლო. ამის გამო, ვფიქრობდი, რომ „შუა ქალაქის“ კასტინგზეც მსგავსი რამ მოხდებოდა. მაგრამ მეგობრებმა დამარწმუნეს, რომ მაინც უნდა წავსულიყავი. გასაუბრებაზე 600-700 ადამიანი იყო მოსული, მაგრამ საოცრება მოხდა და თიკას როლზე მე დამამტკიცეს. ვფიქრობ, ესეც უფლის ნება იყო.

— მიუხედავად სერიალებისადმი შენი დამოკიდებულებისა, ახლა უკვე მესამე სერიალში გიღებენ...

— ეს სერიალი ნამდვილად მჭირდება, რადგან მართლა განსხვავებული როლია. მაშინ არ ეგონათ, რომ თიკას თამაში შემეძლო. ალბათ ახლაც ჰგონიათ, რომ თიკას მსგავსი როლების გარდა, სხვას ველარაფერს ვითამაშებ. სინამდვილეში ასე არ არის. შესაძლოა, ძალიან ნიჭიერი არა ვარ და ბევრი არაფერი შემიძლია, მაგრამ დინებას მივყვები და რაღაც გამომდის, რაც მხოლოდ ჩემი კი არა, კიდევ სხვა უამრავი ადამიანის დამსახურებაა. ეს ახალი როლი, პირველ რიგში, ჩემთვის არის საინტერესო. ჩემს თავს დავუმტკიცებ, რომ გაცილებით სერიოზული როლების თამაშიც შემიძლია.

— „შუა ქალაქიდან“ იმიტომ წამოხვედი, რომ სტუდიას ახალი სერიალი უნდა გადაეღო და შენ მასში მონაწილეობას გთავაზობდნენ; ახლა ეს სერიალი უკვე დაწყებულია, მაგრამ შენ ჯერჯერობით არ ჩანხარ...

— „ღამის შოუს“ სტუდიის ხელმძღვანელებთან ამ თემაზე არ მისაუბრია. მაშინვე გადავწყვიტეთ, რომ ახალ სერიალში დაახლოებით, მეათე სერიის შემდეგ უნდა გამოვჩენილიყავი, მაგრამ არ ვიცი, საბოლოოდ როგორ იქნება.

— მოდი, შენს იმიჯზე ვისაუბროთ. როცა თიკა იყავი, ბევრი გოგონა გბაძავდა — ჩაცმულობით, ვარცხნილობით. ხვეული თმა მგონი, შენი წყალობით შემოვიდა ისევ მოდაში. რა რეაქცია გაქვს ასეთ რაღაცებზე და შენც თუ გეხმარება ვინმე სტილის შერჩევაში?

— ახლა ფიქრის დრო რომ მქონდეს, სულ სხვა რამეს ჩავიცვამდი და სხვანაირ ვარცხნილობასაც გავიკეთებდი, მაგრამ იმდენად დაკავებული ვარ, ამას ვერ ვახერხებ. როგორც „შუა ქალაქში“ გამოვიყურებოდი, ისეთივე ვიყავი რეალობაში. ხშირად მქონია შემთხვევა, როცა ქუჩაში ვიღაცას უთქვამს, — ჩემი გოგონა შენს ვარცხნილობაზე გიჟდება და გვასწავლე, თმას როგორ ივარცხნიო. (*იცინის*). თმის ჩახვევა ნამდვილად მე მოვიფიქრე. ბავშვობიდან მიყვარდა უცნაური ვარცხნილობების მოფიქრება. ადრე თმაზე ბევრი „კოსა“ და ბურთი მქონდა ხოლმე. მერე ნელ-ნელა დავიხვეწე. ჩემი გემოვნების ჩამოყალიბებაში დიდი როლი ალბათ, ჩემმა ოჯახმა და მეგობრებმა ითამაშეს. არასოდეს ვცდილობდი, მოდურად ჩამეცვა. კი, ბატონო, მოდასაც ვაქცევ ყურადღებას და იმასაც, რაც მომწონს, რაც მიხდება; საბოლოო ჯამში, გამოვიდა ის, რაც ახლა მაცვია. მიხარია, ეს ყველაფერი ხალხს რომ მოსწონს.

— „შუა ქალაქის“ შემდეგ იმიჯი მკვეთრად შეიცვალე და თმა მოკლედ შეიჭერი...

— კი, „კარე“ შევიჭერი, რადგან მინდოდა, რომ ახალ სერიალში განსხვავებული ვყოფილიყავი. მიუხედავად იმისა, რომ გრძელი თმა ძალიან მიყვარს, ცოტა

ძნელია, გრძელ თმაზე განსხვავებული ვარცხნილობა გაიკეთო. „შუა ქალაქში“ ყველანაირი ვარცხნილობა მოვსინჯე.

— ჩვენში პოპულარული ადამიანები ყოველთვის ჭორების მსხვერპლნი ხდებიან. სიმართლე რომ გითხრა, შენზე არანაირი ჭორი არ გამიგონია. თავად თუ გსმენია რაიმე?

— ჩემზე ბევრი ჭორი გამიგონია, მაგრამ ისეთი „ბოროტი“ არ ყოფილა, რომ გავბრაზებულიყავი. ერთადერთი, რაც პოპულარობის არ მომწონს, ის არის, რომ ჩემი სახელით ხშირად სარგებლობენ.

— რას გულისხმობ?

— ინტერნეტში, გარკვეულ საიტებზე შექმნეს „ჩემი“ გვერდები, დადეს ჩემი ფოტოები და ხალხს ჩემი სახელით ელაპარაკებიან. თან, ეს ერთმა კი არ გააკეთა, არამედ 40-მდე „ჩემი“ გვერდია განთავსებული. გარკვეულწილად, მესმის და ძალიან მიხარია კიდეც, თუ ვიღაცას ვუყვარვარ და ამას იმიტომ აკეთებს, მაგრამ ამ ყველაფერს ცუდი შედეგიც მოაქვს. არასოდეს არავინ დაიჯეროს, რომ მე მელაპარაკება, თუ პირადად ჩემთან არ გადაამოწმებს. ვიღაცები კართან მხვდებიან და სიყვარულს მიხსნიან. გრძნობაზე რომ არ ვპასუხობ, ბრაზდებიან და მეუბნებიან, — მთელი თვეა, ინტერნეტში გესაუბრები და როგორ არ გიყვარვარო?!. მერე ვიღაცას ჩემი სახელით უთქვამს, — საჩუქრები მომართვით, ვგიჟდები საჩუქრებზეო, — და უამრავი საჩუქარი მოჰქონდათ. ვგიჟდებოდი, რა ხდებამეთქი?!. თურმე ვიღაცას ჩემი სახელით მოუთხოვია... ეს ამბავი ძალიან მანერვიულებს. სამწუხაროდ, ვერაფერს ვცვლი, მაგრამ ვინც ამ ინტერვიუს წაიკითხავს, მათ მაინც არ დაიჯერონ, რომ ინტერნეტში მე მესაუბრებიან.

— რეალურად, რა ხდება შენს პირად ცხოვრებაში?

— ამჯერად განსაკუთრებული ნამდვილად არაფერი ხდება.

— ცოტა ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ რას ვიზამ... წარმატებას გისურვებ!

■

ეკრანს მიღმა

თანამედროვე კონკია „ქართულად“, კოლუმბიურ-ამერიკული „ფესვებით“, და გუნდი, რომელსაც იდეები არ ელევა

კვირის დასაწყისში „იმედზე“ ახალი ქართული სერიალი — „გოგონა გარეუბნიდან“ — დაიწყო. ალბათ პირველი სერიის ნახვისთანავე მიხვდებოდით, რომ ახალი პროექტი კოლუმბიური სერიალის — „უშნო ბეტის“ გადმოქართულებული ვარიანტია. მიუხედავად ამისა, „შუა ქალაქის“ მაყურებელი იმდენ ხანს ელოდა ახალი პროექტის დაწყებას, რომ სერიალს უკვე უამრავი გულშემატკივარი ჰყავს. ახალ პროექტსა და „ღამის შოუს“ სტუდიაში არსებულ სხვა სიახლეებზე პროდიუსერ ირაკლი კაკაბაძეს ვესაუბრეთ.

ნათია ჟვანია

— საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ამბობდით, რომ ახალი სერიალის გადაღებას გეგმავდით. მაყურებელიც ელოდა თქვენს ახალ პროექტს, მაგრამ ეს მოლოდინი დიდხანს გაგრძელდა. ახლა, როგორც იქნა, სერიალიც გამოჩნდა ეკრანზე. ამდენ ხანს რატომ შეფერხდით?

— ამ პროექტის დაწყებას მართლა დიდი ხნის წინ ვგეგმავდით და შარშან უნდა დაგვეწყო კიდეც, მაგრამ ალბათ გახსოვს, ტელეკომპანია „იმედში“ შიდა ცვლილებები მოხდა და ამან შეგვაფერხა. მერე, ვიდრე ჩამოვყალიბდით, გარკვეული დრო გავიდა... მერე სეზონი მთავრდებოდა და ა.შ. მოკლედ, სულ რაღაც პრობლემები იყო.

— თუმცა ახლაც, თითქმის სეზონის ბოლოს გავიდა ეს სერიალი ეთერში.

— მართალია, მაგრამ ახლა ნამდვილად უნდა გასულიყო, მეტს ვეღარ მოვიცდიდით. მით უმეტეს, რომ ძირითადი პრობლემები გადავლახეთ და იმედია, დანარჩენსაც ბოლოს მოვუღებთ.

— რა ფორმატის არის სერიალი „გოგონა გარეუბნიდან“?

— ეს ჩვეულებრივი სერიალია, რომელშიც, რასაკვირველია, კურიოზული და სახალისო ამბები ხდება, მაგრამ ბევრს რომ ჰგონია, ეს „შუა ქალაქში 2“-ი იქნება, ცდება. „გოგონა გარეუბნიდან“ კინოფილმის მსგავსი სერიალია, ჩვეულებრივი ცხოვრებისეული ელემენტებით.

— არადა, ერთ-ერთ კოლუმბიურ სერიალს — „უშნო ბეტის“ უფრო მივამსგავსე...

— მართალი ხარ. სწორედ ეს „უშნო ბეტი“ ნახეს ამერიკელებმა, კერძოდ — სალმა ჰაიეკმა და მოეწონა; მერე მისმა პროდიუსერებმა კოლუმბიელებისგან ფორმატის ლიცენზია შეისყიდეს და მათაც გადაიღეს მსგავსი სერიალი. მოგვიანებით, იგივე ფორმატი გაკეთდა გერმანიაში, ბრიტანეთში, რუსეთსა და უამრავ სხვა ქვეყანაში. ეს არის კონკიას თავგადასავალი: შედარებით დაბალი ფენის წარმომადგენელი, არასიმპათიური გოგონა სულ სხვა წრეში ხვდება... ძირითადი ფორმულა ასეთია, მერე ვნახოთ, როგორ გაგრძელდება.

— ალბათ ბოლოს ეს გოგონა გალამაზდება.

— სხვათა შორის, ამერიკულ პროექტში არ გალამაზდა. გალამაზებამდე ჯერ ბევრი დროა, მანამდე როგორ განვითარდება მოვლენები, არ ვიცი.

— ახალ პროექტზეც „შუა ქალაქის“ პრინციპით იმუშავებთ? სცენარი ყოველი სერიის წინ დაიწერება?

— არა, აქ უფრო წინ ვართ წასული და ვიღაც-ვიღაცების თავადასავლები წინასწარ ვიცით, რადგან ეს პროექტი „შუა ქალაქთან“ შედარებით, გაცილებით რთულია. „შუა ქალაქის“ დადგმის დროს რაღაცები შეგვიძლია შევცვალოთ. როცა ვხვდებით, რომ რაღაც სასაცილო არ გამოდის, იმას საერთოდ ვკვეცთ და ა.შ. ამ

შემთხვევაში მსგავსი რამ არ გამოვა, რადგან ფაქტობრივად, ეს კინოა, ხოლო კინოში ყველაფერი სცენარის მიხედვით ვითარდება. ამის გამო, ბევრად წინ ვართ და უკვე მეოთხე სერიის გადაღებას ვამთავრებთ.

— ეი. პრეტენზია გაქვთ, რომ ეს მრავალსერიიანი ფილმია და არა — სერიალი.

— სერიალია, უბრალოდ, სერიალზე ცოტა სხვა წარმოდგენა გვაქვს ქართველებს. „სასოწარკვეთილი დიასახლისებიც“ სერიალია და „24“-იც, მაგრამ მათ ფილმებად უფრო აღვიქვამთ. ასეა ჩვენს შემთხვევაშიც.

— როგორ ფიქრობ — „გოგონა გარეუბნიდან“ ისეთივე პოპულარული გახდება, როგორიც — „შუა ქალაქშია“?

— ყოველ შემთხვევაში, ამის იმედი ნამდვილად გვაქვს და ვნახოთ.

— „უშნო ბეტი“ საქართველოში პოპულარული არ ყოფილა...

— მართალი ხარ. არც ამერიკაში მოუპოვებია დიდი პოპულარობა, მაგრამ იგივე პროექტი ამერიკულად რომ გააკეთეს, პირველივე წელს „ემი“ აიღო.

— ცუდია, საქართველოში რომ მსგავსი ჯილდოები არ არსებობს...

— ნამდვილად ძალიან ცუდია. თუმცა — რატომ?.. ამას წინათ ჩვენც მოგვცეს რაღაც ხარისხი.

— ჰო, საქართველოში ისეთი „პოპულარული“ დაჯილდოება გვაქვს, რაც მოგცეს, იმის სახელიც ვერ დაიმახსოვრე... თემა შევცვალოთ და მითხარი, ვინ არის ის ახალგაზრდა გოგონა, რომელიც უშნო თამუნას თამაშობს?

— თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტი თინა მახარაძე. შარშან ზაფხულს კასტინგი ჩავატარეთ და მის შედეგად შევარჩიეთ ეს გოგონა.

— გარდა უცნობი სახეებისა, ბევრი ცნობილი მსახიობიც დაგითანხმებიათ სერიალში თამაშზე.

— მართალია: ნანული სარაჯიშვილი, მარინა კახიანი, რუსკა მაყაშვილი და უამრავი სხვა. ამ მსახიობებს რომ დავუკავშირდით და სერიალში მოვიწვიეთ, ყველას კარგი მიდგომა ჰქონდა: უი, თქვენ აკეთებთ სერიალს?! მაშინ, კარგი იქნება და თანახმა ვარო. ამის გამო ძალიან ვნერვიულობთ და დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობთ, რადგან სერიალის პოპულარობა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული და ხალხს მოეწონება თუ არა, ამას პირველი სეზონის დასრულების შემდეგ შევიტყობთ.

— პირველ სეზონს როდის დაასრულებთ?

— დაახლოებით აგვისტოს დასაწყისში დასრულდება. პირველ სეზონში სულ 10 სერია იქნება.

— კვირაში ერთზე მეტი სერია არ გავა ეთერში?

— ტელევიზიის ხელმძღვანელობას დიდი სურვილი აქვს, რომ მეტჯერ გავიდეს, მაგრამ ეს შეუძლებელია. მაგალითად, „შუა ქალაქში“ ორზე მეტჯერ ვერ გავა ეთერში, რადგან ფიზიკურად დრო არ გვაქვს. ეს ხომ რაღაც მშენებლობა არ არის, — თუ კედელს დროზე ვერ ააშენებ, მეტი მუშა მოიყვანო და მალე დაასრულო! სცენარს დაწერა და ფიქრი უნდა, მერე რეპეტიციის გავლა და გადაღებაა საჭირო და ა.შ. რასაც ვაკეთებთ, ამაზე მეტის გაკეთება შეუძლებელია, მაშინ ხარისხზე უნდა ვთქვათ უარი, ეს კი გამორიცხულია. ჩემი აზრით, კვირაში ორი სერიაც ბევრია, რადგან ამერიკაში ერთი სერია გადიოდა. „უორნერ ბრაზერში“ თუ ამერიკელები ვერ აკეთებენ ერთზე მეტს, ჩვენ მეტი პრეტენზია როგორ გვექნება?!

— ქართულ ტელევიზიებში ნაყიდი პროექტები გაცილებით პოპულარული ხდება, ვიდრე აქაური, ქართული. სხვის პროექტებს თუ ასე მაგრად აკეთებთ, რატომ არ შეიძლება, რაღაც ქართულიც მოიფიქროთ და მერე ეს პროექტი იქით აყიდვინოთ უცხოელებს?

— იმიტომ, რომ რისკი მეტია. საკუთარი პროექტები რუსებსაც კი არა აქვთ. „რა? სად? როდის?“ და „კა-ვე-ენი“ ჰქონდათ საკუთარი და ორივე პროექტი დაბალრეიტინგიანი იყო. როცა ხედავ, რომ რაღაც ფორმატი წარმატებული და ნაცადია, იყიდი და შენებურად გააკეთებ. უცხოელებს აქვთ იმის ფუფუნება, რომ სცადონ რაღაცის გაკეთება; თუ გამოვა, ხომ კარგი, თუ არა და — დახურავენ. ჩვენთან ამხელა ხარჯის ტყუილად გაღების საშუალება არ არის. თანაც, სხვისი ფორმატის ყიდვაში ცუდს ნამდვილად, ვერაფერს ვხედავ — იქ ამ სფეროში ჩვენზე იმდენად წინ არიან, რაც უნდა გამოვიგონოთ, მეეჭვება, ისინი გავაკვირვოთ.

— „შუა ქალაქის“ ყოფილი მსახიობები თქვენგან იმ პირობით წავიდნენ, რომ ახალ სერიალში ათამაშებდით, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის...

— ალბათ ქეთა ლორთქიფანიძესა და ლელა მებურიშვილს გულისხმობთ. ქეთა ჩვენს სერიალში არის. ლელაც უნდა ყოფილიყო ჩვენთან, ელოდებოდა, გადაღებები როდის დაიწყებოდა, მაგრამ ვერა და ვერ დავიწყეთ და „რუსთავი 2“-ის ახალ პროექტში მონაწილეობას დათანხმდა. ეს არის ახალი დეტექტიური სერიალი, სადაც ლელა გამომძიებელს ითამაშებს. ამის გამო, მას ჩვენს სურათში ვერ ნახავთ. ჩვენ ვერიდებით ხოლმე, ერთი სერიალის მთავარი გმირი მეორე სერიალის მთავარი გმირი რომ გახდეს; ამას მაყურებელიც ცუდად აღიქვამს. მაგალითად, ახლა დები ღლონტები სხვა სერიალში რომ მოხვდნენ და სერიოზული გამომძიებლების როლები ითამაშონ, ეს ხომ მიუღებელი იქნება.

— ეი. შესაძლოა, ლელა გამომძიებლის როლში მაყურებელმა არ მიიღოს?..

— შესაძლოა, ასეც მოხდეს. თუმცა დიდი იმედი მაქვს, რომ ის სერიალი წარმატებული იქნება.

— რამდენიმე კვირის წინ, „შუა ქალაქის“ მეექვსე სეზონი ყველასთვის მოულოდნელად დასრულდა. ამის გამო, ხალხი აღშფოთდა კიდეც. სულ მალე კი ახალი სერიები გავიდა ეთერში. ეს ერთკვირიანი პაუზა ახალ სერიალს ხომ არ უკავშირდებოდა?

— არა. ყოველთვის ასე იყო: ერთი სეზონის სტანდარტი 20-დან 24 სერიამდეა — გააჩნია, შინაარსი როგორ მოითხოვს. ახლაც, დამთავრდა სერიების ეს რაოდენობა და შესაბამისად — სეზონიც. ერთკვირიანი პაუზის შემდეგ კი ახალი სეზონი დავიწყეთ. ეს ჩვეულებრივი ამბავია. ჩვეულებისამებრ, ეს სერიალიც ივლისის შუა რიცხვებში დასრულდება და მის გადაღებას ოქტომბრიდან ალბათ ისევ გავაგრძელებთ. რეიტინგი მაღალი აქვს, იდეებიც ჯერ არ ამოგვწურვია და რატომ არ უნდა გავაკეთოთ კიდევ ერთი ახალი სეზონი?!. ■



იგივე პროექტი ამერიკულად რომ გააკეთეს, პირველივე წელს „ემი“ აიღო

იდეისთვის შეწირული 5 წელი, ნუცა კუხიანიძის აუხდენელი ოცნება ანუ უკან — ჰოლივუდისკენ...

კინო მის ცხოვრებაში გიო მგელაძის ფილმით — „არა, მეგობარო!“ — შემოიჭრა; მაშინ პატარა იყო და ყველაფერი ზღაპარივით ახსოვს... შემდეგ, უკვე მოზრდილი გოგონა, ნანა ჯორჯაძემ ფილმში — „27 დაკარგული კოცნა“ — გადაიღო და 17 წლის ასაკში გადამღებ ჯგუფთან ერთად, კანის ფესტივალზეც აღმოჩნდა... მან ჰოლივუდშიც გაიკაფა გზა და პარტნიორობა გაუწია ისეთ ვარსკვლავს, როგორიც ნიკ ნოლტია... დღეს კი სტუდია „სანგუკოს“ დამფუძნებელი გახლავთ და მეუღლესთან, გუკა რჩეულიშვილთან ერთად, ქართული კინოს „რეანიმაციის“ საქმეს ემსახურება. გასულ კვირას პრესკონფერენცია გამართა და ახალი კინოპროექტის — „5“-ის შესახებ ჟურნალისტებს აუწყა. სტუდია ერთ წელიწადში 5 სრულმეტრაჟიან ფილმს გადაიღებს. პროექტმა საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსში პირველი ადგილი დაიკავა და 250.000 ლარით დაფინანსდა. მისი სრული ბიუჯეტი კი 2.400.000 ლარს შეადგენს. ფილმებს 5 ქართველი რეჟისორი გადაიღებს... მანამდე კი ფილმებში მონაწილე მსახიობებზე კასტინგი ცხადდება. პროექტის შესახებ უფრო ვრცელი ინფორმაციის მისაღებად, „სანგუკოს“ ხელმძღვანელს, ნუცა კუხიანიძეს შევხვდით.

ლალი ფაცია

— ქართულ კინოში გამოცოცხლება შეინიშნება. კარგია, რომ ამ საქმეში თქვენი სტუდიაც საკუთარი წვლილის შეტანას ცდილობს...

— 5 წლის წინ, როდესაც სტუდია „სანგუკო“ ჩამოვაყალიბეთ, ჩვენში ქართულ კინოს პრაქტიკულად არავინ იღებდა... ის ფილმებიც კი, რომლებსაც საქართველოში, საბჭოთა პერიოდში ქართველი რეჟისორები ქმნიდნენ, საბჭოთა რეალობის გათვალისწინებით (მათი მცდელობის მიუხედავად, რომ პროდუქციისთვის ქართული ხასიათი არ დაეკარგათ), მაინც არ იყო ქართული; მაგრამ ქართული კინო ყველაზე მეტად მაშინ დაზარალდა, როდესაც ქვეყანაში არეულობა დაიწყო...

— ისე, 90-იან წლებში, ფილმებს ქართველი რეჟისორები იშვიათად, მაგრამ მაინც იღებდნენ. პირადად შენ, 9 წლის ასაკში ნანა ჯორჯაძემ ფილმში — „27 დაკარგული კოცნა“ გადაგიღო...

ნუცა და ნიკ ნოლტი

— კი, მაგრამ ეს არ იყო ქართული პროექტი. „27 დაკარგული კოცნა“ გერმანულ-ფრანგული ფილმი გახლდათ, რომელიც ქართულმა შემოქმედებითმა ჯგუფმა საქართველოში გადაიღო. რატომ უნდა ყოფილიყო ჩვენთან გადაღებული ფილმი უცხოური?! მაგრამ მაშინ სხვა გამოსავალი არ იყო... გავიდა გარკვეული დრო და დიდი პაუზის შემდეგ, პირველი ქართული სრულმეტრაჟიანი ფილმი „გასეირნება ყარაბაღში“ (კინოსტუდია „რემკა“) გამოჩნდა. 2005 წელს სტუდია „სანგუკო“ ჩამოვაყალიბეთ. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ფილმზე მქონდა ნამუშევარი და კინოს სპეციფიკა მეტ-ნაკლებად ვიცოდი, მიმაჩნია, რომ ამ სფეროში მაინც არაფერი მცოდნია. მოკლედ, მთელმა ჩვენმა ჯგუფმა ქართული კინოს ამოსაქაჩად მოქმედება ნულიდან დავიწყეთ... 5 წლის წინ ამ საქმით სახელმწიფოც არ იყო დაინტერესებული. ახლა უფრო ცდილობს, რომ ამ დარგის განვითარებაში გარკვეული წვლილი შეიტანოს. ისე, ფილმის გადასაღებად, დღესაც ცუდი რეალობაა, მაგრამ გარკვეულწილად ზუსტად დღესაა ის დრო, როცა კინო უნდა გადაიღო...

— როგორ გგონია — როგორც მსახიობი დღესდღეობით რეალიზებული ხარ?

— არ ვარ რეალიზებული და მუდმივად ვფიქრობ იმაზე, რა არის ჩემი შინაგანი მოწოდება... ცხოვრების 5 წელიწადი შეიძლება ითქვას, იმ იდეის ხორცშესხმას მოვახმარე, რომელსაც ახლა ვემსახურები და დღემდე ძიების პროცესში ვარ... ბევრი რამ გავაკეთეთ, მაგრამ ბევრიც სასწავლი გვაქვს, რომ საქმე კიდევ უფრო უკეთ ვაკეთოთ. ამიტომ, 2005 წლიდან მოყოლებული, ჩემი სამსახიობო კარიერა ცოტათი გაიყინა. რეალურად, მხოლოდ იმ ფილმებში („გასეირნება ყარაბაღში 2“, „მედიატორი“, „თბილისური love story“) ვახერხებდი თამაშს, რომლებსაც ჩვენ თვითონ ვიღებდით. ამ ხნის მანძილზე კარიერის სასარგებლოდ საზღვარგარეთ რომ მევლო, მაშინ ვერ შევძლებდი იმას, რასაც ახლა ვაკეთებ. ამიტომ, ძალაუნებურად არჩევანის გაკეთების საშუალება მომიხდა. მაგრამ თავს იმით ვიწყნარებ, რომ არჩევანი დიდი საქმის სასარგებლოდ გავაკეთე, რადგანაც როგორც იტყვიან, ყველაფერს თავისი დრო აქვს...

— ჯერ ახალგაზრდა ხარ და ყველაფერი წინ გაქვს... დარწმუნებული ვარ, მომავალში უამრავი საინტერესო ეკრანული სახის შექმნა მოგიწევს და არა მარტო ქართულ კინოში...

— იმედი მაქვს... ახლა ჩვენი ახალი პროექტის ორ ფილმში უნდა გადამიღონ. ერთი თაკო შავგულიძის — „დაბადებულები საქართველოში“ გახლავთ და მეორე — გიორგი ლიფონავას — „ნონო“. დათო უჯმაჯურიძემაც მთხოვა, ჩემს ფილმშიც („ველური დღეების ქრონიკა“) ითამაშეო. მასაც დავთანხმდი. მოკლედ, როდესაც ჩემნაირ ენთუზიაზმს სხვებშიც ვხედავ, უარს ვერ ვეუბნები. ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს საქმის მიმართ ადამიანების დამოკიდებულებას და განწყობილებას; ასევე იმასაც, თუ ფილმს ვინ იღებს და რას იღებს...

— კარიერის დასაწყისში რას განიცდიდი?

— ძირითადად გაუცნობიერებლობა მქონდა. კინოში თამაში კი მინდოდა, მაგრამ ბოლომდე ვერ ვაანალიზებდი, რამდენად საპასუხისმგებლო საქმეს ვიყავი შეჭიდებული. მოკლედ, საქმე გამომდიოდა და მას არაპროფესიონალუ-

რად ვუდგებოდი... შემდეგ ეტაპზე კი სინანულის შეგრძნება დამეუფლა, რადგანაც ის ყველაფერი დამთავრდა, უეცრად შეწყდა... მე რომ კარიერის სასარგებლოდ სწორი ნაბიჯები გადამედგა, დღეს აქ არ ვიქნებოდი...

— რამე შეგეშალა?

— ვერ ვიტყვი, რომ შემეშალა. როგორ ვთქვა, — შემეშალა, რომ გუკა ჩემი ქმარია, ან კატო მყავს შვილი-მეთქი?! არა, უბრალოდ სხვა გზა ავირჩიე... პირიქით, დღეს საინტერესო ამპლუაში მიწევს ყოფნა... მაგრამ ცოტა ხანში, როგორც ვთქვი, ჩემს საქმეს — მსახიობობას უნდა დავუბრუნდე და პირველად, თაკო შავგულიძის ფილმში ვითამაშო. საოცრად საინტერესო და ღრმა შინაარსის მქონე სცენარია. ის ომის შემდგომი საქართველოს ყოფას ასახავს, სადაც დღევანდელი ახალგაზრდობის შინაგანი განწყობილებაა გამოხატული და რეალობის თავისებური აღქმის მომსწრენი გავხდებით... როგორ შეიძლებოდა, რომ ამ ფილმში თამაშზე უარი მეთქვა?

— ფილმზე, რომლის სცენარი თვითონ დაწერე და რომელსაც გიორგი ლიფონავა გადაიღებს, რას გვეტყვი?

— ამ სცენარს ჩემს მეგობართან ერთად, დაახლოებით 10 წლის განმავლობაში ვწერდი. მეგობარი ამერიკელია და საქართველო ჩემი მეშვეობით გაიცნო. როდესაც აქ ჩამოდიოდა, მისი მასპინძელი გახლდით ხოლმე. ჰოდა, ერთხელაც გადავწყვიტეთ, კინოს სცენარი დაგვეწერა: ამერიკელი ბიჭი საქართველოში ჩამოდის, სადაც ქართველ გოგოს ხვდება. გოგო ქვეყანას აცნობს. ბიჭი თავის ტყუპისცალს ეძებს. ძმა ხატმწერია, სინას მთაზე მუშაობდა. მან მონასტერში ქართული ხატი აღმოაჩინა, რომელიც საქართველოს კუთვნილებაა. იგი ხატს იპარავს, საქართველოში რომ დააბრუნოს. ამ დროს მთავარი გმირი — ნონო ცდილობს, საქართველოდან წავიდეს და ახალი ცხოვრება დაიწყოს. ხატი კი ჩვენს ქვეყანაში მაშინ ბრუნდება, როდესაც აქ „ვარდების რევოლუცია“ იწყება... ამ ყველაფრის ფონზე ფილმი სასიყვარულო კომედიის ჟანრს განეკუთვნება... სცენარზე მუშაობა ძალიან გამიგრძელდა. როგორღაც წერტილი დავუსვი და რეჟისორ გიორგი ლიფონავას წავაკითხე. ის საოცრად „აენთო“, რამაც დამარწმუნა, რომ ამ სცენარის გადაღება მართლაც ღირს. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ გიორგი მას თავისებურ ხედვასა და ემოციას მიანიჭებს...

— რა როლის თამაშზე ოცნებობ?

— ძნელია თქმა, ადრე, როდესაც ლოს-ანჯელესში ვცხოვრობდი და ჰოლივუდში ვთანამშრომლობდი, მზამზარეული სცენარები მომდიოდა და საკმაოდ თავხედურად ვიქცეოდი — 18 წლის გოგო საგანგებოდ ვარჩევდი როლებს. არადა, ღმერთის ნებით, ისეთ სამყაროში ვიყავი, რომელზეც ბევრი ოცნებობდა. იმ ასაკში კი წესით, ასეთი ფუფუნების უფლება არ მქონდა. რა როლსაც გაძლევენ, ყველაფერი უნდა ითამაშო...

— მიუხედავად იმ „გაუცნობიერებელი“ პერიოდისა, მგონი, უკმაყოფილო მაინც არ უნდა იყო...

— არა, უკმაყოფილო როგორ ვარ, ძალიან გამიმართლა. ამერიკაში ცხოვრებამ ბევრი რამ მასწავლა.

— პირველად რამხელა იყავი, ამერიკაში რომ აღმოჩნდი?

— 9 წლის გახლდით, მშობლებთან ერთად, ამერიკაში რომ წავედი. 14 წლამდე იქ ვცხოვრობდით. მეორედ იქ 17 წლის ასაკში მოვხვდი და ლოს-ანჯელესში უკვე მარტო ვცხოვრობდი.

— ზოგადად, კინოსკენ რამ გიბიძგა, პროვოცირება რამ მოახდინა?

— შინაგანმა კოდმა, გენმა, ბავშვობიდან ამ სამყაროსკენ მქონდა რაღაც იდუმალი სწრაფვა. ბევრი რამ მამისგანაც გამომყვა...

— როგორც ვიცი, მამა — ერეკლე კუხიანიძე არაერთ ქართულ ფილმშია გადაღებული. მახსოვს, მისი ერთი როლი ფილმში — „გაზაფხული გადის“...

— კი, გურამ რჩეულიშვილს ასახიერებს... უცნაურია — დღეს გურამ (გუკა) რჩეულიშვილი (უმცროსი) ჩემი ქმარია. გურამი გუკას დიდი ბაბუა იყო... ცხოვრებაში ასეთი რაღაცებიც ხდება...

— ნუცა — მსახიობი, სცენარისტი, სტუდია „სანგუკოს“ ხელმძღვანელი და ნუცა — დედა... თუ იცლი შენი პატარისთვის?

— როგორ არ ვიცლი?! ამიტომაც არის, რომ არაფერზე არასდროს დრო არ მყოფნის, სულ შინაგანად ვფორიაქობ. ემოციური დედა ვარ...

— არადა, იქმნება შთაბეჭდილება, რომ განებივრებული ხარ; თუმცა, ამ წარმოდგენის მიღმა, ერთი მოუსვენარი, ენერგიული, ემოციური, შრომისმოყვარე და აქტიური დედა დგას...

— ვცდილობ, რომ ტელეეკრანზე, პრესაში ნაკლებად გამოვჩნდე. ვჩნდები მხოლოდ კონკრეტულ სიტუაციებში. მიმაჩნია, რომ თუ სათანადოდ არ ხარ დაკავებული და რაღაც სერიოზულს არ აკეთებ, ეკრანზე ზედმეტად არ უნდა გამოჩნდე. მიუხედავად ამისა, ადამიანების მხრიდან დიდ სიყვარულს ვგრძნობ, ქუჩაში ღიმილით მხვდებიან. ამ სითბოსა და სიყვარულს ვცდილობ, რომ მოვუფრთხილდე.

— შენ და გუკა სამსახურებრივ პოლემიკას ხშირად მართავთ?

— კი, როგორ არა. მას თავისი აზრი აქვს, მე — ჩემი. გუკა ისეთი ტიპია, თუ უყვარს, უყვარს ბოლომდე! მასაც ბევრი საქმე აქვს. „ცენტრპოინტში“ მუშაობს, ეს ხომ მისი ოჯახის კომპანიაა?! დიდი პასუხისმგებლობა აწევს, მაგრამ მაინც ცდილობს, რაღაცნაირად, კიდევ სხვა საქმეზეც დახარჯოს ენერგია. მე მხოლოდ სტუდია „სანგუკოზე“ ვნერვიულობ და ლამის გადავყვე ხოლმე განცდებს. მას კი ჩემზე მეტ რაღაცაზე უწევს ნერვიულობა, მაგრამ ახერხებს, რომ ყველგან რაღაც გააკეთოს. გუკა გვერდით რომ არ მყავდეს, „სანგუკოს“ არსებობა შეუძლებელი იქნებოდა. საერთო იდეა რომ არ გვქონდეს, მარტო ვერ გავქაჩავდი...

— ისე, ახლო მომავალში ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ ლოს-ანჯელესში ისევ დაბრუნდე?

— კი, და ეს იდეა ჩემში უკვე იწყებს წამოდუღებას. ჰოლივუდში არის ასეთი გამოთქმა: „შენ იმდენად ხარ კარგი, რამდენადაც — შენი ბოლო ნამუშევარი“. ჩემი ბოლო ფილმი იქ ძალიან დიდი ხნის წინ იყო ნაჩვენები... ამიტომ, რაღაც ახლით უნდა ჩავიდე. ჩემს ბოლო ნამუშევრებს (ახალი პროექტიდან) თან წავიღებ და ვაჩვენებ... რომ აღარ ვიყო მხოლოდ ვიღაც გოგო, რომელმაც ერთ დროს



ნიკ ნოლტთან ერთად ფილმში ითამაშა.

— ვისი შეფასებაა შენთვის მნიშვნელოვანი? ვის ენდობი?

— შეიძლება, ბევრს ვენდო. ყოველთვის მაინტერესებს ოჯახის წევრების აზრი. დედაჩემი ხანდახან ვერ არის ობიექტური, რადგანაც მაინც დედაა... საკუთარი თავის მიმართ თვითონ ვარ ძალიან კრიტიკული. ზუსტად ვიცი, რას როგორ ვაკეთებ... არასდროს მეშინია იმის თქმის, რომ არ გამომივიდა. არ გამომივიდა? ესე იგი, შემდეგ უკეთესი უნდა გამომივიდეს. თვითკმაყოფილება აბსოლუტური სიგიჟეა, წინ ვეღარ მიდიხარ. სულ უნდა იხვეწებოდე...

— როგორც სტუდიის ხელმძღვანელი, როგორი უფროსი ხარ?

— ემოციური, ხანდახან მეც ვამეტებ, რადგანაც ემოცია ჭარბად მომაწვება ხოლმე. ბედნიერებაა, რომ „სანგუკოში“ ის ადამიანები არიან შეკრებილები, რომლებსაც ჩემსავით თავიანთი საქმე უყვართ. რომ არა ისინი (სულ 6 ადამიანზეა ლაპარაკი), ჩვენი სტუდია არ იარსებებდა. არის მონდომება, უდიდესი შრომისუნარიანობა... ■

რატომ შეინახა საქორწინო კაბა თამთა ჭელიძემ გარდეробში

„ხშირად ერთად ვჩნდებით“

27 წლის მომღერალი თამთა ჭელიძე ჭორების მსხვერპლი არაერთხელ გამხდარა. მისი მისამართით ნათქვამი ჭორ-მართალი ძირითადად, მამაკაცებს უკავშირდება. ეს არც არის გასაკვირი: მომღერალი ლამაზია, ჭკვიანი და თანაც მარტოა... თავად არც ისე რთულად აღიქვამს მასზე შეთხზულ ამბებს. ეს პოპულარობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და თამთას ეს კარგად ესმის. მომღერალს ისიც კარგად გაუცნობიერებია, რომ ჟურნალისტებთან ურთიერთობა შოუბიზნესის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ არის შეკითხვები, რომელიც უკვე აღიზიანებს, — ისინი მის ყოფილ მეუღლეს, ჯაბა კილაძეს უკავშირდება. პირობა მივეცი, რომ ჯაბაზე არაფერს ვკითხავდი და შევასრულე კიდეც. დღეს მისი ფსიქოპორტრეტის შედგენას შევეცადე.

ნინო მჭედლიშვილი

— **თამთა, პირველ რიგში, ინტერვიუს პროცესზე მინდა გკითხო, წინასწარ ფიქრობ იმაზე, რომ ზედმეტი არაფერი წამოგცდეს, როცა დიქტოფონი ჩართულია?..**

— ინტერვიუ ჩემთვის არ არის წამება. კი მეზარება, იმიტომ, რომ ბევრჯერ მაქვს ინტერვიუ მიცემული და ერთსა და იმავე ამბებზე საუბარი მიწევს, მაგრამ თუ საინტერესო ჟურნალისტთან მაქვს ურთიერთობა, ეს პროცესი მსიამოვნებს კიდეც. არასდროს ვფიქრობ წინასწარ, ამის თქმა შეიძლება თუ — არა.

— **თუ არსებობს კითხვა, რომელიც განსაკუთრებულად გაღიზიანებს?**

— ძალიან მაღიზიანებს ჩემს ყოფილ ქმარზე ლაპარაკი: ყველა მასზე მეკითხება და დავიღალე. ამოწურულია ეს თემა ჩემთვის და აღარასდროს ვილაპარაკებ მასზე. მარაზმია უკვე ამაზე ლაპარაკი. არასდროს, არც ერთი ჟურნალისტისთვის არ მიკითხავს წინასწარ, რა თემაზე უნდა ვისაუბროთ, აზრი არა აქვს — დავიწყებთ სხვა თემით და ისევ ჯაბასთან მივდივართ.

— **პირობას გაძლევ, რომ ჯაბაზე დღეს არაფერს გკითხავ.**

— დიდი მადლობა (*იღიმის*).

— **უარი თუ გითქვამს ჟურნალისტისთვის ინტერვიუზე?**

— მითქვამს; ზოგჯერ, იმის გამო, რომ ნაწყენი ვყოფილვარ და ზოგჯერ იმის გამო, რომ ახალი არაფერი ხდება ჩემს ცხოვრებაში, ვასვენებ ჩემს თავსაც, ჟურნალისტებსაც და ხალხსაც. მაგრამ ის კარგად მაქვს გაცნობიერებული, რომ თქვენი პროფესიის ადამიანებთან ურთიერთობა შოუბიზნესის ნაწილია და, გინდა თუ არა, ინტერვიუ უნდა მისცე.

— **როგორ ადამიანებთან ვერ ურთიერთობ?**

— მატყუარა, ფარისეველ და უმადურ ადამიანებთან ვერ ვამყარებ კონტაქტს. არც ამბიციური ადამიანები მიყვარს.

— **თვითონ თუ ხარ ამბიცური? მაგალითად, უარი გითქვამს კონცერტში მონაწილეობაზე იმის გამო, რომ იქ არაპროფესიონალები გამოდიან?**

— კი. მაგრამ ეს ამბიცია არ არის, ეს — იმიჯია, შენი იმიჯი. არის კონცერტები, სადაც არ უნდა გამოხვიდე, არ არის საჭირო. მე ყოველთვის წინასწარ ვკითხულობ, ვინ მონაწილეობს და თუ ერთ-ერთი მათგანი მაინც არ მომწონს, არ გამოვალ.

— **ერთი მომღერალი მაინც დამისახელე, ვისთან ერთადაც სცენაზე არ დადგები.**

— არა, მაგას ვერ გეტყვი (*იცინის*).

— **შანტაჟი მოუწყვიათ შენთვის?**

— კი.

— **რით შეიძლება, შეაშინო თამთა?**

— ვერაფრით. არაფერი გამიკეთებია ცხოვრებაში ისეთი, რომ შემეშინდეს.

— **მაშ, რის საფუძველზე მოგიწყვეს შანტაჟი?**

— ეს იყო 2-3 თვის წინ, მირეკავდნენ და მეუბნებოდნენ, რომ ჩემი სკანდალური ფოტოები ჰქონდათ და თუ გარკვეულ თანხას არ გადავიხდიდი, ახალი ყვითელი ჟურნალის გარეკანზე დაბეჭდავდნენ. კარგად ვიცოდი, რომ ასეთი ფოტოები არ არსებობს, მაგრამ იმ ვიღაცამ ძალიან შემაწუხა, ყოველდღე მირეკავდა, ეს-ემ-ესებს მიგზავნიდა... ბოლოს შეურაცხყოფაზე გადავედი და გაჩერდა.

— **შენი საყვარელი ადამიანი შენს უახლოეს მეგობართან რომანტიკულ გარემოში რომ ნახო, რას მოიმოქმედებ?**

— ვაიმე, რატომ უნდა ვნახო (*იცინის*)?.. გააჩნია, როგორ მდგომარეობაში მაქვს იმწუთას ნერვული სისტემა.

— **სწორედ ეგ მაინტერესებს — გაუძლებს ამ სურათს შენი ნერვული სისტემა?**

— არ ვიცი. შეიძლება, თავში ჩავარტყა ორივეს რაღაცა, შეიძლება, ჩემი ნატურიდან გამომდინარე, ძალიან მშვიდად დავტოვო იქაურობა. მერე გამოვიძიებ, რა თქმა უნდა, რაშია საქმე.

— **ვისგან უფრო გეწყინება ღალატი?**

— რა თქმა უნდა, მეგობრისგან. კაცი, აბა.....

— შენლა აკლდი დამცველად.

— (*იცინის*) ჰო, რა. კი არ ვიცავ. პრინციპში, ორივეს მხრიდან მძიმე გადასატანი იქნება, მაგრამ მგონია, რომ ქალისგან უფრო მეწყინება.

— თუ ეთანხმები მოსაზრებას, რომ — „კაცია და რა მოხდა, თუ უღალატა?!“

— არა, ამიტომ არ მითქვამს, კაცია-მეთქი, რომ ეპატიება; უბრალოდ, მამაკაცები უფრო ხშირად უშვებენ ასეთ შეცდომას.

— უღალატიათ შენთვის?

— კი და არაერთხელ.

— მერე, მიეჩვიე უკვე თუ როგორაა შენი საქმე?..

— რომ არ ვარ მიჩვეული, იმიტომ ვარ მარტო (*იცინის*).

— თვითონ რამდენად ერთგული ხარ?

— ძალიან ერთგული ვარ და ამიტომაც ვერ ვაპატიებ ღალატს. საშინელი თვისება მაქვს: რაღაც რომ მწყინს, არაფერს ვარკვევ, უბრალოდ, ვამთავრებ ურთიერთობას. მერე ვფიქრობ, რომ რაღაცების პატიება შეიძლებოდა და ცხელ გულზე არ უნდა მიმეღო გადაწყვეტილება, მაგრამ მერე ისევ ასე ვიქცევი. საშინლად აფექტური ადამიანი ვარ. მერე მავიწყდება წყენა, ბოლომდე არავის ვკარგავ, მაგრამ მქონია შემთხვევები, როცა 3-4 წელი უახლოეს მეგობარს არ დავლაპარაკებივარ.

— როგორი დიასახლისი ხარ?

— კარგი-მეთქი, ვერ ვიტყვი, რადგან საჭმელების კეთება არ ვიცი, მაგრამ დანარჩენი ყველაფრის გაკეთება მიყვარს: ჭურჭლის რეცხვაზე ვგიჟდები, სახლის დალაგებაზეც არ ვამბობ უარს. აი, გარდერობის დალაგება კი მეზარება ყველაზე მეტად. საჭმელს ძირითადად, ჩემს შვილს ვუკეთებ. ელისაბედი 4 წლისაა.

— როგორი დედა ხარ?

— იდეალური არა ვარ, მაგრამ ვცდილობ, კარგი დედა ვიყო. ბევრი დრო არ მრჩება მასთან საურთიერთობოდ, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ჩემი პროფესია ძირითადად, საღამოს უკავშირდება, მთელ დღეს, ფაქტობრივად, ბავშვთან ვატარებ. კვირაში ერთხელ სადმე სასეირნოდ მივდივართ. კინოში მამასთან ერთად უყვარს სიარული, ტრადიცია აქვთ ასეთი. მე უფრო, გასართობ ცენტრებში დამყავს, მეგობრებთან.

— შენ როგორი ბავშვი იყავი? გგავს შვილი?

— არა, ხასიათით მაინც მამას ჰგავს. ცელქი არ არის.

— პუნქტუალური თუ ხარ?

— ძალიან. თითქმის არასდროს არსად ვაგვიანებ და თუ ასეთი შემთხვევა მოხდა, ძალიან ვნერვიულობ.

— რა არ მოგწონს შენს ხასიათში?

— სიზარმაცე. ზარმაცი რომ არ ვყოფილიყავი, ბევრს მივაღწევდი ცხოვრებაში.

— რაიმე თუ მოგიპარავს?

— ბავშვობაში მეზობლის ღობეზე გადავძვრებოდი ხოლმე და თხილს ვიპარავდი. ძალიან მიყვარს თხილი, სიმინდი. უმ სიმინდს ვჭამდი.

— მართლა?! კუჭი როგორ გაქვს?

— ახლა ცუდად და მაშინ კარგად მქონდა (*იცინის*).

— დილით მაღვიძარა გაღვიძებს თუ უმაგისოდაც ახერხებ?

— რომ ვიღვიძებ, მაგ დროს დილა აღარ ჰქვია: დღეს 2 საათზე გავიღვიძე, დილის 9 საათზე დავბრუნდი სახლში და ხომ უნდა გამომეძინა?!. თუ დილით საქმე არ მაქვს, დაახლოებით 12 საათზე ვიღვიძებ, ოღონდ — მაღვიძარას გარეშე.

— საყიდლებზე სიარული გიყვარს?

— ძალიან, ეს ჩემი სისუსტეა. ერთი ნივთიც რომ შევიძინო, საკმარისია იმისთვის, რომ იმ დღეს კარგ ხასიათზე ვიყო.

— ქუჩაში შენთვის სრულიად უცხო მამაკაცმა ქათინაური რომ გითხრას, რას უპასუხებ?...

— ქათინაურებზე ვგიჟდები. თუ ადამიანი ამბიციური არ არის და იმას არ ფიქრობს, — ისედაც ვიცი, ლამაზი რომ ვარ და შენი თქმა რაღაში მჭირდებაო?! — ყველა ქალს სიამოვნებს კომპლიმენტი. ყველაზე მეტად, სწორედ უცხო ადამიანებისგან მიხარია კომპლიმენტები, — მართალია და იმიტომ. ერთი საათის განმავლობაში მაინც ვიქნები ძალიან ამაყი.

— თავად რამდენად იოლად არიგებ კომპლიმენტებს?

— მემეტება, როცა ვხედავ, რომ ადამიანი მართლა ამის ღირსია. არ მრცხვენია, ვაღიარო ვიღაცის სილამაზე, თუნდაც ჩემი მტერი იყოს.

— გყავს მტრები?

— ალბათ მყავს. აუცილებელი არ არის, ვიღაცამ ფეხი გამოგდოს და წაგაქციოს, — თვალებში ეტყობა ადამიანს, თუ როგორ არის შენ მიმართ განწყობილი.

— როგორ გგონია — ძლიერი ქალი ხარ?

— არა. ყველა ამბობს, რომ ძლიერი ვარ, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. არ ვიცი, როგორი უნდა იყოს ძლიერი ქალი, მაგრამ ჩემნაირი არ უნდა იყოს, ასე მგონია.

— თამთა, დღეს მარტო ხარ?

— მარტო ვარ, სამწუხაროდ. არ მიყვარს მარტო ყოფნა (*იღიმის*) და თითქმის სულ მარტო ვარ...

— ჭორებზე როგორ რეაგირებ?

— რამდენიმენაირი ჭორი არსებობს: ბოროტი, სულელური, სასაცილო და სიმართლენარევი. ჩემთან დაკავშირებით, ჭორები ყოველთვის მამაკაცებს უკავშირდება.

— ბრაზდები?

— არა.

— რატი დურგლიშვილთან რომ „დაგაწყვილეს“, არც ამაზე გაბრაზდი?

— არა. ჩვენ მეგობრები ვართ და არც გაგვიკვირდა, რომ ეს თემა „განავრცეს“, იმდენად ხშირად ვჩნდებით ერთად....

— ეი. ის ამბავი, რომ რატის ოჯახში მუდმივად კამათი აქვს

მშობლებთან იმის გამო, რომ შენი რძლობა არ უნდათ, ტყუილია?

— ჰო, ასე დაწერეს ერთ-ერთ ჟურნალში (*იცინის*)... ტყუილია, ტყუილი.

— საქორწილო კაბა სად წაიღე, „ქორწილისთვის რომ შეგიკერავს“?

— შენახული მაქვს კარადაში (*იცინის*), მომავალ ქორწილს ელოდება, მაგრამ — არა რატისთან.

— თუ არის დღეს შენს ცხოვრებაში ადამიანი, ვისთანაც ოჯახის შექმნაზე შეიძლება იფიქრო?

— არა.

— ასაკის მატება ქალებში დეპრესიას იწვევს, შენს შემთხვევაში როგორაა?

— ამაზე ადრე არასდროს მიფიქრია. ამ ბოლო დროს დამეწყო, ალბათ ასაკის ბრალია.

— რამდენი წლის ხარ?

— 27-ის, არც ისე პატარა ვარ... ■

უქმროდ დარჩენილი ჰოლი ბერი მალე ქალიშვილსაც დაკარგავს



43 წლის „ოსკაროსანი“ ჰოლი ბერი მარტო დარჩა — შეყვარებულს, გაბრიელ ობრის დაშორდა. წყვილი 2005 წლიდან ერთად ცხოვრობდა. მსახიობს განშორების სიმწარე ადრეც უგემია. მისი პირველი შეყვარებული, კალათბურთელი დევიდ ჯასტინსი ჰოლის ხშირად ღალატობდა, მეორე შეყვარებული — მუსიკოსი ერიკ ბენეტი ყოფილ სატრფოს დაუბრუნდა, რაც პაპარაცების მახვილ მზერას არ გამოჰპარვია. ობრისთან დაშორების გამო ჰოლი კომენტარს არ აკეთებს, გაბრიელმა კი თავი ვერ შეიკავა და ჟურნალ People-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „დეტალებზე ვერ შევჩერდები, მაგრამ ძალიან მწყინს, რომ მე და ჰოლი ერთმანეთს დავშორდით“. ობრი ირწმუნება, რომ მისთვის ჰოლი სამუდამოდ, არაჩვეულებრივ ქალად, მათი ქალიშვილი კი — მისთვის უძვირფასეს ადამიანად დარჩება. „მისი ბედნიერება ჩვენთვის ყველაზე მთავარია“, — ამბობს მოდელი. გაბრიელზე 10 წლით უფროს ჰოლი ბერის პირველი შვილის — ნალას ჩასახვამდე უამრავი ორსულობის ტესტის ჩატარება დასჭირდა. მსახიობმა პირველი ქმრის, ერიკ ბენეტის ქალიშვილი ინდიაც იშვილა და ახლა ორი შვილის დედაა.

ახლა როდესაც ჰოლი ბერი მარტო დარჩა, გაბრიელს აღარ მოსწონს, რომ მის ყოფილ შეყვარებულსა და ქალიშვილს პაპარაცები ფეხდაფეხ დაჰყვებიან. მამას მიაჩნია, რომ ამის გამო მისი შვილი მორალურად ზარალდება, ამიტომ ჰოლივუდიდან შორს, მშობლიურ კანადაში მისი წაყვანა სურს და ამბობს, რომ ჰოლის მხრიდან წინააღმდეგობის შემთხვევაში, სასამართლოს მიმართავს. ■

უიტნი ჰიუსტონი ძალიან გასუქდა

უიტნი ჰიუსტონის რომაელი თაყვანისმცემლები გაოგნებული არიან: მომღერალი ისე გასუქდა, რომ მისი ცნობა თითქმის შეუძლებელია. ფანატები, რომლებიც მომღერლის სცენაზე დაბრუნებას რამდენიმე წლის განმავლობაში მოუთმენლად ელოდნენ, უიტნის გარეგნობითა და ვოკალური მონაცემებით იმედგაცრუებულნი დარჩნენ. როგორც ჩანს, მომღერლის ცხოვრებაში რთული პერიოდია. გულწრფელად შეცბუნებული მსმენელის წინაშე უიტნი შავ შარვალსა და ჟაკეტში გამოწყობილი წარდგა... შესაძლოა, მის გარეგნობაზე ჯანმრთელობის პრობლემები აისახა. მაგალითად, ამ გაზაფხულს, პარიზში დაგეგმილი კონცერტი მწვავე რესპირატორული ინფექციის გამო ვერ ჩაატარა; შემდეგ, ქალაქ ბრისბანში (ავსტრალია) გამართულ კონცერტზე 2 სიმღერა შეასრულა და სუნთქვა შეეკრა, რასაც, სულის მოსათქმელად, 20-წუთიანი შესვენება მოჰყვა; ამ დროს მომღერალი სცენაზე ძმამ, ბარიმ შეცვალა; სცენაზე დაბრუნებულმა ჰიუსტონმა 6 სიმღერა შეასრულა და გამოსვლა ცნობილი ჰიტით — I Will Always Love You — დაასრულა, მაგრამ სიტყვები ავიწყდებოდა და ნოტები ეშლებოდა... ვარსკვლავის საკონცერტო დირექტორმა აღნიშნა, რომ თაყვანისმცემელთა კრიტიკის გამო გაოცებული დარჩა. „თუმცა ოდნავ ხრინწიანი ხმა ჰქონდა, მაგრამ უიტნიმ თითქმის ყველა ნოტი სწორად აიღო. ჯანმრთელობის მდგომარეობა ნორმალური აქვს, მაგრამ ის ხომ 22 წლის აღარ არის!“ მსმენელთა ერთმა ნაწილმა დარბაზი კონცერტის დასრულებამდე დატოვა და ორგანიზატორებისგან ბილეთის საფასურის დაბრუნებაც კი მოითხოვა... ■

გვენ სტეფანი კვლავ ორსულადაა

ჯგუფის No Doubt ვოკალისტი გვენ სტეფანი მესამე შვილის დაბადებას ელოდება. მომღერლის მენეჯერები ამ ინფორმაციას ოფიციალურად ჯერჯერობით არ ადასტურებენ, მაგრამ ამერიკული ტაბლოიდები პოპვარსკვლავის მდგომარეობის შესახებ უკვე ბევრს წერენ. მკითხველს შევახსენებთ, რომ 40 წლის გვენისა და მისი მეუღლის, როკჯგუფის — Bush — ყოფილ ფრონტმენ გევინ როსდეილს ოჯახში უკვე 2 შვილი — 3 წლის კინგსტონი და წლინახევრის ზუმა იზრდება. მომღერალი ადრეც ამბობდა, რომ დიდ ოჯახზე ოცნებობს და 2 შვილზე შეჩერებას არ აპირებს. „ადრე ვერ წარმოვიდგენდი, რომ დედობა ამხელა ბედნიერების მომტანი იქნებოდა, მაგრამ შვილების აღზრდა უდიდესი პასუხისმგებლობაცაა. ზოგჯერ თავს დროისა და სივრცის მიღმა ვგრძნობ. ძალიან მინდა, ბევრი შვილი გავაჩინო, მაგრამ ამის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია, — ეს სასწაული ზეციდან გვეძლევა. მაინც მგონია, რომ ზუმა ჩვენი ოჯახის ნაბოლარა შვილად დიდხანს არ დარჩება!“ ამჟამად გვენ სტეფანი და მისი კოლეგები სტუდიაში ჯგუფის — No Doubt — ახალი ალბომის ჩაწერით არიან დაკავებული. როგორც ცნობილია, კოლექტივის ბოლო ნამუშევარი — Rock Steady — 2001 წელს გამოვიდა. ■

ჯუდ ლოუ და სიენა მილერი ზაფხულში დაქორწინდებიან

ჯერ კიდევ ერთი თვის წინ გახდა ცნობილი, რომ ჯუდ ლოუმ სიენა მილერს ხელი და გული კვლავ შესთავაზა და თანხმობაც მიიღო. წყვილს ზედმეტი აჟიოტაჟის თავიდან აცილება სურს, მაგრამ მომავალი ქორწილის ზოგიერთი დეტალი მაინც გახმაურდა. ჯვრისწერის ცერემონია ზაფხულში, ინგლისში, გლოსტერშირის საგრაფოში გაიმართება. 28 წლის საპატარძლო „ბოჰემური სტილის“ ქორწილზე ოცნებობს და სიენამ დას, სავანას კაბის დიზაინის შექმნა დაავალა. „მათ არ სურთ ქორწილის შესახებ ოფიციალური განცხადების გაკეთება, მაგრამ უახლოესმა მეგობრებმა უკვე იციან, რომ ზაფხულში იქორწინებენ. სიენა გამოტყდა, რომ მას სხვა, მართლაც რომ თავბრუდამხვევი ახალი ამბებიც აქვს, მაგრამ ამჟამად ამის შესახებ სასაუბროდ მზად არ არის“, — განაცხადა ვარსკვლავის ერთ-ერთმა ახლობელმა. ჯუდი და სიენა ქორწილს ნიუ-იორკშიც გადაიხდიან და შეუღლების შემდეგ იქვე დასახლდებიან. როგორც ცნობილია, მათ შორის სერიოზული ურთიერთობა ჯერ კიდევ 2003 წელს დაიწყო. წყვილი შეუღლებასაც აპირებდა, მაგრამ ამას ჯუდის ღალატმა შეუშალა ხელი — ლოუმ სატრფოს, პირველ ცოლთან შეძენილი შვილების ძიძასთან უღალატა. როგორც ჩანს, ახლა წყვილმა 4 წლის შემდეგ დაშვებული შეცდომის გამოსწორება და დაქორწინება გადაწყვიტა. „ყველა უთანხმოება წარსულში დატოვეს და მომავალზე ფიქრი სურთ. ჯუდმა პირობა დადო, რომ მათ შორის გაუგებრობა აღარ იქნება, სიენამ კი საქმროსგან პატიოსნება და გულახდილობა მოითხოვა“.

■

უმა თურმანი სახლს ყიდის

უმა თურმანი იმ ვარსკვლავთა რიგს შეუერთდა, რომლებიც იძულებულნი არიან, მდიდრულ ბინებს, სახლებსა და სასახლეებს გამოეთხოვონ. უმამ, ნიუ-იორკში მდებარე ხუთსართულიანი სახლი, რომლის 450 კვმ ფართობზე 7 საძინებელი ოთახი და 6 აბაზანაა განთავსებული, გასაყიდად გამოიტანა. თურმანის გარდა, ფინანსური პრობლემები ჰოლივუდის კიდევ რამდენიმე ვარსკვლავს შეექმნა: სკარლეტ იოჰანსონი ლოს-ანჯელესში, ჰოლივუდის ბორცვზე მდებარე სახლს 4,95 მლნ დოლარად ყიდის; ბენ აფლეკმა ცოტა ხნის წინ, ასევე ლოს-ანჯელესში მდებარე სახლი 30%-იანი ფასდაკლებით გაყიდა; მელ გიბსონი კონეკტიკუტში მდებარე მამულს გამოეთხოვა და ამ გარიგებაში თითქმის 10 მლნ დოლარი დაკარგა, რადგან ქონების თავდაპირველი ფასი 39,5 მლნ იყო, მაგრამ 3 წლის განმავლობაში მყიდველი არ გამოჩნდა და საბოლოოდ, გიბსონი 29,5 მლნ-ს დასჯერდა; ბრიტნი სპირსი ბეივერლი-ჰილზზე მდებარე სახლის მყიდველს ეძებს; ლინდსეი ლოხანმა ნიუ-იორკის ყველაზე პრესტიჟულ რაიონში მდებარე ბინის შენახვა ველარ შეძლო და უძრავი ქონება სასაცილო ფასად — საწყისზე ექვსჯერ ნაკლებად, სულ რაღაც 1,2 მლნ დოლარად გაყიდა... მაგრამ ყველაზე მძიმე მდგომარეობა მაინც, ნიკოლას კეიჯს შეექმნა. გაკოტრებული მსახიობი იძულებულია, რამდენიმე ობიექტი, მათ შორის — ციხე-კოშკი ინგლისში და საკუთარი კუნძული გაყიდოს, რათა საგადასახადო სამსახურის წინაშე დაგროვილი ვალი — 7 მლნ დოლარი გადაიხადოს. ■

რუბრიკა მოამზადა **ნატო მანჯავიძემ**

ავტოავარიის შედეგად ეტლს მიჯაჭვული გოგონას აქტიური ცხოვრება

„ჩემი თვითმიზანი ფეხზე გავლა არ არის!..“

„მინდა, ყველაფერს დამოუკიდებლად ვაკეთებდე და მიუხედავად იმ დაბრკოლებებისა, რომელსაც ყოველდღიურად ვაწყდები, მე ეს გამომდის“, — ამბობს 28 წლის ნატა სადრაძე. 4 წელია, რაც ეტლს მიეჯაჭვა, მაგრამ საკუთარი თავის რეალიზებაში ეს სულაც არ უშლის ხელს. ამჟამად საჯარო რეესტრში მუშაობს, აქვს მცირე ბიზნესიც. ნატა მიღწეულით არასდროს კმაყოფილდება — ისახავს მიზანს და მის მისაღწევად იბრძვის. გოგონას ყოველი დღის გათენება უხარია, დადის პაემანზე...

თამუნა კვინიკაძე

— ბათუმში დავიბადე და გავიზარდე. 20 წლის ვიყავი, როცა საცხოვრებლად თბილისში გადმოვედი და უნივერსიტეტში, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტზე ჩავაბარე. III კურსზე გახლდით, როცა ავტოავარიაში მოვყევი და სწავლის დასრულება ვეღარ შევძელი.

— იმ დღის გახსენება ძალიან გიმძიმს?

— მეგობართან ერთად კუს ტბაზე ვიყავი და უკან რომ ვბრუნდებოდით, ხეს შევეჯახეთ. მახსოვს, მანქანიდან დამოუკიდებლად გადმოვედი და შევეცადე, ფეხზე წამოვმდგარიყავი, მაგრამ წავიქეცი, ქვედა კიდურებში შეგრძნება დავკარგე. რაც შეეხება ჩემს მეგობარს, მან ტვინის შერყევა (მსუბუქ ფორმაში) მიიღო.

— ექიმმა რა დიაგნოზი დაგისვა?

— გულმკერდის მე-12 მალის მოტეხილობა მქონდა. საავადმყოფოში ძალიან ცუდი ექიმი შემხვდა — თურმე საოპერაციო არ ვიყავი და ფულის გამო გამჭრა; შემდეგ სხვა კლინიკაში გადავედი და როცა იქაურმა ექიმმა რენტგენის სურათი ნახა, ლამის გაგიჟდა — ამ მდგომარეობაში ოპერაციის ჩატარება არ შეიძლებოდა, დაჭიმვა უნდა გაეკეთებინა, ქირურგიული ჩარევა საჭირო არ იყოო.

— პირველმა ექიმმა რა გითხრა, რის ოპერაციას გიკეთებო?

— მოტეხილი მალა ზურგის ტვინს აწვებოდა და მითხრა, — ამ მალას გაგისწორებო. საოპერაციოში შესვლამდე მუხლებს ვშლიდი, ვხრიდი. მოკლედ, ფეხს ვამოძრავებდი, უბრალოდ, მუხლს ქვემოთ და კოჭებში შეგრძნება მქონდა დაკარგული. ოპერაციის შემდეგ, იმის ნაცვლად, რომ შვება მეგრძნო, წელს ქვემოთ საერთოდ გავითიშე. სახლში 3 თვე ვიწექი, შემდეგ ღუდუშაურის კლინიკაში წავედით, სადაც გატეხილი მალა ამომიღეს და პლასტმასის ჩამიდგეს.

— ფეხზე გავლის შანსი არსებობს?

— შანსი არის, მაგრამ ვარჯიშია საჭირო. მეორე ოპერაციის შემდეგ ყირიმში, სარეაბილიტაციო ცენტრში გავემგზავრე, სადაც ტრენაჟორებზე დამოუკიდებლად ვვარჯიშობდი, ფეხზე წამოდგომა შევძელი, მაგრამ თბილისში დაბრუნების შემდეგ ისე ვეღარ ვივარჯიშე, როგორც საჭირო იყო...

— ყირიმში რამდენი დღე იყავი?

— 45 დღე. იქ რეაბილიტაციის კურსის გავლა ძალიან ძვირი ღირს, სახელმწიფო კი გადარიცხვას არ აკეთებს. ყირიმიდან სრულიად სხვა ადამიანი ჩამოვედი, ბინა ვიქირავე და დამოუკიდებელი ცხოვრება დავიწყე. კოალიციაში — „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ — ინვალიდობის გაცნობიერების თემაზე სხვადასხვა ჯგუფთან — ჟურნალისტებთან, სტუდენტებთან, პატრულისა და ქალაქის კეთილმოწყობის თანამშრომლებთან სემინარები ჩავატარე; მოგვიანებით, საჯარო რეესტრში დავიწყე მუშაობა. სხვათა შორის, ამ სამსახურში ინვალიდობის მქონე 30-მდე ადამიანი დაასაქმეს.

— საჯარო რეესტრში რას საქმიანობ?

— მარკეტინგის განყოფილების ასისტენტი ვარ. სამსახურში ყოველდღიურად არ დავდივარ, დაინტერესებულ პირს კონსულტაციას ტელეფონით ვუწევ — დღეში 10-დან 30-მდე ზარს ვპასუხობ.

— საჯარო რეესტრში აღებული ხელფასი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საკმარისია?

— რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის, რადგანაც ვიხდი ბინის ქირას, კომუნალურ გადასახადებს, მანქანაც განვადებით შევიძინე. ჰოდა, ამიტომაც, მცირე ბიზნესი წამოვიწყე — გავხსენი საცხობი, სადაც 4 ადამი-

ანი უკვე დავასაქმე.

— **აქტიური ადამიანი ხარ. როგორც ვიცი, პარალელურად, სხვადასხვა პროექტზეც მუშაობ...**

— აქტიური ადამიანი ნამდვილად ვარ! უსაქმოდ, უმოქმედოდ ყოფნა არ შემიძლია. ბავშვობიდანვე დამოუკიდებელი ვიყავი, ახლა კი ეს თვისება გაორმაგებული მაქვს. რატომ უნდა ელოდო, როდის მოგცემს ვინმე ფულს? თუნდაც, ის ვინმე შენი ოჯახის წევრი იყოს. ზუსტად ვიცი, მილიონერი მეუღლეც რომ მყავდეს, ჩემი საქმე აუცილებლად მექნება — საკუთარი შრომითა და წვალებით აღებულ ფულს უფრო „გემრიელად“ დავხარჯავ.

— **ნატა, შენი ოჯახი ბათუმში ცხოვრობს?**

— არა, თბილისში არიან. დედა-ჩემის ბინა ხუთსართულიანი სახლის III სართულზეა. იქ დამოუკიდებლად ასვლა-ჩამოსვლა მიჭირს და ამიტომაც, იძულებული ვარ, ბინა ვიქირაო. ორი და და დისშვილები მყავს. მამა ბათუმშია, ჩვენთან ერთად არ ცხოვრობს.

— **როცა გააცნობიერე, რომ ველარ გაივლიდი, სასოწარკვეთის მომენტი თუ გქონდა?**

— არანაირად! დეპრესიაც კი არ მქონია. მაშინ ვიცოდი, რომ ეს მდგომარეობა დროებითი იყო... 9 თვე ვიწექი და როგორც კი დაჯდომა შევძელი, ყირიმში გავემგზავრე. იქ იმდენი ეტლიანი ადამიანი ვნახე, რომ გაოცებული ვამბობდი, — ეს რამდენი ვყოფილვართ-მეთქი?! უბრალოდ, გული მწყდება, როცა ჩვენ უნარშეზღუდულებს გვიწოდებენ. რაღაც უნარში ნებისმიერი ადამიანი შეზღუდულია. მაგალითად, ყველას არა აქვს სიმღერის, ხატვის, ცეკვის ნიჭი...

— **სანამ ინტერვიუს ჩაწერას დავიწყებდით, მითხარი, — იმ დაბრკოლებების მიუხედავად, რომელსაც ყოველდღიურად ვაწყდები, ვცდილობ, ყველაფერს მივაღწიო. რა სახის დაბრკოლებას აწყდები ხოლმე?**

— დავიწყოთ იმით, რომ დამოუკიდებლად ყველგან ვერ შევდივარ. უკვე გითხარი, რომ მანქანა შევიძინე. ჰოდა, ხშირია შემთხვევა, როცა სახლამდე მივდივარ და ნახევარსაათიანი ლოდინი მიწევს, რადგან სადგომზე ჩემი ადგილი დაკავებულია. მოკლედ, ვიდრე პატრული არ მოვა, სახლში ვერ შევდივარ; ძალიან დამთრგუნველია საზოგადოების დამოკიდებულებაც — ქუჩაში ეტლით 2 წუთი რომ გავჩერდე, გამვლელები ხურდა ფულს მიყრიან. რამდენიმე დღის წინ ერთმა კაცმა სიბრალულით მითხრა: შვილო, ფული არა მაქვს, თორემ დაგეხმარებოდიო. ვუპასუხე: — მე მაქვს, რამდენი მოგართვათ-მეთქი (*იცინის*)?!.

— **კარგია, რომ ამ ყველაფერს იუმორით უყურებ.**

— მე ვიცნობ პიროვნებას, რომელიც 10 წელია, ინვალიდია და ამ ხნის მანძილზე სახლიდან მხოლოდ 2-ჯერ გამოვიდა. ეს ადამიანი სწორედ საზოგადოების დამოკიდებულების გამოა დათრგუნვილი.

— **ინვალიდობის სტატუსის მქონე ადამიანების პრობლემებზე არაერთი ცენტრი და ორგანიზაცია მუშაობს. რეალურად ვინმე რამეს აკეთებს?**

— (*იცინის*) ფულს „აკეთებენ“. ყველაზე ნაყოფიერად „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ მუშაობს, მაგრამ ეს მხოლოდ 10%-ია იმისა, რაც უნდა გაკეთდეს.

— **შენზე რომ იყოს დამოკიდებული, რას შეცვლიდი?**

— კანონმდებლობაა დასახვეწი. ჯანდაცვის სამინისტრო ბევრს რომ გაჰყვირის — ყველა შენობა ადაპტირებული უნდა იყოსო, ორი ადამიანი თუ არ დამეხმარა, მათ შენობაში ვერ შევდივარ. კურიოზია, არა?!

— **შენი ხვალინდელი დღე როგორ წარმოგიდგენია?**

ბილიარდის თამაში მიყვარს და მეგობრებთან ერთად ღამის კლუბებშიც დავდივარ

— ჩემი თვითმიზანი ფეხზე გავლა არ არის!

— **ასეთ პასუხს არ ველოდი!..**

— რა თქმა უნდა, მინდა გავიარო, მაგრამ ამაზე არ ვოცნებობ, ბევრი სხვა ოცნება მაქვს...

— **მაინც, რაზე ოცნებობ?**

— ახლა ლონდონში წასვლა მინდა. როგორც ტურისტი, ისე ჩავალ, დავათვალიერებ და დავბრუნდები. თბილისის გარდა, სხვაგან ვერსად ვიცხოვრებ.

— **ოჯახის შექმნაზე თუ ფიქრობ?**

— გათხოვილი ვიყავი — ეს ნაბიჯი ადრეულ ასაკში, დაუფიქრებლად, გრძნობას აყოლილმა გადავდგი და ერთმანეთს მალევე დავშორდით...

— **შენი ყოფილი მეუღლე ახლა სად არის? დაინვალიდების შემდეგ არ მოგინახულა?**

— რუსეთშია. ბოლოს 8 წლის წინ ვნახე... ჩემი ამბავი გაიგო თუ არა, არ ვიცი. მგონი, ამ ხნის მანძილზე არც ჩამოსულა. ახლა ოჯახს თუ შევქმნი, აუცილებლად, ასაკით ჩემზე დიდს, ჭკვიან კაცს გავყვები ცოლად.

— **ასეთი პიროვნება შენს ცხოვრებაში უკვე არსებობს?**

— ვხვდები ადამიანს, რომლისგანაც სიყვარულსა და პატივისცემას ვგრძნობ. ოჯახის შექმნას ახლო მომავალში არ ვაპირებ.

— **თავისუფალ დროს როგორ ერთობი?**

— ბილიარდის თამაში მიყვარს და მეგობრებთან ერთად ღამის კლუბებშიც დავდივარ. ადრე მოცეკვავე ვიყავი, ლათინურ-ამერიკულ ცეკვებზე ვგიჟდები. ახლაც, როცა რესტორანში ვარ, მუსიკის ხმის გაგონებაზე ცეკვა მინდება, ერთ ადგილზე გაჩერება არ შემიძლია და ეტლს ვატრიალებ, წინ და უკან დავდივარ — ეს ჩემი ახლებური „ცეკვაა“. ჰოდა, რამდენჯერმე ამოვყირავდი კიდეც (*იცინის*)... ზაფხულობით ბუნებაში ხშირად გავდივარ. არაგვის ხეობაზე ვგიჟდები, ნატახტარში და დუშეთშიც ხშირად ვარ, წყნეთშიც ავდივარ ხოლმე — აი, ასეთი აქტიური ცხოვრებით ვცხოვრობ. წლევანდელი ზაფხული ჯერ არ დამიგეგმავს, მაგრამ ვიცი, რომ საკუთარ თავს არაერთ დაუვიწყარ დღეს ვაჩუქებ.

■

„სამმანეთიანი“ ქალი

მარი ჯაფარიძე

1982 წლის შემოდგომა იდგა. სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი ანდრო შინ ბრუნდებოდა. ის 2 წელი ავღანეთში, კერძოდ — ყანდაგარში, საღანგის უღელტეხილზე მსახურობდა. ქაბულიდან ტაშკენტში ჩაფრინდა, რადგან თბილისში პირდაპირი რეისი არ იყო. ღამის გათენება აეროპორტში უწევდა, ვინაიდან თბილისისკენ თვითმფრინავი მხოლოდ დილისთვის იყო დანიშნული. ანდრომ კარგა ხანს მოსაცდელ დარბაზში იტრიალა, მაგრამ დასაჯდომი ადგილიც კი ვერ ნახა და გარეთ გასვლა ამჯობინა. კართან გაჩერდა, ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ახედა და გრილი ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა.

„ავღანეთშიც ისეთივე ცაა, როგორიც აქ და თბილისშიც“, — გაიფიქრა და გული დასწყდა, რომ მშობლიურ ქალაქში დილამდე ვერ ჩავიდოდა.

ამ დროს მას 30-ოდე წლის შავგვრემანი მამაკაცი მიუახლოვდა. ჯარისკაცმა კარგა ხნის წინ შენიშნა, რომ ის უცნაურად იქცეოდა, გარშემო უტრიალებდა და ინტერესით ათვალიერებდა.

უცნობმა რაღაცნაირი, დახშული ხმით ჰკითხა:

— ჯარისკაცო, ქალი გინდა? — თან ეტყობოდა, ძალიან ნერვიულობდა.

ანდრომ პასუხი დააყოვნა. გაოცებული უყურებდა უცნობ მამაკაცს და მოულოდნელად შეთავაზებულ წინადადებაზე ფიქრობდა.

— გარყვნილი ქალები არ მიზიდავს, — უთხრა და სახეზე ისეთი გრიმასა გამოესახა, რომლითაც ზიზღს გამოხატავდა.

უცნობ მამაკაცს კი საპასუხოდ, სახეზე თითქოს, ტკივილი აღებეჭდა.

— არა, წესიერი ქალია, გეფიცები, — ეტყობოდა, რომ გულახდილი იყო.

— ძნელი დასაჯერებელია, — თავი გააქნია ანდრომ.

— საქმე ის გახლავთ, რომ პირველად დგამს ასეთ ნაბიჯს, — მამაკაცს თითქოს შეაკანკალა და ყელში გაჩხერილი ბურთი გადაყლაპა. — დღეს პირველად აპირებს, მართლა გეუბნები! წესიერი, სუფთა ქალია. ნუ გაუშვებ ხელიდან ამ შანსს, შენ მისთვის პირველი... კლიენტი იქნები.

ანდრო დაფიქრდა და ცოტა არ იყოს, გულში ეჭვმა გაჰკრა: იქნებ მახეს უგებენ? გადაწყვიტა, რაიმე საპატიო მიზეზი მოეფიქრებინა და უარი ეთქვა.

— კეთილო კაცო, საქმა ისაა, რომ ფული არა მაქვს. შინამდე მისასვლელი ბილეთი უკვე ვიყიდე, დანარჩენი კი დავხარჯე, მხოლოდ ტაქსის ფული დავიტოვე, რომ აეროპორტიდან სახლამდე მივიდე. ეგაა და ეგ. სახლი და ოჯახი მომენატრა, თბილისი მომენატრა და მტკვარი... მიუხედავად იმისა, რომ დიდი სურვილი მაქვს, ტაქსის ფულს მხოლოდ 3 მანეთი შემიძლია, მოვაკლო. როგორც შენ ამბობ, ასეთი კარგი და წესიერი ქალი კი 3 მანეთად არ დამთანხმდება. რადგან ასეთ ნაბიჯს დგამს, ალბათ ფული სჭირდება, მე კი შესაბამისად ვერ გადავუხდი.

— დათანხმდება! — მოულოდნელი პასუხი გასცა მამაკაცმა. — 3 მანეთი სრულიად საკმარისია. მას ამ საქმის დაწყება ძალიან უჭირს, გარკვეული ბარიერი აქვს გადასალახავი და ამ ეტაპზე, მისთვის ფული ნაკლებად მნიშვნელოვანია. ხომ გესმის...

— ამას შენ ამბობ, თორემ იქნებ, მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია?! ჯერ მას ჰკითხე, — ისევ სცადა თავის დაძვრენა ჯარისკაცმა.

— მე შუამავალი ვარ და ამ საკითხზე წინასწარ შევთანხმდით. ისიც გავთვალეთ, რომ შეიძლებოდა, ასე მომხდარიყო. თანახმა იქნება, ამაში ეჭვი არ შეგეპაროს.

ანდროს ქვეცნობიერმა უცნობი მანდილოსნის იდუმალი კონტური მოხაზა და მამაკაცს სხეულში თბილმა ტალღამ დაუარა, ქალის სხეულის დაუფლების დაუოკებელმა სურვილმა შეიპყრო. 2 წელი ფაქტობრივად, ქალთან ალერსის სიამის გარეშე გაატარა. ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთი ვნებიანი ღამე ჰქონდა, მთიანი სოფლის ჯანმრთელ გოგოსთან, მეხრისთან. სოფელს ბოგი შამოლი ერქვა, რაც ქართულად „ქარიან ბაღს“ ნიშნავს. იქ მართლაც, სულ ქარი იყო და ხეები თითქმის უფოთლოდ იზრდებოდა — გაზაფხულზე ფოთლებს გამოისხამდა თუ არა, ქარი მაშინვე გააცლიდა და ტოტებს შიშვლად ტოვებდა.

— მაშასადამე, 3 მანეთზე თანახმა იქნება?

— ხომ გითხარი, ჯარისკაცო, რომ თანახმა იქნება. პირობას გაძლევ. მე მგონი, რაღაცის გეშინია. მერწმუნე, არაფერია საშიში.

სწორედ ამ სიტყვამ იმოქმედა ანდროზე. ის ვერ იტანდა სიმხდალეზე თუნდაც მცირე მინიშნებას.

სიტყვა „შიშმა“ ერთი ამბავი გაახსენა: ერთხელ, ავღანეთში, საბჭოთა ჯარისკაცებმა ცნობილი სისხლისმსმელი, მაკსუმ-ბეგი კლდის ძირში მიიმწყვდიეს. დუშმანი სისასტიკით გახლდათ ცნობილი და მის სინდისზე ბევრი საბჭოთა ჯარისკაცის სიცოცხლე იყო. მისი ბანდის ყველა წევრი გაანადგურეს, ის კი სისხლის ბოლო წვეთამდე იბრძოდა; მედესანტეებმა ალყაში მოაქციეს, მაგრამ უეცრად, რუსული გინება შემოესმათ — თურმე მაკსუმ-ბეგი რუსულს მშვენივრად ფლობდა.

— რუსი ძაღლები ხართ! შარვალში გადაცმული ქალები! მხდალებო! ყველანი მხდალები ხართ! მამათქვენივით ლაჩრები და მშიშრები!

მედესანტეებმაც გინება დაიწყეს, პასუხად კი მიიღეს:

— თუ მხდალები არა ხართ და „ქალებს“ შორის ერთი გულადი მამაკაცი მოიძებნება, გამოვიდეს და ერთი-ერთზე მეჩხუბოს, უიარაღოდ... გეშინიათ, მხდალებო?..

ანდრო მიხვდა, რომ დუშმანს ტყვიები გაუთავდა და ამ ხერხს იმიტომაც მიმართა. ეს აღმოსავლური ეშმაკობა გახლდათ... მას ვაჟკაცურად უნდოდა სიკვდილი... მაკსუმ-ბეგის წინადადებაზე დათანხმება სიგიჟე იყო, მაგრამ „სიმხდალის“ ხსენებამ მის თავმოყვარეობაზე იმოქმედა, მთელი ტანით წამოიმართა და წინ წადგა. მეგობრები ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ ვერ შეაკავეს.

* * *

...ისინი ერთმანეთს მხეცებივით ეკვეთნენ. თითქოს ორივეს პირველყოფილი ინსტინქტი მართავდა — მოჰკალი, რომ მან არ მოგკლას! ერთმანეთს ჩაეჭიდნენ, მიწაზე დაეცნენ და ისე იბრძოდნენ.

ფეხზე მხოლოდ ანდრო ადგა... სისხლიანი და მტვერში ამოგანგლული მაკსუმ-ბეგი მიწაზე დარჩა, თავი გვერდზე ჰქონდა გადაგდებული და გახელილი თვალებით ცას შეჰყურებდა... ანდროს წლების განმავლობაში, ძილშიც ესმოდა მისი კისრის მალების ხრჭიალის ხმა და ცივი ოფლიც ასხამდა; ისეთი შეგრძნება ეუფლებოდა, თითქოს, ხელები სისხლით ჰქონდა მოსვრილი...

* * *

ახლაც, სიტყვა „შიშმა“ თავისი გაიტანა და გადაწყვეტილება მიაღებინა.

— ნუ, კარგი, რადგან 3 მანეთი საკმარისია, მაშინ წავიდეთ. სადაა შენი ნაქებარი ქალი?

— მე მიგიყვან მასთან, მანქანით ვარ, — თითქოს შვებით ამოისუნთქა მამაკაცმა. — აქვეა, 10 წუთის სავალზე. ნუ გეშინია.

ბოლო სიტყვებმა ანდროს ეკალივით უჩხვლიტა გულზე. უხმოდ დაჯდა მძღოლის გვერდით და მანქანა ადგილიდან დაიძრა. ჯარისკაცი თავს იმშვიდებდა, — თუ ვინმე თავდასხმას დამიპირებს, საკადრის პასუხს გავცემო. ანდროს ჯიბეში ალესილი დანა ედო და საკუთარი თავის იმედიც ჰქონდა — ხელ-ფეხს „ცივი იარაღივით“ ხმარ-

ობდა. მოკლედ, მასთან შეხვედრა მტრისთვის სიკეთით არ დასრულდებოდა.

* * *

ქალაქგარეთ გავიდნენ. მანქანა ალვის ხეების ხეივანში მიქროდა. 10 წუთის შემდეგ პატარა, ერთსართულიანი, ხილის ბაღში ჩაფლული სახლებიც გამოჩნდა.

მამაკაცმა მანქანა ერთ-ერთ კოხტა სახლთან გააჩერა და ანდროს ეზოში შეუძღვა. სახლი დაწკრიალებული იყო, სუფრა — გაშლილი. როგორც ჩანს, მათ ელოდნენ.

— ერთი წუთით მოიცადე, ახლა გამოვა და გაგაცნობ, — თქვა მამაკაცმა. — ჰო, დამავიწყდა მეთქვა, რომ მე გენადი მქვია. შენ? ანდრო? უცნაური სახელია! ალბათ, ანდრეი, ხომ? ანდრო? გასაგებია...

ოთახიდან თითქმის სირბილით გავიდა და ანდროს მეორე ოთახიდან ჩურჩული, ხმადაბალი ლაპარაკი მოესმა — მამაკაცი ვიღაცას რაღაცაში არწმუნებდა. 5 წუთის შემდეგ მასპინძელი მშვენიერ, ახალგაზრდა ქალთან ერთად დაბრუნდა. ქალმა ანდროს ჯერ შავი, ლამაზი თვალები შეანათა, შემდეგ ლოყები შეეფაკლა და თავი დახარა. ჯარისკაცს ქალი ისე მოეწონა, რომ ტანში სასიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა და რომ არა გენადი, მას მხეცივით ეცემოდა.

— ეს... ეს... ფერიდეა, — წარუდგინა ქალი. — ეს ჩვენი სტუმარია, ანდრო.

ნაცნობობა შედგა. გენადიმ ნაძალადევი ღიმილით წამოიძახა:

— როგორც იქნა, გაიცანით ერთმანეთი... ახლა დიასახლისი გემრიელი ვახშმით გაგვიმასპინძლდება, შენ კი შეგიძლია, იბანაო, — მიუბრუნდა ჯარისკაცს.

უარი არ უთქვამს, დაღლილმა სიამოვნებით იბანავა, ოთახში დაბრუნებულს კი ფერიდე და გენადი სუფრასთან დახვდნენ.

ანდრომ ვერა და ვერ დაიჭირა ფერიდეს მზერა. ის მორცხვად არიდებდა თვალს და წითლდებოდა, რაც მამაკაცს უფრო აღაგზნებდა და მისი დაუფლების სურვილს აღუძრავდა. გენადი მიხვდა, რომ სიტუაცია დაიძაბა და მის განმუხტვას შეეცადა — ანდროს ავღანეთის ამბებს ეკითხებოდა, ოჯახის ამბებიც გამოჰკითხა და ხანდახან, უკბილოდაც ხუმრობდა. თავის თავზე კი მხოლოდ ის თქვა, რომ ადგილობრივ კოლმეურნეობაში, მექანიკოსად მუშაობდა.

ანდრო მას თითქმის არ უსმენდა. უკვირდა, ასე გულღიად და ხელგაშლილად რომ მიიღეს. ქალი, რომელთანაც ვნებიანი ღამე ელოდა, მოსწონდა და იმასაც ხვდებოდა, ის არც ისე ღარიბი იყო, მექანიკოსობის გზას რომ დასდგომოდა.

— ცუდი შუამავალი ხარ, — უთხრა გენადის ღიმილით, როდესაც ფერიდე ცოტა ხნით გავიდა. — 3 მანეთი უნდა გადავიხადო და 50 მანეთის მარტო საჭმელ-სასმელი გიყიდია. შენნაირი შუამავლის წყალობით ფერიდე ფულს ვერ „გააკეთებს“.

შამპანურის ბოთლი დაიცალა და დრო იყო, გენადის ქალი და მამაკაცი მარტო დაეტოვებინა. საშინელი სიჩუმე ჩამოწვა. გენადი წამოდგა, გამშრალი ტუჩები მოილოკა და ძლივს წარმოთქვა:

— წავალ, ხელს არ შეგიშლით. ღამე

მშვიდობის...

ანდროს გაახსენდა, მისთვის ფული რომ უნდა მიეცა. კართან წამოეწია და სამმანეთიანი ხელში ძალით ჩაუკუჭა. თან ცდილობდა, ქალს არ შეეჩნია.

— ეს ისაა, რასაც შეგპირდი. ვწუხვარ, რომ ასე ცოტაა, ეს ქალი ნაღდად, მეტი ღირს. მაპატიე...

გენადიმ ფული ხელში მოჭმუჭნა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ბოლოს, ხელი ჩაიქნია და გავიდა.

ანდრო ფერიდესკენ შებრუნდა. ქალი უხმოდ ადგა და საძინებლისკენ წავიდა. მამაკაცი უკან მიჰყვა. მყუდრო საძინებელში ლოგინი წინასწარ გაეშალათ. ანდრო ქალს მოეხვია და აკოცა, მერე კი, გახელებულმა, ტანისამოსი ლამის ტანზე შემოახია...

რამდენიმე ხნის შემდეგ ორივენი გულაღმა იწვნენ და ჭერს შეჰყურებდნენ. ანდრომ ვერ მოითმინა და ქალს ჰკითხა:

— რატომ გადაწყვიტე მეძავობა? რა გაგიჭირდა ასეთი?

ფერიდემ პასუხი დააყოვნა და მამაკაცს ტუჩებზე თითი მიადო, იმის ნიშნად, რომ ჩუმად ყოფილიყო და არაფერი ეკითხა.

— მითხარი, რატომ გადადგი ასეთი ნაბიჯი? არც შენს გაკიცხვას ვაპირებ და არც მორალის კითხვას, უბრალოდ, მაინტერესებს და კითხვაზე მიპასუხე. როგორც ვხედავ, მშვენივრად ცხოვრობ. ნუთუ, ფულის შოვნის სხვა გზა ვერ მოძებნე?

— შენ გგონია, მე ამას ფულის გამო ვაკეთებ? — ნაწყენი ხმით ჰკითხა ქალმა.

— მაშ, რატომ? რა გაიძულებს? — გაუკვირდა მამაკაცს.

ფერიდემ ზურგი შეაქცია.

— მაპატიე, თუ გაწყენინე, მაგრამ ცნობისმოყვარეობა მკლავს. შენ ასეთი ლამაზი და კარგი ხარ, გადაწყვიტე...

— ასე ნუ ამბობ, შენ ხომ არაფერი იცი, — ქალი მისკენ შებრუნდა და თვალებში ჩახედა.

— რა არ ვიცი? თუ ამას ფულის გამო არ აკეთებ, მაშ, გამოდის, კაცები მხოლოდ ცხოველური ჟინის მოსაკლავად გჭირდება...

— შენ გარდა, ჩემს ცხოვრებაში სხვა კაცები არ იქნებიან! შენ პირველი ხარ და უკანასკნელიც. სიმართლეს ვამბობ, გეფიცები.

— მართლა? აბა, ამ შუამავალმა მითხრა...

— ნუ ამბობ ასე, გთხოვ, ის შუამავალი კი არა, ჩემი ქმარია.

ანდრო გაოგნდა. ასეთი არაფერი გაეგონა და ვერც წარმოედგინა.

— ქმარი?! მან ხომ თვითონ მომიყვანა შენთან? თანაც, შემომთავაზა, რომ შენთან დავწოლილიყავი. ვერაფერი გავიგე... ის უძლურია, როგორც მამაკაცი და ასე ცდილობს შენს დაკმაყოფილებას?..

— არა, არა, საქმე სხვაგვარადაა. ჩვენ უკვე 7 წელია, ცოლ-ქმარი ვართ და შვილი არ გვეყოლა. ექიმთან ვიყავით. აღმოჩნდა, რომ ის უშვილოა, მე კი ჯანმრთელი ვარ. არადა, გვინდა, შვილი გვყავდეს. მართალია, მე უფრო ძალიან მინდა, მაგრამ მასაც დიდი სურვილი აქვს. ჰოდა, ასეთი ხერხი მოვიფიქრეთ — რადგან მას არ შეუძლია ბავშვის ჩასახვა, ეს სხვას უნდა გაეკეთებინა. შემთხვევითობის წყალობით, არჩევანი შენზე გაკეთდა. შენ ჩვენს ქალაქში გავლით ხარ და ალბათ, აქ არასოდეს დაბრუნდები, ჩვენ კი ამაზე უკეთეს ვარიანტს ვერც ვინატრებდით.

— დარწმუნებული ხარ, რომ დაფეხმძიმდები? იქნებ ერთი აქტი არაა საკმარისი დასაფეხმძიმებლად? თანაც, მე რატომ არაფერი მკითხეთ? იქნებ მე არ მინდა, რომ ჩემმა შვილმა სხვაგან იცხოვროს?

— ექიმის რჩევით, დღეს მაქვს ისეთი დღე, როდესაც აუცილებლად დავფეხმძიმდები. მე მინდა, რომ გაამართლოს, რადგან მომეწონე. მინდა, შენგან შვილი გავაჩინო. პროსტატუციასთან დაკავშირებით ზღაპარი კი იმიტომ გამოვიგონეთ, რომ სიმართლის გამხელას არ ვაპირებდით, მაგრამ რადგან მომეწონე, სიმართლეც ამიტომ გითხარი. ღმერთს ვთხოვ, შეისმინოს

ჩემი ვედრება და დავფეხმძიმდე... ამ სირცხვილის გადატანა მეორედ აღარ მინდა, ძალიან მრცხვენია. თანაც, ეს ცოდვაა. ჩემი ქმარი მიყვარს და რომ არა ასეთი ვითარება, მის ღალატს გულშიც არ გავივლებდი. მინდა მადლობა გადაგიხადო, მაგრამ თან უნდა გითხრა, რომ ახლა შენი წასვლის დროა. ვიდრე გათენდება, აქედან უნდა გახვიდე. არ მინდა, მეზობლებმა დაგინახონ, თავი მომეჭრება. უმჯობესი იქნება, თუ ჩემს ქმარსაც აღარ შეხვდები — მისთვის ეს ყველაფერი ძალზე მძიმეა. არ ვიცი, ამ ამბავს როგორ გადაიტანს და როდის დაავიწყდება. ალბათ — არასოდეს. ადექი და ჩაიცვი, გაგაცილებ, — უთხრა ქალმა და პირველი თვითონ წამოდგა.

— გასაგებია, წავალ. თანაც არ მინდა, თვითმფრინავზე დავაგვიანო.

გარეთ კიდევ ერთხელ გადაეხვივნენ ერთმანეთს.

— ამ ორღობეს გაჰყევი, — ხელი გაიშვირა ქალმა, — შემდეგ მარცხნივ შეუხვიე და გზაზე გახვალ. მართალია, იშვიათად, მაგრამ ამ დროს მანქანები მაინც დადიან.

ისინი ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

ღობე... მოსახვევი... გზა... მამაკაცს საიდანღაც ხმაური შემოესმა. ანდრო ადგილზე გაიყინა. ამ დროს გზაზე მანქანამ გაიარა და მისი ფარების შუქზე გენადი დაინახა, რომელიც მერხზე იჯდა. კაცს სახეზე ტანჯვა ჰქონდა გამოსახული და ანდრო დარწმუნებული იყო, რომ გენადი ტიროდა. ის ჯარისკაცის მიცემულ სამმანეთიანს ნაკუწ-ნაკუწ ხევდა და ნიავს ატანდა. ანდრომ ფრთხილი ნაბიჯებით განაგრძო გზა. ცდილობდა, არ ეხმაურა. ცოტა ხანში ტრაქტორი წამოეწია და მას გაჰყვა. როგორც იქნა, აეროპორტამდე მიაღწია და თბილისში გამოფრინდა. მას შემდეგ უზბეკეთში აღარ ყოფილა.

P.S. ეს საოცარი და თითქმის დაუჯერებელი ამბავი ერთ-ერთ მცირერიცხოვან სუფრასთან მოვისმინე. როდესაც თამადამ ბავშვები ადღეგრძელა, სუფრის ერთ-ერთმა წევრმა ამოიოხრა და თქვა: მე 4 შვილი მყავს, მაგრამ შესაძლოა, კიდევ ერთი შვილი უზბეკეთშიც მყავდესო. სუფრის წევრები ახმაურდნენ. ასე ყველას სადღაც გვეყოლება თითო ან მეტი შვილიო, — ხუმრობის გუნებაზე დადგნენ სუფრის წევრი მამაკაცები. — მე ძალიან საინტერესო თავგადასავალი მაქვსო, — თქვა ანდრომ (სახელი მისივე თანხმობით, არ შემიცვლია) და „სამმანეთიანი“ ქალი გაიხსენა, ბოლოს კი დასძინა: — ძალიან მაინტერესებს, აუსრულდა თუ არა ჩანაფიქრი ფერიდეს? დაფეხმძიმდა თუ არა? გოგო შეეძინა თუ ბიჭი? რა დაარქვეს ბავშვს? იქნებ ეს შეხვედრა არ აღმოჩნდა შედეგიანი? თუ ასეა, წყვილმა კიდევ სცადა თუ არა? ამ კითხვებზე პასუხები არ მაქვს და ალბათ, არც არასოდეს მექნება... ■

უბინაოდ დარჩენილი მოხუცები და პირში ჩალაგამოვლებული მარჩენლები

ანუ კანონის არცოდნის გამო დადებული არასწორი გარიგება

კანონის უცოდინრობის გამო მოქალაქეთა გარკვეული ნაწილი დოკუმენტს ისე აწერს ხელს, რომ თავის უფლება-მოვალეობაში ვერ ერკვევა. ამის გამო ბევრმა ადამიანმა დაკარგა ქონება და ისინი დაკარგულის დაბრუნებას სასამართლოს გზით ცდილობენ, ირწმუნებიან, რომ მოატყუეს, მაგრამ სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში, დაშვებული შეცდომის გამოსწორება შეუძლებელია, რადგან მეორე მხარე საპირისპიროს ამტკიცებს და კანონის დაცვით წარდგენილ დოკუმენტს აფრიალებს. თაღლითთა მსხვერპლნი, უმეტესად, მარტოხელები ხდებიან.

თეა ხურცილავა

*ფაქტია, ასაკში შესულებს თავის რჩენა უჭირთ და პენსიის იმედად დარჩენილები, უზრუნველი სიბერის სანაცვლოდ, მზად არიან, სიკვდილის შემდეგ, კუთვნილი ქონება სხვა ადამიანს დაუტოვონ. ასეთ დროს მხარეები დეტალებზე თანხმდებიან და გარიგებას დებენ. მომვლელის დაინტერესებაც ცალსახაა: მას სარჩენი ადამიანის ბინა აინტერესებს, სანაცვლოდ კი მოხუცის მატერიალური პირობების გაუმჯობესებასა და ჯანმრთელობაზე ზრუნვის ვალდებულებას იღებს. მარტოხელების მსგავსად, ხშირად, მარჩენალს ისეთი ადამიანებიც ეძებენ, რომლებიც კანონიერ მემკვიდრეებზე განაწყენებული არიან. მხარეებს შორის ასეთი ურთიერთობები სხვადასხვაგვარად რეგულირდება და ფაქტია, არასწორი გარიგების გამო ვიღაც ყოველთვის ზარალდება. სამოქალაქო საქმეთა დავებში გამოცდილი ადვოკატის, **ციცინო ცხვედიანის** განმარტებით, სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა სპეციალური კანონის შემოღება. კანონმა ერთ მხარეს მარჩენალი დაარქვა, მეორეს — სარჩენი, ურთიერთობის დარეგულირების გზას კი სამისდღემჩიო რჩენის ხელშეკრულება. მოქალაქეთა დიდი ნაწილი აღნიშნულ კანონს არ იცნობს და ხშირად, სწორედ ეს უცოდინარობა აზარალებს. გაითვალისწინეთ, მარტოხელამ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოაწეროს ხელი. სტატისტიკა ცხადყოფს, რომ ხშირად, მარჩენალი სარჩენთან სწორედ ყიდვა-გაყიდვის ან ჩუქების ხელშეკრულებას აფორმებს, სამაგიეროდ კი მისი რჩენის ვალდებულებას მხოლოდ სიტყვიერად კისრულობს. ზეპირი შეთანხმება მხარეს აზარალებს, რადგან ის, ვინც უკვე მიზანს მიაღწია, აღებულ ვალდებულებას აღარ ასრულებს, სარჩენი კი საკუთარ სიმართლეს ვეღარ ამტკიცებს.*

— **ქალბატონო ციცინო, ბევრი მოქალაქე გამხდარა თაღლითობის მსხვერპლი. ფაქტია, კანონის არცოდნის გამო დადებული არასწორი გარიგება მხარეს აზარალებს...**

— მართლაც, ადამიანები კანონის უცოდინარობის გამო სხვადასხვა გზას მიმართავენ. სიტყვიერი შეთანხმების შემდეგ, სარჩენი ანდერძს წერს და უთითებს, რომ მისი სიკვდილის მერე ქონება მარჩენალს დარჩეს, მაგრამ რაღაც პერიოდის შემდეგ მხარეებს შორის დადებული ეს გარიგება სხვადასხვა მიზეზით ირღვევა. მაგალითად: ზოგჯერ სარჩენს მარჩენალის მიერ შექმნილი პირობები არ მოსწონს და ასეთ შემთხვევაში, მას ანდერძის გაუქმება შეუძლია, რაც ბუნებრივია, მარჩენალს დააზარალებს. ხშირად, მხარეებს შორის მხოლოდ ზეპირი შეთანხმება არსებობს: მოგივლი, ვიზრუნებ შენზე, სამაგიეროდ კი ბინა უნდა დამრჩესო... სამწუხაროდ, ბევრმა მოქალაქემ არ იცის, რომ მეპატრონესთან სიტყვიერი გარიგებით უძრავ ქონებას ვერ დაისაკუთრებს. ხშირია ფაქტი, როცა სარჩენის გარდაცვალების შემდეგ მარჩენალი ბინას ვერ იკანონებს, რადგან მათ შორის მხოლოდ ზეპირი გარიგება არსებობდა და სწორედ მაშინ ხვდება შეცდომას, რომლის გამოსწორებაც შეუძლებელია.

— **ასეთ დროს მოქალაქემ სიმართლე როგორ უნდა დაამტკიცოს? სასამართლოში საჩივრის შეტანას აზრი აქვს?**

— ის საქმეს ვერ მოიგებს! მოქალაქეებს ვურჩევ, როცა გარიგებას დებენ, ყველა ნიუანსი გაითვალისწინონ. არის შემთხვევები, როცა ურთიერთობა დარეგულირებულია ანუ ბინის პატრონს მარჩენლის სახელზე ანდერძი აქვს დაწერილი და ჰგონია,

პრობლემა არ არსებობს, რომ სარჩენის სიკვდილის შემდეგ ბინა მას დარჩება, მაგრამ ხშირად, მეპატრონის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეები გამოჩნდებიან და იქმნება პრობლემა. ცხადია, მემკვიდრეებს წილის მიღების უფლება აქვთ და სასამართლოს გზით მიზნის მიღწევაც იოლად შეუძლიათ — ანდერძის არსებობის მიუხედავად, წილი პირველი რიგის მემკვიდრეებს ეკუთვნით და როცა ისინი სავალდებულო წილს მიიღებენ, მარჩენალს მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია, გაწეული ხარჯების ამოსაღებად იბრძოლოს.

— თუ მარტოხელას შვილები არა ჰყავს, მისი ქონება კანონით ვის რჩება?

— თუკი გარდაცვლილს შვილები არ ჰყავს, მაშინ მეხუთე რიგის მემკვიდრესაც შეუძლია, მის ქონებაზე პრეტენზია განაცხადოს. თუ მარტოხელას რეალურად ჰყავდა მარჩენალი, მაგრამ ეს ოფიციალურად, კანონის დაცვით არ ჰქონდა გაფორმებული, მაშინ მარჩენლის ყოლის მიუხედავად, ქონება სახელმწიფოს რჩება. ასეთ დროს მომვლელს შეუძლია, მხოლოდ გაწეული ხარჯების ანაზღაურება მოითხოვოს. მოკლედ, ვინც ასეთ ურთიერთობას ამყარებს, ვურჩევ, ყველაფერი იურიდიულადაც გააფორმოს, რათა შემდეგ წაგებული არ დარჩეს.

— იქნებ განგვიმარტოთ, რას გულისხმობს „სამისდღემჩიო რჩენის ხელშეკრულება“ და კონკრეტულად, რა სახის ურთიერთობას არეგულირებს ის?

— ასეთი დროს მხარეებს შორის ხელშეკრულება აუცილებლად, წერილობით იდება. თუკი სამისდღემჩიო რჩენის ხელშეკრულება უძრავ ქონებას ეხება, აუცილებელია, იგი საჯარო რეესტრში გატარდეს. ხელშეკრულებაში კონკრეტულად უნდა იყოს აღწერილი მხარეთა ვალდებულებები და მოვალეობები. თუ ხელშეკრულებაში მხოლოდ ის წერია, რომ მარჩენალი ვალდებულია, მოუაროს და სარჩენს კვებისთვის, მკურნალობისთვის საჭირო ხარჯები გაუწიოს, ეს საკმარისი არ არის, რადგან შესაძლოა, მოგვიანებით სარჩენმა ამ ხელშეკრულების გაწყვეტა მოინდომოს და თქვას, რომ გაწეული დახმარება არ აკმაყოფილებს...

— კანონით ალბათ, მარჩენლის უფლებებიც დაცულია, არა?

— სარჩენი უფრო მეტადაა დაცული. ძალიან ბევრი შემთხვევა მქონია, როცა არსებობდა სანოტარო წესით დადებული ხელშეკრულება, მაგრამ არ იყო კონკრეტულად მითითებული, თუ რა იგულისხმებოდა სამედიცინო დახმარებასა და საკვებით უზრუნველყოფაში. მარჩენალი აცხადებდა, რომ სარჩენს დიდი პრეტენზიები გაუჩნდა და ისეთ რამეებს ითხოვდა, რისი შესრულებაც მარჩენლის ძალებს აღემატებოდა... მქონდა რამდენიმე ისეთი შემთხვევაც, როცა სარჩენს გამოუჩნდა სხვა პიროვნება, რომელიც დაჰპირდა, — უკეთეს პირობებში გაცხოვრებო და ამიტომაც, მარტოხელამ ხელშეკრულების გაუქმება გადაწყვიტა. ასეთ დროს სასამართლო ორივე მხარის პოზიციას მოისმენს და გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მიიღებს: თუ სარჩენი დაამტკიცებს, რომ მარჩენალი მის მოთხოვნებს ვერ უზრუნველყოფს, მაშინ ხელშეკრულება უქმდება და ბინა მეპატრონეს უბრუნდება. კანონით, მარჩენლის უფლებები შედარებით ნაკლებადაა დაცული; იქ პირდაპირ წერია, — მარჩენალს, თუკი ეს ხელშეკრულებაში მითითებული არ არის, ხარჯები არ უნაზღაურდება — ანუ ხელშეკრულება ავტომატურად არ მოიცავს იმ აზრს, რომ მისი შეწყვეტის შემთხვევაში, მარჩენალს ხარჯი უნდა დაუბრუნდეს.

— კიდევ, რას ურჩევდით მოქალაქეებს?

— ორივე მხარის უფლება დაცული რომ იყოს, სასურველია, ხელშეკრულებაში ყველაფერი დეტალურად იყოს გაწერილი. უნდა ჩაიწეროს, რომ დარღვევის შემთხვევაში, მარჩენალს გაწეული ხარჯი აუნაზღაურდება... იშვიათად შეხვედრია ხელშეკრულება, რომელშიც ყველა ნორმა დაცულია. დღეს ყველა ნოტარიუსს ტრაფარეტული ბლანკი აქვს და მხარეები ხელშეკრულებას ამის მიხედვით ავსებენ. თუკი ნოტარიუსს ეტყვიან, რომ სურთ, ამ საბუთში დამატებით რაიმე ჩაიწეროს, ის ვალდებულია, მხარის მოთხოვნა გაითვალისწინოს.

— ვთქვათ, ყველაფერი ხელშეკრულებით გაფორმდა და კანონი დაცულია, მაგრამ მაინც, სარჩენი აცხადებს, რომ მარჩენალი მასზე სათანადოდ არ ზრუნავს, ასეთ დროს მარჩენალმა რა გზით უნდა დაამტკიცოს, თუ რა თანხა დახარჯა სარჩენის კვებასა თუ წამლებზე?

— კანონი არ ითხოვს, მხარემ მტკიცებულებები აგროვოს, ეს მისი უფლებაა. იყო ფაქტი, როცა სარჩენი ამბობდა, რომ არ უვლიდნენ, მაგრამ მარჩენალს აბსოლუტური სიზუსტით, ყველა წვრილმანთან დაკავშირებით გაკეთებული ჰქონდა ჩანაწერი და ამ გზით დაამტკიცა, რომ გაწეული ჰქონდა შესაბამისი ხარჯები, ზედმიწევნით კარგად ასრულებდა თავის ვალდებულებას. ისე, სჯობს, ადამიანებმა თადარიგი დაიჭირონ და მოაგროვონ მტკიცებულებები, მიუხედავად იმისა, რომ კანონი ამას არ მოითხოვს. სჯობს, კანონი დაიცვათ, რათა არ დაზარალდეთ. კიდევ ერთ შემთხვევას გავიხსენებ: დევნილ ქალბატონს ვიცავდი. ის ნაქირავებში ცხოვრობდა. მის მეზობლად მოხუცი, მარტოხელა ქალბატონს ჰქონდა ბინა და ისინი შეთანხმდნენ — ქალი მოხუცს უვლიდა და შესაძლებლობის ფარგლებში, არაფერს აკლებდა. სამაგიეროდ, საბოლოოდ, ბინა მას უნდა დარჩენოდა. მოხუცმა ანდერძი დაწერა. ვიდრე ეს ქალბატონი ცოცხალი იყო, მარჩენალი ბინის საბუთებით არც დაინტერესებულა და როცა მოხუცი გარდაიცვალა, ყველანაირი ხარჯიც თავად გასწია. საქმე ბინის გადაფორმებაზე რომ მიდგა, გაირკვა — ქონება სხვის სახელზე იყო გაფორმებული.

— ეს როგორ?

— მოხუცი ისე გარდაიცვალა, რომ ამ ფაქტის შესახებ თავადაც არაფერი იცოდა. თურმე, წლების წინ ნათესავმა ბინა გაუყიდა, სამაგიეროდ კი უფრო პატარა ბინა უყიდა და ისიც საკუთარ სახელზე გააფორმა. ასეთ დროს სასამართლოში ჩივილს აზრი არა აქვს, რადგან რაიმეს დამტკიცება ძნელია. დოკუმენტებით, ბინა იმ შორეულ ნათესავს ეკუთვნოდა და მოხუცზე მზრუნველი დევნილი ქალბატონი უბინაოდ დარჩა... არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ბინის ყიდვა-გაყიდვა ფორმდება, შემდეგ კი თაღლითი წიხლს ჰკრავს მოხუცს და საკუთარი ბინიდან აგდებს — ასეთი ფაქტები თავიდან რომ აიცილონ, მოქალაქეებს ვურჩევ, ვიდრე რაიმე დოკუმენტს მოაწერენ ხელს, კანონებში გაერკვნენ. ■

ჩემი და სხვისი აღმოჩენები

მარი ჯაფარიძე

პირველი აღმოჩენა

ამას წინათ საოცარი მოვლენა აღმოვაჩინე. გაუგებარია, კაცობრიობა აქამდე რატომ ვერ ჩასწვდა მას? მგონი ჯობია, ყველაფერი თანმიმდევრობით მოგიყვეთ: დილით, როგორც წესი, ადგომისთანავე ელექტროჩაიდანი და კომპიუტერი ჩავრთე. ელექტრონული ფოსტა დავათვალიერე, მაგრამ იქ ღირებული ვერაფერი აღმოვაჩინე. ამიტომაც, რამდენიმე „სპამი“ წავშალე და ამასობაში, ჩაიდანიც გამოირთო. 3 კოვზი ყავა, 1 კოვზი შაქარი, ადუღებული წყალი და... ჭიქა გასკდა, მდუღარე სითხე ფეხებზე გადავივლე. ტკივილზე მეტად, გაღიზიანება ვიგრძენი. გავიფიქრე, რომ კიდევ ერთი უიღბლო დღე მელოდა, რადგან დილა ასეთი მარცხით დაიწყო... ცოტა ხანში ყავის გაკეთება ხელმეორედ ვცადე. ამჯერად, ჩაიდანი ხელიდან გამივარდა და წყალი იატაკზე დაიღვარა... როდესაც ჩაიდნისთვის ხელის შეშველებას ვცდილობდი (არა, ჭკუა სად მქონდა, მდუღარე წყლით სავსე ჩაიდნის ჰაერში დაჭერა რომ მოვინდომე?), გაზქურაზე დადგმულ ქვაბს ხელი გავკარი და წინა საღამოს მომზადებული გუფთა იატაკზე მოვაპირქვავე. ესეც ასე — ჩაიდანი გავტეხე, კერძი დავღვარე და ყავაც ვერ დავლიე... ერთმა აზრმა გამიელვა: რა აიძულებს ნივთებს, რომ ძირს დაცვივდნენ და რატომ არ ეკიდებიან ჰაერში? არა, ნამდვილად არ გავგიჟებულვარ! თითქოს ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ ყველა საგანი ძირს ეცემა, მაგრამ — რატომ? საოცარია, არა? დოინჯი შემოვირტყი და დავფიქრდი. უჯრიდან ჩანგალი ამოვიღე, თავს ზემოთ ავწიე და ხელი გავუშვი... რა თქმა უნდა, იატაზე დაენარცხა... შემდეგ იგივე ექსპერიმენტი ქაღალდზე ჩავატარე — ისიც ფრიალ-ფრიალით დაეშვა ძირს. ყველაფერი იატაკზე ცვივა, მაგრამ რატომღაც — სხვადასხვა სიჩქარით. შემდგომში აუცილებლად დავფიქრდები ამ მოვლენის მიზეზებზე, ახლა კი თავში ფიზიკის ახალი კანონი მომწიფდა: ყველა საგანს აქვს ერთმანეთის მიზიდვის უნარი. რაც უფრო დიდია საგანი, მით მეტად იზიდავს დანარჩენ საგნებს. არ გეგონოთ, რომ თავის დროზე დედამიწის მიზიდულობის კანონი არ მისწავლია. ის კი არა, ფიზიკაში „ხუთიანი“ მეწერა და ისიც გადასარევად ვიცი, რომ ამას გრავიტაციის კანონი ჰქვია. უბრალოდ, მე მას ახალი ახსნა მოვუძებნე — ვინაიდან დედამიწა ყველა სხვა საგანზე გაცილებით დიდია, ამიტომაც იზიდავს ყველაფერს. ჰოდა, ამ კანონს „საყოველთაო მიზიდულობის კანონს“ დავარქმევ. რა თქმა უნდა, უამრავი ცდის ჩატარება მომიწევს, რათა ჩემ მიერ აღმოჩენილი კანონის მართებულობა დავამტკიცო, მაგრამ ინტუიცია მკარნახობს, რომ სწორ გზას ვადგავარ.

მეორე აღმოჩენა

მაღვიძარა კაცობრიობის მტერია: უცერემონიოდ იჭრება ჩვენი ძილის პროცესში და ნელ-ნელა „შლის“ ჩვენს ტვინს. რაღა თქმა უნდა, ტვინი ამას ეწინააღმდეგება და ცდილობს, ორგანიზმი დაარწმუნოს, რომ მაღვიძარას წკრიალი ძილის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ ყურებს ამის დაჯერება „არ უნდათ“. ბოლოს და ბოლოს, ამ აურზაურის შედეგად სინდისი იღვიძებს და ტვინს აიძულებს, მთელი სხეული გააღვიძოს და სამსახურში წასვლის ბრძანება გასცეს. ტვინს არ უყვარს, როცა რამეს აიძულებენ, მაგრამ მაინც, თვალებს გახელის ბრძანებას აძლევს. თვალები „ცდილობენ“, ხელიდან გამსხლტარ ბედნიერებას ბოლომდე არ შეელიონ, რადგან „იციან“, რომ როგორც კი „გაიღებიან“, ძილის ბედნიერება მაშინვე „გაფრინდება“ და ჩვეული „კადრების“ ხილვა მოუწევთ, შემდეგი თანმიმდევრობით: ჭერი... ჭაღი... კედელი, რომელზეც ვარდისფერი შპალერია გაკრული... ფეხები, რომლებიც ცდილობენ, მიზანს არ ასცდნენ და ჩუსტებში ზუსტად მოთავსდნენ... დერეფანი, სააბაზანო... სარკე... სარკეში კი გამოუძინებელი სახე და უძილობისგან ჩაშავებული თვალის უპეები ჩანს. არა, არა, ეს უკვე ნამეტანია!.. გადასარევი სამსახური მაქვს, კარგი ჯამაგირი, მაგრამ ეს უძილობა „დამანგრევს“... იქნებ დავანებო სტატიების წერას თავი და მეცნიერებაში „გადავვარდე“? ბოლოს და ბოლოს, მე ხომ ახლახან აღმოვაჩინე ფიზიკის ახალი და საოცარი კანონი! დროა, ცდების ჩატარება დავიწყო, მაგრამ ვინაიდან მეცნიერება მსხვერპლთან ერთად, ფინანსებსაც მოითხოვს, იძულებული ვარ, ჩემს იდეას „კარი მივუხურო“ და სამსახურში წავიდე.

მესამე აღმოჩენა

მშვიდად ვმგზავრობ, ვინაიდან ადრიანი დილაა და შესაბამისად, ქალაქში საცობები არაა. ახლა ქუჩაში მხოლოდ ის ადამიანები არიან, რომლებიც ადრე იღვიძებენ (მაღვიძარას შესახებ „აღმოჩენა“ ხომ გახსოვთ) და სამსახურში დაგვიანება არ უყვართ. დაკვირვებიხართ ადამიანების სახეებს დილაობით? — ეს ჩემი საყვარელი „საქმიანობაა“. შუქნიშანზე გაჩერებული, საპირისპირო მხრიდან მოძრავი მანქანების მძღოლებს ვუთვალთვალებ ხოლმე: ზოგს ჩემსავით გამოუძინებელი სახე აქვს, ზოგიერთი გაღიმებული ზის და რომ ჰკითხო, რატომ იღიმის, შესაძლოა, პასუხი ვერც გაგცეს. უბრალოდ, ეღიმება და მორჩა! ზოგიერთი მანქანაში ჩართულ მუსიკის ჰანგს თავს აყოლებს (ასეთები განსაკუთრებულად სახალისო სანახავია), ზოგიერთი — ხმასაც და საკმაოდ ხმამაღლა მღერის. მძღოლების გარკვეული ნაწილი გვერდით მჯდომთან საუბრითაა დაკავებული და რატომღაც, მათი უმეტესობა ამ დროს კამათობს, ხმამაღლა ლაპარაკობს. ჰოდა, ასეთი დაკვირვების პროცესში ვიყავი, როდესაც შუქნიშანზე, ჩემ გვერდით გაჩერებულ მანქანაში, მძღოლის გვერდით მჯდომმა ახალგაზრდა ქალბატონმა ხელი გაიქნია და მძღოლს სახეში სთხლიშა; არც იმან დააკლო და ქალს ისეთი სილა გააწნა, ლამის უკანა სავარძელზე მოისროლა. „ქმედება იწვევს უკუქმედებას“ — გავიფიქრე და კიდევ ერთი, ახალი კანონი მომწიფდა გონებაში. ეს მართლაც, საოცარი აღმოჩენაა. დააკვირდით, თუ ასე არაა: მაგალითად, პროდუქტზე ფასების მომატება ბიუჯეტის „უკმარისობას“ იწვევს; წინასაარჩევნოდ მიცემული დაპირებები, რომელშიც „ამოსარჩევი“ ბედნიერ, ია-ვარდით მოფენილ ცხოვრებას გვპირდება — უფრო მეტ უნდობლობას; რაც მეტია გაკეთებული, გასაკეთებელი უფრო მეტია...

სხვისი აღმოჩენები

ახლა მკითხველი იტყვის: კარგი, რა, მარი, რა აღმოჩენები აგიტყდა, რასაც შენ ამბობ, უკვე დიდი ხანია, მეცნიერებმა აღმოაჩინესო, მაგრამ ნურას უკაცრავად... ის კანონი რა კანონია, თუ მხოლოდ ერთხელაა აღმოჩენილი? ზემოხსენებულ „აღმოჩენებამდე“ კი იმ ინტერვიუმ მიმიყვანა, რომელიც რესპონდენტის ხანგრძლივი ვედრებისა და თხოვნის შედეგად ჩავწერე.

*ბატონი **კარლო მეხრიშვილი** ასე, 50 წელს მიღწეული მამაკაცია, რომელმაც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მეცნიერებაში დიდ და წარმოუდგენელ*

წარმატებებს მიაღწია, მაგრამ თურმე, მავანთა და მავანთა ინტერესებში მისი „დაბლოკვა“ შედის და საშუალებას არ აძლევენ, „ფრთები გაშალოს“, „დიდ ავიაციას“ შეეჭიდოს.

— **„დიდი ავიაცია“ რა არის, ბატონო კარლო?**

— მინდა, საფრენი აპარატი შევქმნა, მაგრამ ექსპერიმენტების ჩატარების საშუალებას არ მაძლევენ. შეიძლება გაგეცინოთ, მაგრამ „შერეკილები“ გაიხსენეთ. არავის სჯეროდა, რომ გაფრინდებოდნენ, მაგრამ ხომ გაფრინდნენ?

— **კი, მაგრამ უკვე ბევრნაირი საფრენი აპარატი გამოიგონეს. თქვენ რა სიახლეს გვთავაზობთ?**

— მე ისეთი აპარატი უნდა გავაკეთო, რომელსაც საწვავი არ დასჭირდება. მას „მოფერებით“ ღრუბელთმფრენს დავარქმევ, ისე კი, საერთაშორისო ავიაციაში ცნობილი იქნება როგორც — „კარლ-1“.

— **საწვავის მაგივრად რას გამოიყენებთ?**

— გრავიტაციის ძალის დაძლევას საწვავის ენერგია არ სჭირდება. აბა, წარმოიდგინეთ საფრენი აპარატი, რომელიც გარეგნულად გიგანტურ ფრინველს ჰგავს — ეს იმის საშუალებასაც მოგვცემს, რომ ნებისმიერი ადამიანის გემოვნება დავაკმაყოფილოთ. ვინაიდან „ღრუბელთმფრენი“ მხოლოდ 2 ადამიანს დაიტევს, ის კერძო პირებზე გაიყიდება. ჰოდა, ზოგს ენდომება, მისი საფრენი აპარატი ბულბულს ჰგავდეს, ზოგი კი „ბუს“ ან „კაჭკაჭს“ იყიდის.

— **ისე, გადასარევი იდეაა. ხომ შეიძლება, თავდაცვის სამინისტრომაც გამოთქვას მისი შეძენის სურვილი? მაგალითად, დაგიკვეთთ „თოლიას“ და შემდეგ, მტრის საჰაერო სივრცეში „გადაიფრენს“. მტერს კი იმის ეჭვიც არ გაუჩნდება, რომ ის თოლია კი არა, „კარლ-1“-ია.**

— საქმეც მაგაშია, გენაცვალე. ოჰ, ძლივს არ ვნახე ისეთი ადამიანი, რომელმაც გამიგო? მე მაგ საქმისთვის ცალკე პროექტი მაქვს და სამხედრო დანიშნულების საფრენ აპარატში განსაკუთრებულ, სადაზვერვო მოწყობილობებს ჩავამონტაჟებ. თანაც, მსგავსება უფრო რეალური რომ იყოს, ამ დანიშნულების „ჩიტი“ ხანდახან, ჩამოასკინტლებს კიდეც.

— **მაგრამ ის მაინც ვერ გავიგე, საწვავის მაგივრად რას გამოიყენებთ?**

— ეს საიდუმლოა. ახლა რომ გავამხილო, ჩემს გამოგონებას ვინმე მიითვისებს. თქვენ არ იცით, რამდენი მტერი მყავს, მაგრამ ვატყობ, რომ კარგად ერკვევით მეცნიერებაში და შესაძლოა, თანაშემწედაც აგიყვანოთ. ოღონდ, წინასწარ შეგამოწმებთ, როგორი ცოდნა გაქვთ.

— **ეს დიდი პატივია ჩემთვის, ბატონო კარლო. მოდი, თქვენი სხვა გამოგონებების შესახებაც მოგვიყევით.**

— მე ძრავიანი კუბო გამოვიგონე, რომელიც პულტით იმართება. აღარ იქნება საჭირო მიცვალებულის „მხარზე გადება“ — ჩასასვენებელს გზაზე დადგამენ და პულტით მართავენ, ის კი თავისით გაიკვლევს გზას სასაფლაოსკენ. ასევე გამოვიგონე სკამი, რომელსაც საჭე აქვს. მისი საშუალებით ოთახში დამჯდარი გადაადგილდები; ჭიქა, რომელიც წყალს აცხელებს — ჩაასხამ ცივ წყალს და თავისით გაათბობს საჭირო ტემპერატურამდე; კიდევ, ჯიბე გამოვიგონე.

— **ჯიბე?!**

— დიახ, ტანისამოსზე დასამაგრებელი ჯიბეა, რომელსაც უამრავი განყოფილება აქვს. მაგალითად — ტელევიზორის პულტისთვის, მობილური ტელეფონისთვის, ჭიქის ჩასადგმელად, ბოთლისთვის, გასაღებისთვის... აგრეთვე, გამოვიგონე ჩანგალი, რომელიც „რკინის ხელზეა“ დამაგრებული — ამ ხელს მაგიდაზე ამაგრებთ და თვითონ გამოგკვებავთ. თქვენ უბრალოდ, ზიხართ და პირს აღებთ. ასეთივე „რკინის ხელები“ გამოვიგონე სააბაზანოსთვის — კედელზე მიამაგრებ, დადგები და ის თვითონ დაგბანს ტანსაც და თავსაც.

— **ეს ყველაფერი უკვე გაკეთებული გაქვთ? შეგიძლიათ, მიჩვენოთ?**

— არა, მხოლოდ ფორმულების დონეზე მაქვს. შემიძლია დაგიმტკიცოთ, რომ ეს ყველაფერი რეალურია. შექმნას ფული სჭირდება, რომელიც ვერ მოვიპოვე, რადგან მტრები ამის საშუალებას არ მაძლევენ!

— **იქნებ, მტრების წინააღმდეგ საბრძოლველადაც გამოგეგონებინათ რამე?**

— მაგაზე ვიფიქრებ, კარგი იდეაა. დღეში რამდენიმე ნივთს ვიგონებ და არც ეგ გამიჭირდება. კიდევ, იცით, რა გამოვიგონე? — კომპიუტერის კლავიატურა, რომელზეც ასოების სხვანაირი განლაგებაა. კიდევ ერთი ძალიან კარგი იდეა მაქვს — რეალური შოუ გამოვიგონე. მისი „გეგმა“ ასეთია: ახალდაბადებულ ბავშვს ისეთ გარემოს შევუქმნით, რომ მას ეგონოს, რეალურ ცხოვრებაში ცხოვრობს. სინამდვილეში, მის გარშემო მსახიობები იქნებიან და მისი ცხოვრება წლების განმავლობაში, პირდაპირ ეთერში გავა. მას ამის შესახებ არაფერი ეცოდინება, ჩვეულებრივად იცხოვრებს, მაგრამ ჩვენ მიერ შეთავაზებული ცხოვრების წესით. სამსახურიც ექნება, მაგრამ — არარეალური... ეს გეგმა ბოლომდე დახვეწილი არ მაქვს, მაგრამ პროექტზე მუშაობას მალე დავასრულებ.

— **რომელიღაც ჰოლივუდური ფილმის სიუჟეტს მაგონებს.**

— არა, იმ ფილმში ყველაფერი სხვაგვარადაა — გმირმა იცის, რომ რეალურ შოუში მონაწილეობს, ამას კი არ ეცოდინება.

— **ბატონო კარლო, ეს ყველაფერი ძალიან კარგი, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, სხვას არაფერი დარჩება გამოსაგონებელი...**

— ნეტავ ადრე დავბადებულიყავი, მაშინ ხომ მე გამოვიგონებდი ყველაფერს?! იცით, ძალიან მინდა, ყველაზე საჭირო ნივთი, მაგალითად, მობილური ტელეფონი ჩემი გამოგონილი იყოს — მას „კარლმობილს“ დავარქმევდი. ხომ კარგად ჟღერს?

— **დიახ.**

— კიდევ, ინტერნეტს გამოვიგონებდი.

— **ნამდვილად საწყენია, რომ ადრე არ დაიბადეთ.**

— მე თქვენ მომწონხართ.

— **გმადლობ.**

— თქვენგან მართლა კარგი თანაშემწე „გამოვა“. აუცილებლად შევამოწმებ თქვენს ცოდნას ფიზიკაში და სხვადასხვა მეცნიერებაში, შემდეგ კი ვითანამშრომლოთ. ოღონდ, ერთი პირობით — გამოგონებებზე თანაავტორის „სტატუსს“ ვერ მოგანიჭებთ.

ამის შემდეგ მან რამდენიმე კითხვა დამისვა ფიზიკისა და ქიმიის სფეროდან, უფრო მეტად კი კანონებით დაინტერესდა. მინდა გითხრათ, რომ საკმაოდ კარგი „რეზულტატი“ მივიღე, მეცნიერის ქებაც დავიმსახურე და ალბათ, მოკლე ხანში თანამშრომლობასაც დავიწყებთ.

მოკლედ, ბატონ კარლოს დავემშვიდობე და ცოტა ნაწყენი დავრჩი იმის გამო, რომ თანაავტორობაზე წინასწარ მითხრა უარი. თუმცა, სულაც არაა აუცილებელი, რომ მასთან ვიმუშაო — რადგან საკმარისი ცოდნა მქონია, დამოუკიდებლად ვიმუშავებ და აღმოჩენებსაც გავაკეთებ (ზემოთ ხომ დარწმუნდით ჩემს ნიჭიერებაში?).

P.S. შავ დედალს ბაზარში ვიყიდი, წმინდა პორფირეს ხატი უკვე მაქვს, საფრენ აპარატს გამოვიგონებ და გავფრინდები, აბა, რას ვიზამ?!. იცინეთ, იცინეთ... აგერ ნახავთ, თუ არ გავფრინდები. ■



სამყარო

„არაჩვეულებრივი გამოფენა“ ზუგდიდში



მე და მიშა იაშვილი ზუგდიდში, მადრევანთან

ჩემს პოლიტიზებულ სამშობლოში ზოგჯერ არაჩვეულებრივი ამბებიც ხდება... თუმცა, სამწუხაროდ, ახლა ცოტას თუ სჯერა, რომ ხელოვნება უფრო მეტია, ვიდრე ის სიძულვილი და მძვინვარება, რომელიც პოლიტიკურ ბატალიებს მოსდევს... ახლა ეს „ცოტა“ ხართ ჩემი მკითხველიც... თუ მე სათვალავი ამერია? ღმერთმა ქნას!

დეა ცუცქირიძე

სიხარულით გიამბობთ...

„ტოიოტას“ მარკის პატარა ავტობუსით, მხატვარ მიშა იაშვილთან და 59 ქართველი მხატვრის 59 ნამუშევართან ერთად, ზუგდიდისკენ მივიჩქარი. მიშა ამ გამოფენის ორგანიზატორია და უკვე მეხუთედ მგზავრობს ქართველი ოთხმოციანელების ნამუშევრებთან ერთად, მე კი ასეთ ძვირფას ტვირთთან ერთად არასდროს მიმგზავრია. სრულიად განსაკუთრებული განცდაა... მართლაც არაჩვეულებრივი. გამოფენასაც ასე ჰქვია, „არაჩვეულებრივი გამოფენა“ და ის ზუგდიდისკენ თელავის, მესტიის, ამბროლაურის შემდეგ მიდის. ეს მოსიარულე პროექტი, რომელიც მიშამ გამოიგონა, ორგანიზება გაუკეთა და სულიც ჩაუდგა, უკვე მეორე წელია, გრძელდება და მთელი საქართველოს დაპყრობას აპირებს. მიშა მიამბობს...

— პირველი გამოფენისათვის თელავი იმიტომ ავირჩიე, რომ შაჰაბასი ყოველთვის კახეთიდან იწყებდა... ვიფიქრე, დრო იყო, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული სტერეოტიპი დამენგრია. რა თქმა უნდა, ეს ხუმრობანარევი განცხადებაა, თუმცა ქართველისთვის მტკივნეულად გასააზრებელი.

— მიშა, ზუგდიდი მეხუთეა „არაჩვეულებრივი გამოფენის“ მასპინძელთაგან. ვიცი, რომ შენ არავითარ პოლიტიკურ დატვირთვას არ აძლევ ამ გამოფენას, ეს მხოლოდ ხელოვნების მსახურებისთვის მიძღვნილი აქციაა, მაგრამ მაინც მინდა გკითხო: იცი, რომ სწორედ სამეგრელო, კერძოდ კი წალენჯიხა იყო პირველი კუთხე საქართველოში, საიდანაც ლტოლვილებმა აფხაზეთს შეაფარეს თავი („მხედრიონის“ პარპაშის პერიოდი სამეგრელოში)?

— „არაჩვეულებრივი გამოფენა“ არაპოლიტიზებული, არაკომერციული აქციაა, თუმცა ვგრძნობ, რომ ამ გამოფენას ზუგდიდში, სწორედ იმ მოვლენების გამო, რომელიც სამეგრელოში პირველი კანონიერი ხელისუფლების დამხობის შედეგად მოხდა, შეიძლება, პოლიტიკური ელფერიც მიეცეს. ეს არ არის ჩემი მიზანი, მაგრამ თუ პოლიტიკა სიყვარულის, მშვენიერების მიძღვნაცაა, ვისაც უნდა, ასე იფიქროს. ეს ერთგვარი მობოდიშებაა იმ ტკივილის გამო, რომელიც „მხედრიონმა“ სამეგრელოს მიაყენა; უამრავი დარბეული, მოკლული და ცხოვრებაარეული ადამიანის წინაშე ქედის მოდრეკაა... თუმცა, ისევ ვაცხადებ — გამოფენა პოლიტიკურ მიზნებს არ ისახავს.

გზა გრძელია და რთულიც, რადგან ჩემი თვალები ახლა პოლიტიკის უარეს შედეგს — გზის მარჯვენა და მარცხენა მხარეს სოკოებივით ამოსულ, დროებით თავშესაფარს ხედავს — ჩვენი ახალი ომის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილთათვის ნაუცბადევად აშენებულ ლტოლვილთა სახლებს, რომელიც ძალიან მაგონებს ტყვეთა ბანაკს...

— მიშა, მხატვრის თვალით როგორია ეს სურათი?

— ამ სურათს მხოლოდ საქართველოს მოქალაქის თვალით აღვიქვამდი ამდენ ხანს... რა გითხრა?.. უფერულია და მძიმე, როგორიც თვით რეალობა...

ლტოლვილთა ბანაკი

— ხელოვნება ხშირად ასახავს რეალობას... ამ სურათებში, რომელიც ახლა ზუგდიდისკენ მიგვაქვს, თუ არის რეალობა?

— რეალობა ანუ პოლიტიკა? მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ ქართველი ოთხმოციანელები, რომელთაც მეც გან-

ვეკუთვნები, მხოლოდ ჩემი მეგობრები კი არ არიან; ეს უნიჭიერესი თაობაცაა. ჩვენ დიდი სამხატვრო სკოლაც გავიარეთ და დიდი სულიერი განცდებიც გადავლახეთ ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების გზაზე. რა თქმა უნდა, ამ ნამუშევრებში, რომელიც საოცრად მრავალწახნაგოვანია, რეალობის კვალიც ჩანს, მაგრამ ჭეშმარიტი შემოქმედი არასდროს წვრილმანდება და არ დადის პოლიტიკამდე. თუ მათ ნამუშევრებს დროულად შევისწავლით, გამოვა, რომ დიდ მემკვიდრეობას დავუტოვებთ მომავალ თაობას. წარმოიდგინეთ, იმ მხატვრებიდან, რომლებიც ახლა ჩვენთან ერთად საკუთარი სურათებით მგზავრობენ, ყველას 200 და მეტი პერსონალური გამოფენა აქვს გამართული საზღვარგარეთ. ქართველი ოთხმოციანელების ნამუშევრები, მსოფლიო მასშტაბითაა მიმოფანტული. დადგება დრო და მათი შეგროვება გაგვიჭირდება.

— საერთო სამხატვრო სკოლა და საერთო ბედი... მაგრამ როგორც ვიცი, მიუხედავად ამისა, მხატვრები ერთმანეთის ქილიკს სრულიადაც არ ერიდებიან. ქართველებს გვიჭირს, ვაღიაროთ, რომ სხვა ჩვენზე მაღლა დგას ნიჭიერებით...

— მართალია, ჩხუბობენ, ერთმანეთს ნერვებს უშლიან, იბუტებიან, მაგრამ ეს ხელს არ უშლის, იმუშაონ, შექმნან და ერთ დიდ გამოფენაში მიიღონ მონაწილეობა, ისევ „სიყვარულის სახელით“... ისე, საქვეყნოდ ცნობილი ამბავია, რომ იმპრესიონისტები ცოცხლად ჭამდნენ ერთმანეთს. არ ვამბობ, ჩხუბი კარგია და ვიჩხუბოთ-მეთქი, მაგრამ როცა რაღაცაა მოსაპოვებელი, დასამტკიცებელი, უფრო მობილიზებული ხარ. ანუ ნეგატივში პოზიტივი მინდა დავინახო. რა ვქნა, ეს ჩემი თაობაა და მე ისინი მიყვარს.

ქუთაისს გავცდით...

გზის მარჯვენა და მარცხენა მხარეს, მოლით დაფარულ კოხტა სახლებს შევყურებ. ამწვანებული და გაკვირტული მიდამო და მზრუნველი ხელით ნასათუთარი ეზო-კარი. უკვე სამეგრელოში ვართ...

ზუგდიდის ცენტრი. მოედანზე — შადრევანი, უკან — მინის შენობა... ვერავინ ვერასოდეს მითხრა, რატომ უნდა იყოს მთელ საქართველოში ერთნაირი, უსახური შადრევნები... იქნებ, იმდენად უსახურიც — არა, რამდენადაც — ერთნაირი და მოსაწყენი. ზუდგიდში ამას შემწყნარებლურად უყურებენ. „მიშას შადრევანი“, „მიშას საჩუქარიო“, — ამბობენ და ეღიმებათ... შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს სამეგრელოს მხოლოდ ხელების მაღლა აწევას სთხოვდნენ, ახლა, ოპოზიციის მტკიცებით, აქ სახელმწიფო მანქანა საკუთარ პოზიციებს სხვა პოლიტიკური დაჯგუფებების შევიწროებით, დაშინებით, ზეწოლით ახორციელებს. მე არა ვარ მტყუან-მართლის გამრჩევი, მე მხოლოდ იმას ვხედავ, რომ სამეგრელოს დედაქალაქში ახლა სიმშვიდეა, თუმცა რა იფარება ამ სიმშვიდის, ამ მინის შენობების მიღმა, ნამდვილად, არ ვიცი.

„ართ გალერეის“ დირექტორი, მხატვარი აბელ კალანდია და მხატვარი ასმათ ალანია ზვიად გამსახურდიას ქუჩაზე გვეგებებიან. ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამოფენა, ღვთის შეწევნით, ზუგდიდამდე უვნებლად ჩავიტანეთ.

ზუგდიდი ბოლო გაჩერებაა და „ჩვენთან ბნელა“... ეს ის განწყობილებაა, რომელიც ნამდვილ ზუგდიდელებს ახლა მოსვენებას არ აძლევს. ამიტომ არის, რომ გალერეის დირექტორი თითოეულ სურათს სიხარულით შესცქერის და თავად მონაწილეობს მათ დაბინავებაში.

აბელ კალანდია:

— „ართ გალერეა“ 1983 წელს დაარსდა. აქ ბევრი გამოფენა, შეხვედრა, ლიტერატურული საღამო გამართულა, მაგრამ 1993 წლის შემდეგ, თბილისში არავის უფიქრია, გამოფენა ჩამოეტანა. თქვენ პირველი მერცხლები ხართ.

მიშა მიამბობს ისევ:

— თბილისში, „კოპალაში“ შეეხვდი ასმათ ალანიას. ვისაუბრეთ და მაშინ გამიჩნდა „მოსიარულე გამოფენის“ მოწყობის იდეა. ასმათი ყველა გამოფენაში აქტიურად მონაწილეობს.

— ჩვენ აქ გამუდმებით ვმართავთ ადგილობრივი მხატვრების გამოფენებს, — *ერთვება საუბარში ასმათი*, — მაგრამ ისე გამოდის,

რომ ერთმანეთის ნამუშევრების გარდა, სხვას ვერაფერს ვხედავთ, ცოტა კომიკურია, მაგრამ უკვე იმის საშიშროებაა, რომ ერთმანეთის გავლენის ქვეშ მოვექცევით.

რამდენიმესაათიანი მუშაობის შემდეგ, ექსპოზიციაც მზადაა გახსნისთვის. ეს გამოფენა ზუსტად ერთ თვეს, 5 ივნისამდე მიიღებს დამთვალიერებლებს. შემდეგ, მიშა ისევ ჩამოვა, სურათების წასაღებად, ზუგდიდში კი რამდენიმე სურათს საჩუქრად დატოვებს.

ესეც „არაჩვეულებრივი გამოფენის“ ტრადიციული ნაწილია: ყველგან, სადაც გამოფენა ეწყობა, სულიერი კვალის გარდა, მატერიალურსაც ტოვებს. ერთ სურათს თავად მიშა უძღვნის მასპინძელ გალერეას. მას თანამოაზრეებიც ყოველთვის ჰყავს. ამ ეტაპზე უკვე ვიცით, რომ მიშა იაშვილის ფერწერულ ტილოსთან ერთად, ამ გამოფენის ჟანრობრივად ერთადერთი ექსპონატი, მამარდაშვილის პორტრეტიც, რომელიც მხატვარ გოიკა გეგეჭკორს ეკუთვნის, სამუდამოდ დარჩება ზუგდიდის გალერეაში...

— მიშა, როგორ აგროვებ ხოლმე სურათებს? ან რა პრინციპით?

— „ერთი სურათის პრინციპით“. მე მხოლოდ ერთ სურათს

ვითხოვ. დიდი პრეტენზიების გამოხატვის არც სურვილი მაქვს და არც საშუალება. ეს გამოფენა ხომ კეთილი ნების გამოხატულებაა მხოლოდ. ახლა

ეს 59 სურათი ჟანრობრივად საოცრად განსხვავებული გამოვიდა, მაგრამ ვინც რა ისურვა, რომ გამოეგზავნა, მეც ის ჩამოვიტანე. მგონი, ასე უფრო საინტერესოცაა. მინდა გითხრა, რომ ყოველი მომდევნო გამოფენა განსხვავებულია ანუ — იმავე ავტორების ახალი სურათებით კომპლექტდება. შეგროვების პროცესი ჩემთვის ძალიან სასიამოვნო და საინტერესოა, რადგან როცა სურათის წამოსაღებად მივდივარ, საშუალება მეძლევა, ვნახო, რაზე მუშაობენ ჩემი მეგობრები... მათ შემოქმედებით ცხოვრებაში ბუნებრივად ვიჭრები, ეს კი დიდ ენერგიას მაძლევს.

— **საინტერესოა, რას იტყვიან ხელოვნებათმცოდნეები.**

— იცი, ჩემთვის უფრო საინტერესო დამთვალიერებლის, მხატვრების რეაქციაა. ხელოვნებათმცოდნეების არაფერი მესმის. მხატვრები აბსოლუტურად არაპროგნოზირებადი ხალხი ვართ: აბა, წარმოიდგინე, დადგა ნამთვრალევი მხატვარი ტილოსთან, შექმნა თითქმის უგონო მდგომარეობაში შედევრი... ჰო, ეს არ არის გასაკვირი, იმიტომ, რომ შედევრები მხოლოდ შთაგონების შედეგად იქმნება... მერე გადაშლის ეს მხატვარი ჟურნალს, გაზეთს, სადაც ვიღაც კარგად განსწავლული ხელოვნებათმცოდნე უხსნის, თუ რას განიცდიდა თავად, ამ ტილოს შექმნის პროცესში, ან რა იდეა უნდოდა, ჩაედო და რამდენად მოახერხა ეს...

— **გაოცებული ვარ. არ გიყვარს ხელოვნებათმცოდნეები?**

— არა, იყვნენ, არაფერს მიშლიან... ოღონდ ისინი გვარ-სახელებს უფრო აღიქვამენ, ვიდრე სურათებს. ჩვენ გვერდით ახლა უამრავი უნიჭიერესი მხატვარია. შეაფასონ ისინი ობიექტურად, ისე, რომ მათ მიერ უკვე მოპოვებულ ადგილზე არ იფიქრონ.

— *იქნებ ახლა ხელოვნებათმცოდნეებმა თქვან, რომ ასეთი ტიპის გამოფენა მხოლოდ საქართველოს პირობებშია შესაძლებელი, რადგან მეეჭვება, თუნდაც ევროპულ ქვეყნებში ერთ კაცს მოეხერხებინა, ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე, მხატვრების მთელი თაობა დაეყოლიებინა გამოფენების სერიის გამართვაზე.*

— ეს ქართული ხასიათია, ვაჟკაცური, ხელგაშლილი... ჩვენ მილიონერები ვართ შინაგანი განწყობით.

ქუჩებში ვსეირნობთ, აქაურობა ნახვამდეც მიყვარდა... ჩემთვის გაუგებარ, მეგრულ დიალექტზე მოსაუბრე ადამიანებს ვუსმენ და ვფიქრობ, ეს ხალხი უფალმა მართლაც, გამოარჩია დანარჩენი საქართველოსგან თუნდაც იმით, ასეთ მელოდიურ დიალექტზეც შეუძლიათ ისაუბრონ, ულამაზეს ქართულ ენასთან ერთად. და მერე — ბედი?!. ბედი და იღბალი, მეგრული ხასიათისათვის დამახასიათებელი სიჯიუტით რომ ჭედავენ აქაურები!..

გამვლელებს დადიანების სასახლის გზას ვეკითხები. მიღიმიან და მიხსნიან, თან მომყვებიან დაუზარებლად.

...საღამოს, საუბარს მეგრული კერძებით გაწყობილ სუფრასთან ვაგრძელებთ. არაფერი — პოლიტიკაზე, არაფერი — წარსულზე, საუბარი მხოლოდ ხელოვნებას, ამ არაჩვეულებრივ გამოფენას ეხება. გამოდის, ეს საღამოც არაჩვეულებრივია...

ვინც რა ისურვა, რომ გამოეგზავნა, მეც ის ჩამოვიტანე. მგონი, ასე უფრო საინტერესოცაა

— **ბატონო აბელ, როგორ ფიქრობთ — მოვა დამთვალიერებელი? — ვეკითხები გამოფენის გახსნის წინ „ართ გალერეის“ დირექტორს.**

— რა თქმა უნდა, მოვა. დღეს შეიძლება, ყველა მსურველმა ვერ მოახერხოს, მაგრამ ერთი თვე საკმაო დროა იმისთვის, რომ სამეგრელომ ამ მშვენიერებით დატკბობა მოასწროს. ჩვენ ჩაკეტილები ვართ ამ პატარა სივრცეში, აფხაზეთის დაკარგვამ თითქოს მთავარი ბერკეტი გამოაცალა ჩვენს არსებობას. თბილისიდან აქ არავინ მოდის, იქით, საითაც მხოლოდ ერთი საათის გზაა, გამოვიდა, რომ ორი ათწლეულია, მივდივართ და ვეღარ ჩავაღწიეთ...

სხვა რა გითხრათ?.. „არაჩვეულებრივი გამოფენა“ მშვიდად და უპრეტენზიოდ, პომპეზურობის გარეშე, ზუგდიდის ცენტრში, ზვიად გამსახურდიას ქუჩაზე, იქ, სადაც ზუგდიდელი ხელოვანები ხშირად იკრიბებიან, უკვე გაიხსნა... მიშა იაშვილი აგვისტოში, გამოფენის ხევსურეთში ატანას გეგმავს. მაღლა, ღმერთთან ახლოს, სიყვარულით — ქართველი ფერმწერებისაგან.

P.S. „არაჩვეულებრივ გამოფენაში“ მონაწილეობდნენ მხატვრები: მიშა იაშვილი, ასმათ ალანია, ლადო სალუქვაძე, დათო მონავარდისაშვილი, ყარამან ქუთათელაძე, ზალიკო ბაჩანაშვილი, ვახო გაბუნია, ჯემალ კუხალაშვილი, ბესო არბილიშვილი, გია გუგუშვილი, გია მირზაშვილი, თემურ ჯავახიშვილი, ლადო ტატიშვილი, გელა ზაუტაშვილი, ქეთი ფერაძე, გოიკა გეგეჭკორი, დათო ალექსიძე, ოთარ ციციშვილი, ილო ჩიტაძე, იურა სკრინიკოვი, გია ქემოკლიძე, ნიკო ცეცხლაძე, მამუკა ცეცხლაძე, ლეილა შველიძე, ნიკო ხერკელაძე, ოთარ ვეფხვაძე, ლადო თევდორაძე, შალვა მატუაშვილი, ლევან ჯოლიშვილი, ვაჟა ქურხული, ვახო აბულაძე, ლევან ხარანაული, კოკა ციხელაშვილი, გია ბუღაძე, გიგა ლაზარაშვილი, ოთარ ჩაკვეტაძე, გუგა კოტეტიშვილი, გია ბადურაშვილი, მალხაზ დათუკაშვილი, თემურ ცხოვრებაშვილი, მიშა გოგრიჭიანი, სერგი თბილელი, რომან კუპრეიშვილი, თენგო ქავთარაძე, გია გურასპაშვილი, გოჩა ფრუიძე, ემზარ ხაბულიანი, თემურ ჩხეტიშვილი, ომარ დურმიშიძე, გელა სოხაძე, ნანა ყუფარაძე, ნინო ჯიშკარიანი, ქეთი იაშვილი. ■

Marussia F2 — რუსული არასაგზაო

რუსულმა კომპანიამ, — Marussia, — ახალი მოდელი წარმოადგინა: 7-ადგილიანი არასაგზაო Marussia 2. მანქანის დებიუტი საერთაშორისო გამოფენა „სვიაზ-ექსპოკომ-2010“-ზე შედგება. ავტომობილის ტექნიკური მაჩვენებლები ჯერჯერობით უცნობია. როგორც Marussia Motors-ის ვებგვერდზე განთავსებულ პრესრელიზშია ნათქვამი, ახალი ავტომობილი შეიძლება გამოშვებული იყოს როგორც სამოქალაქო, ასევე ძალოვანი ან სამაშველო სტრუქტურებისთვის განკუთვნილ ვარიანტებად. შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, იგი სპეციალური მოწყობილობების მდიდარი კრებულით აღჭურვება. ამ ავტომობილს ძარას ორიგინალური დიზაინი აქვს, რომელიც Marussia-ს სპორტავტოების სტილშია შესრულებული. ამ პროტოტიპზე მულტიმედიური კომპლექსის დებიუტი შედგა, რომელიც GPS-ისა და ÄËÎÍÀÑÑ-ის სტანდარტების დამაკმაყოფილებელ, სანავიგაციო სისტემას მოიცავს. სიახლეს ტრანსმისიაზე სიჩქარის გადაცემათა დაბალი რიგი აქვს. ამ ეტაპზე არ ზუსტდება, თუ რომელ პლატფორმაზეა აგებული არასაგზაო Marussia F2. არასაგზაოს გარდა Marussia-ს სამოდელო რიგი 2 სპორტ-კუპესაც მოიცავს. მათი მსოფლიო დებიუტი ფრანკფურტის ავტოსალონზე, გასულ წელს შედგა. ესენია მანქანები ახალი ძარებით — ინდექსით B2 და უკვე ცნობილი B1-ით, რომელიც პირველად 2008 წლის დეკემბერში იყო წარმოდგენილი. ეს უკანასკნელი ბრიტანული ფირმის — Cosworth მიერ შემუშავებული 3,6-ლიტრიანი, 6-ლიტრიანი ბენზინის მოტორითაა აღჭურვილი. ადრე იუწყებოდნენ, რომ სიმძლავრის მიხედვით ასეთი ძრავას შეკვეთა 6 ვარიანტად იყო შესაძლებელი 245-420 ცხ. ძალის ფარგლებში. გარდა ამისა, Cosworth-თან ერთად კომპანია Marussia-მ თავისი მანქანებისთვის 2,8-ლიტრიანი ტურბომოტორიც შეიმუშავა. ■

კაბრიოლეტი „ჰიუნდაისგან“

კომპანია „ჰიუნდაიმ“ უახლოეს მომავალში შეიძლება კაბრიოლეტი Sonata წარმოადგინოს, რომელიც მეექვსე თაობის ამავე სახელწოდების სედანის ბაზაზეა აწყობილი. Inside Line-ს ჟურნალისტთა მოსაზრებით, ასეთი ავტომობილის შემუშავება და სერიული გამოშვება აშშ-ის ბაზრის ათვისების საქმეში, შეიძლებოდა მომდევნო სერიოზულ ნაბიჯად ქცეულიყო. კაბრიოლეტ Hyundai Sonata-ს არა მყარი, არამედ, ქსოვილის, დასაკეცი სახურავი ექნება, რაც ამ სეგმენტისთვის მოდელს უფრო იაფფასიან და პრაქტიკულ ავტოდ აქცევს. იგი სავარაუდოდ, ორი ძრავათი გაიყიდება (მაშინ, როდესაც სედანი სამი მოტორითაა ხელმისაწვდომი) 2,4-ლიტრიანი, 4-ცილინდრიანი, 200 ცხ. ძალისა და 2,0-ლიტრიანი, 272 ცხ. ძალის სიმძლავრის აგრეგატებით. მეექვსე თაობის Hyundai Sonata-ს პრემიერა ლოს-ანჯელესის ავტოსალონზე, 2009 წელს შედგა. აშშ-ში კი ავტომობილების გაყიდვა იმავე წელს დაიწყო. ამერიკული ბაზრის გარდა, ახალი Sonata კორეაში, ინდოეთში, სინგაპურსა და ავსტრალიაში იყიდება. 2010 წლის მარტში კომპანია „ჰიუნდაიმ“ ჟენევის ავტოსალონზე ჰიბრიდული „სონატას“ პროტოტიპის დემონსტრირება მოაწყო. ჩვეულებრივი ვერსიისგან განსხვავებით, იგი 1,7-ლიტრიანი დიზელის ძრავათი, ელექტრომოტორით, ლითიუმ-იონური ბატარეებითა და სიჩქარის გადაცემათა 6-საფეხურიანი კოლოფითაა აღჭურვილი. ■

FT-86-ს მინივერსია

კომპანია „ტოიოტა“ სპორტავტოს, — FT-86, — შემცირებული და უფრო ხელმისაწვდომი ვერსიის შექმნას შეუდგა, რომლის პროტოტიპიც გასულ წელს ტოკიოს მოტორშოუზე წარადგინეს. სიახლის გაბარიტული სიგრძე დაახლოებით 3,8 მ-ია, ხოლო მისი კაპოტის ქვევით 1,5-ლიტრიანი, 110 ცხ. ძალის სიმძლავრის მქონე ბენზინის „ოთხიანი“ დამონტაჟდება. „უმცროსი“ FT-86-ის ფასი ამერიკულ ბაზარზე 20 ათას დოლარს არ გადააჭარბებს. თავდაპირველად, Toyota და Subaru, რომლებმაც ერთობლივად შეიმუშავეს სპორტკუპე FT-86, ამ

მოდელის შემცირებული ვერსიის გამოშვებას არ გეგმავდნენ. გარდა ამისა, სურდათ, რომ ავტომობილის ფასი, — 20 ათასი დოლარი, — არ შეცვლილიყო. თუმცა, ზოგიერთი მონაცემით, მანქანის შექმნაზე დანახარჯმა, მოსალოდნელ დონეს გადააჭარბა, რამაც მისი გასაყიდი თანხის გაზრდა გამოიწვია. სავარაუდოდ, FT-86-ის მინიმოდიფიკაცია თავის „უფროს ძმაზე“ დაახლოებით 5 ათასი დოლარით იაფი იქნება, თუმცა უკანა აძვრის სისტემას შეინარჩუნებს. წინასწარი ინფორმაციით, კუპეს, — Toyota FT-86 — სერიული წარმოება მომავალი წლის ბოლოს დაიწყება, ხოლო 2012 წელს ბაზარზე მის შემცირებულ ვერსიას გაიყვანენ. ავტომობილი გამოვა როგორც Toyota-ს, ასევე Subaru-ს მარკის ქვეშ. ტოკიოში წარმოდგენილი FT-86-ის პროტოტიპი, რომლის სერიული ნიმუში ლეგენდარულ ჰეჩბეკს, — Toyota AE86 შეცვლის, დაახლოებით 200 ცხ. ძალის სიმძლავრის 2,0-ლიტრიანი ოპოზიტური მოტორით იყო აღჭურვილი. მანქანის გაბარიტული სიგრძე 4მ-ს შეადგენს, ხოლო მისი ბორბლების ბაზა 2,52 მეტრის ტოლია, რაც ოდნავ ნაკლებია Toyota Auris-სა და Subaru Impreza-ს ანალოგიურ მაჩვენებლებზე. ■

დედამიწის მივიწყებული ადგილები

აღდგომის კუნძულს მეორენაირად რაპა ნუისაც ეძახიან და იმ ქანდაკებებითაა ცნობილი, რომლებიც ჩვენს ერამდე XV საუკუნეში დაამზადეს, მაგრამ რისთვის და რა ტექნოლოგიით, უცნობია. დღეს კუნძულზე 4 ათასი ადამიანი ცხოვრობს. საინტერესოა, რომ კუნძულზე არც ერთი ხე არ იზრდება, მაგრამ მკვლევრების აზრით, კუნძული ადრე დაბურული ტყით უნდა ყოფილიყო დაფარული. წინათ კუნძულზე მოსახვედრად მეცნიერებს კვირები სჭირდებოდათ. ახლა ცნობისმოყვარე ტურისტებისთვის პატარა აეროპორტი ააშენეს.

ქალაქი ლა რინკონადა (პერუ) ზღვის დონიდან 5180 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. ქალაქში მოსახვედრად ერთი დღე არ გეყოფათ. გზა სახიფათოა. მიუხედავად ამისა, ქალაქში 50 ათასი ადამიანი ცხოვრობს. მათი დიდი ნაწილი ოქროს მოპოვებითაა დაკავებული.

ანტარქტიდის სადგურ მაკმურდოში მეცნიერები ცხოვრობენ. 1200 ადამიანისთვის მუშაობს აეროპორტი, ტელევიზია. აქვთ საკუთარი ჰიმნი და გოლფის მოედანი.

ავსტრალიის ნახევარკუნძულზე, კეიპ იორკზე 18 ათასი ადამიანი ცხოვრობს — ძირითადად, აბორიგენები. ისინი იმ ტრადიციებსა და ჩვეულებებს მისდევენ, რომლებსაც ათეული წლების წინ მათი წინაპრები. ბოლო დროს მათ მიმართ ტურისტები დიდ ინტერესს იჩენენ. იქ მოხვედრა მხოლოდ დარში, ვერტმფრენითაა შესაძლებელი.

გრენლანდიაში, დედამიწის ყველაზე ცივ კუნძულზე, 57 ათასი ადამიანი ცხოვრობს. ქალაქ Ittoqqortoormiit-ში — 500. მოსახლეობა თეთრ დათვებსა და ვეშაპებზე ნადირობს. ზაფხულში თევზს იჭერს. ქალაქის ზღვის სანაპირო მთელი წლის მანძილზე ყინულითაა დაფარული. ზაფხულში, მხოლოდ სამი თვით ლღვება.

კერგელენი სამი კონტინენტის — ანტარქტიდის, ავსტრალიისა და აფრიკის შუაში მდებარეობს, მაგრამ აეროპორტი იქ არ არის. გემით უნდა იმგზავროთ. კუნძულზე მხოლოდ ფრანგი მკვლევარ-მეცნიერები ცხოვრობენ.

კენგურუ

ბავშვმაც კი იცის, რომ ადამიანის სიმაღლის, ჩანთოსან, კალიასავით მოხტუნავე ცხოველს კენგურუ ჰქვია. 1700 წელს, ევროპელთაგან პირველმა, იგი ჯეიმს კუკმა იხილა. უჩვეულო ცხოველის დანახვისას მეზღვაურმა აბორიგენს მისი სახელი ჰკითხა. „კენ-გუ-რუ“ — იყო პასუხი, რაც ნიშნავს: „არ ვიცი“. თუმცა, ეს მითია, რადგან ლინგვისტებმა შეისწავლეს აბორიგენების ენა და „კენ-გუ-რუ“ არც ერთი ტომის ენაზე „არ ვიცის“ არ ნიშნავს.

დღესდღეობით, მარტო ავსტრალიაში 60 სახეობის კენგურუ ბინადრობს. უკანა კიდურებს გადასაადგილებლად იყენებს (70 კმ/სთ-ში შეუძლია მოძრაობა), წინას — ხელების მაგივრად. კუდი წონასწორობის შენარჩუნებაში ეხმარება. კენგურუები სამ ძირითად ჯგუფად დაყვეს: კენგურუ ვირთხა, ვალაბი და გიგანტური კენგურუ. ავსტრალიის გერბზე სირაქლემასთან ერთად გიგანტური კენგურუა გამოსახული. გიგანტური კენგურუც სამ ჯგუფადაა დაყოფილი: რუხი — ანუ ტყის. სიმაღლეში ის სამ მეტრამდე იზრდება; ჟღალი ანუ ველის — ეს ჯიში ყველაზე გავრცელებულია, დიდი ქალაქის გარეუბნებშიც კი ბინადრობენ. მთის კენგურუ ანუ ვოლარუ (საშუალო კენგურუსა და თაგვს შორის). მათ ყველაზე გვიან, 1832 წელს მიაგნეს.

აღსანიშნავია, რომ ჩანთა მხოლოდ დედა კენგურუს აქვს. ახალდაბადებული კენგურუ (ფეხმძიმობა ერთი თვე გრძელდება) 25 სმ-ია. დაბადებისთანავე იგი დედის ჩანთაში ხვდება, სადაც 6-9 თვეს ატარებს. კენგურუს ჩანთაში სარძევე ჯირკვლები აქვს. შეუძლია, ორი სხვადასხვა შემადგენლობის რძე გამოყოს. ახალშობილი და მოზრდილი კენგურუსთვის, რომელიც ჩანთაში „ცხოვრობს“.

კენგურუს ცოტა მტერი ჰყავს. წყლის დასალევად მისულ ცხოველს შეიძლება ქინქლამ თვალში უკბინოს, რაც კენგურუს დაბრმავებას იწვევს. კენგურუებს ძირითადად მელია, დინგო (ავსტრალიაში გავრცელებული ველური ძაღლი) და მტაცებელი ფრინველები მტრობენ.

ამ ცხოველს ძლიერი კიდურები აქვს. მტერს ძლიერად ურტყამს. ამის გამო მოკრივის ხელთათმანიანი კენგურუ სხვადასხვა სპორტის — კრიკეტის, ფეხბურთისა და ჩოგბურთის, ოლიმპიური თამაშების სიმბოლოდ იქცა. ბულგარეთის ზოოპარკში ალბინოსი კენგურუც კი ბინადრობს. ■

ცოცხლად დამარხულები

ინგლისელ მწერალს, უილკი კოლინზს („მთვარის ქვა“, „ქალი თეთრებში“) ეშინოდა, ცოცხალი არ დაემარხათ და ძილის წინ, მითითებებს ტოვებდა, როგორ უნდა შეემოწმებინათ, ცოცხალი იყო თუ არა.

ადამიანებს ცოცხლად ძირითადად, ლეთარგიული ძილის შემთხვევაში მარხავდნენ. ეს არის ავადმყოფური მდგომარეობა, რომლის დროსაც ადამიანი უმოძრაო და ურეაქციოა. ლეთარგიული ძილი შესაძლოა, რამდენიმე საათი და თვეებიც კი გაგრძელდეს.

1964 წელს, ნიუ-იორკის მორგში „გვამის“ გაკვეთა იყო დაგეგმილი. ლანცეტის შეხებისთანავე „გვამი“ წამოხტა და პათოლოგ-ანატომს ყელში ეცა. ექიმი ადგილზე გარდაიცვალა. ასეთი გაცოცხლება ადრეც ხშირად მომხდარა. 1816 წელს, ბრიუსელში, ახალგზარდა მამაკაცს ლეთარგიული ძილით „ჩაეძინა“. კვირას, როცა მის კუბოზე ლურსმნების ჩაჭედება დაიწყეს, „მკვდარი“ წამოდგა და გაზეთი და ყავა მოითხოვა. ცნობილია, რომ ფრანჩესკო პეტრარკა 20 საათი მკვდარივით ესვენა (კანონის თანახ-

მად, ადამიანს გარდაცვალებიდან 24 საათის შემდეგ მარხავდნენ). მწერალი მოულოდნელად მოვიდა გონს. წუხდა, სიცივემ შემაწუხაო. ამ დღის შემდეგ მან კიდევ 30 წელი იცოცხლა და საუკეთესო ნაწარმოებები შექმნა.

ძველად, მიცვალებულს გარდაცვალებიდან რამდენიმე დღეში მარხავდნენ. ეშინოდათ, ლეთარგიული ძილის დროს ცოცხალი ადამიანი არ დაემარხათ. მიუნხენში, მოულოდნელად გარდაცვლილ ადამიანებს ერთ ოთახში ასვენებდნენ და თავთან ზარს უბამდნენ. ზოგჯერ ადამიანი დაკრძალვის შემდეგ იღვიძებდა. 1856 წელს, მიუნხენში, დაკრძალულის საფლავიდან უცნაური ხმები ისმოდა. სანამ საფლავი გათხარეს, ცოცხლად დამარხული შიშისგან გარდაიცვალა. 1873 წელს, ფეხმძიმე ქალი დაკრძალეს. საფლავში გამოღვიძებულმა შიშისგან იმშობიარა, მაგრამ სამწუხაროდ, დედაც და ახალშობილიც მაშველების მოსვლამდე გაიგუდნენ.

XIX საუკუნეში სპეციალური ჯგუფი შეიქმნა, რომლებსაც ნამდვილი სიკვდილი უნდა გამოევლინათ. ერთ-ერთი მეთოდით, გარდაცვლილს თითს ანთებული სანთლით უწვავდნენ. თუ თითზე წყლული გაჩნდებოდა, ადამიანი ცოცხალი იყო. თუ არა — მაშინ მარხავდნენ.

მოგვიანებით, რენტგენის სხივებით არკვევდნენ, ლეთარგიული ძილის მდომარეობაში იყო ადამიანი თუ გარდაცვლილი. ■

ხმლის მყლაპავი რეკორდსმენი



ადამიანები, რომლებიც ხმლის ყლაპვით თავს საფრთხეში იგდებენ, პირველად ჩვენს ერამდე 2 ათას წელს, ინდოეთში გამოჩნდნენ. ფაკირებსა და შამანებს ხმლებისა და რაპირების ჩაყლაპვით საკუთარი სრულყოფილების დამტკიცება სურდათ. ამერიკაში ხმლის მყლაპავები პირველად XIX საუკუნეში გამოჩნდნენ. მოგვიანებით, ქალაქ ნეშვილში (ტენესის შტატი, აშშ) საერთაშორისო ორგანიზაციაც შექმნეს. 28 თებერვალი ხმლის მყლაპავთა საერთაშორისო დღეა.

ბრუკლინში ხმლის სწორად ჩაყლაპვის სამოყვარულო წრეა გახსნილი. ხმლის მყლაპავები ხშირად ყელის, ზოგჯერ კი საჭმლის მომნელებელი სისტემის ტკივილს უჩივიან. დამწყებმა ხმლის მყლაპავმა სასურველია, გულისრევის სიმპტომი დასძლიოს. ამისათვის, თავდაპირველად, ჯერ საყლაპავ მილში თითებს იყოფენ. შემდეგ კარაქწასმულ ნივთებს (კოვზი, ფუნჯი, საქსოვი ჩხირები) ყლაპავენ.

ხმლის მყლაპავებს ძალიან საშიში პროფესია აქვთ. ხმლის ჩაყლაპვის დროს თუ გადარჩნენ, შესაძლოა, გარემო ფაქტორებმა დააზიანონ. ერთხელ, ერთი მამაკაცი სცენაზე თუთიყუშით გამოვიდა. ხმლის ჩაყლაპვის შემდეგ, თუთიყუში აფრთხიალდა და ჩაყლაპულმა ხმლებმა მამაკაცს საყლაპავი მილი დაუზიანა. მეორე ადამიანი სამი ხმლის ჩაყლაპვის შემდეგ აღმოსავლურ ცეკვას ასრულებდა. მადლიანი მაყურებელი ქამარში კუპიურებს უდებდა, რამდენიმე უხეში შეხების შემდეგ ხმლის მყლაპავს შინაგანი ორგანოების სისხლდენა დაეწყო.

ციხის ჟარგონით „ხმლის მყლაპავი“ ჰქვია ადამიანს, რომელიც საკუთარ თავს განზრახ აყენებს ზიანს. თავად ხმლის მყლაპავები საკუთარ თავს blade glommers-ს ეძახიან. სხვათა შორის, ენდოსკოპიის განვითარებაში ხმლის მყლაპავებმა

დიდი წვლილი შეიტანეს. ისინი გამოკვლების მიზნით, სხვადასხვა ინსტრუმენტს ყლაპავდნენ.

დაბოლოს, 2010 წლის 28 თებერვალს, ავსტრალიელმა ჩაინ ხულტგრენმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — ერთდროულად 50-სმიანი, 18 ხმალი გადაყლაპა. ■

დედამიწის მივიწყებული ადგილები

აეროპორტი არც კუნძულ პიტკერნზეა, მაგრამ ახალი ზელანდიიდან გემით 10 დღეში მიხვალთ. კუნძულზე გემ „ბაუნტის“ ამბოხებული მეზღვაურები და კუნძულ ტაიტიდან წამოყვანილი ქალების შთამომავლები ცხოვრობენ — სულ რამდენიმე ათასი ადამიანი. მოსახლეობა მიწათმოქმედებით, თევზაობითა და სუვენირების დამზადებითაა დაკავებული.

კანადის დასახლება ალერტში ტემპერატურა მინუს 40 გრადუსამდე ეცემა. ზაფხულში დღე 24 საათი გრძელდება, ზამთარში პოლარული, 24-საათიანი ღამე დგება. ალერტში სამხედრო აეროპორტი მდებარეობს, მაგრამ ცუდი ამინდის გამო ხშირად დაკეტილია. 1991 წელს აეროპორტამდე 30 კმ-ში თვითმფრინავი ჩამოვარდა. 4 ადამიანი ადგილზე გარდაიცვალა. დანარჩენი გაიყინა, რადგან ცუდი ამინდის გამო, მაშველები 30 საათის დაგვიანებით მივიდნენ.

ტიბეტის ავტონომიური ოლქი, მოტუო, ცივილიზაციას მოწყვეტილია. ბუდისტები მას წმინდა ადგილს ეძახიან. ჩინეთის ფლორის 10 პროცენტი სწორედ იქაა თავმოყრილი. მოტუოში მოსახვედრად ჰიმალაის ყინულოვანი გზები უნდა გადაიაროთ და 200-მეტრიან, ბეწვის ხიდზეც გაიაროთ. 90-იან წლებში საავტომობილო გზაც გაიყვანეს, მაგრამ მთები ჩამოიშალა და გზის ადგილას ახლა გაუვალი ტყეებია. თითქოს ბუნებას არ სურს, მოტუოში ცივილიზაციამ შეაღწიოს.

კუნძული ტრისტან დე კუნია 1506 წელს პორტუგალიელმა მეზღვაურებმა აღმოაჩინეს. იგი კუნძულ წმინდა ელენეს „მეზობლად“ (2161 კმ-ში) მდებარეობს და ინგლისის მფლობელობაშია. კუნძულზე ჯგუფებად ცხოვრობენ იტალიელები, ბრიტანელები, ამერიკელები — სულ 300-მდე ადამიანი. კუნძულზე არის ტელევიზია და ინტერნეტი, მაგრამ ცუდი რელიეფის გამო ვერ აშენდა აეროპორტი. ამიტომ კუნძულს გემით მიუახლოვდებით.

გზაში საკითხავი კოლაქი

ძეძღვენელი თემურ ივანიძე

1. მათუთა ერთწლოვანი ბალახია.
2. „მაკიდო“ და „ოხრახუში“ სინონიმებია.
3. ყოველ წამს დედამიწაზე 3 ბავშვი იბადება.
4. „ნა კაუდავა მესიე, იესტ სვაიო დოსიე“, — ამბობენ რუსები.
5. ფორშმაკი — დაკეპილი და კარტოფილთან ერთად შემწვარი ხორცია.
6. ხეპრე, ტლანქ, რეგვენ და შეუსმენელ ადამიანს ოტროველას ეძახიან.

7. სამი ნივთით ტრადიციული წესით ჟონგლირების წესს „კასკადი“ ჰქვია.
8. მძიმე წონით კატეგორიას კრივში არა აქვს მაქსიმალური წონის ლიმიტი.
9. მარჩილი — ძველი ქართული ვერცხლის ფული იყო, რომელიც სამ აბაზს უდრიდა.
10. ერთი ეპოქის, ერთი მიმართულების გამოჩენილ მოღვაწეთა ჯგუფს პლეადას ეძახიან.
11. ცხოვრების მანძილზე ქალის ორგანიზმში 7 მილიონამდე კვერცხუჯრედი წარმოიქმნება.
12. პატარა ხელკეტს, რომლსაც მეთევზე დაჭერილ თევზს თავში ურტყამს, ჰუმანიზატორს ეძახიან.
13. გადაულახავ დაბრკოლებას, ვითარებას, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელია, ფორს-მაჟორი ჰქვია.
14. რუსთაველის პრემია ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში მიღწევებისათვის დასაჯილდოებლად, 1965 წელს დაარსდა.
15. „ინგლისი ელის, რომ ყოველი ჩვენგანი პირნათლად მოიხდის ვალს სამშობლოს წინაშე“, — ამ სიტყვებით მიმართა ტრაფალგარის ბრძოლის წინ ადმირალმა ნელსონმა თავისი ფლოტის მეზღვაურებს.
16. ადამიანს მარჯვენა ფეხი მარცხენა ფეხზე ოდნავ უფრო გრძელი აქვს. ამის გამო, ტყეში დაკარგული ადამიანი, თუკი მას კომპასი ან რაიმე ორიენტირი არა აქვს, წრეზე დადის. რაც უფრო ნაკლებია განსხვავება მარჯვენასა და მარცხენა ფეხს შორის, მით უფრო დიდია მის მიერ გაკეთებული წრე.
17. დიდი ბრიტანეთის მეფე ჯორჯ V და რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ II დეიდაშვილები იყვნენ. ისინი გარეგნულად ძალზე ჰგავდნენ ერთმანეთს. ოქტომბრის რევოლუციის დროს რუსეთის სამეფო ოჯახის სასწაულებრივად გადარჩენილმა ნათესავებმა ინგლისს შეაფარეს თავი, სადაც ისინი ინგლისის მეფემ პატივით მიიღო. ხელმწიფის დანახვაზე,

საკითხავი ქალებისათვის

სიგარმაცე - ენერგიის წყარო

რაოდენ უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, ფსიქოლოგები დღესდღეობით, სიზარმაცეს ენერგიის წყაროდ მიიჩნევენ. ყოველდღიური ცხოვრების გიჟურ რიტმში აუცილებლად უნდა გამონახოთ დრო საკუთარი თავისთვის და დაისვენოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება დეპრესიაში ჩავარდეთ; ანდა ორგანიზმმა გადაღლას ვერ გაუძლოს და ავად გახდეთ.

• აქამდე სიზარმაცე ადამიანის ერთ-ერთ დაუძინებელ მტრად მიიჩნეოდა. ახლა კი ამბობენ, იზარმაცეთ და დიდხანს იცოცხლეთო. თუ რაიმე საქმის გაკეთება გეზარებათ, ნუ გააკეთებთ, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ამით არავინ და არაფერი დაზარალდება. ამ დროს ორგანიზმი დასვენებას ითხოვს, რაც მომავალში აუცილებლად აგინაზღაურდებათ.

• სიზარმაცე დეპრესიისგანაც დაგიცავთ. უგუნებობა და დეპრესიული განწყობილება ხშირად სეზონური ცვალებადობის დროს ძლიერდება. ზოგი მეტისმეტად აქტიურდება, ზოგიც პირიქით — ზედმეტად ინდიფერენტული ხდება. უსიამოვნო და უკიდურესი მდგომარეობისგან თავის დაღწევის საშუალება სიზარმაცეა. წამოწექით დივანზე, უყურეთ ტელევიზორს... ვინ იცის, იქნებ შინ რომ არ დარჩენილიყავით და მეგობრებთან ან თუნდაც საქმეზე წასვლა არ დაგზარებოდათ, რა უსიამოვნებას გადაჰყროდით.

• ზარმაცს ყველაზე წარმატებული იდეები მოსდის. არავისთვისაა საიდუმლო, რომ სიჩქარე და სტრესი შემოქმედებითი საქმიანობის უბოროტესი მტერია. შემთხვევითი არ არის, რომ მწერლები და მხატვრები შთაგონებისთვის ქალაქგარეთ მიემგზავრებიან. ბუნებასთან ურთიერთობა შინაგანი სიმშვიდის მოპოვების უმოკლესი გზაა. შინაგანი სიმშვიდის მდგომარეობაში კი იდეები თავისთავად მოდის.

• ზარმაცები სიამოვნებას წვრილმანებისგანაც კი იღებენ. ასე რომ, მოწყენილობის დროსაც შეგიძლიათ აქტიური ცხოვრებისთვის საჭირო ძალით აივსოთ.

• ზარმაცი უფრო მძაფრად განიცდის სიყვარულს. თუმცა დროთა განმავლობაში, თავდაპირველი ვნება ქრება. შეეცადეთ, პერიოდულად ერთმანეთისგან შორს იყოთ. ამით საკუთარ გრძნობებსაც გამოცდით და შეხვედრის სიხარულსაც გაიორმაგებთ.

• ნუ იჩქარეთ ურთიერთობის გარკვევას. უსიამოვნება სამსახურში, დავა ოჯახში, კამათი მეგობრებთან... სტრესული სიტუაციები პრობლემებს აორმაგებს. ისწავლეთ უსიამოვნებებისგან მოწყვეტა, მათი განყენებულად წარმოდგენა. „დაიზარეთ“ და კამათში ნუღარ ჩაებმებით.

• ისწავლეთ თავის ხელში აყვანა. სტრესულ მდგომარეობაში ადამიანი სწრაფად კარგავს მოთმინებას, რაც კონფლიქტს უფრო ამწვავებს. გახსოვდეთ: სიმშვიდე და გაწონასწორებულობა ყველაზე ცხარე კამათშიც კი შეუდარებელი იარაღია.

• არ დაივიწყოთ ზომიერების გრძნობა. უკიდურესობის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია, არასოდეს გადახვიდეთ იმ ზღვარს, რომლის იქითაც სიზარმაცე გულცივობად და შეიძლება დანაშაულადაც კი გადაიქცეს. ■

ინდოელი ქალების ნატურალური კოსმეტიკა

ცხიმიანი კანის მოსავლელად ლიმონი იდეალური საშუალებაა. აიღეთ 1 სადილის კოვზი ლიმონის წვენი და ამდენივე ხაჭო. ერთმანეთში კარგად აურიეთ და სახეზე დაიდეთ. გაიჩერეთ 20 წუთი. ნიღაბი თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

სახეს შესანიშნავად წმენდს და ჭიმავს კვერცხის ცილა. წაისვით სახეზე და 15 წუთი გაიჩერეთ. მოიცილეთ ლიმონის წვენგარეული თბილი წყლით.

მშრალი კანისთვის შესანიშნავი გამწმენდი საშუალებაა ვარდის ფურცლების, გვირილისა და ოხრახუშის ნაყენი. ■

როგორ შევიღებოთ ტუჩები

რა თქმა უნდა, ტუჩების შეღებვა არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს, თუმცა ყველაფერი არც ისე მარტივია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. ტუჩებმა ყურადღება რომ მიიქციოს, აუცილებელია განსაკუთრებული წესების დაცვა.

პირველ ყოვლისა, ტუჩები სპეციალური ტონით გაიწმინდეთ და მასზე თხელ ფენად კრემი ან ჰიგიენური პომადა წაისვით. პომადამ ტუჩებზე დიდხანს რომ გაძლოს და თავისი პირველადი სახე შეინარჩუნოს, წაისვით სამ ეტაპად.

1. კონტურის ფანქარი ტუჩების მთელ ზედაპირზე გადაისვით. არ დაგავიწყდეთ, ფანქრის ფერი პომადისას უნდა ემთხვეოდეს ან ერთი ტონით მუქი იყოს. თუ კონტური მკვეთრად გამოყოფილია, ფუნჯით თანაბრად გაინაწილეთ და წაისვით (უმჯობესია, ფუნჯით) პომადის პირველი ფენა;

2. ტუჩებიდან ხელსახოცით ზედმეტი პომადა მოიშორეთ და მსუბუქად მიიფრქვიეთ პუდრი;

3. განსაკუთრებით ხაზგასმით რომ წარმოაჩინოთ ტუჩების ფორმა, პომადის კიდევ ერთი ფენა წაისვით. უფრო ღია პომადით ქვედა ტუჩის შუა ნაწილი გამოკვეთეთ.

პომადის ფუნჯი

როცა ფუნჯით მუშაობთ, ყველაზე მცირე ნაოჭიც იღებება; ხოლო როცა ჩვეულებრივ პომადას ისვამთ, პირს ჭიმავთ და ამ დროს ტუჩების კონტურის დეფორმაცია ხდება. გარდა ამისა, ფუნჯით სხვადასხვა ფერის შერჩევა შეიძლება (პროფესიონალები ტუჩებს ერთი ფერით არასოდეს ღებავენ). ერთი ფერის მაკიაჟი სახეს უფერულს ხდის. სახეს რელიეფურობა რომ მიეცეს, საჭიროა შუქ-ჩრდილების თამაში. გაიკეთეთ მუქი კონტური, ტუჩებზე კი ღია ფერის პომადა ან პრიალა ტუჩსაცხი წაისვით.

კონტურის ფანქარი

* კონტურის ფანქრით ტუჩებს ხაზი შემოავლეთ. დაიწყეთ ზედა ტუჩის ცენტრიდან — კუთხეებისაკენ.

* ქვედა ტუჩის ხაზი მარცხენა კუთხიდან მარჯვენა კუთხემდე გაატარეთ. ხაზი თანაბარი და ზუსტი რომ იყოს, მოკლე შტრიხები შემოავლეთ.

* ზედა და ქვედა ტუჩის ხაზები კუთხეებში უნდა შეერთდეს. თუ ხაზი არ გამოდის, შეგიძლიათ ერთმანეთზე მჭიდროდ გადაბმული წერტილებით გააგრძელოთ.

* ტუჩები დიდი რომ გამოჩნდეს, კონტური ტუჩების ბუნებრივი ხაზის ზევით გაატარეთ. ■

კბილების გასათეთრებლად კარგია...

ადამიანის შეგრძნება და განწყობილება ბევრადაა დამოკიდებული მისი კბილების მდგომარეობაზე. მოხუციც კი, თუ მას მაგარი, ჯანსაღი და თეთრი კბილები აქვს, თავს მხნედ და ახალგაზრდულად გრძნობს. დღეს უამრავი კბილის პასტა არსებობს, მაგრამ საინტერესოა, როგორ ისუფთავებდნენ მათ გარეშე კბილებს ჩვენი წინაპრები?

√ კბილების გაწმენდის გავრცელებული საშუალება ძველ რუსეთში არყის ხის ნახშირის ფხვნილი იყო. ამ ფხვნილით კბილების გახეხის შემდეგ, პირში წყალს საგულდაგულოდ ივლებდნენ;

√ სასარგებლოდ მიიჩნეოდა წიწვოვანი მცენარეების — ფიჭვის, ნაძვისა და ა.შ. საღეჭი ფისი. ფისს შემოდგომაზე იმარაგებდნენ და ნაჭრის ან ხის ქერქის კოლოფებით ინახავდნენ;

√ კბილების გასაწმენდად წიწვოვანი ხის ტოტიც გამოდგება. ტოტს კანს აცლიან, შემდეგ ერთი მხრიდან რაიმე მძიმე საგნით კარგად ჩეჩქვავენ და ფუნჯს ამსგავსებენ (მისი დაღეჭვაც შეიძლება). ასეთმა „ფუნჯმა“ თავისუფლად შეიძლება შეცვალოს ჯაგრისიც და პასტაც.

√ კბილების გასათეთრებლად კიდევ სხვა მრავალი ხერხი არსებობდა. ბევრ ეთნოგრაფს აოცებდა აფრიკელი ტომის — ბერგდამების — კბილების თვალისმომჭრელი სიქათქათე. როგორც აღმოჩნდა, ისინი გამუდმებით ღეჭავდნენ ტყავის პატარა ნაჭერს.

√ კბილებს ჩაიც ძალიან უხდება. ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ეს სასმელი კბილის მინანქარს სხვადასხვა დაზიანებისგან იცავს. მსგავსი ქმედების უნარი აქვს ყურძნისა და ალუბლის წვენს, რძეს, ყავასა და სხვადასხვა სახის ყველს. ■

რუბრიკა მოამზადა ეკა გუნთაიშვილმა

ანტიდეპრესანტი

გზაში საკითხავი კოლაქი

ქემდეენელი თემურ ივანიძე

შეშინებული ემიგრანტები მუხლებზე დაეცნენ და პირჯვრის წერას მოჰყვნენ, რადგან იგი თავიანთი დაღუპული იმპერატორი ეგონათ.

18. იპოლიტე ხვიჩიას ერთხელ თეატრში ფეხსაცმელები დაუჭედეს იატაკზე. მსახიობი ისე გამწარდა, რომ სამაგიერო გადაუხადა ამის ჩამდენს — სპეციალურად ნაყიდი ორი დიდი ბოქლომით პალტო დაუბა ჩამოსაკიდ რგოლზე და შუა ზამთარში კოსტიუმის ამარა გაუშვა სახლში.

19. თბილისის ძველი ოპერა დაახლოებით, დღევანდელი თავისუფლების მოედნის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ეს ადგილი მაშინ გარეუბანი გახლდათ და შემოდგომის წვიმები ხშირად უქმნიდა პრობლემას ოპერაში მიმავალ ხალხს, რომელსაც ტალახში უწევდა სიარული. ოპერის სიახლოვეს მუდამ იდგნენ მეკურტნეები, რომლებსაც მდიდარი ქალბატონები გარკვეულ ფასად, ზურგით (კურტნით) გადაჰყავდათ შენობაში.

20. გაცვლითი პროგრამით ინგლისში ტურისტებად ჩასული აბორიგენები, რომელთა შესახებ „დისქავერიმ“ დოკუმენტური ფილმი გადაიღო, გაიძახოდნენ: აქაურ ხალხს ამდენი საქონელი, ფული, ტექნიკა, შესაძლებლობა და სიმდიდრე აქვს და ალბათ როგორ სწყდებათ გული, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მაინც კვდებიანო.

21. კიდევ ერთი ლექსი, რომელიც ნიკო გომელაურმა ნანუკა ჟორჟოლიანის გადაცემაში წაიკითხა:

„როგორი იყო, აბა რა ვიცი,/ ასე ამბობენ, ჰქონდა წვერები,/ ორი ათასი წელი განვიცდი,/ ჩარევა არ ღირს, მაგრამ ვერევი./ როგორ აკოცა უფალს ლოყაზე?!./ ცოტათი მაინც მორიდებოდა,/ მეზიზღებოდა ზოგჯერ მოყვასი,/ მაგრამ ღალატი არ მინდებოდა.../ არადა, კოცნის, არადა, ყიდის,/ იცის — მოკლავენ, განა შტერია.../ ღალატზე განა ვერცხლისთვის მიდის,/ თავის სიმცირეს ვერ მოერია.../ ისტორიაში დარჩა იუდა,/ დღესაც აქ არის, არ გაიგუდა...“.

22. სათავადაზნაურო ბანკში ილია ჭავჭავაძესა და ივანე მაჩაბელს შორის მტრობა ბოლოს იმდენად გამწვავდა, რომ ილიას მომხრე კახელები ერთხელ თეატრის სცენაზე ხმლებითაც კი აცვივდნენ, მაჩაბლის მომხრე ქართლელები — რევოლვერებით. P.S. ამგვარი დაპირისპირების გამო ივანე მაჩაბელმა თანდათან დატოვა ყველა ის დაწესებულება და ორგანიზაცია, რომლის წევრიც ილია ჭავჭავაძე გახლდათ.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის გამოცხადება

მიხეილ ლაბაძე

1918 წლის 26 მაისს, 17 საათზე, თბილისში, საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომაზე, ქართველ სოციალ-დემოკრატთა ცნობილმა ლიდერმა და ხსენებული საბჭოს თავმჯდომარემ, ნოე ჟორდანიამ საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა. ეს ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რადგან ჩვენი ქვეყნის თანამედროვე, ევროპულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას საფუძველი სწორედ მაშინ ჩაეყარა. საინტერესოა ისიც, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები ეროვნული თვითგამორკვევის საკითხზე, როგორც წესი, ყურადღებას თითქმის არც კი ამახვილებდნენ, მაგრამ დამოუკიდებლობის გამოცხადებამ მაინც მათ მოუწიათ. ეს იმით აიხსნება, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა, ხოლო სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხი ქართველი ერის წინაშე ძალზე მწვავედ იდგა. სოციალ-დემოკრატებმაც, უპირველესად, საერთო-ეროვნულ მოთხოვნას გაუწიეს ანგარიში.

1917 წელს, რუსეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ იმპერიის დაშლა გამოიწვია, მაგრამ ქართული სახელმწიფოებრიობის სრულფასოვნად აღდგენისათვის მხოლოდ ეს არ კმაროდა: იმ დროისათვის საქართველოში არსებულ, პოლიტიკურ პარტიათაგან არც ერთს არ შეეძლო, თავის თავზე აეღო უდიდესი პასუხისმგებლობა — გამოეცხადებინა დამოუკიდებლობა და ერს წინ გასძღოლოდა. მაშინდელი ქართული პოლიტიკური სპექტრი მთავარ აქცენტს უმეტესწილად, ავტონომიაზე აკეთებდა; სრული ეროვნული დამოუკიდებლობის მომხრეებიც იყვნენ, მაგრამ რუსული თვითმპყრობელობის პირობებში მათ გააქტიურების საშუალება არ ჰქონდათ. დამოუკიდებლობის მომხრეებს უდიდესი ზიანი 1905-1907 წწ. გამოსვლების ჩახშობამ და ილიას ვერაგულმა მკვლელობამ მიაყენა, რის შემდეგაც ამ ხალხის დიდი ნაწილი ემიგრაციაში წავიდა, იატაკქვეშეთში გადავიდა, ანდა სულაც იძულებული გახდა, პოლიტიკური შეხედულებები შეეცვალა.

1917 წლის 9 მარტს, კავკასიის სამეფისნაცვლოს ტერიტორიაზე ხელისუფლება რუსეთის დუმის მე-4 მოწვევის ხუთი ყოფილი დეპუტატისგან შემდგარმა, „ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტმა“ („ოზაკომმა“) აიღო, რომელმაც თავი რუსეთის დროებითი მთავრობის ერთ-ერთ ორგანოდ გამოაცხადა. ნოე ჟორდანიასა და ქართველ სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც ქართული ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ერთადერთ მისაღებ გზად რუსეთის შემადგენლობაში ამიერკავკასიის ავტონომიური ერთეულის შექმნას მიიჩნევდნენ, „ოზაკომთან“ თანამშრომლობაზე უარი არ უთქვამთ. აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთში ბოლშევიკურ გადატრიალებას ამიერკავკასიაში ხელისუფლების ახალი, ინტერპარტიული ორგანოს — ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნა მოჰყვა. კომისარიატმა, რომელსაც სოციალ-დემოკრატი ევგენი გეგეჭკორი (შემდგომში — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი) მეთაურობდა, ბოლშევიკური რეჟიმი არ ცნო. თუმცა, არც რუსეთის შემადგენლობიდან გასვლის თაობაზე გაუკეთებია განცხადება — სოციალ-დემოკრატებიც და კომისარიატში მათთან ერთად წარმოდგენილი სხვა პარტიებიც მიიჩნევდნენ, რომ სანამ რუსეთში დემოკრატიის აღდგენის შანსი იარსებებდა, დამოუკიდებლობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო.

ქართველ სოციალ-დემოკრატებს თავიანთი პოზიციების გასამყარებლად ბრძოლა თითქმის აღარც კი დასჭირვებიათ — მათი იდეური მოწინააღმდეგენი ფაქტობრივად განადგურებულნი იყვნენ. სამაგიეროდ, საქართველოსა და კავკასიაში არსებულმა ახალმა ვითარებამ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ძველი შეხედულებების გადახედვა აიძულა: 1917 წლიდან ნოე ჟორდანიამ, რომელიც ადრე ეროვნულ საკითხს ყურადღების ღირსად არ თვლიდა და ამასთან დაკავშირებით წმ. ილია მართალსაც მწვავედ აკრიტიკებდა, ქართველი ერის თვითგამორკვევის თაობაზე საუბარი აქტიურად წამოიწყო. სულ მალე, სოციალ-დემოკრატების თაოსნობით, 1917 წლის 19-24 ნოემბერს თბილისში ქართველთა პირველი ეროვნული ყრილობა ჩატარდა, რომელზეც ჟორდანიამ ახალი შეხედ-

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, 1918 წ.

ულებანი კი წარმოადგინა, მაგრამ ამავდროულად, არც პრორუსულ ორიენტაციაზე თქვა უარი. მისი აზრით, საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა დასაშვები იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთში (სადაც ხელისუფლება უკვე ბოლშევიკებს ეპყრათ ხელთ) დემოკრატიული მმართველობა კვლავაც აღდგებოდა; 22 ნოემბერს ეროვნულმა ყრილობამ საქართველოს ინტერპარტიული ეროვნული საბჭო აირჩია, რომლის თავმჯდომარედაც ნოე ჟორდანია დასახელდა — ამგვარად, მან ქართველი ხალხის წინამძღოლის ადგილი ოფიციალურად დაიკავა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარედ ნოე ჟორდანიას არჩევას დიდი მნიშვნელობა იმიტომაც ჰქონდა, რომ ევროპელ სოციალ-დემოკრატთა შორის ის უფრო სარგებლობდა ავტორიტეტით, ვიდრე ვლადიმირ ილიჩ ლენინი; სხვათა შორის, ცნობილია, რომ ამ უკანასკნელს ნოე ჟორდანია სწორედ ამის გამო ეზიზღებოდა. ამავდროულად, ლენინს ქართველი სოციალ-დემოკრატების ლიდერის პანიკურად ეშინოდა, რაც მისივე ნაწერებშიც აშკარად გამოსჭვივის. ვლადიმირ ილიჩი ცდილობდა, ნოე ჟორდანიას ყველა საგაზეთო სტატია თუ წიგნი ხელთ ეგდო და წაეკითხა. აღსანიშნავია, რომ სწორედ ლენინის ამ ახირების წყალობით, ჟორდანიას ბევრი მნიშვნელოვანი თხზულება, რომლის ქართული დედანი აღარც კი შემონახულა, რუსული თარგმანის სახით, კრემლის არქივებში დღესაც ინახება. მართლაც, ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერი ლენინის უპირველესი მოწინააღმ-

დეგე იყო. მხოლოდ ნოე ჟორდანიას შეეძლო, უპირველესი რუსი ბოლშევიკის ნაზრევი მარქსიზმისავე პრინციპებიდან გამომდინარე, სრულიად გაეცამტვერებინა.

„მივდივარ ქუჩაში ასე ხელცარიელი. ხმა შემომესმა უკანიდან... მოვიხედე — ლენინია. დავიცადე და ერთად გადავედით ქუჩის მეორე ნახევარს. მან მითხრა სიტყვასიტყვით შემდეგი: ქართველები ნუ ერევით რუსების საქმეში, თქვენ არ იცნობთ ჩვენ ხალხს, მის პსიხოლოგიას, მათ ყოფა-ცხოვრებას და რატომ ხელს გვიშლით ჩვენ ჩვენი საქმეები ჩვენებურათ, რუსულათ მოვაგვაროთ. მიიღეთ ავტონომია, აკეთეთ საქართველოში რაც და როგორ გსურთ, ჩვენ არ ჩაგერევით, ნურც თქვენ ჩაგვერევით! გამიკვირდა, გავოცდი“, — წერს ნოე ჟორდანია 1907 წელს, ჟენევაში ლენინთან შეხვედრის შესახებ. იგი პარტიული მოღვაწეობის დაწყებიდანვე მყარად იყო დარწმუნებული, რომ საქართველოს რუსეთის გარეშე მომავალი არ ჰქონდა — სწორედ ასეთი შეხედულება იყო თავის დროზე, როგორც ითქვა, წმ. ილია მართალთან დაპირისპირების უმთავრესი მიზეზი. თუმცა, ნოე ჟორდანიას საკუთარ სიმართლეში ეჭვიც არ ეპარებოდა.

ამავდროულად, ჟორდანიას ბოლშევიკურ რუსეთთან საქართველოს დაკავშირება წარმოუდგენლად ეჩვენებოდა. დარწმუნებული იყო, რომ ბოლშევიკებს დიდი დღე არ ეწერათ — ევროპა ლენინს არ მიიღებდა და იგი იძულებული გახდებოდა, არათუ ხელისუფლება დაეთმო, არამედ პოლიტიკურ მოღვაწეობაზე საერთოდ უარი ეთქვა. ეს მართლაც ლოგიკური თვალსაზრისი გახლდათ, რადგან მაშინ ვერც ევროპაში და ვერც რუსეთში ვერავინ იფიქრებდა, თუ ბოლშევიკები ხელისუფლებას შეინარჩუნებდნენ.

ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერის მოლოდინი არ გამართლდა — რუსეთში ბოლშევიკური რეჟიმის შეცვლა ვერ მოხერხდა. ამდენად, პროროსული ორიენტაცია უკვე წამგებიანი იყო, მაგრამ ჟორდანია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასაც ვერ ბედავდა. ამგვარ ფონზე, 1918 წლის იანვრის დასაწყისში, ლენინმა თბილისის დაკავების საიდუმლო გეგმა შეიმუშავა — ოსმალეთის ფრონტიდან რუსული არმიის გამოწვევის დროს, ბათუმ-თბილისის სარკინიგზო ხაზზე ჯარისკაცებს ბუნტი უნდა მოეწყოთ, რაც თბილისზე შეტევაში გადაიზრდებოდა. ამავდროულად, ჩრდილოეთიდან საქართველოს დედაქალაქს დამატებითი სამხედრო ძალა შემოუტევდა და ქვეყანაში ბოლშევიკური რეჟიმი დამყარდებოდა. ხსენებული გეგმის აღსრულება ლენინმა ცნობილ ბოლშევიკს, ს. შაუმიანს დაავალა, მაგრამ ეროვნულმა საბჭომ საფრთხის თავიდან აცილება შეძლო — რუსული ჯარის ნაწილები სახელდახელოდ აგებული სარკინიგზო ხაზით, თბილისის გვერდის ავლით, აზერბაიჯანისკენ გაისტუმრეს. მიუხედავად ამისა, ბუნტი მაინც დაიწყო. თუმცა, ახალშექმნილმა ქართულმა შეიარაღებულმა ნაწილებმა რუსები შამქორის ველზე სასტიკად დაამარცხეს; ლენინ-შაუმიანის გეგმა ჩაიშალა.

„საქართველოს ეროვნული საბჭოს“ 26 მაისის სხდომა

1918 წლის 3 მარტს დადებულმა ბრესტ-ლიტოვსკის ზავმა, რომლის შედეგებიც ამიერკავკასიის კომისარიატმა არ ცნო, კავკასიაში სიტუაცია უკიდურესად დაძაბა — ზავის პირობათა თანახმად, ბათუმის, ყარსის და არტაანის ოლქები ოსმალეთს მიეკუთვნა. ამით გათამამებულმა სტამბოლმა ამიერკავკასიის კომისარიატს ულტიმატუმი წაუყენა და რკინიგზის ხაზის კონტროლის უფლების მისთვის გადაცემა მოითხოვა. ამ საკითხზე ქალაქ ტრაპიზონში დაწყებულ მოლაპარაკებებს შედეგი არ მოჰყოლია — ოსმალეთის არმიამ საბრძოლო მოქმედებები წამოიწყო, დაიკავა ზავით მიკუთვნებული ტერიტორიები, ხოლო აპრილის დასაწყისისთვის ოზურგეთსა და ახალციხეს შეუტია. ასეთ ვითარებაში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დამოუკიდებლობის გამოცხადება კვლავ ნაადრევად ჩათვალა, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი ამას პირდაპირ მოითხოვდა; დამოუკიდებლობას მხარს ასევე სოციალ-ფედერალისტები და ეროვნულ-დემოკრატებიც უჭერდნენ, რომლებიც პროგერმანული ორიენტაციისანი იყვნენ.

აღსანიშნავია, რომ ნოე ჟორდანია დამოუკიდებლობის გამოცხადებისაგან თავს კი იკავებდა, მაგრამ იმასაც ხედავდა, რომ გერმანიისა და საქართველოს ინტერესები ნელ-ნელა ემთხვეოდა ერთმანეთს — გერმანელებს სურდათ, რუსეთი საბოლოოდ გაეტეხათ და მისი ძველ საზღვრებში აღდგენა არ დაეშვათ. 1917 წლის ცნობილი ბოლშევიკური გადატრიალება და ბრესტ-ლიტოვსკის ზავი გერმანული სპეცსამსახურების მიერ კარგად ორგანიზებული ოპერაციები იყო, რაც სწორედ ამ მიზნით გახლდათ განპირობებული. აქედან გამომდინარე, გერმანელი ემისრები ქართველ პოლიტიკოსებთან საუბარში გაოცებას ვერ ფარავდნენ იმის გამო, რომ ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებაზე ქართველთაგან არავინ ჩასულა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ გერმანიაში 1914 წლიდან „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ კი არსებობდა, უკვე ცხადი გახდება, რომ ბრესტ-ლიტოვსკში, მოლაპარაკებაზე ქართული დელეგაციის ჩასვლის შემთხვევაში, ბერლინის მესვეურები ქართველი ერის ინტერესებს გაითვალისწინებდნენ.

ქართველ სოციალ-დემოკრატებს ამიერკავკასიის კომისარიატშიც და მოგვიანებით შექმნილ ამიერკავკასიის სეიმშიც, დიდი გავლენა კი ჰქონდათ, მაგრამ ნოე ჟორდანია კარგად ხედავდა, რომ პროგერმანული საქართ-



„საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს“ წევრები. ცენტრში – ნოე ჟორდანია, 1918 წ.

ველო, ოსმალეთისგან უკვე მთლიანად ოკუპირებული პროინგლისური სომხეთი და პროოსმალური აზერბაიჯანი ვერაფრით შეთანხმდებოდნენ საერთო სახელმწიფოს შექმნაზე; ამიტომაც 1918 წლის 9 აპრილს,

გერმანული ჯარი თბილისში, 1918 წ. ივნისი

ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის გამოცხადება მან დროებით მოვლენად მიიჩნია. ჟორდანიას ეეჭვებოდა, რომ ფედერაციის შექმნით ოსმალეთს უკან დაეხია და, სიმართლე რომ ითქვას, არც ცდებოდა.

ამდენად, ოსმალეთის აგრესიის შესაჩერებლად მხოლოდ ერთადერთი, ლოგიკური გამოსავალი რჩებოდა — გერმანიის იმპერიის პროტექტორატის ქვეშ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. 1918 წლის 22 მაისს, ტრაპიზონიდან ამიერკავკასიის დელეგაციის მეთაურმა, აკაკი ჩხენკელმა საქართველოს ეროვნულ საბჭოს დეპეშით ამცნო, რომ ოსმალეთთან მოლაპარაკება ჩიხში იყო შესული და რაიმე წარმატების მიღწევა ამ მხრივ გამორიცხული იყო; ამავდროულად, ოსმალური აგრესიის აღკვეთას გერმანია კისრულობდა, თუ მანამდე საქართველო დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა. ჟორდანიასთვის ეს ყველაფერი ისედაც ცხადი იყო, თუმცა მას სულაც არ სურდა, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადება არალეგიტიმურად მომხდარიყო — ჯერ ამიერკავკასიის სეიმს უფლებამოსილება უნდა მოეხსნა და ფედერაცია დაშლილად გამოეცხადებინა.

ამ მიზნით, 1918 წლის 25 მაისს, ღამის 11 საათზე, საქართველოს ეროვნული საბჭო სათათბიროდ შეიკრიბა. სხდომა ნოე ჟორდანიამ გახსნა, რომელმაც წაიკითხა აკაკი ჩხენკელის დეპეშა და აღნიშნა, რომ ერთი საათით ადრე დაგეგმილი იყო სეიმის შეკრება, რომელზეც ფედერაციის დაშლის საკითხი უნდა განხილულიყო. თუმცაღა ეს ვერ მოხერხდა: „სეიმის ზოგიერთმა ფრაქციამ შეკრებაზე უარი თქვა... აზერბაიჯანელი მუსავატისტების ცნობით, მათ ეს საკითხი ჯერ შიდა წრეში არ ჰქონდათ განხილული; სომხებიც აცხადებენ, რომ შესამუშავებელი აქვთ თავიანთი განცხადება და ითხოვენ, რომ სეიმი შეიკრიბოს ხვალ დილით“, — განაცხადა ჟორდანიამ. მისივე თქმით, აზერბაიჯანი და სომხეთი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინააღმდეგი არ იქნებოდნენ, მაგრამ სეიმის სხდომა თუ 26 მაისს არ გაიმართებოდა, მერე შეიძლებოდა, ყველაფერი გვიანი ყოფილიყო — ოსმალური ჯარები წინსვლას არ წყვეტდნენ, გერმანია კი მხოლოდ დამოუკიდებლობის გამოცხადებას ელოდა, რომ აგრესია აღეკვეთა.

სხვათა შორის, ეროვნული საბჭოს 25 მაისის სხდომაზე, ნოე ჟორდანიამ ნათლად ჩამოაყალიბა მომავალი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო წესწყობილების საფუძვლებიც. მისი თქმით, საქართველო უნიტარული სახელმწიფო უნდა ყოფილიყო: „დემოკრატიული რესპუბლიკა შეიძლება იყოს ორგვარი — ფედერაციული და უნიტარული. საქართველოს პირობებში ფედერაციული წყობა სრულიად მიუღებელია და უნდა შევჩერდეთ მხოლოდ უნიტარულ რესპუბლიკაზე“, — აღნიშნა ჟორდანიამ. მას ამაში ეროვნული საბჭოს ყველა წევრი დაეთანხმა; შემდეგ ნოე რამიშვილის ინიციატივით კენჭი უყარეს გადაწყვეტილებას დამოუკიდებლობის აქტის წაკითხვის შესახებ, მაგრამ გამოირკვა, რომ ის ჯერ დაწერილი არც იყო. ამიტომაც გადაწყდა, რომ აქტის წაკითხვა, მიღება და მის საფუძველზე — დამოუკიდებლობის გამოცხადება მეორე დღეს, 26 მაისს მომხდარიყო.

ეროვნული საბჭოს სხდომა რომ დაიშალა, ღამის 12 საათს ცოტაღა უკლდა. მეორე დღეს, მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში (დღევანდელი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე) კარლო ჩხეიძის თავმჯდომარეობით, ამიერკავკასიის სეიმი უკანასკნელად შეიკრიბა. ნაშუადღევს — 15 საათისათვის სეიმმა ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლა დაადასტურა და უფლებამოსილება მოიხსნა. კარლო ჩხეიძემ ეს ფაქტი საერთაშორისო საზოგადოებრიობას მაშინვე ტელეგრაფით აცნობა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას ლეგიტიმური საფუძველი უკვე ჰქონდა. სამიოდე საათის შემდეგ, იმავე დარბაზში, საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომაც გაიხსნა, რომელსაც 42 წევრი და 36 წევრობის კანდიდატი ესწრებოდა. სხდომაზე ასევე, თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდე და საქართველოში გერმანული ჯარების სარდალი, გრაფი შულენბურგიც იმყოფებოდნენ. გარეთ გოლოვინის (ამჟამინდელი რუსთაველის) პროსპექტი და ერევნის (ამჟამინდელი თავისუფლების) მოედანი ხალხით იყო სავსე.

საქართველოს ეროვნული საბჭოს 26 მაისის ისტორიული სხდომა 16 საათსა და 50 წუთზე თავმჯდომარემ, ნოე ჟორდანიამ გახსნა. მანვე წარმოთქვა მისასალმებელი სიტყვა, წაიკითხა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“, რომელიც საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმის დაცვით იყო შედგენილი. ამავე აქტის რუსული თარგმანი კი გრიგოლ ვეშაპელმა წაიკითხა. აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებლობის აქტის მიხედვით, საქართველოს ეროვნულ საბჭოს „საქართველოს პარლამენტი“ ეწოდა. ამრიგად, ნოე ჟორდანია ავტომატურად კანონმდებლობითი ორგანოს თავმჯდომარედ იქცა. სხდომამ აქტთან ერთად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობაც დაამტკიცა; მისი თავმჯდომარეობა წილად ნოე რამიშვილს ხვდა. 17 საათსა და 55 წუთზე სხდომა დამთავრდა. ნოე რამიშვილმა საერთაშორისო საზოგადოებრიობას ტელეგრაფით ამცნო ახალი სახელმწიფოს — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაბადება.

P.S. მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადება ასე ხელდახელ, გამოუვალი სიტუაციის გამო მოხდა, ამ ყველაფერს, ცხადია, ჩვენი ქვეყნისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა — „დამოუკიდებლობის აქტის“ მიხედვით, ფაქტობრივად, საბოლოოდ გაუქმდა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი, რაც რუსეთს საქართველოს მიმართ პრეტენზიების წამოყენებისას გარკვეულ სამართლებრივ საფუძველს უქმნიდა. 1918 წლის 26 მაისს თავისუფლების მოპოვება ლეგიტიმური გზით განხორციელდა.

საქართველოს ეკლესიის ადგილი დიპტიქში და სამოციქულო საყდრის სტატუსი

დღეისათვის მსოფლიოში 15 ავტოკეფალიური ეკლესია არსებობს, რომელიც ერთ მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიას შეადგენს. მომდევნო ნომრიდან „გზის“ მკითხველს საშუალება ექნება, თითოეული მათგანის შესახებ მოკლე ისტორიულ ექსკურსს გაეცნოს. ამჯერად კი ვისაუბრებთ იმაზე, თუ რას წარმოადგენს ზოგადად, მართლმადიდებელი ეკლესია. რას ნიშნავს მართლ-მადიდებლური დიპტიქი — ეკლესიათა იერარქიული წყობა? როდის ჩამოყალიბდა პატრიარქობის ინსტიტუტი? ამ და ზოგიერთ სხვა კითხვაზე გვიპასუხებს არქიმანდრიტი მაკარი (აბესაძე):

შორენა მერკვილაძე

— საერთოდ, მართლმადიდებელი ეკლესია არის ერთი, მაგრამ ეს ერთი სხეული იყოფა ნაწილებად — ადგილობრივ ეკლესიებად; ადგილობრივი ეკლესიები ქრისტიანობის პირველივე საუკუნეებიდან ყალიბდებოდა. მოციქულთა ხანაში ყველა ეპარქია, ყველა საეპისკოპოსო ფაქტობრივად დამოუკიდებელი იყო. ვთქვათ, როდესაც რომელიმე კრებულის მღვდელმთავარი გარდაიცვლებოდა, სხვა ადგილობრივი ეკლესიების მღვდელმთავრები იკრიბებოდნენ და ხელს ასხამდნენ ახალ მღვდელმთავარს. თანდათან ეკლესიის წევრთა რიცხვი იზრდებოდა და თავისთავად ხდებოდა, რომ დიდ ქალაქებში უფრო მეტი იყო მორწმუნეთა რიცხვი, პატარა ქალაქებში კი — მცირე, ამიტომ დიდი ქალაქების მღვდელმთავრების გავლენაც გაიზარდა, მიწიერი თვალსაზრისით, თანაც იქ ისხდნენ მიწიერი მმართველებიც. პატარა ქალაქების ეპისკოპოსები თანდათან დამოკიდებული გახდნენ მიტროპოლიის ეპისკოპოსებზე, რომლებიც შემდგომში, მიტროპოლიტები გახდნენ. ეს ხდებოდა IV საუკუნემდე — შემდგომ კი, როცა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა და ქრისტიანთა დევნა შეწყდა, საერო მმართველებიც დიდ ყურადღებას აქცევდნენ ეკლესიას. სახელმწიფომ სპეციალური გადასახადიც დააწესა — ეკლესიის სასარგებლოდ. საერო ხელისუფლების თანადგომამ კიდევ უფრო მეტად გამოიწვია ცენტრალური ქალაქების მღვდელმთავრების მიწიერი პატივის ამაღლება, რასაც ადგილობრივი ეკლესიების იერარქიული წყობის — დიპტიქის ჩამოყალიბება მოჰყვა. ეს არ ნიშნავს, რომ დიპტიქში წინ მდგომ ეკლესიას რაიმე უპირატესობა აქვს და მის შემდგომ ეკლესიებზე რაიმე ზემოქმედება შეუძლია; ყველა ადგილობრივი ეკლესია აბსოლუტურად თანასწორია. ამჟამად დიპტიქში პირველ ადგილზე მოხსენიებულია კონსტანტინოპოლის ეკლესია, რომელსაც ეწოდება თანასწორთა შორის პირველი. XI საუკუნემდე, ვიდრე დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის განხეთქილება მოხდებოდა, დასავლეთის ეკლესია ჭეშმარიტ სარწმუნოებას ჩამოსცილდებოდა და მწვალებლობის გზით წავიდოდა, პირველ ადგილზე რომის ეკლესია იდგა, რადგან რომის იმპერიის დედაქალაქში საიმპერატორო ტახტი იდგა. სწორედ ამან გამოიწვია რომის ეკლესიის მიწიერი აღზევება. კონსტანტინოპოლის დაარსებამდე და მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებამდე დიპტიქში მეორე ადგილზე იხსენიებოდა ალექსანდრიის, მესამეზე კი — ანტიოქიის ეკლესიები, რადგან ალექსანდრია რომის იმპერიის აფრიკული ნაწილის დედაქალაქი გახლდათ, ანტიოქია კი — აღმოსავლეთ ნაწილის დედაქალაქი.

ვიცით, რომ იმპერატორმა კონსტანტინემ პატარა ქალაქ ბიზანტიონის ადგილას ქალაქი კონსტანტინოპოლი დააარსა და იქ საიმპერატორო ტახტი გადაიტანა. კონსტანტინოპოლის დაარსება ქრისტიანობის აღზევების ხანას დაემთხვა; იგი თავიდანვე ქრისტიანულ ქალაქად იქნა აგებული, სადაც მხოლოდ ქრისტიანული



ტაძრები იდგა. ძველი გადმონაშთების სახით შემორჩენილი იყო ძეგლები, რომლებიც ქალაქის ქუჩებში იდგა, როგორც ხელოვნების ნიმუშები და არა თაყვანისცემის საგანი. კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსმა ქალაქის დაარსებისთანავე შეიძინა მიწიერი პატივი, რადგან იმპერიის დედაქალაქი ფაქტობრივად, უკვე კონსტანტინოპოლი გახდა. ქვეყნიური დიდების გამო, მეორე მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით, კონსტანტინოპოლის ეკლესიას გარკვეული მიწიერი უპირატესობა მიენიჭა — გადაწყდა, რომ კონსტანტინოპოლის ეკლესია დიპტიქში მეორე ადგილზე ყოფილიყო მოხსენიებული. მესამე ადგილზე გადავიდა ალექსანდრიის, მეოთხეზე კი — ანტიოქიის ეკლესია. IV საუკუნემდე იერუსალიმის ეკლესია ანტიოქიის ეკლესიის შემადგენლობაში შედიოდა, მაგრამ რადგან ეკლესიის დაარსება იერუსალიმში მოხდა, მსოფლიო ეკლესიისა და მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით, იერუსალიმის ეკლესიას ავტოკეფალიური ტიტული მიენიჭა და დიპტიქში მეხუთე ადგილი დაიკავა. ეს ყველაფერი, რომის იმპერიის ტერიტორიაზე ხდებოდა. V საუკუნეში, მეფე ვახტანგ გორგასლის დროს, ავტოკეფალია საქართველოს ეკლესიამაც მიიღო, რომელიც მანამდე ანტიოქიის ეკლესიის დაქვემდებარებაში იყო და დიპტიქში მეექვსე ადგილზე აღმოჩნდა. ამგვარად, პირველი ავტოკეფალიური ეკლესია, რომელიც რომის იმპერიის ტერიტორიის საზღვრებს გარეთ არსებობდა, სწორედ საქართველოს ეკლესია იყო. შესაძლოა, ვინმემ იკითხოს, — რომის იმპერიის ფარგლებს გარეთ ხომ არსებობდა სომხეთის ეკლესიაცო?! — მაგრამ იმ დროს, ვიდრე სომხები ჯერ კიდევ მართლმადიდებლები იყვნენ, არც საქართველოს ეკლესიას ჰქონდა ავტოკეფალია და არც სომხეთის ეკლესიას, ხოლო როდესაც ჩვენმა ეკლესიამ ავტოკეფალია მოიპოვა, სომხეთის ეკლესია უკვე ჩამოცილებული იყო მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღს და მონოფიზიტობის გზით იყო წასული. მართლმადიდებლურ დიპტიქში სომხეთის ეკლესია არასოდეს ყოფილა შესული. XI საუკუნიდან, როდესაც მართლმადიდებელ ეკლესიას ჩამოსცილდა დასავლეთის ეკლესია, რომის ეკლესია დიპტიქიდან ამოვარდა და თავისთავად, ყველა ადგილობრივმა ეკლესიამ იერარქიულად თითო საფეხურით წინ წაიწია, შესაბამისად, პირველ ადგილას კონსტანტინოპოლის ეკლესია იხსენიება... დიპტიქში ბოლოს იხსენიება ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესია, რომელმაც XX საუკუნის 70-იან წლებში მოიპოვა ავტოკეფალია.

იმპერატორი კონსტანტინე

რას ნიშნავს თვით ავტოკეფალია?.. ავტოკეფალიურ ეკლესიას აქვს დამოუკიდებელი მმართველობა; შეუძლია, პირველი მღვდელმთავრის თუ მთავარეპისკოპოსის არჩევა, დამოუკიდებლად, შიდა წესების მიღება; უფლება აქვს, ჩაატაროს ადგილობრივი საეკლესიო კრება. ასევე არსებობს ავტონომიური ეკლესიები, რომლებიც რომელიმე საპატრიარქო, ავტონომიური ეკლესიის დაქვემდებარებაში იმყოფებიან, მაგრამ უფლება აქვთ, შიდა საკითხები დამოუკიდებლად გადაწყვიტონ, აირჩიონ უპირველესი მღვდელმთავარიც, რომელსაც შემდეგ ამტკიცებს ის საპატრიარქო, რომელსაც ექვემდებარებიან. მაგალითად, ფინეთის ეკლესია ავტონომიურია, ის კონსტანტინოპოლის ეკლესიის შემადგენლობაში შედის; ავტონომიურია იაპონიის ეკლესიაც, რომელიც რუსეთის ეკლესიის შემადგენლობაშია; ასევე — სინას მთისა და კრეტის ეკლესიები, რომლებიც ნახევრად ავტონომიური სტატუსით სარგებლობენ.

ავტოკეფალიურ ეკლესიებს შორის, ზოგიერთი — სამოციქულო საყდარია, ზოგი ამ უფლებით არ სარგებლობს. ის ეკლესიები, სადაც იქადაგეს მოციქულებმა, სამოციქულო საყდრად იწოდებიან. მაგალითად, საქართველოს ეკლესია სამოციქულო საყდარია, რადგან ჩვენს ქვეყანაში ანდრია მოციქულმა იქადაგა. ამერიკის ეკლესია არ არის სამოციქულო საყდარი, რადგან იქ მოციქულს არ უქადაგია.

— ადგილობრივ ავტოკეფალიურ ეკლესიათაგან ზოგი, საპატრიარქოდ იწოდება, ზოგი მხოლოდ ავტოკეფალიური ეკლესიის ტიტულს ატარებს. რა განსხვავებაა მათ შორის და საერთოდ, როდის ჩამოყალიბდა პატრიარქობის ინსტიტუტი?

— პატრიარქის ტიტულის გაჩენამდე, რაც VII-VIII საუკუნეებში მოხდა, ადგილობრივი ეკლესიების უმაღლესი მღვდელმთავრები მხოლოდ კათოლიკოსებად იწოდებოდნენ. თუმცა არსებითად, ამ ორ წოდებას შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს. კათოლიკოსსაც იგივე ფუნქცია ჰქონდა, რაც შემდგომ — კათოლიკოს-პატრიარქს. კათოლიკოს-პატრიარქი არის აბსოლუტური მმართველი ადგილობრივი ეკლესიისა. ამჟამად არსებული 15 ავტოკეფალიური ეკლესიიდან 9 — საპატრიარქო სტატუსის მქონე, დანარჩენი კი — არასაპატრიარქო სტატუსი მქონეა და მხოლოდ ავტოკეფალიური ეკლესიის ტიტულს ატარებს. ძირითადად, ის ეკლესიები, რომლებმაც XIX-XX საუკუნეებში მიიღეს ავტოკეფალია, იმ ქვეყნებშია, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა არ არის მართლმადიდებელი. არსებობს ორი გამონაკლისი — კვიპროსისა და ელადის — თანამედროვე საბერძნეთის ეკლესიების სახით, რომლებიც ისტორიულად უძველეს ეკლესიებს წარმოადგენენ და მათ ტერიტორიებზე მოსახლეობის უმრავლესობასაც მართლმადიდებლები შეადგენენ, მაგრამ არ არიან საპატრიარქო სტატუსის მქონენი. ეს ეკლესიები უშუალოდ კონსტანტინოპოლის შემადგენლობაში შედიოდნენ, მაგრამ XIX საუკუნეში, როდესაც საბერძნეთმა, თურქეთის ბატონობისგან გაითავისუფლა თავი, კონსტანტინოპოლის ეკლესია კი კვლავ თურქეთის ტერიტორიაზე დარჩა, თურქეთის ხელისუფლების მიერ მიღებული კანონის თანახმად, კონსტანტინოპოლის ეკლესიას აღარ შეეძლო, ეპარქიები ჰქონოდა ამ სახელმწიფო ფარგლებს გარეთ; ამის გამო ელადისა და კვიპროსის ეკლესიებმა ავტოკეფალია მიიღეს, მაგრამ არ მიუღიათ საპატრიარქო სტატუსი, რადგან, ბერძნულენოვანი ეკლესიები არიან და ოდითგანვე კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს შემადგენლობაში შედიოდნენ. საპატრიარქო სტატუსის მქონე ეკლესიასაც და არასაპატრიარქოსაც აბსოლუტურად თანასწორი უფლებები აქვთ; რომელი უნდა გახდეს საპატრიარქო ეკლესია და რომელი — არა, ამის ჩამოყალიბებული წესი არ არსებობს, მაგრამ ბუნებრივი წესია, რომ საპატრიარქო ეკლესია შეიძლება იყოს ის ეკლესია, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელია და ისტორიულად, საუკუნეების განმავლობაში მართლმადიდებლური იყო. ■

ეგვიპტის პირველი ლედის მიერ დაწერილი სიმღერა

და ქართული ფოლკლორი აზერბაიჯანელი მომღერლის კონცერტზე

მას შემდეგ, რაც მოლდავეთში „ემტივის“ რჩეული გახდა და ეგვიპტის საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე გრან-პრი აიღო, ახალგაზრდა მომღერალი გოგა მესხი თვე-ნახევრით ბაქოში გაემგზავრა, როგორც თვითონ ამბობს — ფულის „მოსაჭრელად“, მაგრამ მოულოდნელად, თუნზალა აღაევას მუსიკალური პროექტი მისთვის ისეთი საინტერესო აღმოჩნდა, რომ ფული მეათეხარისხოვანი გახდა...

ეთო ყორღანაშვილი

— თვე-ნახევრის განმავლობაში მე და ჩემი ორი მეგობარი — გიორგი კობაიძე და ტატო გოდერძიშვილი ბაქოში ვიმყოფებოდით. ერთ-ერთ მუსიკალურ პროექტში ვმონაწილეობდით.

— რა სახის მუსიკალური პროექტი იყო?

— ვიცოდით, რომ ერთი სოლო მომღერალი — თუნზალა აღაევა კონცერტს ატარებდა და 3 ბექ-ვოკალისტი სჭირდებოდა. პირადად რომ გითხრათ, ბაქოში ფულის „მოსაჭრელად“ გავემგზავრეთ (*იცინის*).

— შემოქმედებითად დატვირთულები არ იყავით?

— თავდაპირველად, ასე გვეგონა, მაგრამ ბაქოში რომ ჩავედით, ფულის საკითხმა მეათე ადგილზე გადაინაცვლა. თუნა (თუნზალა აღაევა) არეტა ფრანკლინის, უიტნი ჰიუსტონის სიმღერებს არაჩვეულებრივად ასრულებს. მას რომ მოუსმენ, აუცილებლად იტყვი: აქ რა გინდა, შე მადლიანო, ვინ მოგიყვანაო (*იცინის*)?!. ძალიან სერიოზული „ბიგ ბენდი“ ჰყავს. ბენდის წევრები ევროპაში წარმატებული მუსიკოსები არიან. პირადად მე, „ბექში“ პირველად ვიმღერე — ძალიან რთული საქმე ყოფილა. ბექ-ვოკალისტს დიდი პასუხისმგებლობა აკისრია. სოლო სიმღერა უფრო იოლად შესასრულებელია. თავს არ ვიქებ, მაგრამ „ბექისთვის“ ცოტა სხვანაირი ყურია საჭირო. ბაქოში ჩემმა პირველმა მასწავლებელმა — მზია ღამბაშიძემ წაგვიყვანა, რომელიც ქეთი მელუასა და კიდევ ბევრი ცნობილი მომღერლის პედაგოგიცაა.

— ბაქოში მხოლოდ ერთი კონცერტი გამართეთ?

— კი. ამისთვის თვე-ნახევრის განმავლობაში ვემზადებოდით. სულ 21 სიმღერა იყო შესასრულებელი. ჩვენ 10 ვიმღერეთ. კონცერტის ბოლოს სიმღერა — Building შევასრულეთ, რომელიც თუნზალა აღაევას ეგვიპტის პირველმა ლედიმ დაუწერა; Building — კონცერტსაც ასე ერქვა.

— საქველმოქმედო კონცერტი იყო?

— კი, მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს დაეხმარნენ.

— თუნზალა აღაევა ალბათ, ბაქოში ცნობილი მომღერალია, არა?

— კი. გავლენიანი ადამიანია. პრეზიდენტ ალიევის ცოლთან ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს. შეიძლება, კენჭი იყაროს და მალე კულტურის მინისტრიც გახდეს... არაჩვეულებრივი კონცერტი ჩაატარა. სამწუხაროდ, საქართველოში მსგავსი ჯერ არ გამართულა. ალბათ მალე ეგვიპტეშიც გავემგზავრებით, რადგან ამ ქვეყნის პირველი ლედის მიერ დაწერილი სიმღერა კარგად შევასრულეთ. იქ გამგზავრებას დიდი თანხა სჭირდება. მე პრობლემა არ მაქვს, მაგრამ ბენდის წევრები (დაახლოებით 20 კაცი) მაღალი დონის ადამიანები არიან და მაგალითად, ცუდ სასტუმროში უბრალოდ, არ იცხოვრებენ...

— კონცერტზე ახლობლები როგორ გგულშემატკივრობდნენ?

— ჩემი ოჯახის წევრები ბაქოში ჩამოვიდნენ, კონცერტს დაესწრნენ და ძალიან მოეწონათ. მოკლედ, მაგარი იყო! კონცერტამდე ერთ-ერთი ტელეარხის პირდაპირ ეთერშიც გამოვედით, დილის ეთერშიც მიგვიწვიეს... აზერბაიჯანელებს ქართული ფოლკლორი ძალიან უყვართ. კონცერტზე თუნამ გვითხრა: ბიჭებო, ქართული ფოლკლორიდან რომელიმე სიმღერა შეასრულეთ, დიდი სიამოვნებით მოგისმენენო. რა თქმა უნდა, დავთანხმდით და ტაშიც დავიმსახურეთ — „აჭარული“ ვიმღერეთ... მაგარი გამოვიდა!

— ბაქოსა და იქ მცხოვრებ ხალხზე რას იტყვი?

— თბილისთან შედარებით, იქ ცუდად აცვიათ (ყველას — არა): მაგალითად, ლაკის ტუფლთან — სპორტული შარვალი! შეხედავ, ნიგვზის გამყიდველი გეგონება, მოულოდნელად კი ბოლო მოდელის ავტომობილში ჯდება (*იცინის*)! ღმერთმა ბევრი მისცეს, მაგრამ... ბაქოში ძალიან თბილი ადამიანები ცხოვრობენ. ბევრი მეგობარი მყავს. მათ კარგი გემოვნებით შერჩეული სამოსი აცვიათ (*იცინის*). ქალაქი ძალიან ლამაზია. ბულვარში სიგარეტის ერთ ნამწვს ვერ ნახავ!

— ბაქოდან დაბრუნებული რას საქმიანობთ?

— დაბრუნებულებს დეპრესია დაგვეწყო (*იცინის*): აქ არაფერი ხდება...

— წელს „ემტივის“ რჩეული გახდი, „ოქროს პირამიდის“ საერთაშორისო ფესტივალზე გრან-პრიც აიღე. საქართველოში სიმღერასთან დაკავშირებული რაიმე შეთავაზება არ მიგიღია?

— არაფერი. პრინციპში „ოქროს პირამიდა“ რომ ავიღე, საქართველოში დავბრუნდი და მეორე დილით ბაქოში გავემგზავრე. ახლა აქ რომ ვარ, შეიძლება, ბევრმა არც იცის. მალე ბარსელონაში გავემგზავრები. იქ, თუკი ასაკობრივი ბარიერი არ შემექმნა, საერთაშორისო მუსიკალურ კონკურსზე გამოვალ. თუ მონაწილეობას ვერ მოვახერებ, სტუმრის სტატუსით ვიმღერებ. პირველ ივლისს კი ბოსნიაში მივდივარ — იქ კონკურსში გამარჯვებას ვაპირებ! მზია ღამბაშიძემ ვოკალში წინ წამწია.

— ბოსნიაში რა სიმღერებს შეასრულებ?

— სოსო პავლიაშვილის „თენდება“-ს დიდი შემართებით ვიმღერებ! ასევე, ელტონ ჯონის სიმღერას შევასრულებ. სექტემბრისთვის მე და ჩემი მეგობრები (ვისთან ერთადაც ბაქოში მუსიკალურ პროექტში ვმონაწილეობდი) საბერძნეთში მცხოვრები ქართველებისთვის კონცერტების გამართვას ვგეგმავთ.

— მას შემდეგ, რაც მოლდავეთში „ემტივის“ რჩეული გახდი, „ემტივის“ ფორმატის კლიპის გადაღებასაც აპირებდი...

— როგორ სიმღერას ჩავწერ და შესაბამისად, როგორ კლიპს გადავიღებ, ამას კარგად მოფიქრება უნდა. ევროპაში რომ არ მოეწონოთ, მერე რა ვქნა?! მოლდავეთში ლიტველი მომღერალიც იმყოფებოდა. მისმა პროდიუსერმა გუშინ დამირეკა და გოგონას სიმღერები გამომიგზავნა. მოვუსმინე — აშკარად კარგად მღერის. პროდიუსერმა ლიტველ მომღერალ გოგონასთან დუეტის ჩაწერა შემომთავაზა. რატომაც არა?! ამჟამად, ევროპისთვის საკლუბო რეპერტუარის შექმნას ვიწყებ — ძირითადად, მაინც ევროპისკენ მიჭირავს თვალი.

— საქართველოში კარიერის გაკეთებას არ აპირებ?

— რა თქმა უნდა, აქ მირჩევნია, მაგრამ აბა, რა ვქნა, რა გავაკეთო, რა წყალში ჩავვარდე (*იცინის*)? მკვდარია შოუბიზნესი. ■

ბაქოში ჩემმა პირველმა მასწავლებელმა – მზია ღამბაშიძემ წაგვიყვანა, რომელიც ქეთი მელუასა და კიდევ ბევრი ცნობილი მომღერლის პედაგოგიცაა

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

რა უნდა ვიცოდეთ სარძევე ჯირკვლების კიბოს პროფილაქტიკის შესახებ

დასაწყისი იხ. „გზა“ №20

ძუძუს თვითგასინჯვა

ძუძუს თვითგასინჯვა ტარდება ყოველთვიურად, სქესობრივი მომწიფების პერიოდიდან სიბერემდე. სარძევე ჯირკვლის შესამოწმებლად საუკეთესო დროა მენსტრუაციის შემდეგ მერვე-მეათე დღე. ამ დროს მკერდი არც ზედმეტად მაგარია და არც ზედმეტად რბილი. სასურველია, მენოპაუზის შემდეგ ძუძუს თვითგასინჯვა ჩატარდეს ყოველი თვის პირველ რიცხვში.

სარძევე ჯირკვლების გასინჯვა ხდება აბაზანაში, ოდნავ გასაპნული ხელით, რათა ხელისგულმა კანზე ისრიალოს. მაღლა ასწიეთ მარცხენა მკლავი და მარჯვენა ხელით შეიმოწმეთ მარცხენა ძუძუ. შემდეგ — პირიქით. ძუძუ უნდა გაისინჯოს გაშლილი ხელისგულით ან შუა სამი თითის ბალიშებით. ძუძუს კიბოს 50% ძუძუს ზედა გარეთა კვადრატში ვითარდება, 15% — ზედა შიგნითა კვადრატში, 6% — ქვედა შიგნითა კვადრატში, 11% — ქვედა გარეთაში, ხოლო 18% — ძუძუსთავზე.

ზედაპირული გასინჯვა: თითის ბალიშებით მსუბუქი ზეწოლისას გამოვლინდება ნებისმიერი მცირე ზომის კანქვეშა მოძრავი სიმსივნური წარმონაქმნი, რომელიც უფრო ძლიერი ზეწოლისას ქრება და აღარ ისინჯება.

ღრმა გასინჯვა: ღრმა ზეწოლით გასინჯვისას ვლინდება შედარებით ღრმად მდებარე ქსოვილები და ნეკნების მიმდებარე არე.

ლიმფური კვანძები გაივლის იღლიების ქვეშ და ლავიწის არეში. ვინაიდან შესაძლოა, ძუძუს კიბო ლიმფური კვანძების გადიდებით გამოვლინდეს, ზედმიწევნით გამოიკვლიეთ იღლიებქვეშა და ლავიწის ძვლის გარშემო არსებული არე.

არსებობს ძუძუს ხელით გამოკვლევის ორი ძირითადი მეთოდი: სპირალური და ბადისა.

სპირალური მეთოდი: გასინჯვა დაიწყეთ მკერდის ზედა არიდან და ხელის მოძრაობით შემოხაზეთ დიდი სპირალი ძუძუსთავამდე. პროცედურა გაიმეორეთ ორ-ორჯერ ჯერ მსუბუქი, შემდეგ ღრმა ზეწოლით.

ბადის მეთოდი: მკერდი წარმოსახვით დაყავით კვადრატებად და გამოიკვლიეთ ყოველი კვადრატი ცალ-ცალკე, თითების წრიული მოძრაობით. თითოეული კვადრატი გაისინჯეთ ჯერ მსუბუქი, შემდეგ კი ღრმა ზეწოლით.

თუ დაშვებული ან მძიმე ძუძუ გაქვთ, გასინჯვისას შესაბამისი ხელით ქვემოდან დაიჭირეთ, საპირისპიროთი კი გაისინჯეთ.

შხაპის შემდეგ დადექით სარკესთან და კარგად დააკვირდით მკერდს ხილული ცვლილებების აღმოსაჩენად (ზომა, ფორმა, ფერი, ძუძუსთავის ჩაბრუნება). შემდეგ ხელები ასწიეთ თავს ზემოთ და მკერდი ახლა ამ მდგომარეობაში დაითვალიერეთ. ხელები ნიკაპქვეშ ერთმანეთს გადააჭდეთ, მოადუნეთ მკერდის კუნთი, ასწიეთ მხრები და წინ გადაიხარეთ, რათა დარწმუნდეთ, რომ ორივე ძუძუ თანაბრად არის დაკიდებული. ბოლოს ნაზად მოუ-

ჭირეთ ხელი ძუძუსთავებს — დააკვირდით, ხომ არა გაქვთ უჩვეულო, განსაკუთრებით — მოვარდისფრო ამ მონიათალო გამონადენი.

სარძევე ჯირკვლების თვითგასინჯვის უკანასკნელი საფეხურია მწოლიარე მდგომარეობაში გასინჯვა. ბეჭების ქვეშ ოთხად გაკეცილი პირსახოცი ამოიდეთ, მკერდზე ცოტაოდენი ლოსიონი წაისვით და დაიწყეთ მკერდის გასინჯვა სპირალურად ან უჯრედულად. არ დაგავიწყდეთ იღლიებისა და ლავიწის არეების შემოწმება.

როდის არის კიბო საეჭვო

სარძევე ჯირკვლის კიბოს ტიპური სიმპტომებია:

* ნებისმიერი გამაგრება მკერდზე;
* ცალი ძუძუს უჩვეულო გადიდება;
* ცალი ძუძუს უჩვეულო ჩამოშვება;
* კანის დანაოჭება მკერდის არეში;
* ძუძუსთავის ჩაბრუნება;
* მკლავის უჩვეულო შესივება;
* ძუძუსთავის ნებისმიერი ცვლილება;
* ლიმფური კვანძების გადიდება;
* ნებისმიერი უჩვეულო გამონადენი დვრილებიდან.

რა ასაკიდან უნდა დაიწყოს ქალმა მამოლოგთან ვიზიტი პროფილაქტიკურ გასინჯვებზე

20-25 წელს გადაცილებულმა ყოველმა ქალმა პროფილაქტიკური გამოკვლევისთვის რეგულარულად უნდა იაროს ექიმთან. 35 წლამდე გამოკვლევის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია მამოლოგის მიერ პალპატორული (ხელით) გასინჯვა. ამის საფუძველზე ექიმი განსაზღვრავს, აუცილებელია თუ არა შემდგომი გამოკვლევა და საჭიროების შემთხვევაში ექოსკოპიურ კვლევას დანიშნავს. 35 წლის შემდეგ აღნიშნულ მეთოდებს ემატება მამოგრაფია — ძუძუს რენტგენოლოგიური კვლევა.

ექიმთან ვიზიტის სიხშირე რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული. მაგალითად, მნიშვნელობა აქვს გენეტიკურ განწყობას. თუ სისხლით ნათესავებს ეს დაავადება ჰქონდათ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალბათობა მეტია და ამ შემთხვევაში ქალმა 6 თვეში ერთხელ უნდა მიმართოს ექიმს. თუ ოჯახური ანამნეზი ამ დაავადებით არ არის დატვირთული, სარძევე ჯირკვლების გამოკვლევა 35 წლამდე ასაკში ორ წელიწადში ერთხელაც საკმარისია. 35 წლის შემდეგ კი წელიწადში ერთხელ არის რეკომენდებული.

რა პერიოდშია უმჯობესი მამოლოგთან ვიზიტი

მამოლოგთან ვიზიტისთვის საუკეთესოა მენსტრუალური ციკლის შუა პერიოდი, რომელიც მენსტრუაციის დასრულებიდან 1 კვირის შემდეგ იწყება და მომდევნო ციკლის დაწყებამდე 5-6 დღით ადრე სრულდება. ამ დროს სარძევე ჯირკვალი ყველაზე მეტად არის მოსვენებული და პათოლოგიური პროცესი უფრო იოლი აღმოსაჩენია. ინსტრუმენტული გამოკვლევებიც მხოლოდ ამ პერიოდში ტარდება. ■

P.S. **პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე:** nino.char@yahoo.com.

ახალი ნომერი
ოჯახის
მუნიციპალი
ცვნვმ ეკიმოვნ მიხვერ...



ადამიანი

ნიჭიერი მომღერლის ტრაგიკული წარსული

„თავს უფლებას არ ვაძლევდი, პირადულზე მეფიქრა“

სახალხო პროექტმა — „ნიჭიერი“, რომელიც სულ ახლახან დასრულდა, ტელეეკრანს ათასობით მაყურებელი მიაჯაჭვა. თავიდან, პროექტის მონაწილეთა ყურება სახალისოც იყო — ბევრი ხომ მხოლოდ იმისთვის გამოდიოდა, რათა დიდ სცენაზე დაედგა ფეხი. ჰოდა, ზოგი მეგრულ-ქართული წყევლით იწონებდა თავს, ზოგიც — ხინკლის ჭამით, ვიღაც კი ბოთლებზე შემდგარი, გირეებით ვარჯიშობდა... მოკლედ, ნამდვილად გახალისდებოდა კაცი, მაგრამ ამ პროექტის მიზანი გართობა კი არა, ნიჭიერი ადამიანის აღმოჩენა იყო.

მარინა ბაბუნაშვილი

სულ 7 ათასმა ადამიანმა მოიყარა თავი და ცხადია, თითოეულს საკუთარი ნიჭის წარმოჩენა სურდა, მაგრამ ფინალში მხოლოდ 12 მათგანი გავიდა. ისინი თავიანთი მონაცემებითა და შესაძლებლობებით მართლაც გამოირჩეოდნენ, თუმცა ფინალური კონცერტის მიღმა ბევრი ღირსეულიც დარჩა — მარტო მამა-შვილი ღამბაშიძეების გახსენება რად ღირს!.. საბოლოოდ, ყველაზე მეტი ხმა აჭარელმა ლევან შავაძემ, ცაგერელმა გულნაზ გოლეთიანმა და თბილისელმა პატარა მომღერალმა — მარიამ კახელიშვილმა მიიღეს. ყველაზე დაძაბული აღმოჩნდა ის ბოლო წუთი, როცა პროექტის გამარჯვებული უნდა დაესახელებინათ — ყველა იხსენებდა, თუ როგორ გაეყინა ძარღვებში სისხლი და როგორ უსასრულოდ გაიწელა ის ერთი წუთი...

პირველ ადგილზე ლევან შავაძე გავიდა. მეორე ადგილზე გასულმა გულნაზმა მას გამარჯვება გულწრფელად მიულოცა, მარიამს კი ნერვებმა უმტყუნა და თვალცრემლიანმა დატოვა სცენა. ემოციური წამყვანი თიკა ფაცაცია კულისებში ტიროდა — იგი, როგორც ქალი ქალს, გულნაზს გულშემატკივრობდა...

დაეშვა ფარდა, ჩაქრა რამპა და „ნიჭიერის“ ყველა მონაწილე თავის ცხოვრებას დაუბრუნდა. თუმცა თითოეულის ცხოვრებაში რაღაც მაინც შეიცვალა — მათ ყველგან ცნობენ, უღიმიან, ესიყვარულებიან, ხალხის სიყვარული კი, მოგეხსენებათ, ყოველგვარ საჩუქარსა და ჯილდოზე მეტია.

ყველას თავისი ცხოვრების გზა აქვს, თავისი სათქმელ-საამბობელი, მაგრამ „ნიჭიერთაგან“ მე მაინც, გულნაზ გოლეთიანისკენ გამიწია გულმა — ის ხომ ჩვეულებრივი ქართველი ქალია, თავისი საზრუნავით, პრობლემებით, სიხარულითა და დარდით. მას ახლახან 40 წელი შეუსრულდა, ჰყავს 3 შვილი, უვლის მოხუცებულ მამას, დიდ ოჯახსა და სასოფლო მეურნეობასაც უძღვება... „ნიჭიერმა“ მიახვედრა, რომ ამ ასაკშიც შესაძლებელია, მონოტონური ყოველდღიურობის პარალელურად, საყვარელი საქმე აკეთოს — იმღეროს, გული გაიხაროს და სხვასაც მიანიჭოს სიხარული. ვიდრე გულნაზი მშობლიურ ცაგერში დაბრუნდებოდა, იგი თბილისში, მეგობრის სახლში მოვინახულე. ინტუიციამ არ მიღალატა — ის ზუსტად ისეთი ადამიანი აღმოჩნდა, როგორიც წარმომედგინა — თბილი და გულიანი.

— გულნაზ, თქვენ პროექტ „ნიჭიერის“ ერთ-ერთი გამარჯვებული ხართ. ფინალური კონცერტის დროს, როცა ხალხი ფეხზე წამოგიდგათ, თქვით: თუკი ამქვეყნად ერთი ადამიანია ბედნიერი, ის ადამიანი მე ვარო... ასეთ წარმატებას ელოდით?

— ნამდვილად არ ველოდი! ასეთ პროექტებში ლეჩხუმი არასდროს წარმოჩენილა, არადა, იცით, იქ რამდენი ნიჭიერი ადამიანი ცხოვრობს?! როცა ახალი პროექტი დაიწყო და ცნობილი გახდა, რომ ასაკობრივი ბარიერი არ არსებობდა, შვილები, ახლობლები შემომიჩნდნენ, — „ნიჭიერში“ მონაწილეობა აუცილებლად უნდა მიიღოო, — და ბოლოს, მათმა მუდარამ გაჭრა... სიმართლე გითხრათ, ძალიან ვღელავდი: არ მინდოდა, შევრცხვენილიყავი და პირველივე ტურიდან გამოვვარდნილიყავი, მაგრამ გამიმართლა — ფინალამდე მივედი.

— ამ პროექტში თქვენი რჩეული ვინ იყო?

— პროექტში მართლაც, ძალიან ბევრი გამორჩეული და ნიჭიერი ადამიანი მონაწილეობდა, მაგრამ პატარა მომღერლები — მარიამი და ანა ნამდვილად, იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული ბავშვები არიან; ჩემი განსაკუთრებული სიმპათია კი მამა-შვილმა ღამბაშიძეებმა დაიმსახურეს.

— პირველ ადგილზე

პროექტში მართლაც, ძალიან ბევრი გამორჩეული და ნიჭიერი ადამიანი მონაწილეობდა

რომ ვერ გახვედით, თურმე თქვენს შვილებს უტირიათ...

— დიახ. იმედი ჰქონდათ, რომ მათი დედიკო გაიმარჯვებდა, და როცა ლიდერად ლევანი დაასახელეს, ეს ბავშვურად განიცადეს. დარბაზში ჩასულს სამივე თვალებდასივებული რომ დამხვდა, გულს შემომეყარა და დავტუქსე, — რას მიკეთებთ, თავი არ მომჭრათ, ამდენი ხალხი გვიყურებს, ყველა მილოცავს და თქვენ კი ტირით, სირცხვილია-მეთქი!..

— როცა სცენაზე პირველად გამოხვედით, ჟიურომ ეჭვის თვალითაც კი შემოგხედათ. ალბათ მათთვის ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ სოფელში მცხოვრები 40 წლის ქალი, რომელიც საქონელს უვლის, მიწას თოხნის და ბარავს, ასე კარგად იმღერებდა. თქვენ ხართ ერთადერთი ადამიანი, რომლის შესრულებულმა სიმღერამ მსმენელი აატირა...

— ჩემთვის სიმღერა სულის ნაწილია, ამის გარეშე ცხოვრება ვერც წარმომიდგენია. მართალია, კონსერვატორია არ დამიმთავრებია, მაგრამ ბავშვობიდან ვმღერი. ჩემი და-ძმებიც მუსიკალურები იყვნენ, მაგრამ ყველაზე „ხმიანი“ მე აღმოვჩნდი (*იცინის*).

— მოდი, თქვენს ცხოვრებაზე მიამბეთ...

— დავიბადე და გავიზარდე ცაგერში. თბილი ოჯახი მქონდა. 5 დედმამიშვილიდან ყველაზე უმცროსი ვარ. მერვე კლასში ვიყავი, როცა უმცროსი ძმა (მაშინ 18 წლის გახლდათ) სამხედრო სამსახურში ყოფნისას გარდაიცვალა — ეს დიდი დარტყმა იყო ჩვენთვის. მას შემდეგ დედას თვალზე ცრემლი არ შეშრობია, მამა კი საკუთარ თავში ჩაიკეტა... რამდენიმე ხნის შემდეგ უფროსი დები გათხოვდნენ და თითქოს ცხოვრება კალაპოტში ჩადგა, მაგრამ კვლავ დიდი ელდა დაგვატყდა თავს — ახლა მეორე ძმაც გამოგვეცალა ხელიდან. დედამ ამხელა დარდს ვეღარ გაუძლო, ლოგინად ჩავარდა და ბოლოს, გარდაიცვალა კიდეც. ამხელა სახლში მე და მამა მარტონი დავრჩით. სკოლის დამთავრების შემდეგ ცაგერის კულტურის სახლში დავიწყე მუშაობა, მოგვიანებით კი ქუთაისში, საფინანსო-ეკონომიკურ ტექნიკუმშიც ჩავაბარე, მაგრამ პროფესიით არასდროს მიმუშავია. სიმღერა იმდენად მიყვარდა, ვერაფრით მოვწყდი — კულტურის სახლში ბავშვებს ვასწავლიდი და უჩემოდ ერთი ღონისძიებაც არ გამართულა. მოკლედ, ჩემს ტკივილიან ცხოვრებას სიმღერა და კეთილი ადამიანები აფერადებდნენ... მამა ხშირად ავადმყოფობდა და თავს უფლებას არ ვაძლევდი, პირადულზე მეფიქრა — სიმღერაში ვაქსოვდი ჩემს ცრემლს, სიხარულსა თუ ოცნებას. მერე რომან კოპალიანი — ჩემი მომავალი მეუღლე გავიცანი. 5 წელი გვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ ამ გრძნობას ვერ ვამხელდი; თითქოს, ახლობლების სიკვდილმა ხელ-ფეხი შემიკრა და ერთხანს იმასაც ვფიქრობდი, რომ ამდენი უბედურების მერე გათხოვების უფლებაც არ მქონდა... მაგრამ მეგობრების ძალისხმევით, ეს ნაბიჯიც გადავდგი და დავქორწინდით. მე და რომანს ჯერ თამარი შეგვეძინა, მერე თეა, სულ ბოლოს კი — მარიამი. უფროსი გოგონა ახლა 13 წლისაა, შუათანა — 12-ის, პატარა კი — 10-ის. სულ მინდოდა, ბევრი შვილი მყოლოდა, მაგრამ ასაკის გამო მხოლოდ სამზე შევჩერდი (*იცინის*)... წლების განმავლობაში ჩემი ხელფასი 35 ლარს შეადგენდა; ყველაზე მეტი, რაც ამიღია, 120 ლარია და ისიც, რამდენიმე კონცერტის ჩატარების შემდეგ. რომანს ხელოსნობა ეხერხება — ხეზეც მუშაობს და სამშენებლო საქმეც იცის. სხვა გზა რომ არ იყო, სამუშაოდ თბილისში წამოვიდა. მართალია, მარტოს მიჭირს დიდი ოჯახის გაძღოლა (ჩვენ ჩემს სახლში ვცხოვრობთ, მამა ვერ დავტოვე), მაგრამ სხვა გზა არ იყო და ახლა, ასე, ცალ-ცალკე ვართ — რომანი თბილისში მუშაობს, მე კი ლეჩხუმში ვარ, შვილებთან და მამასთან ერთად...

სულ მინდოდა, ბევრი შვილი მყოლოდა, მაგრამ ასაკის გამო მხოლოდ სამზე შევჩერდი

— ვიცი, რომ მთელ ლეჩხუმს ძალიან უყვარხართ...

— მართალი ხართ, ჩემს მშობლიურ კუთხეში ყველას ვუყვარვარ. ჩვეულებრივ დღეებში, როგორც კი მოსაღამოვდება, ხან ერთი მეზობლის ოჯახში ვიკრიბებით და ხან — მეორის. დღეს რაიონში ბევრს უჭირს და ამ გაჭირვებას თბილი ურთიერთობით ვუმკლავდებით. ჩემი მეგობრები, მეზობლები ხშირად გვეპატიჟებიან და როცა რომანს არ სცალია, ასე ეხუმრებიან: შენ თუ გინდა, შინ დარჩი, მაინც არ ჭამ და არ სვამ, ვერც მღერი, გულნაზი კი ყველაფერს მშვენივრად აკეთებსო... არასოდეს დამავიწყდება ქუთაისში, მესხიშვილის თეატრში გამართულ პირველ კონცერტზე მაია ასათიანმა რომ მითხრა, — თქვენ დღევანდელი დღის ვარსკვლავი ხართო! — როცა ნიკამაც შემაქო, უზომოდ გავიხარე, დაძაბულობა მომეხსნა და მეორე ტურისთვის დავიწყე მზადება. მართალია, არ მინდოდა, რაიმე კურიოზულ სიტუაციაში აღმოვჩენილიყავი, მაგრამ კამერას მაინც ვერ გადავურჩი — ვიდრე ჩემი გასვლის დრო მოვიდოდა, დიდხანს ვიცდიდი და ამასობაში, მომშივდა კიდეც. აბა, რესტორნის ან კაფე-ბარის ფული სად მქონდა?!. ჰოდა, მაშინ დამაფიქსირეს, როცა მოსაცდელ დარბაზში ხაჭაპურს მივირთმევდი... მეორე ტურზე მოსწავლეთა სასახლეში დაგვიბარეს. იქაც დიდხანს მომიხდა ლოდინი. პატარა მომღერლის, მარიამ ფაჩულიას ბებიამ მითხრა: ცოდვა ხარ, წავალ, ხაჭაპურს გიყიდი და შემოგიტანო. ხელები გავასავსავე, — მთლად მშიერი რომ მოვკვდე, აწი, ამათთან ხაჭაპურს ან სხვა რამეს პირს როგორ დავაკარებ-მეთქი?!

— საინტერესოა, რა მოგიტანათ ამ პროექტმა?

— ძალიან დიდი ბედნიერება. უფრო მეტიც — „ნიჭიერმა“ ჩემი ცხოვრება მთლიანად შეცვალა. ეს პროექტი მარტო იმიტომ კი არ არის მნიშვნელოვანი, რომ ჩვეულებრივი ადამიანების ნიჭი და უნარი გამოავლინა, არამედ იმიტომაც (და ეს უფრო მნიშვნელოვნად მიმაჩნია), რომ მისი მეშვეობით, მონაწილეებმა ერთმანეთი გავიცანით, ერთურთს დავუახლოვდით. მერწმუნეთ, საღ და თბილ ურთიერთობაზე ძვირფასი ამქვეყნად არაფერია.

— საინტერესოა, რა საჩუქარი გერგოთ?

— მე, ლევანსა და მარიამს მობილური ტელეფონები გვაჩუქეს, რომელზეც 500 ლარი იყო დარიცხული.

— დუტამ „ვა-ბანკში“ მიგიწვიათ და იქიდან ხელცარიელი არ წამოსულხართ — 5 ათასი ლარი მოიგეთ, არა?

— დიახ და ყველაზე მეტად იცით, რამ გამახარა?.. ჩემი გულშემატკივარი „ნიჭიერის“ თითქმის მთელი შემადგენლობა იყო. მერე გადაცემის წამყვანმა სიურპრიზი მომიწყო და შუა თამაშში მაია, ნიკა და გეგა შემოიყვანა — სიხარულისგან მეცხრე ცაზე ვიყავი... მადლობელი ვარ ყველა იმ ადამიანის, ვინც ერთხელ მაინც დამიმესიჯა და ხმა მომცა; მადლობელი ვარ თქვენი, რომ დრო დამითმეთ, ჩემზე წერილს ამზადებთ და რაღა თქმა უნდა, მადლობელი ვარ ჩემი ლეჩხუმელების, რომელთა ყურადღება და სიყვარული ერთი წუთითაც არ მომკლებია. ახლა დიდი იმედით გავყურებ მომავალს, მინდა, სიმღერები ჩავწერო და ხალხი კვლავ გავახარო... უზომოდ ბედნიერი ვარ, როცა სრულიად უცნობები მილოცავენ და მეუბნებიან: გმადლობთ, იმ ლამაზი წუთებისთვის, ქართული სიმღერების შესრულებისას რომ მოგვანიჭეო... ■

როგორ ცხოვრობენ ქართველები აფხაზეთში

ქართულ-აფხაზური დაპირისპირებიდან 18 წელი გავიდა, მაგრამ ჯერ კიდევ გაურკვეველია, რით დასრულდება ეს კონფლიქტი. ომის შემდეგ საკუთარი საცხოვრებელი ადგილი ბევრმა ქართველმა ბედის ანაბარად დატოვა, მაგრამ არსებობენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც არსებულ რეალობას არ შეუშინდნენ, საკუთარი კარ-მიდამო არ მიატოვეს და აფხაზებთან საერთო ენის გამონახვას დღემდე ახერხებენ. ჩვენი რესპონდენტი აფხაზეთში მცხოვრები 53 წლის ქართველი კაცია, რომელიც გასაგები მიზეზების გამო, საკუთარი ვინაობის გამხელას მოერიდა.

„ასაპოვან აფხაზებს სურთ, მათი ტერიტორია საქართველოს შემადგენლობაში იყოს"

სოფო მინაშვილი

— საბრძოლო მოქმედებები რომ დაიწყო, ჩვენც ხალხის ნაკადს გამოვყევით, მაგრამ ომში მამა მომიკლეს, ოჯახის წევრებს კი მისი საფლავის მიტოვება გაგვიძნელდა და 7-8 თვის შემდეგ უკან დავბრუნდით. საბედნიეროდ, დედა ცოცხალია. თავს ძირითადად, სოფლის მეურნეობით ვირჩენთ — რამდენიმე სული საქონელი მყავს, ცოტა თხილი მაქვს და ა.შ.

— გვიამბეთ, როგორ ცხოვრობს ხალხი აფხაზეთში? სურსათი და სხვა პროდუქტები საიდან ჩამოაქვთ?

— მატერიალურად ძალიან გვიჭირს, მაგრამ შიმშილით არ ვიხოცებით. გალის მოსახლეობა სოფლის მეურნეობით ირჩენს თავს, სოხუმში კი ძირითადად, ვაჭრობენ — ვისაც ამ საქმის კეთება შეუძლია, ის რუსეთიდან ან ქართველების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან შემოტანილ პროდუქტს ყიდის. ასე რომ, მაღაზიები სავსეა სურსათ-სანოვაგით... ვისაც რუსული პასპორტი აქვს, ის რუსეთში მიდის და იქიდან ჩამოაქვს პროდუქტი. სხვათა შორის, სოხუმის მოსახლეობის უმეტესობას აფხაზური პასპორტი აქვს, გალში კი ზოგს აქვს, ზოგს — არა. პირადად მე, ასეთი მოწმობა არც მაქვს და არც მინდა, მქონდეს, მაგრამ თუ სხვა გზა არ მექნება, აფხაზურ პასპორტს მეც ავიღებ — აქ ვცხოვრობ და სხვაგვარად არ გამოვა. აფხაზურ პასპორტს 5-წლიანი ვადა აქვს და როგორც ამბობენ, ამის შემდეგ რუსულ პასპორტებს დაგვირიგებენ, რათა რუსეთში გადასვლა თავისუფლად მოვახერხოთ. თუმცა ამას რუსული პასპორტის გარეშეც იოლად ახერხებენ — სოხუმიდან რუსეთში მატარებელი კვირაში ორჯერ მიდის და მსუბუქი ავტომობილითაც უპრობლემოდ დადიან...

— ქართველების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლას და უკან დაბრუნებას იოლად ახერხებთ? საზღვარზე პრობლემები არ გექმნებათ?

— ენგურის ხიდს რომ გადახვალ, იქ

პირველად აფხაზები გხვდებიან და ისინი ხალხს ცუდად არ ეპყრობიან. უბრალოდ, საზღვარზე რომ გაგატარონ, ზოგჯერ გარკვეულ თანხას, მაგალითად, 10 ლარს ითხოვენ, მაგრამ შეიძლება, ყოველგვარი გადასახადის გარეშეც გაგიშვან. არ ვიცი, ვინ დაადგინა, რომ საზღვრის გადაკვეთისას თანხა უნდა გადაიხადო, მაგრამ ფაქტია, ყველა იმ ტვირთის შესაბამისად იხდის, რაც გადააქვს.

— განათლების მხრივ, აფხაზეთში როგორი მდგომარეობაა? თქვენს შვილიშვილებს სკოლაში რა ენებს ასწავლიან? ახალგაზრდებს უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების საშუალება თუ აქვთ?

— მოსწავლეებს ქართულს, რუსულსა და აფხაზურს ასწავლიან. რაც შეეხება წიგნებს, ქართულ სახელმძღვანელოებს ზუგდიდში ვყიდულობთ, რადგანაც აქ არ იყიდება. ამბობენ, უფროსკლასელებს ისტორიის ახალი წიგნები დაურიგეს, რომლებშიც გარკვეული ისტორიული ფაქტები შეცვლილიაო... ხშირად, სხვადასხვა სოფლის მოსწავლეები ერთად აწყობენ კონცერტებს, სადაც ბავშვები მღერიან, აფხაზურ და ქართულ ცეკვებს ცეკვავენ. ხშირად, ერთმანეთს ფეხბურთშიც ეჯიბრებიან... სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდებს სოხუმის უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებას სთავაზობენ და ზოგი მართლაც, სასწავლებლად სოხუმში მიდის, უმეტესობა კი უპირატესობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ანიჭებს. ჩემმა შვილებმა სოხუმში სწავლა არ მოისურვეს და მახსოვს, როდესაც არდადეგებზე გალში ჩამოდიოდნენ, მათ აფხაზები ეკითხებოდნენ: სოხუმში რატომ არ სწავლობთო?! აქ მუშაობის დაწყების მეტი შანსი მას აქვს, ვინც სოხუმის უნივერსიტეტი დაამთავრა, მაგრამ სიმართლე გითხრათ, აფხაზეთში სამუშაო ადგილები ფაქტობრივად, არც არის.

— მასმედიის მუშაობასაც შევეხოთ: რომელი ტელეარხები მაუწყებლობს აფხაზეთის ტერიტორიაზე და როგორი ინფორმაცია ვრცელდება ქართველების შესახებ? როგორც ვიცი, ქართულ ტელეარხებსაც უყურებთ...

— გალში 4 ქართული და სამი რუსული ტელეარხი მაუწყებლობს. ერთი აფხაზური არხიც გვქონდა, მაგრამ კარგა ხანია, დაიხურა. გალში არც გაზეთები გამოდის და თავად ჟურნალისტებსაც ნაკლებად შეხვდებით. აი, სოხუმში კი იცოცხლე, მუშაობენ. იქაური ტელევიზია ძირითადად, ადიგენის, ყარაჩაეთ-ჩერქეზეთისა და რუსეთის ტელეგადაცემებს უჩვენებს. ერთადერთი აფხაზური არხი მაუწყებლობს და ისიც, მხოლოდ საათნახევრის განმავლობაში. რაც შეეხება ქართულ ტელეარხებს, მათ სოხუმში არ სწყალობენ... ამ ქალაქში ძირითადად, რუსული პრესა იყიდება. აფხაზური გაზეთებიც გამოდის, მაგრამ მე არასდროს მიყიდია... ქართველების შესახებ, რა თქმა უნდა, ნეგატიური ინფორმაცია ვრცელდება, ჩვენი ერი აგრესორად გამოჰყავთ და ამბობენ, რომ ქართველები მშვიდობიან აფხაზებს ესხმიან თავს, იტაცებენ, ავიწროებენ და ა.შ. ცუდი ისაა, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ამ ყველაფერს იჯერებს. აფხაზეთში ხალხს საკუთარი აზრის ხმამაღლა გამოთქმის საშუალება არ გვაქვს; ვერ ვიტყვით, რომ ქართველები გვიყვარს და მათ მხარეს ვართ ან მშვიდობიანი თანაცხოვრება გვსურს...

— თქვენს სოფელში ხალხი რა ენაზე ლაპარაკობს?

— გალის რაიონში ძირითადად, მეგრულად ვლაპარაკობთ. ჩემს სოფელში არავინ იცის აფხაზური ენა, აფხაზურად მხოლოდ სოხუმისკენ და ისიც, ჩემი თაობის ადამიანები ლაპარაკობენ, ახალგაზრდები კი რუსულად ეკონტაქტებიან ერთმანეთს... სხვათა შორის, ჩემს სოფელში ათამდე ოჯახს აფხაზი რძალი ჰყავს და ქართველებიც თხოვდებიან აფხაზებზე. მოკლედ, უბრალო ხალხს ერთმანეთთან მშვიდობიანი ურთიერთობა გვაქვს.

— **ჯარში როგორი ვითარებაა? ქართველი ახალგაზრდები თუ მსახურობენ აფხაზურ ჯარში?**

— როგორ არა?! ჩემი სოფლიდან 5-6 ბავშვი მსახურობს აფხაზურ ჯარში. როცა რაიმე დღესასწაულია, მათ შინ რამდენიმე დღით უშვებენ, მაგრამ დათქმულ დროს უკან უნდა დაბრუნდნენ. მოკლედ, როცა უნდათ, მაშინ მიდიან და მოდიან — ამას ხომ ჯარი არ ჰქვია?! ბიჭებს რუსული ფორმა აცვიათ, მაგრამ მათ ხელში იარაღი არ მინახავს. ჩემი შვილი, როგორც ოჯახის მარჩენალი, ჯარში არ წაუყვანიათ, მაგრამ გაწვევა 35 წლამდე ხდება.

— **საინტერესოა, ომის შემდეგ რა მდგომარეობაა ეკლესიებში, წირვა-ლოცვები რა ენაზე აღესრულება?**

— აფხაზეთის ტერიტორიაზე რამდენიმე მოქმედი ეკლესიაა, სადაც წირვა-ლოცვებს აფხაზი სასულიერო პირები ატარებენ. სიმართლე გითხრათ, მათ მსახურებას არასდროს დავსწრებივარ და არც ის ვიცი, ლოცვები რა ენაზე იკითხება. სხვათა შორის, ქართველები ტაძარს ჩვენს სოფელშიც აშენებენ და ის უკვე გადახურულია. ღმერთმა ქნას, საქმე ბოლომდე მიიყვანონ.

— **აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობას მოსახლეობასთან უშუალო ურთიერთობა თუ აქვს? ახლახან თქვენთან საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. როგორი იყო ბაღაფშის წინასაარჩევნო კამპანია?**

— სოხუმში შეიძლება, მთავრობის წარმომადგენლები ხალხს ხვდებიან კიდეც, მაგრამ ჩვენთან არავინ მოსულა. რაც შეეხება არჩევნებს, ყველაფერი წინასწარ იყო გადაწყვეტილი და ჩაწყობილი... ხალხს საკუთარი აზრის ხმამაღლა გამოთქმის ეშინია. ზოგს სურს, აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში იყოს — ასე ძირითადად, ასაკოვანი ხალხი ფიქრობს, ახალგაზრდები კი უფრო აგრესიულად არიან განწყობილნი. ვისაც ცოტათი მაინც უჭრის გონება, ყველა ამბობს, — თავიდანვე ქართველებთან უფრო ახლოს უნდა ვყოფილიყავით, ვიდრე — რუსებთანო. განსაკუთრებით ბოლო დროს აფხაზებს რუსების მხრიდან შევიწროება დაეტყოთ — რუსი მოდის, ყველაფერს ყიდულობს, ყველაფერს ართმევს და ამბობენ, რომ სამოქალაქო პირებმა ოჩამჩირესა და სოხუმში სახლებიც შეიძინესო. ჩემს სოფელში რუსები სამხედრო ნაწილს აშენებენ. ისინი ისე იქცევიან, თითქოს მეფეები და ყველაფრის ბატონ-პატრონები იყვნენ. ზაფხულობით აფხაზეთს რუსი ტურისტები სტუმრობენ და სასტუმროებიც მათ აქვთ დაკავებული. ზოგიერთი აფხაზი ჯერ კიდევ ამბობს, რომ აფხაზეთი მისია, მაგრამ ცოტა ხანში ამასაც ველარ იტყვის, რადგან მოერევა რუსი და გარუსდება მთელი აფხაზეთი!..

— **რაში ხედავთ გამოსავალს?**

— გამოსავალი ერთია — აფხაზეთის მთავრობა აზრზე უნდა მოვიდეს! და კიდევ, ვფიქრობ, უბრძოლველად არაფერი გამოვა... ■

გმირი მამა, რომელმაც 11-შვილიანი ქალი შეირთო ცოლად

35 წლის ქეთი გოლიაძეს 12 შვილი ჰყავს, მათგან თერთმეტი — პირველი ქორწინებიდან. ქალბატონი ქეთისთვის დეპრესია უცხოა და ფარხმალსაც არასდროს ყრის: პირველ მეუღლესთან დაშორების შემდეგ, თერთმეტივე შვილზე მარტო ზრუნავდა, ცოტა ხნის წინ კი მის ცხოვრებაში გამოჩნდა მამაკაცი, რომელმაც ქალბატონი ქეთი, მისი შვილებიც გულით შეიყვარა და ახლახან წყვილს კიდევ ერთი გოგონა — ნუცა შეეძინა...

„ბავშვები ყოველთვის ჩემთვის მინდოდა და მინდა!.."

ეთო ყორღანაშვილი

— ყოველი დღე ბავშვებზე ზრუნვით იწყება, განსაკუთრებული ყურადღება კი ყველაზე პატარას სჭირდება. ნუცას გარდა, შვილიშვილზეც ვზრუნავ, რადგან დედამისი — ჩემი უფროსი ქალიშვილი ჯერ მხოლოდ 17 წლისაა.

— **უფროსი ქალიშვილი თქვენთან ცხოვრობს?**

— კი. ანი 15 წლის ასაკში გათხოვდა და ახლა 5 თვის ბიჭუნა — ნიკუშა ჰყავს. სამწუხაროდ, ანის მეუღლე ციხეშია.

— **ციხეში რის გამო მოხვდა?**

— რაღაც გაუგებრობის გამო და ამიტომაც, მისი გათავისუფლების დიდი იმედი გვაქვს...

— **ქალბატონო ქეთი, პირველად რამდენი წლის ასაკში გათხოვდით?**

— 15 წლის ვიყავი. არასოდეს მიფიქრია, რომ მრავალშვილიანი დედა ვიქნებოდი, მაგრამ ღმერთმა დამასაჩუქრა და მეც, ნაყოფის მოშორების სურვილი არასდროს გამჩენია — ყველა ბავშვი გავაჩინე. წესით, ახლა 13 შვილი უნდა მყავდეს, მაგრამ ერთი დამეღუპა: ნოდარიკო 4 თვის იყო, ვირუსი რომ შეეყარა... დანარჩენი შვილები აბსოლუტურად ჯანმრთელები არიან, არაფერი აწუხებთ!.. პირველი ოჯახი დამენგრა და მეორედ გავთხოვდი. ნუციკო მეორე ქორწინებიდან მყავს.

— **თქვენი პირველი ოჯახის დანგრევის მიზეზი რა იყო?**

— პატარის გარდაცვალების მერე ოჯახში სიტუაცია აირია, ძირითადად — ჩემი მხრიდან... პირველ მეუღლეს დავშორდი, მაგრამ ჩვენი საერთო შვილებიდან, ყველანი ჩემთან ცხოვრობენ.

— **იქნებ, თქვენი პირველი მეუღლის შესახებ რაიმე გვითხრათ? როცა ცოლ-ქმარს 11 შვილი ჰყავს, ასეთ შემთხვევაში, ცალ-ცალკე ცხოვრების გადაწყვეტილების მიღება ალბათ, განსაკუთრებით რთულია...**

— ამ თემაზე საუბარი ძალიან მიმძიმს. ბავშვები ყოველთვის ჩემთვის მინდოდა და მინდა!.. თუმცა, მამასთანაც აქვთ ურთიერთობა.

— **12 ბავშვზე ზრუნვა არ გიჭირთ?**

— არა, რადგან ერთმანეთს უვლიან. თქვენ წარმოიდგინეთ, ვმუშაობ კიდეც — ჩვენი საცხოვრებელი კორპუსის კომენდანტი ვარ. საერთოდ, ოჯახის რჩენა მრავალშვილიან ბიზნესმენებსაც კი უჭირთ, რადგან ბევრი ბავშვის მოვლა რთულია. რაც მთავარია, ჩემი შვილები მშივრები, ჩაუცმელები არ არიან და ახლახან ნევროლოგიის ინსტიტუტის შენობის მთელი პირველი სართულიც დაგვითმეს. მართალია, რაღაც-რაღაცები გასაკეთებელია, მაგრამ მთავარია, რომ საცხოვრებელი ფართობი გვაქვს.

— **დიდი ხანია, რაც ამ შენობაში ცხოვრობთ?**

— 9 წელიწადია. აქ ლტოლვილები, მიწისძვრით დაზარალებული და მრავალშვილიანი ოჯახები ცხოვრობენ. ეს შენობა ჯერ კიდევ ვანო ზოდელავას მერობის პერიოდში დაგვითმეს, როგორც მრავალშვილიან ოჯახს; შემდეგ ნიკო ხაჩირიშვილმა (მაშინ გლდანი-ნაძალადევის

გამგებელი გახლდათ) ერთი სართული მთლიანად დაგვითმო, ახლა კი გვპირდებიან — საკუთრებაში გადმოგცემთო (ეს პრეზიდენტის ბრძანებაა!). ნიკო ხაჩირიშვილი ჩემს ოჯახს ბევრჯერ დაეხმარა — სანდრუკა რომ შემეძინა (ახლა უკვე 5 წლისაა), საწოლიც უყიდა... როცა რაიმე მჭირდება, დიმა კოტეტიშვილიც მეხმარება. ის მაშინ გავიცანი, როცა პრეზიდენტის თანაშემწე იყო და მას შემდეგ, ჩემი ოჯახის მიმართ დიდ ყურადღებას იჩენს...

— ყოფილი პოლიტიკოსი — გიორგი გოლიაძე თქვენი ნათესავია?

— ის ჩემი ძმა გახლავთ. უკვე მეორე წელია, უკრაინაშია. საქართველოში ქრისტიან-ლიბერალური პარტიის თავმჯდომარე იყო. გიორგი პირველ ცოლს, რომელთანაც ერთი ქალიშვილი ჰყავდა, დაშორდა. ის უკრაინას კარგად „მოერგო“ — ცოლი მეორედ შეირთო და უკვე 5 თვის ბიჭუნაც ჰყავთ. ჯერჯერობით, ჩემი ძმა საქართველოში დაბრუნებას არ აპირებს.

— ქალბატონო ქეთი, ვიდრე საცხოვრებლად ნეკროლოგიის ინსტიტუტის შენობაში გადახვიდოდით, სად ცხოვრობდით?

— მშობლებთან და ჩემს ძმასთან, გლდანში. მამა ინფარქტით გარდაიცვალა, რის გამოც, ბებიაჩემი ლოგინად ჩავარდა — შვილის სიკვდილი ვერ გადაიტანა და ისიც მალევე გარდაიცვალა... ბინის თაობაზე განცხადება მქონდა დაწერილი და თბილისის მერიამ საცხოვრებელი ფართობი ამ შენობაში გამოგვიყო...

— ამჟამინდელი მეუღლე როგორ გაიცანით?

— მას ამავე საცხოვრებელ კორპუსში, ახლობელთან შევხვდი და ჩვენი ურთიერთობა ნელ-ნელა აეწყო... ჩემთან შეხვედრამდე, ის დაოჯახებული არასდროს ყოფილა.

— დედის გათხოვების ამბავი შვილებმა როგორ მიიღეს? ბავშვებს მამინაცვალთან, უფრო ზუსტად — გმირ მამობილთან როგორი ურთიერთობა აქვთ?

— ჩემი გათხოვების ამბავიც ნორმალურად მიიღეს და მამობილთანაც კარგი ურთიერთობა აქვთ: ჩემს შვილებს და მეუღლეს ერთმანეთი ძალიან უყვართ, მეგობრობენ.

— თქვენი მეუღლე რას საქმიანობს?

— ამჟამად — არაფერს. მუდმივი სამსახური არა აქვს.

— თქვენი შვილები ოჯახის ახალ წევრს — პატარა ნუცას როგორ შეხვდნენ?

— ძალიან გაუხარდათ!

— სახელმწიფოსგან რაიმე დახმარებას იღებთ?

— ყოველთვიურად, თითო ბავშვზე 20-ლარიან დახმარებას მაძლევენ. გარდა ამისა, ახლა ერთჯერად დახმარებას — 200 ლარსაც მოგვცემენ, რადგან ოჯახს კიდევ ერთი ახალი წევრი შეემატა... ნუცა 4 კგ და 200 გ. დაიბადა, ბუთხუზა ჩვილი იყო (*იღიმის*).

— დანარჩენ შვილებზე რას მეტყვით?

— მათ შორის ასაკობრივი სხვაობა წელიწადი და 3 თვე ან 2 წელია. თითქმის ყველანი ერთად გაიზარდნენ, ერთმანეთს კარგად უგებენ. არ უყვართ, როცა რომელიმე მათგანს სერიოზულად ვუბრაზდები. უფროსი შვილი — ანი დანარჩენებისგან მეტი სითამამით გამოირჩევა. ერთ-ერთი ბიჭი, სავარაუდოდ, მომავალი ფეხბურთელი მყავს — აქტიურად ვარჯიშობს. ამბობენ, — კარგად თამაშობსო და ვნახოთ, რას იზამს...

— სად ვარჯიშობს?

— თენგიზ სულაქველიძის აკადემიაში.

— მის სწავლას ვინ აფინანსებს?

— გარკვეული შეღავათები გვაქვს, მაგრამ ძირითად თანხას მე ვიხდი; დათუნასაც სპორტი აინტერესებს (ალბათ — უფროსი ძმის გავლენით); 14 წლის ნინი ანსამბლ „ლომისში“ დადიოდა, ცეკვავდა, მაგრამ ჩემი მშობიარობის გამო, იქ სიარული ცოტა ხნით შეწყვიტა. დისშვილსაც და ნახევარდასაც ძირითადად, ნინი უვლის. ხშირად, სიცილით გვეუბნება, — ეს ბავშვები ჩემთვის გააჩინეთო (*იცინის*)?!

— რამდენი გოგონა და რამდენი ბიჭი გყავთ?

— 7 გოგონა და 5 ბიჭი.

— შვილების გაკონტროლებას თუ ახერხებთ, სწავლაში რომ არ იზარმაცონ?

— ხანდახან მაინც ზარმაცობენ. დათუნას ძირითადად, ანუკი ამეცადინებს, მაგრამ თავად ვეღარ სწავლობს, რადგან ნაადრევად გათხოვდა — მაშინ მეცხრე კლასის მოსწავლე იყო.

— რომ თხოვდებოდა, იცოდით?

— ვიცოდი, რომ ერთმანეთი უყვარდათ — ანის შეყვარებული აქვე ცხოვრობდა... ნამდვილად არ მინდოდა, რომ ჩემი ქალიშვილი ასე ადრე გათხოვილიყო, მაგრამ გათხოვდა და რა ვქნა?!.

— გაუბრაზდით?

— არა, ხმაც არ ამომიღია. ცოლად უცხოს რომ გაჰყოლოდა, შეიძლება, სხვანაირი რეაქცია მქონოდა, მაგრამ ის ბიჭი თითქმის ჩემს ხელშია გაზრდილი (*იღიმის*)...

ნინი კოტიშაძე, *ქალბატონი ქეთის შვილი, 14 წლის:*

— ყველა დაიკოს და ძმიკოს დაბადებას მოუთმენლად ველოდით, მაგრამ ნუცას — განსაკუთრებით, რადგან დედას რთული ორსულობა ჰქონდა და ვნერვიულობდით.

— პატარას სახელი ვინ შეურჩია?

— მე და ჩემმა დამ — ანიმ.

— ნუცა რატომ დაარქვით?

— მოფერებით ნინუცას მეძახიან და მინდოდა, ჩემი დაიკოც ნუცა ყოფილიყო (*იცინის*).

— ცეკვით სერიოზულად ხარ გატაცებული?

— კი. მინდა, ცეკვა პროფესიონალურ დონეზე ვისწავლო. მე და ჩემი დაქალი კონცერტებს ვმართავთ, სპექტაკლებს ვდგამთ... ჩვენს საცხოვრებელ კორპუსში ყველა „დებ ღლონტებს“ გვეძახის (*იცინის*). ჰო, ლექსებსაც ვწერ, ძირითადად — სიყვარულზე.

— შეყვარებული ხარ?

— კი.

— დედა საქმის კურსშია?

— კი, იცის.

— ახლო მომავალში გათხოვებას ხომ არ აპირებ?

— არა, ჯერ უნდა ვისწავლო და მერე...

ანი, *17 წლის:*

— გაუგებრობის გამო, 2 თვის წინ ჩემი მეუღლე — ვახო თანიაშვილი ციხეში მოხვდა. მის სასამართლო პროცესზე ყველა ტიროდა: ჩემმა შვილმა — 4 თვის ნიკუშამ მამა რომ დაინახა, ატირდა და ჩაეხუტა. ვახოც ატირდა... ვახოს გარეშე მეც და ბავშვსაც ძალიან გვიჭირს. ერთადერთი, პრეზიდენტის იმედი მაქვს — იქნებ, ჩემი მეუღლე შეინწყალოს...

— ანი, შენი გათხოვების ამბავს დედა მშვიდად შეხვდა. მამას როგორი რეაქცია ჰქონდა?

— მაშინ დედ-მამა უკვე ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ. მამამ ჩემი გათხოვების ამბავი რომ გაიგო, ცოტათი გამიბრაზდა, მაგრამ ახლა ძველებურად, კარგი ურთიერთობა გვაქვს... რაც შეეხება ჩემს მამინაცვალს, ის არაჩვეულებრივი ადამიანია — საკუთარი მამისგან არ ვარჩევ.

ხათუნა პავლიაშვილი, *ქალბატონი ქეთის ერთ-ერთი შვილის — 2 წლის თაკოს ნათლია:*

— ქეთინო, როგორც კორპუსის კომენდანტი, ისე გავიცანი, მერე კი ძალიან დავახლოვდით და ახლა საკუთარ დად მივიჩნევ. ერთმანეთს ყოველთვის მხარში ვუდგავართ. ქეთი ძალიან „ვაჟკაცური“ გოგოა — ამდენი შვილის მიხედვა იოლი საქმე ნამდვილად არაა! მასთან ჩვენი მთავრობა ცოტათი ტყუის... ცუდია, პატარა ნიკუშა უმამოდ რომ იზრდება. იმედია, მალე მისი ცხოვრება სასიკეთოდ შეიცვლება. რაც შეეხება ქეთის მეუღლეს, ის გმირი მამაა — ყველა ბავშვზე საკუთარი შვილივით ზრუნავს, ძალიან კარგი ადამიანია! ■

პრესტიჟული პროფესიის მანკიერი მხარეები

„თუ ადამიანს ენაც უჭრის და გონებაც, ფულს იოლად იშოვის“

აბიტურიენტებმა უკვე გააკეთეს არჩევანი და იციან, რა პროფესიას უნდა დაეუფლონ იმ შემთხვევაში, თუკი გაუმართლებთ და სახელმწიფო გამოცდებს ჩააბარებენ. ზოგი ამისთვის მთელი წლის ან სულაც, რამდენიმე წლის განმავლობაში ემზადებოდა, ზოგს კი მხოლოდ საკუთარი ნიჭის ან მშობლების სქელი ჯიბის იმედი აქვს.

ჩვენ მოზარდებში ჩავატარეთ სატელეფონო გამოკითხვა, რომლის მიხედვითაც, აბიტურიენტებისა და მომავალი აბიტურიენტების აზრით, ყველაზე პრესტიჟული ისევ სამსახიობო ან ჟურნალისტიკის ფაკულტეტებზე სწავლა გახლავთ, ხოლო ყველაზე სასურველი, იმ გაგებით, რომ მომავალში მყარი მატერიალური მდგომარეობა ჰქონდეთ — საბანკო-საფინანსო საქმის, ბუღალტერიისა და მენეჯმენტის შესწავლაა.

ლიკა ქაჯაია

სალომეა, *18 წლის:*

— მინდა, სამედიცინო ფაკულტეტზე ჩავაბარო, მაგრამ იქ მოწყობის ნაკლები შანსი მაქვს — როგორც ვიცი, დიდი კონკურსია. ყოველთვის მინდოდა, კარგი გინეკოლოგი ვყოფილიყავი და ვნახოთ, ამ ოცნებას ავისრულებ თუ ვერა.

— ამ ფაკულტეტზე თუ ვერ ჩააბარებ, სხვაგან ცდი ბედს?

— არა, რადგან სხვა საქმე არ მიზიდავს! ჩემმა დამ, მშობლების დაჟინებული თხოვნით, სტომატოლოგიურ ფაკულტეტზე ჩააბარა და ახლა თავში იშენს ხელებს — ეს საქმე იმდენად არ უყვარს, რომ მუშაობას გულს ვერ უდებს.

— რატომ გინდა, მაინცდამაინც გინეკოლოგი გამოხვიდე? ვთქვათ, პედიატრია რით არის ცუდი?

— ვინ თქვა, რომ ცუდია, მაგრამ ეს საქმე არ მიზიდავს... ძალიან მინდა, როცა ბავშვი იბადება, მის გვერდით ვიყო, ჩვილს ახალი სამყაროს შეცნობაში დავეხმარო და დედას მკერდზე მივუწვინო. დამერწმუნებით, ალბათ, რომ ამაზე ამაღელვებელი და სასიამოვნო საქერი ამქვეყნად არაფერია.

— ბავშვის დაბადებას „ბებიაქალიც“ ესწრება და ვთქვათ, გინეკოლოგიურზე თუ ვერ ჩააბარე, საექთანოზეც არ ცდი ბედს?

— თავს სწავლით იმიტომ ვიკლავ, რომ „ბებიაქალი“ გავხდე? — არავითარ შემთხვევაში! თუ საწადელს ვერ მივაღწევ, მაშინ მაღაზიაში, კონსულტანტად დავიწყებ მუშაობას ან სულაც, ვაჭრობით დავკავდები; ძვირფას დროს ისეთი საქმის შესწავლაზე არ დავხარჯავ, რომელსაც ვერასდროს გამოვიყენებ.

ეკა, *19 წლის:*

— მინდა, მომავალში ცნობილი ექიმი ვიყო. ჩემს მშობლებს იმის საშუალება არ ჰქონდათ, რომ საუკეთესო პედაგოგებთან მოვმზადებულიყავი. სოფელში, რიგით მასწავლებლებთან ვემზადებოდი და შესაძლოა, სხვების ფონზე ბევრ რამეში ჩავიჭრა. ამასთან, ნაცნობი არ მყავს, რომ რაღაცაში დახმარება შემომთავაზოს და არც იმდენი ფული მაქვს, ვიღაცის მოქრთამვა რომ შევძლო...

— ეკა, ყველაზე შემოსავლიან პროფესიად რომელს მიიჩნევ?

— იმას, რომელიც ბიზნესთანაა დაკავშირებული. აბა, დღეს ექიმებსა და ფარმაცევტებს მათხოვრულ ხელფასს უხდიან და იმასაც ამადლიან. ამ პროფესიის ადამიანებს (რა თქმა უნდა, ყველას არ ვგულისხმობ) ოჯახის რჩენა უჭირთ.

— შენ რა იცი?

— მამიდაჩემი ფარმაცევტია და თვეში 300 ლარს უხდიან. აბა, ამ თანხით როგორ უნდა იცხოვროს?

— ზოგს ამდენიც არა აქვს...

— (*მაწყვეტინებს*) ზოგი კი მილიონერია და ეს არის საქმე. მამიდას 4 პატარა ჰყავს, მისი მეუღლე — უმუშევარია. საინტერესოა, ამ მრავალსულიან ოჯახს 300 ლარი რაში უნდა ეყოს?..

— მიუხედავად იმისა, რომ იცი, „თეთრი ხალათით“ ოჯახს ვერ არჩენ, მაინც სამედიცინო ფაკულტეტზე გსურს ჩაბარება? რატომ არ გინდა, რომ მომავალში რაიმე სახის ბიზნესით დაკავდე?

— არ მინდა, „ვაჭრული სული“ მქონდეს. მირჩევნია, 2 „კაპიკი“ ვიშოვო და უშფოთველად ვიცხოვრო, ვიდრე ვიღაცების მოტყუების ხარჯზე მილიონები ვიშოვო.

— შენი აზრით, ყველა ბიზნესმენი იტყუება და ყველა ექიმი უშფოთველად ცხოვრობს?

— ბიზნესი ისეთი საქმეა, რომელსაც სიცრუის გარეშე ვერ ააწყობ. თუ გულუბრყვილო ადამიანი ხარ, თავიდან მილიონებიც რომ იშოვო, ადრე თუ გვიან, მაინც გაკოტრდები. რაც შეეხება მედიცინას — მართალია, ყველა ექიმი კეთილსინდისიერად არ ასრულებს თავის მოვალეობას და ზოგჯერ, ვიღაცები პაციენტების დახმარებაზე უარს აცხადებენ, რადგან ამ ადამიანებს მკურნალობისთვის საჭირო თანხა არ გააჩნიათ, მაგრამ ყველა ასეთი ნაძირალა ხომ არ არის? ისე, ჩემი აზრით, ექიმები ფულზე რომ გადაირივნენ, ეს მთავრობის დამსახურებაა — პაციენტი ერთ ოპერაციაში ათასობით ლარს იხდის, მაგრამ ექიმს მათხოვრულ თანხას უგდებენ და ეს უსინდისობაა! ჰოდა, ამიტომაც დახარბდა ზოგიერთი ექიმი; ცდილობენ,

მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის გამდიდრებაზე კი არა, საკუთარი ჯიბის გასქელებაზეც იზრუნონ და ზოგჯერ, ძალიანაც სცოდავენ...

ზურა, *20 წლის:*

— შარშანწინ დიპლომატიურზე ვაბარებდი, მაგრამ ქულა დამაკლდა და სასურველ ფაკულტეტზე ვერ მოვხვდი, სხვაგან სწავლის სურვილი კი ნამდვილად არ მქონდა. შარშან გადაწყვეტილება შევიცვალე, რადგან ერთ-ერთი ცნობილი რეჟისორი გავიცანი, რომელმაც ჩემში მსახიობური ნიჭი აღმოაჩინა და შემომთავაზა: მოდი, თეატრალურ უნივერსიტეტში ჩააბარეო. ჰოდა, საბუთები შევიტანე, მაგრამ არ გამიმართლა... წელს ისევ თეატრალურში ვცდი ბედს და ვნახოთ, იქნებ, გამიმართლოს, თუ არა და, სწავლაზე ხელს ჩავიქნევ და წავალ ჩემს სოფელ-

ში, გავთოხნი ყანას, მოვიყვან სიმინდს, მერე გავყიდი და ვიყიდი კარგ ბოტებს, რათა წვიმასა თუ თოვლში ფეხი არ დამისველდეს (*იცინის*).

— **მერე ალბათ, მოიყვან ცოლს, მასაც უყიდი ერთ წყვილ კარგ ბოტს და...**

— (*მაწყვეტინებს*) რა თქმა უნდა! მაგრამ აბა, ვინ გაჰყვება ცოლად ყანის მთოხნელ ბიჭს? ვინ ოცნებობს დამლაგებელ ან ვაჭარ ქმარზე? ყველას უნდა, წარმატებული ადამიანის მეორე ნახევარი იყოს! თუ ვინმეს მოტყუებას შევძლებ და ჩემს ფაცხაში შევიტყუებ, ბევრ შვილს ვიყოლიებ, ვიქნები მრავალშვილიანი მამა და გარკვეული თანხით სახელმწიფოც დამეხმარება. შემდეგ, როცა ბავშვები წამოიზრდებიან, თითოეულს თითო ბატს ან თხას ჩავაბარებ და ავიწყობ ცხოვრებას (ვაი, ჩემს პატრონს!)...

— **მომავალ მსახიობს სხვა საოცნებო არაფერი გაქვს?**

— როგორ არა! ძალიან მინდა, სახელგანთქმული კაცი გავხდე, მერე ჰოლივუდშიც მიმიწვიონ, შენ ექსკლუზივი მოგცე, რათა მერე პრემია აიღო და გაიხარო (*იცინის*).

— **ეი. წარმატების მიღწევა მხოლოდ იმიტომ გინდა, რომ მე გავმდიდრდე?**

— (*იცინის*) ჰო, აბა, რა! და იცი, რატომ? — მეორედ წერ ჩემთან ინტერვიუს ანუ არაფერი გამიკეთებია და უკვე პოპულარული გამხადე. ვინაიდან შენ ჩემზე ასე ზრუნავ, მეც ვიზრუნებ შენზე...

— **გმადლობ და წარმატებებს გისურვებ!**

— გმადლობ და დაიმახსოვრე, ჩემი წარმატება „გზისა“ და შენი წარმატების დასაწყისი იქნება (*იცინის*)...

გიორგი, *19 წლის:*

— რამდენიმე პროფესიის დაუფლება მინდა და არ ვიცი, საბოლოოდ, არჩევანს რომელ მათგანზე გავაკეთებ. ალბათ, პირველ რიგში, იურიდიულზე მოვსინჯავ ძალებს, თუ არა და, მერე საბუღალტრო საქმეს შევისწავლი და მაგარ მაყუთიან ადგილზე დავიწყებ მუშაობას.

— **ისე ლაპარაკობ, თითქოს სამუშაოს უკვე გთავაზობდნენ.**

— ბიძა მყავს ქარხნის დირექტორი და მეუბნება: კარგი ბუღალტერი მჭირდება; თუ ამ საქმეს „ხოშიანად“ შეისწავლი, მაგარ ფულს გაშოვნინებო! ის სულ მეჩხუბება, იურიდიულს შეეშვი, შენგან კრიმინალებთან მებრძოლი ვერ დადგება და ადვოკატობას კიდევ, რა თავში იხლიო?!

— **მერე, მის რჩევას რატომ არ ითვალისწინებ? არ გინდა, გამდიდრდე?**

— სიმდიდრეს კარგი სახელი მირჩევნია (*იცინის*). თუ იურიდიულ ფაკულტეტზე ვერ ჩავაბარებ, საკუთარი თავის „გაფუჭებაზე“ მერეც ვიზრუნებ... ისე, ბავშვობაში „ტაქსისტობაზე“ ვოცნებობდი და ვინ იცის, იქნებ სიბერეში ამ საქმეშიც მოვსინჯო ძალები.

— **შენლა აკლდი დიპლომიანი „ტაქსისტების“ საკმაოდ გრძელ სიას...**

— ჰო, ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ „განათლებული ტაქსისტები“ არიან. ისე, სხვანაირად არც შეიძლება, იყოს. წარმოიდგინე, უდიპლომო „ტაქსისტი“ რომ შეგხვდეს სადმე. აბა, მითხარი, მას რაზე უნდა ელაპარაკო? თუ დიპლომიანია, ბევრ ტყუილ-მართალს მოგიყვება და გარდა იმისა, რომ დანიშნულების ადგილამდე უსაფრთხოდ მიგიყვანს, კარგადაც გაგართობს...

— **ან საერთოდ, ტაქსიში ჩაჯდომის სურვილს გამიქრობს...**

— ჰო, და კარგ საქმესაც გააკეთებს — თუ ტაქსით მგზავრობის ფული გაქვს, ე.ი. მაყუთიანი ხარ, თუ მაყუთიანი ხარ, ე.ი. მანქანის ყიდვის შესაძლებლობაც გაქვს, მაგრამ საჭის მართვა არ გეხერხება და ავტომობილის ყიდვისგან თავს ამიტომაც იკავებ. ჰოდა, რადგანაც ვიღაც ოჯახაშენებული ტაქსის მძღოლი სხვის მანქანაში ჩაჯდომის სურვილს დაგიკარგავს, შეეცდები, საკუთარი ავტო იყოლიო და მისი მართვაც ისწავლო.

— **ლოგიკურად მსჯელობ...**

— (*იცინის*) ლოგიკურად და მსახიობურად... კიდევ, ფოტოგრაფიაც მიტაცებს. ეს საქმე უზომოდ მიყვარს და სხვათა შორის, 2 წლის წინ საკუთარი ნამუშევრების გამოფენაც მოვაწყვე. თუ სხვა სფეროში არ გამიმართლებს, იქნებ, ჟურნალ-გაზეთებისთვისაც გადავიღო ფოტოები — ამ შემთხვევაში, იმედი მაქვს, რომ „გზაში“ უკონკურსოდ მიმიღებენ, როგორც მის ერთგულ მკითხველს.

სალო, *19 წლის:*

— მე ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე უნდა ჩავაბარო. შარშანაც აბიტურიენტი ვიყავი, მაგრამ არ გამიმართლა. თქვენი პროფესია ძალიან მომწონს და იმედი მაქვს, ამ სფეროში წარმატებას მივაღწევ.

— **შენი აზრით, ჟურნალისტის პროფესია პრესტიჟულია თუ შემოსავლიანი?**

— ორივე ერთად. კარგია, როცა ბევრ ცნობილ ადამიანს პირადად ხვდები, ესაუბრები და ამ დიალოგს სხვებსაც აცნობ. საამაყო საქმე გაქვთ. არა მგონია, კარგი ჟურნალისტი ღარიბი იყოს, მას ფული ყოველთვის ექნება.

— **მახსოვს, როცა ჟურნალისტიკაზე ვაბარებდი, მშობლები ჩამჩიჩინებდნენ, — სხვა პროფესია აირჩიეო...**

— ჩემი მშობლებიც მეუბნებიან: რას ჩააცივდი ამ ჟურნალისტიკას? ამას არ სჯობს, სამედიცინოზე ჩააბაროო? რა ვქნა, მათ რჩევას ვერ გავითვალისწინებ — სხვების სხეულში ჩიჩქნის არავითარი სურვილი არ მაქვს. მამაჩემი სტომატოლოგია და როცა მასთან სამსახურში ვარ, ვცდილობ, მის პაციენტებს თავი ავარიდო. ვერ ვიტან სამედიცინო იარაღებს...

— **შენი აზრით, ყველაზე შემოსავლიანი პროფესია რომელია?**

— ალბათ, მენეჯერის პროფესია, მაგრამ ამ ფაკულტეტებზე ჩაბარების არანაირი სურვილი არ მაქვს. ისე, რომც მინდოდეს, ვაღიარებ, ვერ ჩავაბარებ... კიდევ, შემოსავლიანია ბუღალტერია და მაჭანკლობა...

— **???**

— რა გიკვირს? ჩემს სოფელში მაჭანკლებს ფულს დღემდე უხდიან და თან, კარგ საჩუქრებსაც უკეთებენ. აბა, გაჭირდა გათხოვება და რა ქნან იმ მშობლებმა, რომლებსაც 2 ან 3 ქალიშვილი ჰყავთ გასათხოვარი?!.

— **ქალიშვილის მშობელი მაჭანკალს მაინც, რამდენს უხდის?**

— 100 ლარს, მაგრამ ხანუმას შემოსავალი მხოლოდ ეს არაა — მას ბიჭის მშობელიც უხდის გარკვეულ თანხას. ასე რომ, თუ ადამიანს ენაც უჭრის და გონებაც, ფულს იოლად იშოვის (*იცინის*).

თაკო, *19 წლის:*

— მინდა, უცხო ენებზე ჩავაბარო. ვიცი, დღესდღეობით ეს პროფესია არაპრესტიჟულია, რადგანაც ინგლისური თითქმის ყველამ ისწავლა და თარჯიმანიც იშვიათად თუ სჭირდება ვინმეს, მაგრამ სხვა პროფესია არ მიზიდავს და რა ვქნა?!. დარწმუნებული ვარ, თუ ჩემი საქმის კარგი სპეციალისტი ვიქნები, ბევრ ფულსაც ვიშოვი.

— **ანუ ყველა გზა მატერიალური კეთილდღეობისკენ მიდის?**

— რა თქმა უნდა! თუ ფული არა გაქვს, არავის სჭირდები. შეძლებულ ადამიანს კი ყველა გეალერსება.

— **კიდევ, რომელ პროფესიას მიიჩნევ პრესტიჟულად?**

— მსახიობის პროფესიას, მაგრამ მშობლების თაობა სხვანაირად აზროვნებს და ამ პროფესიის დაუფლება რომც მოვინდომო, მამაჩემი უფლებას არ მომცემს — მისთვის მსახიობი, რომელიც ტელეეკრანზე თითქმის შიშველი ჩნდება, მეძავთან ასოცირდება. მართალია, XXI საუკუნეა, მაგრამ ასე აზროვნებს და რა ვქნა?!

■

თინეიჯერები და არჩევნები

ანუ ვინ გახდება თბილისის მერი

დღეს პოლიტიკაში არა მარტო ზრდასრული ადამიანები, არამედ მოზარდებიც კარგად ერკვევიან და თუ საჭიროდ მიიჩნევენ, კამათშიც აგყვებიან. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ბევრი თინეიჯერი ცდილობს, წინასწარ განჭვრიტოს, თუ ვინ იქნება თბილისის მომავალი მერი.

პაატა, *18 წლის:*

— წინასწარ ვიცი, რომ ამ არჩევნებში გიგი უგულავა გაიმარჯვებს და აბა, რა აზრი აქვს საკუთარი აზრის დაფიქსირებას?..

— **ისე, უკეთესი კანდიდატი გყავს?**

— როგორ არა! მე მჯერა ირაკლი ალასანიასი. ვიცი, ეს კაცი თბილისისთვის ბევრს გააკეთებს. მას ისეთი წარსული აქვს, რომ სხვანაირად შეუძლებელია.

— **რა იცი მისი წარსულის შესახებ?**

— ირაკლის მამა სამშობლოს შეეწირა, საკუთარი ერისთვის თავი გაწირა და არ შეიძლება, მისი შვილი უღირსი ადამიანი იყოს.

— **ეს შენი მოსაზრებაა თუ მშობლების გავლენის ქვეშ ხარ?**

— რატომ უნდა ვიყო ვინმეს გავლენის ქვეშ? შენ გგონია, ისეთი პატარა ვარ, რომ არ შეიძლება, საკუთარი აზრი მქონდეს? თუ ასე ფიქრობ, ძალიანაც ცდები.

ანკა, *19 წლის:*

— კარგია, როცა ადამიანი პოლიტიკაში ერკვევა, ამა თუ იმ საკითხზე თავისი მოსაზრება აქვს, მაგრამ იცი, ჩემს ასაკში პოლიტიკაზე ფიქრი და ლაპარაკი ნაადრევი მგონია. თუმცა ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, რომ ამას გვერდს ვერ ავუვლით.

— **ოდესმე, პოლიტიკოსობაზე თუ გიოცნებია?**

— რას ამბობ? ამისგან ღმერთმა დამიფაროს!

— **შენი მშობლები მერობის რომელ კანდიდატს ანჭებენ უპირატესობას?**

— არც ერთს. ამბობენ, რომ ბიულეტენს შუაზე გადახევენ.

ქეთი, *20 წლის:*

— ძალიან მომწონს „ნაციონალები“ და რა ვქნა? მათ მართლაც, ბევრი რამ გააკეთეს, მაგრამ ჩვენ ვართ დაუნახავები: გზები რომ შეაკეთეს, ხალხმა თქვა, — ეს რა უბედურებაა, ვინ იცის, ამ ყველაფერში რამდენი ფული იხარჯებაო?! ფასადები რომ შეღებეს, — ეს რა აგვაჭრელეს, თავი სულელურ ზღაპარში გვგონიაო; ქალაქი რომ გაანათეს, — შუქი რას უშველის ჩვენს გაჭირვებას, გადასახადი როგორ გადავიხადოთო? ახალ ავტობუსებს ფერი დაუწუნეს...

— **ეი. გიგი უგულავას მისცემ ხმას...**

— თბილისელი რომ ვიყო, სიამოვნებით ავირჩევდი გიგის. ქართველები დაუნახავები ვართ — ხელისუფლებას წიხლი კი არ უნდა დავაჭიროთ, არამედ უნდა დავეხმაროთ იმაში, რომ უკეთესი რაღაცები გააკეთონ.

— **შენს მშობლებსაც მოსწონთ გიგი?**

— არა, დღე და ღამე მის წყევლაში არიან — „ნაციონალები“ არ მოსწონთ და ამის გამო, მათთან ხშირად ვკამათობ. ისინი გიგი თოფაძეს „ბალელშჩიკობენ“. ნეტავ გამაგებინა, ამ კაცში კარგი რა დაინახეს? ვერ ვხვდები, თოფაძეს პოლიტიკაში რა უნდა?!.

— **სხვა კანდიდატებზე რას იტყვი?**

— მაგალითად, ზვიად ძიძიგურზე თუ ირაკლი ალასანიაზე? — არ მჯერა ამ ადამიანების კეთილი თვალების და მომკალით, თუ გინდათ. ისინი კარგი მსახიობები არიან... ირაკლი შეიძლება, კარგი მერიც ყოფილიყო, მაგრამ მის ზურგს უკან ცუდი პოლიტიკოსები დგანან და ამიტომაც არ მევასება.

მაკა, *17 წლის:*

— რა დროს პოლიტიკაა, შენი ჭირიმე, რა. ის არ მეყოფა, დედაჩემი მამას პოლიტიკოსების გამო რომ ეჩხუბება?

— **მაინც, ვის გამო ჩხუბობენ?**

— დედას ალასანია მოსწონს, მამას — უგულავა და მიდის დაკა-დაკა. სასაცილო იცი, რა არის? — მამა ირაკლიზე ეჭვიანობს და ყვირის ხოლმე: იმ ხალს ავახევ და ფეხქვეშ დაგიგდებო (*იცინის*). მე თუ მკითხავთ, პოლიტიკაზე ლაპარაკი და ამის გამო თავის ატკივება არც ღირს. ■

ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია



შენ – სისხლო ჩემო...

შენ – სისხლო ჩემო – სად არ დალვრილო...
შენ – სად არ გხვრეპდა შავი ყორანი.
ვინ გაგაკვირვოს, რამ გაგაკვირვოს, –
ნადიდგორალი, ნაშამქორალი.
შენ – სისხლო ჩემო – შენი ღვაწლია,
რამაც აქამდე ჯი მოალწია:
სვეტიცხოველი... ხანძთა... ვარძია და ისიც, –
რაც მტერს წარუტაცნია...
შენ – სისხლო ჩემო – შენი დინება
„ვეფხისტყაოსნით" ხშირად მიგრძვნია...
სიტყვა, რომელიც გეჩოთირება, ვცდილობ, –
გაშორო, რაც შემიძლია...
შენ – სისხლო ჩემო – სისხლო ხნიერო,
დაუცხრომელო და უცნაურო...
საბედნიეროდ, საბედნიეროდ, –
ჰაი, ჰაი, რომ ჯიდევ ხმაურობ!

მუხრან მაჭავარიანი

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

ბ

დასაწყისი იხ. „გზა", №2-20

ბოჟი — აბრეშუმის ჭიის ახალი პარკი.
ბოჟირი (კუთხ.) — 1. დაწიოკება. 2. ჩოჩქოლი, ჟრიამული.
ბორა — ფრთიანი მწერი, რომლის ჭუპრებიც ხშირად პარაზიტობენ ძროხის, ცხენის კუჭ-ნაწლავში, ცხვრის შუბლის ფოსოში.
ბორა — მოზრდილი მტაცებელი ფრინველი, ძერის მსგავსი.
ბორბალა — 1. მსხლის ჯიში ერთგვარი. 2. (ძვ.) ობობა.
ბორდა — უნაგირზე გადასაფარებელი ქსოვილი ან ტყავი.
ბორია (კუთხ.) — სიო, ნიავი.
ბორიო ბერძნ. — ცივი, ძლიერი ქარი (ჩრდილოეთისა).
ბორჯღლი — მსხვილი ტოტის განაყოფი; გაშლილი ტოტები.
ბოსლობა (ძვ.) — თუშეთში, ფშავსა და ხევსურეთში — ბოსლად გასვლა თვიურის მქონე ქალებისა.
ბოტი — მამალი, დაუკოდავი თხა, სანაშენე და ფარის წინამძღოლი.
ბოტოტი (საუბ.) — სქელი წვინტლი.
ბოქვნი — მენჯის წინა ძვლების შეერთების ადგილი (მუცლის ქვედა ნაწილში, პატარა მუცელი).
ბოლაზი თურქ. (ძვ.) — ნავსადგური.
ბოლვერა — ცხვრის, ჯოგის დიდი ძაღლი.
ბოლლიწო — ღვინოში ჩამბალი პური.
ბოყვი — ხის ქერქის ჭურჭელი.
ბოში — მოშვებული, ფომფლე (ქამარი ბოშად არტყია).
ბოცომკალი — დიდი კალია.
ბოძალი — 1. (ძვ.) ორწვერა ისარი. 2. (კუთხ.) ორკაპა ხე.
ბოძალდი (ძვ.) — კონდახიანი მშვილდი.
ბოხმეჭა — ერთგვარი უფეხო ხვლიკი.
ბოხოხი — ცხვრის ტყავის ქუდი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დასაწყისი იხ. „გზა“ №2 – 20

* * *

— ქალბატონო ლალი, მე თამუნა თოიძე ვარ, ეუთოდან. თქვენი ამსტერდამის ბილეთები უკვე ხელთა მაქვს და სად მოგართვათ? — მომაყარა ხმამ ტელეფონში.

— არ შეწუხდეთ, მე თვითონ მოგაკითხავთ.

თამუნა საოცრად ცოცხალი და მკვირცხლი გოგო აღმოჩნდა. ეუთოს ადმინისტრატორად მუშაობდა და უამრავ საქმეს აგვარებდა.

შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა ამჯერად ჰააგაში იმართებოდა. ოთხი მხარე — საქართველო, რუსეთი, სამხრეთი ოსეთი და ჩრდილოეთი ოსეთი — ევროკავშირისა და ეუთოს მეთვალყურეობით ჰოლანდიაში მართავდა მოლაპარაკების მორიგ რაუნდს...

...აი, უკვე მესამე დღეა, ირაკლი მაჭავარიანი სიტყვის თქმის უფლებას არ აძლევდა მოწინააღმდეგეს და შუაღამემდე ტანჯავდა. ასევე ვიტანჯებოდი მეც... ახალდამეგობრებული თამუნა ამაოდ მელოდა შოპინგზე...

საბოლოოდ ოსური მხარის აბსურდული მოთხოვნების გამო სხდომა ჩაიშალა და „დაწყნარებული“ გულით შეიძლებოდა ამსტერდამში ექსკურსიაზე წასვლა. არ ვიცი, რით იხელმძღვანელეს ჩვენმა ჰოლანდიელმა მეგობრებმა, მაგრამ ფაქტია, ვან გოგის მუზეუმი ერთადერთი გამონათება იყო სექსშოპებს, „ვარდისფერ კვარტალსა“ და კოფიშოპს შორის.

— ერთი ამათ გახედე, — ხელი გამკრა დიპლომატმა ზაზა გოგსაძემ, რომელიც ასევე იძულებული იყო, არ მოსწყდომოდა „მთავარ ჯგუფს“.

მე გავიხედე.

რუსული დელეგაციის თავკაცები დიდი აზარტით არჩევდნენ მეუღლეებისათვის პომადებს. ალბათ, იკითხავთ, რა მოხდაო? ისეთი არაფერი, უბრალოდ, პომადებს ფალოსის ფორმა ჰქონდა. რა საყვარელი ამოსაღები იქნებოდა ჩანთიდან ასეთი კოსმეტიკა... როდესაც რუსებმა გული იჯერეს ოჯახისათვის სუვენირების არჩევით, ექსკურსიის ხელმძღვანელმა დამის მოედანზე კოფიშოპში დაგვპატიჟა. იხარე, სულო, იქ ამბავი ხდებოდა! მარიხუანიანი სოკოების მარინადი, ნამცხვრები და შოკოლადები უხვად ეწყო დახლებზე. რაც მთავარია, კლიენტის მოზიდვის მიზნით ყოველივე ისინჯებოდა და მარიხუანის გურმანს „სწორი“ არჩევანის საშუალებას აძლევდა.

— აუ, მე ჩვეულებრივი სიგარეტი ვერ მომიწევია და აზრზე ხარ, ეს რას მიზამს? — გადავუჩურჩულე თამუნას, — აქ ისეთი სუნია, უკვე თავბრუ მეხვევა, — ვუთხარი და სუფთა ჰაერზე გავედი.

რუსები, რაც მართალია, მართალია, ამ ბაკქანალიას არ გაეკარნენ და ისევ მშობლიური არყის მაღაზისაკენ აიღეს გეზი. ამ საყოველთაო „ზეიმში“ მხოლოდ ოსეთის დელეგაციის თავკაცი ბორის ელიოზოვიჩ ჩოჩიევი და მისი რაზმი არ მონაწილეობდნენ. ალბათ, კარგად ახსოვდათ პრინციპი: „В Советском Союзе секса нет!“

საღამოს ჰააგაში დაბრუნებულებმა ვივახშმეთ და სასტუმროს ფოიეში ყავის დასალევად მოვკალათდით. ჰააგა ამსტერდამისაგან განსხვავებით სერიოზული და მდუმარე იყო. ქართველებს ეძინებოდათ, რუსები სვამდნენ, ოსები კი ინტერესით ათვალიერებდნენ სასტუმროს ტუალეტის ერთჯერად ნივთებს და ყოველ ახალ შამპუნსა თუ თხევად საპონზე თამუნასთან ჩამორბოდნენ. საბრალო თამუნა მეასეჯერ უხსნიდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქაფდება, ბადუზანი და შამპუნი სხვადასხვა რამ არის.

მეორე დღეს საქართველოში ვბრუნდებოდით, ამიტომ ნომერში ავედით და ჩემოდნების ჩალაგებას შევუდექით.

დილით თამუნა უფრო ადრე ადგა, რადგან სასტუმროს ადმინისტრაციასთან ანგარიში უნდა გაესწორებინა.

მოგვიანებით ჩასულს მისი ხმამაღალი საუბარი მომესმა.

— ბორის ელიოზოვიჩ, რამდენჯერ გაგაფრთხილეთ, რომ მინი-ბარისა და PAY.TV-ის ხარჯებს ეუთო არ ფარავს.

— თამუნა, მხოლოდ ერთხელ ჩავრთეთ, — არწმუნებდა ოსური დელეგაციის ხელმძღვანელი.

— რა მნიშვნელობა აქვს, რამდენჯერ, როდესაც ერთხელ ჩართავთ ეროტიკულ არხს, უკვე მოდის ფიქსირებული გადასახადი.

— მერე მე რატომ გადავიხადო? — არ ცხრებოდა ჩოჩიევი, — მარტო ხომ არ ვუყურებდი?

— აბა, ვისთან ერთად? — ჩაეკითხა თამუნა აშკარა ინტერესით.

— ოსეთის მთელ დელეგაციასთან ერთად.

— ჰოდა, გაიყავით ახლა ხარჯი და დააბრუნეთ მინიბარიდან აღებული ბოთლები, თორემ ამასაც ვიანგარიშებ! — მტკიცედ იდგა თამუნა.

ოსური დელეგაციის „სიამოვნების“ ხარჯი რუსეთის დელეგაციამ გაიღო...

ვარდები

მიუხედავად გიორგის მიმართ დიდი სიყვარულისა, იმის აღიარება, რომ 2 ნოემბრის არჩევნები სამართლიანად ჩატარდა, აბსურდი იყო! ასეთი წამგებიანი პირველი ათეული, ნირვანაში მყოფი პრეზიდენტი, დესტრუქციული ორგანიზაცია „კმარასთვის“ უშიშროების სამსახურისგან სრული კარტ-ბლანში, გათავხედებული თავისუფლების ინსტიტუტი, მავანთა თავებში ბადებდა ეჭვს, რომ რაღაც საშიშ კულუარულ გარიგებას ჰქონდა ადგილი.

ტელეკომპანია „რუსთავი 2“ მაქსიმალურ ტემპერატურაზე დუღდა.

ეუთო, როგორც ყოველთვის, არ ჩქარობდა დასკვნების წარმოდგენას, უფრო სწორად კი, შუალედურ არაფრის მომცემ დოკუმენტში ყველას იმის დანახვა შეეძლო, რაც უნდოდა. ეს მოძველებული დიპლომატიური ხრიკი, მგონი, უგანდაშიც აღარ ჭრიდა.

— ლალი, საღამოს ეთერში მჭირდები, — მომესმა მიშას ხმა, — ვიცი,

რომ თანამდებობაზე ხარ, მაგრამ...

— რა გინდა, რომ ვთქვა?

— როგორც ყოველთვის, ის, რასაც ფიქრობ, ჩემი ცენზურა შენ არ გჭირდება.

ეკა ხოფერიასთან ღამის ტოქშოუში მე ერთადერთი მთავრობის წარმომადგენელი ვიყავი, რომელიც საჯაროდ აპროტესტებდა არჩევნების შედეგებს.

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ჩემს წუხანდელ „თავხედობაზე“ კანცელარია დუმდა.

ხალხის მოზღვავებას რუსთაველის პროსპექტზე ეუთოს ახალი დასკვნა მოჰყვა, — არჩევნები გაყალბებულია!

წვიმიანი ამინდები ვერ ანელებდა საპროტესტო ტალღას.

— გიორგი, მიაფურთხე ამ პარლამენტს და ხალხს შევუერთდეთ, — ვთხოვდი ჯიუტ ქართლელს, — ხომ იცი, რომ ეს რეჟიმი მოძველდა, რაღაც უნდა შეიცვალოს, ახალი სისხლია საჭირო!

მიტინგებზე ხმაჩახრინწული მიშა ჩემს ვეძისის სახლს ხშირად სტუმრობდა. ბებიაჩემი ლიმონიან ჩაის ახვედრებდა.

— Пей, сыночек, а-то простудишься.

— დიდი მადლობა, მოგწონთ, როგორც გამოვდივარ?

— რა თქმა უნდა! — აქებებდა მიშას რადიკალი ბებიაჩემი, რომელიც თავის დროზე კომუნისტებსაც ოპოზიციაში ედგა. მიუხედავად იმისა, რომ აფთიაქის გამგე იყო, ომის ინვალიდებს ხშირად შემდეგი ტექსტით ისტუმრებდა:

— ვინ გთხოვდათ ომის მოგებას? გექნებოდათ ახლა ბაიერის „ასპირინი“ და ბავარიული ლუდი, თუ არ გინდოდათ, აჰა, თქვენ საბჭოთა „ასკოფენი“, ნანა ენოხოვნას შავი იუმორი ყველას როდი ესმოდა, ამის გამო ხშირად სააფთიაქო სამმართველოშიც იბარებდნენ. რა თქმა უნდა, ბუნებით „ხულიგან“ ნანას მოსწონდა მიშას ექსტრემალური განცხადებები და ქარიზმატული გამოსვლები!

— გითხრა? არ გეწყინება? მგონი, ძალიან აჭარბებ, აგრესიული ხარ. ხომ არ შეიძლება, სულ დავიჭერ, დავიჭერს ყვიროდე, — ვეუბნებოდი მე.

— ხალხს მოსწონს, თანაც მართლა დავიჭერ და...

— შენ მეც მიმაყოლებ, ალბათ.

— შენ რა გიშოვია, რო, შე საცოდავო, „ბაბუს“ დაუჯერე და არ გაისვარე, არა? — მაღადავებდა მიშა, — იმან რაო?

ვიცოდი, კანდელაკზე მეკითხებოდა.

— ალბათ, ხვალ მოვიყვან და განცხადებას გავაკეთებინებ, რომ მსოფლიო ჩემპიონი ხალხთან ერთად უნდა იდგეს, — ამის თქმა და მიშას დარეკვა ერთი იყო.

— ალო, ჰო, მოკლედ, ასეთი რამე გამოაცხადეთ, — „მსოფლიო ჩემპიონი საპროტესტო მოძრაობას უერთდება“.

— მოგეცადა, — ვუთხარი მე.

— დრო არ ითმენს!

გიორგის ტელეფონი ინგრეოდა.

— არა, არა, ჯერ არა მაქვს გადაწყვეტილი, — პასუხობდა ის გაღიაში გამომწყვდეული დაჭრილი ლომივით და ბოლოს ტელეფონი გათიშა.

— გამიჩალიჩე? — მკითხა ბოროტად.

— არა, შენთვის ასე აჯობებს, ახლა ჩამიჯექი მანქანაში და წავედით.

დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ გიორგიმ დათმო.

— კარგი, ახლა წამოვალ და ირაკლი ოქრუაშვილს მერე მოვუგრეხ კისერს, — არ წყნარდებოდა ჩემპიონი.

ზუსტად იმ ადგილას, სადაც ხალხმრავალი მიტინგი იწყებოდა, გიორგის ახალჩართულმა ტელეფონმა დარეკა.

— გიო, ბიჭო, იცოდე, სოფელი არ გაპატიებს, მაგ ურჯულოებსა და იეღოველებს რო დაუდგე, — ისმოდა მეორე მხარეს.

გიორგი მანქანიდან გავარდა.

— რა ქენი? ამდენი ხალხის წინ გამოცხადდა, საინფორმაციოებმა გადასცეს, შენ კი გაიქეცი, — ვუყვიროდი მე, — რა დღეში მაგდებ, თავს მჭრი!

— სოფელი არ მიმიღებს, არა, გესმის? — ყვიროდა გიორგი, — შენ რა გენაღვლება!

მენაღვლებოდა და ის ვიცოდი, რომ შარში ვარ.

2003 წლის 23 ნოემბერი, გიორგობა, „ნაციონალური მოძრაობის“ მომხრეების პარლამენტში შეცვივნით დაგვირგვინდა. ვარდებით შევარდნილმა მიშამ „ბაბუს“ ჩაი დალია და შესაბამისად, მისი წყალიც გადაესხა. 15-წუთიანი დეპუტატები კუდამოძუებულები ტოვებდნენ პარლამენტს, „აღორძინების“ რამდენიმე წევრის გარდა, ყველა აბსოლუტურად მორჩილი იყო, მათ შორის კრივში მსოფლიო ჩემპიონიც.

დაინიშნა საპრეზიდენტო არჩევნები.

* * *

მას მერე, რაც განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტროში მივედი, სულ ორნახევარ მილიონ ევროზე იყო ლაპარაკი, რომელიც გორი-ცხინვალის გზების რეაბილიტაციას უნდა მოხმარებოდა. იმის გამო, რომ ცხინვალს ვკურირებდი, შესაბამისად, პროექტიც მე შევადგინე. ჩემ მიერ შედგენილ დოკუმენტში თანხები თანაბრად, პარიტეტული საწყისების გათვალისწინებით იყო განაწილებული.

იმ დღეს ჩემი ძმის, ერეკლეს ქორწილი იყო, მაგრამ მიუხედავად დიდი ბედნიერებისა, რაღაც მღრღნიდა და მოსვენებას არ მაძლევდა. ძაღლივით განვითარებულ ინტუიციას მივყევი, ერეკლეს მოვუბოდიშე და სამინისტროში მივბრუნდი. სამდივნოში ჩემი მომზადებული დოკუმენტი იდო, მაგრამ მთელი თანხა ცხინვალის რეგიონზე იყო გაწერილი. ვის დასჭირდა ამხელა აფერა ამ 40-დღიან ვაკუუმში?

— ალო, ვანო, ლალი ვარ, მოროშკინა, რაღაც გაუგებრობას აქვს ადგილი და იქნებ დამეხმარო? — და მოკლედ ვუამბე ყველაფერი ვანო მერაბიშვილს, რომელიც უშიშროების საბჭოს მდივნად დაინიშნა.

— წამოიღე ყველა დოკუმენტი და სასწრაფოდ კანცელარიაში ამოდი. ჩემი მოადგილე, ნიკა ვაშაკიძე დაგხვდება, — მითხრა ვანომ.

ნიკა ორივე ვარიანტს გაეცნო, გადარეკ-გადმორეკა და უახლოეს დღეებში ცხინვალთან ყველა კონტრაქტი გააუქმებინა.

— ლალი, ხვდები, რა შარს გადავრჩით? ვიღაცამ დრო იხელთა და წარმოიდგინე, რაღაც 100-ათასიანი ატკატის გამო საქართველო გაყიდა.

ფიქრიც კი არ მინდოდა იმაზე, თუ ვინ იყო ჩარეული ამ დანაშაულში.

— შენი რეაქცია დროული იყო, თორემ ყველაფერი გვიან იქნებოდა, არც არავინ დაგიჯერებდა, რომ არაფერი იცოდი, — მითხრა საღამოს ვანომ.

ორ კვირაში მიშა ამოვარდნილი გრიგალივით დამატყდა თავს. მე 40-

გრადუსიანი სიცხით ვიწექი.

— რა დროს ეგ არის? — მითხრა პრეზიდენტობის კანდიდატმა, — ახლავე ჩაიწვეთე ალოე და გაიკეთე „ბანკები“, ხვალ სტრასბურგში მიდიხარ ოცკაციან დელეგაციასთან ერთად, ცოტა ტვინებს გახსნით და მერე მე ვიცი...

მე დავემორჩილე.

საოცარია, მაგრამ დელეგაციაში დიდ უმრავლესობას ლამის უწვერული ბიჭები და გოგონები წარმოადგენდნენ.

სტრასბურგის გამოცდილება უდავოდ საინტერესო იყო, თანაც დღიურ ჯიბის ფულად, სასტუმროსა და კვების გარდა, 160 ევროს გვაძლევდნენ. ანაზღაურება დროული იყო.

ინაუგურაციამდე 2-3 დღე რჩებოდა, როცა მიშამ გამომიძახა:

— ქვეყანაში მნიშვნელოვანი პროცესები იწყება, ვინც ვერ მიჰყვება მატარებელს, სამუდამოდ ჩამოშორდება. ყველა კორუფციაში გასვრილი პირი დაისჯება, მათ შორის, კრიმინალები. კანდელაკი ამ პროცესს ვერ გადაურჩება, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა ჰქონდა მოცემული, მაინც გააყალბა რამდენიმე სოფელში არჩევნები, — და მიშამ მაგიდაზე სიები დამიდო, — ყველაფერ ამას მისი ამხანაგი ციხიდან ხელმძღვანელობდა. მოკლედ, ყველაფერი ვიცი.

— რატომ მეუბნები ამას? — ვკითხე მე.

— იმიტომ, რომ უნდა დავიჭირო და ერთხელ და სამუდამოდ მორჩეს კერპთაყვანისმცემლობა საქართველოში! არანაირი ავტორიტეტები! მორჩა!

— რაღა მაგას მიადექი, ხომ მოვილაპარაკეთ?

— სიტყვა გატეხა. შენ დუმილი მოგეთხოვება, ნუ აწიკვინდები. სამაგიეროდ კი ახალშექმნილ კონფლიქტების სამინისტროში წახვალ მინისტრად. ხომ ეს გინდოდა მთელი ცხოვრება? რისთვის იწვალე ამდენი?

— რის ხარჯზე, რას მეუბნები?! — აღმომხდა ძალაგამოლეულს.

მიშას ხელში ორი ფურცელი ეჭირა, — ერთი გიორგის დაპატიმრების, მეორე — ჩემი გამინისტრების.

— ერთ-ერთი აირჩიე! — ეს ბრძანება იყო.

ორივე გამოვართვი და ნაკუწებად ვაქციე.

— სოფლელია, სოფლელი, არ დაგიფასებს, ვის ეწირები? — მიშას სასოწარკვეთილი ყვირილი კიდევ დიდხანს ჩამრჩა მეხსიერებაში.

AFTER PARTY

ამდენი წვალებითა და სისხლით აგურ-აგურ ნაშენებ კარიერას ბზარი გაუჩნდა. როგორც მისტიკურ ფილმებშია, ყველა კარი ერთდროულად დაიკეტა. ვისაც ჩემი და მიშას მეგობრობა ახსოვდა, მხრებს იჩეჩდა და სამსახურზე უარს მეუბნებოდა. რა იცი, რა ხდება, ემანდ მეფის რისხვა არ დავიტეხოთ თავსო. არ გამოიძებნა თუნდაც ერთი კაცი, რომელიც პასუხისმგებლობას თავზე აიღებდა. თუმცა რომელ კაცობაზეა ლაპარაკი? ყველა საპასუხისმგებლო ადგილი ახალგამოჩეკილმა და ახალჩამოსხმულმა პირებმა დაიკავეს. ბევრი მათგანი პირად საუბრებში ამბობდა, რომ მე „შავ სიაში“ მოვხვდი, არავის მოუკითხავს არც გრიფით „საიდუმლო“ დოკუმენტები და არც ოდესღაც სახელმწიფო მნიშვნელობის საბუთები. დაპატიმრებებმა კოლოსალური მასშტაბი მიიღო, ციხეებში პატიმართა რაოდენობამ ნორმას ბევრად გადააჭარბა. „იარაღის შენახვაზე“ დაიჭირეს გენერალი ქებაძე. ქართლელები ფეხზე დადგნენ. ერთ დღეში თბილისი უამრავი ლიახვისხეობელით გაივსო. პროტესტი ძალზე ხმაურიანი გამოვიდა და გენერალი 48 საათში გაათავისუფლეს. ოქრუაშვილის მხარდამჭერმა პარლამენტარებმა კანდელაკის ტბა დააშრეს და ისევ სანაგვედ აქციეს.

ტელეკამერების წინ გადაღვარეს ტონობით ქართული ღვინო. კომპანია „ბადაგონი“ ზარალს ითვლიდა, რაც მთავარია, მიზეზი უბადრუკი იყო, — „ღვინო ფალსიფიცირებულია!“

რუსეთმა მიწოდებული „სატოპკე“ ვირტუოზულად ჩაგვაწოდა და ქართული ღვინო რუსეთის ბაზარს დაემშვიდობა. ირაკლი ოქრუაშვილის „ისტორიულმა გამონათქვამმა“, — რუსები ფეკალიებსაც სიამოვნებით მირთმევენო, — მთლიანად კახეთის რეგიონი და ღვინის მწარმოებელი საწარმოები გაკოტრების პირას მიიყვანა.

ქაქუცასაც მიაკითხეს, ლერის სიკვდილის მერე ქაქუცას კიბო განუვითარდა. გერმანიაში საგანგებოდ ჩატარებული ოპერაციის შემდეგ, პატარა პლასტმასის მილებთან უწევდა შეგუება. მივარდნილმა სპეცრაზმმა ყველა მილი გადაუტეხა. ამ ამბის მერე სულ ცოტა ხანში ჩემი კახელი მეგობარი გარდაიცვალა.

ოდესღაც ძლიერნი ამა ქვეყნისანი ბინძურ საპყრობილეებში, თავის დროზე, თავიანთივე დაჭერილ ხალხთან ერთად გადარჩენას ცდილობდნენ და ცოლ-შვილს საიდუმლო ანგარიშების ნომრებს სულ სხაპასხუპით ეუბნებოდნენ. ფულის ერთი ჯიბიდან მეორეში გადაქაჩვის „მიგრაციული პროცესი“ წარმატებით მიმდინარეობდა. შეავარდნაძის დროინდელ გაზულუქებულ ჩინოვნიკებს კალამს ველარ აგდებინებდნენ ხელიდან, დაიწყო ტოტალური დასმენა. ოდესღაც ნაციონალების ოფისმენეჯერი ერთი ძმა კონსტიტუციურში, ხოლო მეორე კი სასჯელაღსრულებაში მოგვევლინენ. სხვათა შორის, როდესაც ჩემზე ჩამოვარდა ლაპარაკი, სავარძელმორგებულმა დათამ ასეთი „მარგალიტები“ გადმოაფრქვია, — მოროშკინას დაბრუნებაზე ლაპარაკიც ზედმეტია, ორმაგი აგენტია, ჯერ ვერ გავშიფრეთ, ვისიო. მართალია, ამ სიტყვებზე მისივე თანამშრომლებიც კი ღადაობდნენ, მაგრამ მე ხომ კვლავ ოფსაიდში ვრჩებოდი? ირაკლი ოქრუაშვილს გენპროკურორის თანამდებობაზე ერთი დიდი წკეპლა ეჭირა და ურჩებს ამათრახებდა. რატომღაც დაარბიეს საროსკიპოები. გია ბარამიძე შინაგან საქმეთა სამინისტროს კურირებდა და საკუთარ წარუმატებელ საქმეებს აარქივებდა. ვისაც კი ვარდების რევოლუციის დროს ხელში დროშის ტარი ეჭირა, ახლა დიდ პოსტებზე აღზევდნენ; გაჩეჩილი, დაუბანელ-დაუვარცხნელი გოგოები კომიტეტების თავმჯდომარეებად მოსხდნენ. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ყველგან გრიფით „666“ საბუთები დაფრინავდა. მოაწერე, გაყიდე, წადი, მოაწერე, გაყიდე, თანაც რა? — სული! ყველა ტელევიზია გაჭრილი ვაშლივით დაემსგავსა ერთმანეთს.

აგონიაში ჩავარდნილ ქვეყანას ერთი შუქურა, თუმცა მკრთალად, მაგრამ მაინც ანათებდა. ამ შუქურას ტელეკომპანია „კავკასია“ ერქვა. მისი ხელმძღვანელობა სულ ორი კაცისგან, ცოლ-ქმარი დათო აქუბარდიასა და ნინი ჯანგირაშვილისაგან შედგებოდა. „აქუ“, როგორც მას ხალხში სიყვარულით ეძახდნენ, ახალი ქართული თვითმყოფადი ბრენდი გახლდათ. არა გაწკეპილ ჰალსტუხში, როგორც სხვა არხების პიცის გამყიდველებს დამსგავსებული წამყვანები, არა ავტომატური ჩაუსუნთქავი

საფრანგეთი ფორტ-ბოიარდი

რეჩიტატივით, არა მუდმივად დროში გაჭედილი, არამედ ჩვეულებრივი, შინაური, ოდნავ მოდუნებული, მშვიდი მამაკაცი. ის, რომ დღის ანალიზს არა ცხვირმოუხოცავი ბავშვი, არამედ ზრდასრული დაღვინებული ადამიანი გაწვდიდა, უკვე დიდი პლუსი იყო. ამ „პლუსის“ უკან გულუბრყვილობით შეფარული უზარმაზარი ინტელექტი და ცოდნა იმალებოდა. „აქუმ“ და ნინომ პირველებმა დაიწყეს პოსტრევოლუციურ სინდრომზე საჯაროდ ლაპარაკი და, ბუნებრივია, მომენტალურად მარგინალებად მოინათლნენ. „კავკასიის“ კვალდაკვალ სახუმარო და სალაზღანდარო სტილიდან სერიოზულზე გადავიდა კომპანია „202“, რომლის ხელმძღვანელი შალვა რამიშვილი, ისევე როგორც მე, ახლო წარსულში მიშას უახლოესი მეგობარი და პიარმრჩეველი გახლდათ.

— რა ხდება, ლალი, აზრზე ხარ, — ქოთქოთებდა შალვა, — რას აკეთებს, სულ გადაირია?

— იცი, ხანდახან მგონია, ის მიშა, ჩვენ რომ ვიცნობდით, შეცვალეს ან გადამალეს.

„202“-ზე ბევრი მტკივნეული საკითხი ირჩეოდა. მაშინ ძალიან ცოტანი ვბედავდით ამაზე ლაპარაკს.

— გული მოვიფხანე, — მითხრა ერთხელ შალვამ, — სადღაც გადავეყარე მიშას ესკორტს და რასაც ვფიქრობდი, მის ახალ სისტემაზე, ის შევუკურთხე, — ეცინებოდა მას, — გახსოვს, ეგ არ იყო, შევარდნაძეს მრავალრიცხოვანი დაცვის გამო რომ აკრიტიკებდა?

— ჰო, მაშინ ოპოზიციონერი იყო, ახლა კი პრეზიდენტია. ახლაც ხომ არ ივლის მეტროთი?

— ისედაც, რა იაფფასიანი ამერიკული პონტია, — თქვა შალვამ, — იცი, „დარდუბალას“ ახალ სერიებზე ვჩალიჩობ, მიშასა და სასტავზე, დაიხრჩობი სიცილით.

— მართლა? მაგარია! პრინციპში, როგორც პროამერიკელმა უნდა აიტანოს კრიტიკა, — ვთქვი მე.

— იასნია, აბა, სხვა რა გზა აქვს? — თქვა შალვამ.

სამწუხაროდ, „სხვა გზა“ შალვას არ დაუტოვეს და მალე ბინძურ პროვოკაციაზე წამოაგეს.

„202“ ისტორიას ჩაჰბარდა, შალვა კი ციხეში ჩაჯდა. სახლში ცოლი და სამი შვილი ბედის ანაბარა დარჩა.

იმათ, რა უჭირდათ, ვინც წლობით გამეფებული კორუფციის წყალობით ფული იშოვა. ბევრი ჩემი ყოფილი თანაგუნდელი ბიზნესში წავიდა. მე სად ჯანდაბაში წავსულიყავი? ორი ბიჭის გამოსაკვებად ჩემმა სამკაულებმა ლომბარდში გადაინაცვლა.

ბოიარდი

ერთ მშვენიერ დღეს რეჟისორმა დათო გერსამიამ დამირეკა და საფრანგეთში ბოიარდის თამაშში გუნდის კაპიტნობა შემომთავაზა. „როგორც იქნა, რაღაცამ გამოანათა“, — გავიფიქრე და იმ წუთიდან გუნდის შეკრება დავიწყე. იმის გამო, რომ ჩვენს გუნდს „არტი“ ერქვა, სამივე მამაკაცი მსახიობი იყო: ნიკუშა თავაძე, თემიკო ჭიჭინაძე და გიორგი ნაკაშიძე ფანტასტიკურ ანსამბლს ქმნიდნენ. მოსაძებნი იყო ერთი გოგო. როგორც აღმოჩნდა, ჩვენს ბომონდში ყველაზე მეტად ჭირს ქალი, რომელმაც იცის ცურვა და თოკზე ასვლა, არა აქვს ალერგია, ცელულიტი და არ ეშინია გველების. ასეთი იყო თამაშის კონტრაქტის პირობები. დამრღვევი 30.000 ევროთი დაჯარიმდებოდა. ერთკვირიანი უშედეგო ძებნის მერე, როგორც იქნა, ჩემმა ძმამ დამაკვალიანა და თანაკლასელის, დამწყები რეჟისორის, ნინო მკურნალის კანდიდატურა შემომთავაზა. ნინომ მართლაც დაამშვენა გუნდი და ჩვენც სამზადისს შევუდექით.

იყო ერთი დიდი პრობლემა, — კანდელაკი საშინლად ეჭვიანობდა და ამიტომ ჩემს გამგზავრებას აპროტესტებდა. მიუხედავად იმისა, რომ მე და გიორგი სულ ერთად ვიყავით, — ის ოფიციალურად ცოლიანი გახლდათ.

— გიორგი, მე ძალიან მიყვარხარ, მაგრამ ჩემი ცხოვრება მაქვს, ისევე როგორც შენ, არის რაღაცები, რაც არ უნდა დამიშალო. მე ხომ არ გთხოვ განქორწინებას?

— ეს ამბავი გადაწყვეტილია, მე საბუთები შემაქვს, — მითხრა გიორგიმ.

— ძალიან გთხოვ, კარგად დაფიქრდი, რომ მე არ დამბრალდეს.

— დარჩი და ვარიანში დედები გავაცნოთ ერთმანეთს, — თქვა გიორგიმ ბავშვივით და ჩამეხუტა.

მიუხედავად იმისა, რომ წინადადება მართლაც მაცდუნებელი იყო, მე შეუვალი ვიყავი, თანაც გადატანილი სტრესის შემდეგ ცოტა ხანს მარტო მინდოდა დარჩენა.

— კარგი, ეს შენი ბოლო „გაფართხალებაა“. მე უკვე მთლიანად გადმობარგებული და ოფიციალურად ცოლს გაშორებული ვარიანში დაგელოდები, — მითხრა მკაცრად გიორგიმ.

* * *

ბოიარდის ციხესიმაგრე საფრანგეთის ჩრდილოეთით მდებარეობს. ჭკვიანმა მესაკუთრემ ის შემოსავლიან ბიზნესად აქცია. თამაშის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სხვადასხვა ქვეყნის გუნდები ციხესიმაგრეს ეთამაშებიან, მოგებული ფული (ტელეკომპანიის ხარჯზე) ქველმოქმედებას ხმარდება. მე, როგორც გუნდის კაპიტანმა, ნუცუბიძის ქ. №1-ში მდებარე ჩვილ ბავშვთა სახლი ამოვარჩიე. თამაში დუტა სხირტლაძესა და ნანიკო ხაზარაძეს მიჰყავდათ. წყვილი შესანიშნავად ასრულებდა ფრანგი პროდიუსერების მითითებებს. მხოლოდ ერთი დარდი მქონდა, — გველებში არ შევეშვი, დანარჩენს ყველაფერს გავუძლებდი. ხანმოკლე კონსულტაციის შემდეგ, რომლის დროსაც თამაშის სპეციფიკა აგვიხსნეს, გაგვაფრთხილეს, რომ გველებთან ახლოს თავი არ მიგვეტანა.

ჩვენი გუნდი საშუალოდ თამაშობდა, ბიჭები უფრო ყოჩაღობდნენ. გამარჯვება მაინც ინტელექტს უნდა მოეტანა. ფინალური დავალების დროს გაირკვა, რომ გველებში მომიწევდა ჩასვლა. როგორც ჩანს, თამაშის ცბიერებაც იმაში მდგომარეობს, რომ ყველას შესაბამისი სირთულე გაევლო. ეს ხომ შოუ!

— დუტა, მიშველე, ოღონდ აქ არ ჩამიშვა, — შევევედრე წამყვანს.

— გადაირიე, გოგო, აბა, 30.000 ევროს გადაიხდი? — დამაბრუნა მიწაზე დუტამ.

არგუმენტი ქვას ხეთქავდა.

რაც მთავარია, შევნიშნე, რომ როდესაც ძალიან მეშინია, სიმღერას ვიწყებ. მართალია, ჩემმა მეგობარმა მაია ბარათაშვილმა კატეგორიულად გამაფრთხილა, შენი ხმისა და სმენის პატრონი გულშიაც ნუ წაიღიღინებო, იქ ჩასულს არაფერი მახსოვდა. სამი წუთი საუკუნედ მომეჩვენა.

არ ვიცი, ჩემმა „სირინოზის ხმამ“ თუ გვარიანმა ჯანჯღარმა გამოაფხიზლა ჩემი ათვალწუნებული უსსენებელი, ფაქტია, რომ შემდეგ თამაშში, სადაც მისი უდიდებულესობის გამოჩენა სულ არ იყო დაგეგმილი, სულ სრიალ-სრიალით მიიჭრა ჩემს კოლეგებთან. საშინელი წივილ-კივილი ატყდა, თამაში გააჩერეს. მერე მთელი ბოიარდი ხუმრობდა, მოროშკინას მისნაირი ეძებსო. მოკლედ, სიტყვაც გამოვიცანით და ფულიც მოვიგეთ, მაგრამ საბავშვო სახლის მესვეურნი დღესაც უიმედოდ ელიან „ბოიარდის“ გზავნილს.

პარიზიდან გამოფრენის წინ ჩემი სოჭელი დეიდაშვილი მოვინახულე, რომელიც ფრანგს გაჰყვა ცოლად და ახლა ოპერის მახლობლად პენტჰაუზში ცხოვრობდა.

— როგორ არის შენი საქმეები? — მკითხა ქეთკამ.

— ცუდად, — ვუთხარი მე, — არც კი ვიცი, როგორ მოვიქცე, ასე მგონია, სულ ქვევით-ქვევით ვეშვები.

— მოდი, ჩვენთან დარჩი ცოტა ხანს, დაისვენე და მერე რაც იქნება, იქნება.

— ვერა, რაც უფრო გაიწელება დრო, უფრო გამიჭირდება.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დასაწყისი

რუსუდან ბერიძე

— გადი, კაცო, გარეთ, შენც გაერიე ხალხში! — ვინ იცის, მერამდენედ შეუძახა ოთახის ბნელ კუთხეში მიმჯდარ თავჩაქინდრულ გიგიას ცოლმა. — მართლა ცოცხლად ხომ არ უნდა დაიმარხო თავი!.. არ გესმის, უბნის კაცები რაღაცაზე კამათობენ...

— კამათობენ, თორემ მაგათაც პარლამენტი არ ჰქონდეთ გამართული... — თავიც კი არ აუწევია, ისე ჩაიბურტყუნა გიგიამ.

— პარლამენტი სადაც არის, იქიდან ხომ აშენდა ქვეყანა და ახლა ამ მიყრუებულ სოფელშიც გამიმართე... — შორენამ ქმარს ქოქოლა მიაყარა და ვახშმის სამზადისს შეუდგა.

ცოტა ხანში შემოსასვლელ კართან ფეხის ხმა მოისმა, შემდეგ კარიც გაიღო და ოთახში ახალწვერულვაშაშლილი, სანდომიანი ახალგაზრდა შემოვიდა.

— მოხვედი, შოთიკო, დედა გენაცვალოს! — სახე გაუნათდა შორენას. — სანამ დაჯდები, ცოტა შეშა შემომიმატე, ვიღაც-ვიღაცებს ცხელ-ცხელი მჭადები მონატრებიათ და ვცეთ პატივი... — თვალით ანიშნა შვილს კვლავაც გაუნძრევლად მჯდარ გიგიაზე.

— კარგი, რა, დედი, შენ რაღა დაგემართა?!. — თავი უკმაყოფილოდ გადააქნია შოთიკომ და შეშის შემოსატანად გავიდა.

ვახშამმა ჩვეულებრივად ჩაიარა. გიგია შეთქმულივით დუმდა, შოთიკო და შორენა კი მის გასაგონად, ერთმანეთს სოფლის ახალ ამბებს უყვებოდნენ.

— ქვედაუბნელი შიო და ალეკო მთაში სანადიროდ ყოფილან... — შოთიკო მამის ყველაზე საყვარელ თემას მიადგა და თან, დედას თვალი ჩაუკრა.

— მერე, მოინადირეს რამე? — შვილს მხარი აუბა შორენამაც.

— ბევრი არაფერი, მაგრამ უცნაური ამბავი კი ჩამოიტანეს.

— მაინც რა ამბავი?

— რა და უკანა გზაზე ეშმაკის კლდესთან ჩამოუვლიათ და...

— რა უბედურებაა! — გააწყვეტინა შვილს შორენამ. — აქაურებს როცა რაიმესთვის სახელის დარქმევა მოგინდებათ, მარტო ეშმაკები, ჭინკები და კუდიანები რატომ გახსენდებათ?

— ადრე სხვა სახელი ერქვა... — გიგიამ მოულოდნელად დუმილი დაარღვია.

— მაინც, რა?

— ეს გრძელი ამბავია...

— მერე სად გვეჩქარება?.. მიდი, რა, მოგვიყევი! — შეაგულიანა შოთიკომ გიგია.

— ადრე ამ კლდის ძირში ერთი უცნაურად შეზნექილი ადგილი ყოფილა, თითქოს გოლიათმა მუშტი ჰკრა და შეიტანაო... ოთხი-ხუთი კაცი შიგ თავისუფლად იმართებოდა. მას ხალხმა „დევის მუშტი“ შეარქვა.

— არც დევია დიდი ხვითო, მაგრამ ეშმაკს ნამდვილად სჯობს... — სიტყვა ჩაურთო შორენამ, თუმცა გიგიას მისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია:

— მალე ის მონადირეების საყვარელ ადგილად იქცა. იქაურობას ხან წვიმის დროს ეფარებოდნენ, ხან უბრალოდ ისვენებდნენ, ზოგჯერ კი კოცონსაც ანთებდნენ და ნანადირევის მწვადზე დილამდე ქეიფობდნენ. ერთხელაც, წვიმის დროს „მუშტს“ ერთი მარტოხელა მონადირე შეჰფარებია. წვიმა დიდხანს გაგრძელებულა. მონადირე წამოწოლილა და ჩასძინებია. ძილში თავისი მფარველი ანგელოზი გამოსცხადებია და უთქვამს, ახლავე აქაურობას გაეცალე, თორემ დაიღუპებიო. მართლაც, „მუშტიდან“ მონადირის გამოსვლა და მისი ჩამონგრევა ერთი ყოფილა. მონადირეს ღმერთისთვის მადლობა შეუწირავს და ის იყო, იქაურობას უნდა გასცლოდა, რომ ჩამონგრეულ ადგილზე მტვერი გაფანტულა და შესასვლელი გამოჩენილა. ბევრი რომ არ გავაგრძელო, კლდეში კარგა მოზრდილი გამოქვაბული აღმოჩნდა, რომელიც გაჭირვებისას თავისუფლად დაიტევდა მთელი ჩვენი სოფლის მოსახლეობას. აი, შე ეშმაკო, შენა! — უთქვამს კლდისთვის, გაოცებულ მონადირეს. — ამას ამდენ ხანს როგორ გვიმალავდი!.. შემდეგ დევიცა და მისი მუშტიც ყველას მიავიწყდა, კლდეს კი ეშმაკის სახელი შერჩა... მეორე მსოფლიო ომის დროს, იმ გამოქვაბულში სამხედროებს საიდუმლო ბუნკერი ჰქონდათ, რომელიც ტყვიაწამლითა და ათასი სხვა რამით იყო სავსე... ომის შემდეგ კი ბუნკერის შესასვლელი ააფეთქეს და ყველაფერი სამუდამოდ ამოქოლეს...

— გერმანელებმა ააფეთქეს? — შორენა ახლა კი მართლა დაინტერესდა.

— ჩვენებმა, ქალო, ჩვენებმა! — შეუღრინა ცნობისმოყარე ცოლს გიგიამ.

— მერედა, ეს ყველაფერი საიდან იცი?

— ბაბუაჩემისგან.

— მომიყვანა, რა, ამანაც ავტორიტეტი!.. — ხელი ჩაიქნია ფეხზე წამომდგარმა შორენამ და სუფრის ალაგება დაიწყო...

— მამა მართალია, — გიგიას მხარი დაიჭირა შოთიკომაც. — ცოტა ხნის წინ ტელევიზორში დოკუმენტური ფილმი ვნახე და ასეთი ბუნკერების არსებობაზე იქაც ლაპარაკობდნენ. გერმანელებს საქართველოში შემოსვლა რომ მოეხერხებინათ, ასეთი ბუნკერებიდან უნდა გაჩაღებულიყო პარტიზანული ბრძოლები...

— ქვედაუბნელებმა რაღა თქვეს? — გიგიამ ისევ აწმყოში დააბრუნა შვილი.

— რა და თვალებს არ დავუჯერეთ, კლდის ძირში შეზნექილი ადგილი ისევ რომ დავინახეთ, მაგრამ შიგნით შესვლა ვერ გავბედეთ. იქნებ, ერთი ათი კაცი მაინც მოვგროვდეთ და ერთად შევიდე-

თო. ჩვენმა კაცებმა კი სიცილი დააყარეს, თქვენ მოლანდებები დაგწყებიათ და ჩვენ მაინც ნუღა გვაგიჟებთო...

— მართლებიც არიან... მთელი



ცხოვრება იმ ადგილებში ხეტიალში მაქვს გატარებული და „დევის მუშტი“ ისევ იქ რომ იყოს, ერთხელ მაინც ვერ შევნიშნავდი?!

— შეიძლება, ვერც შეგენიშნა, — საუბარში ისევ ჩაერთო შორენა. — ეშმაკი გადაეფარებოდა და დაგიმალავდა.

— ეს სისულელე ნეტავ, რომელმა ბრძენმაღა ჩაგაგონა? — აღმაცერად გახედა გიგიამ ცოლს.

— ბებიაშენმა, — ნიშნის მოგებით მიუგო შორენამ...

გიგია გიგოძე ერთ დროს მარტო წარმატებული გამგებელი კი არა, სოფელში საკმაოდ დაფასებული კაცი იყო და ჭკუას ბევრი ეკითხებოდა. მაგრამ, როგორც იტყვიან, უშეცდომო ამქვეყნად არავინაა. ჰოდა, ერთხელ გიგიასაც წაუცდა ხელი სახელმწიფო ქონებაზე და „ხელი გამოჰკრა“ ექვსწლიან პატიმრობას. სანიმუშო ყოფაქცევისთვის სამწელიწად-ნახევარში გამოუშვეს. მაგრამ ციხის აუტანელ პირობებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თავად იქ მოხვედრის ფაქტმაც თავიდანვე ისე გატეხა, რომ გარეთ გამოსულს, თანასოფლელები კი არა, საკუთარი ოჯახის წევრებიც ვეღარ ცნობდნენ. სახლში გამოკეტილს არავის ნახვა და არაფრის გაგონება აღარ სურდა. მთელი დღეები გაუნძრევლად იჯდა და ერთ წერტილს მიშტერებოდა.

კიდევ კარგი, ბიჭი მომესწრო და ოჯახში ორი კაპიკი შემოაქვს, თორემ შენს იმედად რომ დავრჩენილიყავით, ხომ ამოგვხდებოდა სული შიმშილითო, — ვინ იცის, რამდენჯერ გააგონა ქმარს შორენამ, მაგრამ სრულიად უშედეგოდ...

და აი, უეცრად, გიგიას ისევ გაუჩნდა ცხოვრების ინტერესი. ჯერ საკუთარი და ბაბუის დანატოვარი სანადირო თოფები მოაწესრიგა, შემდეგ საღამოობით შოთიკოსთან საათობით ჩურჩულს მოუხშირა, ერთ დღეს კი ცოლს ღამის საზეიმოდ გამოუცხადა, — მე და ბიჭი სანადიროდ მივდივართო. სხვა დროს შორენა აღბათ, ერთ ამბავს აუტეხდა, ბავშვს მაინც დაანებე თავი და შენ თუნდაც კისერი გიტეხიაო, მაგრამ ახლა ქმრის გამოცოცხლება ისე უხაროდა, რომ შვილიც გაატანა და გემრიელი საგზალიც...

მამა-შვილი აღმართს ნელა მიუყვებოდა. შოთიკოს მუხლი ერჩოდა და მარტო რომ ყოფილიყო, აღბათ უკვე მარტო კლდის ძირში კი არ იქნებოდა, არამედ წვერზეც მოევლებოდა, მაგრამ ახლა, გიგიას ხვნეშა რომ ესმოდა, გული ეწურებოდა და ნაბიჯს აღარ უჩქარებდა. თუმცა ნაშუადღევს მაინც, უკვე ეშმაკის კლდის სიახლოვეს იყვნენ და ამიტომ, დასვენება და წახემსება გადაწყვიტეს.

— აუ, მაგრად „გამიტყდება“, თუ ქვედაუბნელებს მართლა რაღაც მოეჩვენათ და „მუშტი“ არ დაგვხვდება, — ჭამის შემდეგ, მოლზე წამოწოლილმა შოთიკომ სიგარეტიც გემრიელად გააბოლა.

— ადე-ადე, წავიდეთ! — შეუძახა შვილს გიგიამ. — რაც მალე მივალთ, მით მალე გავიგებთ ყველაფერს.

— ისე, შენ გული მაინც რას გიგრძნობს? — არ ეშვებოდა შოთიკო.

— სადღა მაქვს გული, რომ რამე მიგრძნოს?!. — ამოიოხრა გიგიამ და გზას გაუდგა...

— გამოქვაბულში შესასვლელი რომც ვიპოვოთ, ვითომ ამდენი წლის შემდეგ შიგნით კიდევ რამე დაგვხვდება? — შოთიკოს ლაპარაკის საღერღელი ჰქონდა აშლილი. — მაგის ჩიტები იყვნენ საბჭოთა სამხედროები, იქ რამე ღირებული დაეტოვებინათ?..

— რას გეტყვი, იცი?.. ციხეში ჩემთან ერთი ქურდი იჯდა. — ციხის ხსენებაზე სახე მოექუფრა გიგიას. — ჰოდა, ხშირად უყვარდა თქმა, — ათჯერ „გატანილ“ ბინაშიც კი ყოველთვის რაღაც საჩემო მხვდებოდაო, — და ვითომ ჩვენ რაღა ბედი გაგვიწყრება?!.

ვიწრო ბილიკზე გიგიას ფეხსაცმლის თასმა შეეხსნა და სანამ შეიკრავდა, შოთიკომ კარგა მანძილით გაუსწრო.

— ვაშაააა! არის! — მოესმა უეცრად ზემოდან შვილის სიხარულის შეძახილი.

გიგიამ დარჩენილი აღმართი სულ სირბილით აათავა და ადგილზე გაშეშდა: მთის ძირში, ზუსტად იმ ადგილზე, სადაც მხოლოდ ღოდების უზარმაზარი გროვა ეგულებოდა, საკმაოდ მოზრდილი შესასვლელი გაჩენილიყო.

— შენ აქ დარჩი! — უთხრა შვილს გიგიამ. — ჯერ მარტო შევალ.

— რას ამბობ, აქ რა გამაჩერებს?!. — შესასვლელისკენ გაიწია შოთიკომ, მაგრამ გიგიამ ხელით შეაჩერა:

— მართლაც და, კაცმა არ იცის, ამდენი ხნის შემდეგ შიგნით რა დაგვხვდება. შენ აქ უნდა დარჩე და თუ დიდხანს არ გამოვჩნდები, საშველად სოფელს უხმე.

შოთიკო ყოველთვის მშობლების მორჩილი შვილი იყო და ამიტომ წინააღმდეგობა ამჯერადაც მალე შეწყვიტა. გიგიამ ერთი თოფი მას დაუტოვა, მეორე თვითონ გადაიკიდა მხარზე და კლდეში გაუჩინარდა.

შოთიკო მამის მოლოდინში კარგა ხანს წინ და უკან დარაჯივით დადიოდა, შემდეგ მოლზე წამოწვა და ვერც კი იგრძნო, ძილმა თავი როგორ წაართვა...

— ჩქარა, ადექი! ახლავე უნდა მოვშორდეთ აქაურობას! — ჩაესმა უკვე გემრიელად ჩაძინებულ შოთიკოს მამის უცნაურად შეცვლილი ხმა, თვალი უკმაყოფილოდ გაახილა და თავს წამომდგარი, სახეშეშლილი გიგია დაინახა...

— ბატონო გოგი, ეს მართალია? — აღშფოთებული ლაშა

ლაფაური დაუკაკუნებლად შევარდა ტელეკომპანიის გენერალური დირექტორის, გოგი გელოვანის კაბინეტში.

— ჯერ ერთი, გამარჯობა, — მშვიდად მიუგო გოგიმ, — მთელი ორი კვირაა, არ გამოჩენილხარ... და მეორეც, გააჩნია, სიტყვა „მართალში“ რას გულისხმობ?

— მაპატიეთ! — შეცბა ლაშა. — გამარჯობა!.. აეროპორტიდან პირდაპირ აქეთ გამოვქანდი, მივლინების ამბების მოყოლა მეჩქარებოდა... მაგრამ აქ ისეთი სიურპრიზი დამხვა, რომ რა დროს მივლინებაა?!. ბატონო გოგი, მართლა მიდიხართ ჩვენგან თუ ეს ვიღაცის მორიგი უკბილო ხუმრობაა?

— სამწუხაროდ, მართლა მივდივარ, — ამოიოხრა გოგიმ, — უფრო ზუსტად კი — ვიღაც-ვიღაცებს უნდათ, რომ წავიდე.

— შემთხვევით, იმ თავხედებს ხომ არა, ცოტა ხნის წინ ამ ოთახში პოლიტკორექტულობისკენ რომ მოგვიწოდებდნენ?

— იმათაც და... — სათქმელი აღარ დაასრულა გოგიმ.

— კიდევ ვის? — თვალი თვალში გაუყარა ლაშამ შეფს.

— კიდევ მე... მეც დავთანხმდი... — როგორც იქნა, ამოღერღა გოგიმ და თვალები დამნაშავესავით დახარა.

— კი, მაგრამ როგორ?!. როგორ შეგიძლიათ, ასე ერთი ხელის დაკვრით ამხელა საქმის მიტოვება?! ეს კომპანია ხომ მთლიანად თქვენი შექმნილია! ამდენი შრომა და ენერგია გაქვთ ჩადებული!.. — არ ცხრებოდა ლაშა.

— უკვე 60 წლის ვარ, ჩემო ლაშა... დროა, ჩემს მომავალზე ანუ მოახლოებულ სიბერეზეც ვიფიქრო. შენ ჯერ ისევ ახალგაზრდა ხარ და ამიტომაც ჩემი გაგება გაგიჭირდება...

— რომელ სიბერეზე მელაპარაკებით?! — ლაშა თავისას არ იშლიდა. — 60 წელი ჩვენს საქმეში რა ასაკია? მით უმეტეს, თქვენისთანა ენერგიული ადამიანისთვის. და საერთოდაც, თუნდაც საკუთარი მომავალი ამ კომპანიის გარეშე როგორ წარმოგიდგენიათ? მესმის, რომ შეუცვლელი არავინაა, მაგრამ...

— მეც მესმის, ჩემო ლაშა, ყველაფერი მესმის... პირველი წელი ხომ არ არის, რაც ერთად ვმუშაობთ!.. ეს კომპანიაც პრაქტიკულად, ერთად შევქმენით, მაგრამ...

გოგი გელოვანს ტელეკომპანიის შექმნის ყველა დეტალი კარგად ახსოვდა: ისიც, თუ რად დაუჯდა ჯერ სპონსორების გამონახვა და შემდეგ, დამოუკიდებელი ტელეკომპანიის შექმნაზე მათი დათანხმება. მერე — ლამის მთელ საქართველოში ნიჭიერი და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, მართალი და გაბედული ჟურნალისტების პოვნა. და ახლა, როცა ყველა და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და დალაგდა, კომპანიიდან მისი გენერალური დირექტორის წასვლა მხოლოდ ღალატად თუ შეფასდებოდა, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ იყო...

— შენც ხომ კარგად იცი, კომპანიის აქციების საკონტროლო პაკეტი ვისაც ეკუთვნის? — გოგიმ ლაშას მწარე რეალობა შეახსენა. — ჰოდა, ფულს ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთს...

— აი, თურმე რაში ყოფილა საქმე!.. — როგორც იქნა, სკამზე ჩამოჯდა აქამდე ჯიუტად ფეხზე მდგარი ლაშა. — თავიდანვე ასე გეთქვათ... ესე იგი, პენსია და სიბერე არაფერ შუაშია... უბრალოდ, „თლა“ უფროსებს აღარ უჯდებით, ხომ, ჭკუაში?

— ასე გამოდის... — ამოიხრა გოგიმ.

— მერედა, ასე ადვილად ნებდებით?.. ვეღარ გცნობთ, ბატონო გოგი! ბოლოს და ბოლოს, დირექტორთა საბჭოც ხომ არსებობს და საბოლოო გადაწყვეტილებაც მისი მისაღებია.

— ფორმალურად, რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ... — გელოვანის აქამდე თითქოსდა ამოუწურავი ენერგიით სავსე ხმაში ახლა მხოლოდ უკიდურესი დაღლა და სრული ინერტულობაღა იგრძნობოდა. — ჩემთვის ასე აჯობებს... და არა მარტო ჩემთვის...

— ეგ როგორ? — ყურებს არ დაუჯერა ლაშამ. — მგონი, რაღაც მთლად სწორად ვერ გაგიგეთ, ბატონო გოგი, და იქნებ, პატივი დამდოთ და ბოლომდე გამარკვიოთ, რა ხდება თქვენსა და მგონი, ყველა ჩვენგანის თავსაც?

— ყველაფერი ბევრად უფრო მარტივი და ადვილად გასაგებია, ვიდრე შენ გგონია. — გოგიმ შორიდან დაიწყო. — შენც კარგად იცი, რომ რაც ეს ტელეკომპანია არსებობს, სიმართლის თქმას არასდროს მოვრიდებივართ და არც მშვიდი ცხოვრება გვქონია ოდესმე. მაგრამ ამას კიდევ მოევლებოდა, ზოგიერთებს მაინც რომ ვაცლიდეთ მშვიდად ცხოვრებას...

— კონკრეტულად, მაინც ვის გულისხმობთ? მთავრობის ზოგიერთ ვაიწევრსა და კრიმინალურ სტრუქტურებთან მათ „ჩახუტებაზე“ მომზადებულ სიუჟეტებს ხომ არა?

— არა, ასე მარტივად ნამდვილად აღარ დგას საკითხი. საერთოდ, თვით ჩვენი კომპანიის არსებობა გახდა პრობლემა. როგორც ჩანს, დღევანდელ ხელისუფლებას ჩვენ მხოლოდ წინა ხელისუფლების დასამარცხებლად ვჭირდებოდით და რადგანაც ეს მისია უკვე შეასრულეთ, დროა, სახლებშიც წავიდეთ... საერთოდ, ჟურნალისტები ცხელშუბლა ხალხი ვართ და როცა ვიღაცის ბინძურ თეთრეულს ყველას დასანახავად ვფენთ, შედეგებზე ნაკლებად ვფიქრობთ. ზოგს კი ეს უკვე ძალიანაც აღარ მოსწონს. და საერთოდაც, — ხელი უმწეოდ ჩაიქნია გელოვანმა, — ვის შეიძლება, ეს მოსწონდეს...

— ჰო, მაგრამ თავად არ გვაქვეზებდით, — ახლა ხალხს ყველაფერზე მეტად სიმართლის გაგება სწყურია და თქვენც მხოლოდ სიმართლე უნდა თქვათ და აჩვენოთ, როგორი მწარე და თუნდაც მახინჯიც უნდა იყოსო?!. მაპატიეთ, ბატონო გოგი, მაგრამ მგონი, უკვე ანბანური ჭეშმარიტებების დამტკიცებას ვუწყებთ ერთმანეთს. თუ უკვე თქვენთვისაც აღარაფერს ნიშნავს ეს „მრავალტანჯული“ სიმართლე?

— რა თქმა უნდა, ნიშნავს... მე დღესაც ასე ვფიქრობ... მაგრამ ახლა საქმე მხოლოდ ჩემს კარიერასა და თუნდაც პირად უსაფრთხოებას როდი ეხება... ხომ იცი, ოჯახი მყავს, ერთადერთი შვილიშვილი მეზრდება...

— დაგემუქრნენ? — ხელები უნებლიეთ მომუშტა ლაშამ.

— ჯერ მხოლოდ გამაფრთხილეს.

— განა, აქამდეც სულ არ გვემუქრებოდნენ და გვაფრთხილებდნენ?..

— ჰო, მაგრამ ამჯერად ყველაფერი ბევრად უფრო სერიოზულადაა. ერთი კვირის წინ ვიღაც ყმაწვილმა დამირეკა და მითხრა, — ალეკო ჩიხლაძე ვარ, პრეზიდენტის ადმინისტრაციიდანო... მაგრამ მოგვიანებით, როცა გადავამოწმე, ადმინისტრაციაში განმიცხადეს, — ჩვენთან ასეთი არავინ მუშაობსო...

— ასეც იქნება. ხომ გახსოვთ, ადრეც მთავრობის თუ პრეზიდენტის სახელით, რამდენი „ალეკო“ გვემუქრებოდა... ასეთებს რა გამოლევს?.. რაო მერე, რით გაგახარათ?..

— სახელმწიფო უნივერსიტეტში საინფორმაციო ტექნოლოგიების კათედრის ხელმძღვანელობა შემომთავაზა: უსაფრთხო საქმეა, ბატონო გოგი, თქვენც უფრო მშვიდად იქნებით და ჩვენცო. რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი. მან კი აჩქარება არ მირჩია და ისე, ვითომ სასხვათაშორისოდ, იმითაც დაინტერესდა, — თქვენი შვილიშვილი ხათუნა ისევ იმ სკოლაში სწავლობს თუ სხვაგან გადაიყვანეთო?.. შვილიშვილის ხსენებაზე ისე დავიბენი, რომ უცბად შეკითხვის კონტექსტს საერთოდ ვერ ჩავწვდი და გაღიზიანებულმა ვუპასუხე, — შუა სასწავლო წელს რომელ ჭკუათამყოფელს გადაჰყავს ბავშვი სხვა სკოლაში-მეთქი?!. მაშინ იქნებ, ერთი-ორი დღე მაინც დატოვოთ შინ, ხომ ხედავთ, ქალაქში რა უჩვეულოდ ცივი ამინდები დაიჭირა, გზები მოყინულია და ყველაფერი შეიძლება მოხდესო... სასწრაფოდ მძღოლი გამოვიძახე და ხათუნასთან სკოლაში გავქანდი. ჩემს დანახვაზე ბავშვს გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა: აქამდე ხომ მარტო ჩემი მძღოლი აკითხავდა ხოლმე... შინ რომ დავბრუნდით, ცოლსა და ქალიშვილს სიმართლეს როგორ ვეტყოდი და მორიგი სისულელით გამოვუჭედე ტვინი: ქალაქში დიდი თოვლი და ქარბუქია მოსალოდნელი და ბავშვი ერთი-ორი დღე სკოლაში არ გაუშვათ-მეთქი. მეორე დილით კი ჩემთან მომავალ ჩემს მძღოლს გზაში საჭემ უმტყუნა და ახლა რეანიმაციაში წევს...

ოთახში მძიმე სიჩუმე ჩამოწვა. გელოვანმა კი ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, ხელის კანკალით მოუკიდა და გამეტებით მოქაჩა.

ლაშა შეფს გაოგნებული უყურებდა. ტელევიზიაში ყველამ იცოდა, რომ გელოვანი კარგა ხანი იყო, რაც აღარ ეწეოდა.

— იქნებ, ეს უბრალო დამთხვევა იყო და სხვა არაფერი?.. — შეფის დამშვიდება სცადა ლაშამ, თუმცა თავად ასეთი დამთხვევების არასდროს სჯეროდა.

— თავიდან მეც ასე ვიფიქრე, მაგრამ შემდეგ იმ ალეკომ ისევ დამირეკა და ახლა უკვე ჩემი მძღოლის ჯანმრთელობით დაინტერესდა. თან „ვალიც დამადო“: კიდევ კარგი, დამიჯერეთ და შვილიშვილი სკოლაში არ გაუშვითო!.. ასე რომ, ეს უკვე შემთხვევითობა აღარ არის. როგორც ჩანს, მართლა მაგრად მოგვკიდეს ხელი...

— მაშინ იქნებ, დაგვესწრო და პირდაპირ ეთერში, ყველას გასაგონად გვეთქვა ყველაფერი?!. — წყალწაღებულივით, წამით ხავსს მოეჭიდა ლაშა, მაგრამ მერე საკუთარ გულუბრყვილობაზე თვითონვე მწარედ გაეღიმა.

— ყველაფერთან ერთად, ტელევიზიაში „ჩამშვებებიც“ გამოგვიჩნდნენ. ასე რომ... — სათქმელი აღარ დაასრულა გოგიმ.

— მდაა, — ჩაფიქრდა ლაშა, — კომპანიას რაღა ეშველება?

გელოვანმა მეორე სიგარეტს მოუკიდა:

— კომპანიასაც რთული დრო ელის. ალბათ აქ თავიანთ კაცს დასვამენ.

— მაშინ ხომ ერთი წესიერი ჟურნალისტიც აღარ შერჩებათ!

— მერედა, ვინ გითხრა, რომ ასეთები დასჭირდებათ?

— როდის იქნება დირექტორთა საბჭოს სხდომა?

— მომავალ პარასკევს. ჩემი შემცვლელის შესახებაც მაშინ შევიტყობთ...

ლაშა ლაფაური ერთ-ერთი იმ ჟურნალისტთაგანი იყო, ერთი შეხედვით, ცხოვრებაში ყველაფერს ადვილად რომ აღწევენ. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ერთ პატარა, მაგრამ საკმაოდ „კბენია“ გაზეთში დაიწყო მუშაობა. „კბენა“ (თანაც — მიზანმიმართულად და ნიჭიერად!) არც ლაშას ესწავლებოდა. ამიტომ მალევე შეამჩნიეს და სულ რაღაც ნახევარ წელიწადში სხვა, ბევრად უფრო სოლიდურ გამოცემაში მიიწვიეს. იქაც მალე გამოიჩინა თავი.

მაგრამ არც პირველმა უსიამოვნებებმა დაახანა. სანამ მისი კრიტიკული სტატიები წვრილფეხა ჩინოვნიკებს თუ დაბალი რანგის ფუნქციონერებს ეხებოდა, გაზეთის ხელმძღვანელობა მხოლოდ ტაშს უკრავდა და მხარზე ხელს მეგობრულად უთათუნებდა, მაგრამ როგორც კი გათამამდა და ზემო ეშელონებსაც გადასწვდა, მაშინვე კარისკენ მიუთითეს...

ლაშას ამის მიზეზი დიდხანს ნამდვილად არ უძებნია. მალევე მიხვდა, რომ ამ ქვეყანაში ყველასა და ყველაფრის კრიტიკა შეიძლებოდა, გარდა უმაღლესი ხელისუფლებისა. მასზე, მიცვალებულისა არ იყოს, ან კარგი უნდა გეთქვა და დაგეწერა, ან — არაფერი.

ლაშამ მესამე გზა აირჩია და როგორც კი მისი პუბლიკაციების „ჩეხას“ იწყებდნენ, იმ გამოცემიდან მეორე დღესვე მოდიოდა. თუმცა უსაქმოდ დიდხანს არასდროს რჩებოდა, რადგან თავისი ბევრი „თანამოძმისგან“ განსხვავებით, მაძებრის თანდაყოლილი ყნოსვა და არაჩვეულებრივი ინტუიცია ჰქონდა, ყოველთვის საჭირო დროს საჭირო ადგილზე და თანაც, სხვებზე ბევრად ადრეც ჩნდებოდა. ასეთ ოპერატიულობაში ანალიტიკური აზროვნების უნარიც დიდად ეხმარებოდა. ინფორმაციის დიდი რაოდენობის სწრაფად გაანალიზება და საკმაოდ ზუსტი დასკვნების გამოტანა შეეძლო. თითქმის ყოველთვის ზუსტად ხვდებოდა, თუ გარკვეულ ადგილასა და დროის მონაკვეთში რომელი მოვლენა უფრო იყო მოსალოდნელი. ლაშას მიხვედრილობით აღფრთოვანებული მეგობრები მის ამ უნარს ხუმრობით ჰოლმსი-ლაფაურის დედუქციურ მეთოდსაც კი ეძახდნენ. ამასობაში კი ქვეყანაში ბევრი ისეთი საეტაპო ცვლილება დაიწყო, რომ ჟურნალისტები ელვისებურად განვითარებული მოვლენების უბრალო ასახვასაც კი ძლივსღა ასწრებდნენ...

ხელისუფლების შეცვლას თავიდან მთელ ქვეყანაში დემოკრატიის ნამდვილი ტალღის აგორება მოჰყვა. ხალხის ძალებით მოსულ ახალგაზრდა ხელისუფლებას, პირველ რიგში, ისევ ხალხი ამოუდგა მხარში და რიგითმა ადამიანებმა დემოკრატიის სახელით წამოწყებულ ნებისმიერ საქმეში თანამონაწილეობის აქტიური სურვილიც გამოთქვეს. ჟურნალისტების უმეტესობამ კი მაშინვე ამ ყველაფრის მემატიანეობას მოაწერა ხელი.

მაგრამ ლაშას, მათ რიგებში მოხვედრა და ვინმესთვის დითირამბების მიძღვნა არც ამჯერად უჩქარია. ამას დროებით განზე გადგომა და მოვლენებისთვის შორიდან თვალის მიდევნება ამჯობინა. დაკვირვებულმა ჟურნალისტმა მალევე შენიშნა, რომ ახალ ხელისუფლებაში ახალი და ლამაზად შეფუთული იდეებით მოსული ახალი ადამიანები სიტყვით თითქოს მხოლოდ ქვეყნისა და ხალხის გასაბედნიერებლად იყვნენ მოწოდებულნი, მაგრამ რეალურად, ამჯერადაც ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც ყოველთვის...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“, №14-20

სალომემ იცოდა, უძილობა რასაც ნიშნავდა. ნეტავ სცოდნოდა, ვაკოს რომ არ ეძინებოდა, თავადაც გავიდოდა აივანზე, გვერდით მიუჯდებოდა და საუბარს გაუბამდა. მარტოობაში დრო აუტანლად ნელა გადის, განსაკუთრებით, ღამით.

— არც ახლა გეძინება? — ჰკითხა სალიმ, რადგან დარწმუნებული იყო, რომ თავად უკვე ვერაფრით მოახერხებდა დაძინებას.

— ორივე თვალი მეუბნება, ამაღამ ძილი არ გიწერიაო, — გაიხუმრა მამაკაცმა, — თუ შენც ჩემს დღეში ხარ, იქნებ რამე დაგველია?

გოგონამ თავი დაუქნია.

— მეც მომინდა სუფთა ჰაერის ჩაყლაპვა.

სარწეველა სავარძლებში ჩასხდნენ და „ცხოვრებისეულ საჭირბოროტო საკითხებზე“ „დიალოგი“ გამართეს. სალი საოცრად კარგად გრძნობდა მის გვერდით თავს. ღამე თვალსა და ხელს შუა მიილია. უცქერდნენ, ღამეული შავი ცა როგორ თანდათან გადავიდა ჯერ მელნისფერში, შემდეგ ღია ნაცრისფერში, ბოლოს კი ცისფერი გახდა... ამასობაში მზეც ამოიწვერა. ჰორიზონტი ცისარტყელას ფერებით აჭრელდა. ეს დღე-ღამის ყველაზე ჯადოსნური დრო იყო, განსაკუთრებული, ყველაზე ღრმა განცდებით დატვირთული. სალის უხაროდა, რომ ამ განცდების გაზიარება ვაკოსთვის შეეძლო. ალბათ ვერასდროს დაივიწყებს ამ ულამაზეს განთიადს. იგი ახალი დღის დასაწყისია... დასაწყისი ახალი, იქნებ სულაც სერიოზული ურთიერთობების... სალიმ იგრძნო, რომ ვაკოც არ დარჩენილა ამ ყველაფრით გულგრილი, რადგან მისი ხელი ხელში აიღო და ნაზად მოუჭირა. სალის მოეჩვენა, რომ მამაკაცს რაღაცის თქმა უნდოდა, თუმცა იგი დუმდა. შემდეგ თავი მოაბრუნა და თვალებში შეხედა. სალი გაისუსა, იფიქრა, კოცნა არ ამცდებაო. მაგრამ მას ეს არ გაუკეთებია. ბოლოს, როგორც იქნა, ხელი შეუშვა გოგონას, წამოდგა და მშრალად, ამასთან, ყრუდ წარმოთქვა:

— წავალ, წყალს გადავივლებ.

იმისთვის, რომ ვნება გაიგრილოს? ესე იგი, ისიც მასსავით აღელდა.

— მეც არ მაწყენდა წყლის გადავლება, — თქვა სალიმ წართმეული ხმით, — მაგრამ თაბაშირს ხომ არ დავასველებ...

— არა უშავს, ახლავე მოვიფიქრებ რამეს. შენ აქ იჯექი!

ვაკო გავიდა და ცოტა ხნის შემდეგ პოლიეთილენის გრძელი პარკითა და ელასტიკური მარლით ხელში დაბრუნდა.

— კარგია, რომ მარინა არასდროს არაფერს ყრის. წამოდი, პირველი შენ იბანავე, — ჩვეულებრივი, მშვიდი ტონით წარმოთქვა მამაკაცმა.

რაო? ამით რისი თქმა უნდა? ხომ არ აპირებს, სააბაზანოში შეჰყვეს სალის და თვალი მიადევნოს, როგორ მოახერხებს ცალი ხელით დაბანას? მერე კი ჩაცმაში წაეხმარება? ამის გაფიქრებაზე თითქოს დენმა დაუარა სხეულში.

— მე თვითონ, არ მინდა დახმარება, — თქვა სალიმ, როცა მამაკაცი დერეფანში გაუძღვა. მოულოდნელად დააფიქსირა, რომ ხმა ჩახრინწოდა.

— წამითაც არ მეპარება ეჭვი, მაგრამ აჯობებს, ყოველი შემთხვევისთვის, ახლომახლო ვიყო. ხომ არ გეუხერხულება? — ჩაიცინა ვაკომ, რომელმაც მშვენივრად იცოდა, რა აზრებიც უტრიალებდა გოგონას იმწუთას გონებაში.

— სულაც არა, — ჯიუტად გადააქნია სალიმ თავი და საძინებელში მიიმალა, რათა ღამის პერანგი გაეხადა და პირსახოცში გახვეულიყო, თუმცა კი, რის ვაი-ვაგლახით მოახერხა ეს.

იქნებ მართლაც დაიხმაროს ვაკო? ის წესიერი კაცია, არ შეეხება, თუკი იგრძნობს, რომ ქალს არ სიამოვნებს ეს. იმედია, ღირსეულად მოიქცევა. ამ ფიქრებით გოგონამ სააბაზანოს კარი შეაღო. ცოტა არ იყოს, შეცბა... ვაკო უკვე იქ ელოდებოდა.

— მზად ხარ, „დამცავი“ პარკი ჩამოიცვა ხელზე? — ისე უშფოთველად ჰკითხა მამაკაცმა, თითქოს ყოველდღე ამ პროცედურით ყოფილიყო დაკავებული. — მ...მ... მდა�ა... ცოტა ნელა, — ეუბნებოდა ვაკო და თან ფრთხილად ახვევდა მარლას მკლავზე ჩამოცმულ პარკს გარშემო.

„როგორ უნდა ვიბანაო ცალი ხელით?“ — უკმაყოფილოდ გაიფიქრა.

— „წვრილ-წვრილი“ დახმარებები ხელს ხომ არ შეგიშლის? — მან კვლავ წაიკითხა გოგონას აზრები.

სალიმ ძალიან ნელა დაუქნია თავი.

— ჩვენ შეგვიძლია ერთად მივიღოთ შხაპი. გპირდები, რომ კარგი ბიჭი ვიქნები, — ვაკოს წრფელი ღიმილი აუთამაშდა ტუჩებზე.

მაგრამ მას შეეძლო კი, შეჰპირებოდა, რომ კარგი გოგონა იქნებოდა?..

— აუუუუუუუ! სად ხართ? მე დავბრუნდიიი! — მარინას ომახიანმა ხმამ სალისა და ვაკოს ყურამდე გვიან მიაღწია, რადგან აივანზე ისხდნენ და რაღაცაზე ხმამაღლა იცინოდნენ.

— აქ ვართ! — გამოეპასუხა მამაკაცი.

სალიმ ვაკოს გადახედა და გული დასწყდა, რადგან მიხვდა, რომ მათი დღეღამისეული განმარტოება დასასრულს მიუახლოვდა. ვაკომაც უხალისოდ გაიღიმა და მანამდე მოაშორა სალის მხარს მკლავი, სანამ მარინა აივანზე ამოვიდოდა. მაგრამ ამ ხნის ქალის მოტყუება არც ისე ადვილი იყო. მან მსწრაფლ გადაიტანა მზერა ძმისშვილიდან ვაკოზე, მაშინვე შეამჩნია მათი მრავლისმთქმელი გამოხედვა და კმაყოფილმა ჩაიღიმა.

— მაპატიე, ასეთ დროს რომ მიგატოვე, საყვარელო. კიდევ კარგი, ვაკო რომ შენ გვერდით იყო და ყურადღება მოგაქცია. რას შვრება შენი ხელი?

— გმადლობ, უკეთ ვარ, თითქმის აღარ მტკივა.

ვაკო წამოდგა და მარინას მიეგება.

— დაბრძანდი, მარი. სალის ერთი სული აქვს, გაიგოს, რა გადაუდებელი საქმე გამოგიჩნდა ასეთი, რომ შინ მოსვლა ვერ მოახერხე. მე გავალ, დასალევს მოვიტან. ყავა თუ წვენი?

— წვენი, — ერთდროულად უპასუხეს ქალებმა.

— ახლა იმ კატას ჰგავხარ, რომელმაც ლორის მსუყე ნაჭერი დაითრია, — გამოუცხადა მამიდამ ძმისშვილს, როგორც კი მამაკაცი სამზარეულოში მიიმალა, — კარგად გამოიძინე? — ჰკითხა და წარბები ეშმაკური ღიმილით აწკიპა.

— თუ ის გაინტერესებს, ვიწექი თუ არა მასთან, მაშინ პასუხი უარყოფითი იქნება და ვერაფრით გაგახარებ, — ირონიულად შენიშნა გოგონამ, — და კიდევ ერთხელ ძალიან გთხოვ, შენს წარმოსახვებს ფრთებს ნუ შეასხამ.

— და მაინც, რაღაც მოხდა, — მარინამ გამჭოლი მზერა ესროლა სალის, — ბრმა უნდა ვიყო, შენი და მისი გარდასახვები ვერ შევამჩნიო. ხომ იცი, ასეთ რამეებს ვერავინ გამომაპარებს. თუმცა, დაკითხვას არ ვაპირებ. თქვენი პირადი ცხოვრება მხოლოდ თქვენ გეხებათ, მე არაფერ შუაში ვარ.

— მაგას სჯობია, მითხრა, სპეციალურად არ მოხვედი წუხელ შინ, არა? ჩამიწყვე მასთან მარტო დარჩენა, ხომ ასეა?

— რა სისულელეა, სიხარულო. რაში უნდა დამჭირვებოდა ასე მოქცევა? ბავშვი ხომ არ ვარ? — უდანაშაულო გამომეტყველება აღებეჭდა მარინას სახეზე, თანაც — ზედმეტად უდანაშაულო, — ხომ ავუხსენი ვაკოს, რომ მართლა გადაუდებელი საქმე გამომიჩნდა? შინ დაბრუნებას აზრი არ ჰქონდა, დროის ფუჭი დაკარგვა იქნებოდა მხოლოდ.

— ასეთი გადაუდებელი რა იყო? — უნდობლად შეხედა სალიმ, რომელსაც მამიდის ერთი სიტყვაც არ სჯეროდა.

— ნაკვეთი რომ გავყიდე, ხომ იცი? იმის ფული ჯერ ბოლომდე არ მოუციათ, ამიტომ ჩემს კლიენტს დილით ადრე უნდა დავდგომოდი თავს, რომელიც იქვე, თინიკოს მეზობლად ცხოვრობს, ორი სართულით ზემოთ. დილაუთენია რომ არ მივსულიყავი, მერე ვეღარ დავიჭერდი სახლში. ამიტომაც დავრჩი ღამისთევით.

ეს ყველაფერი ძალიან ჰგავდა სიმართლეს, მაგრამ სალიმ მაინც არ დაიჯერა. ყოველ შემთხვევაში ის მაინც, რომ ამის გამო ღამით აუცილებლად სხვის სახლში უნდა დარჩენილიყო.

— თინიკო როგორ არის? იყავით ექიმთან?

— ო! ეგ კიდევ სხვა საკითხია. ქალბატონს ჩიყვი აღმოაჩნდა. სწორედ ამიტომ აქვს ნევროზი აკიდებული.

— რას ამბობ! საოპერაციოა?

— ჯერ არა, იქნებ მკურნალობას დაექვემდებაროსო. ვნახოთ, რა იქნება, თუმცა შედეგის დიდი იმედი არ მაქვს, ჩემი აზრით, მაინც ოპერაცია ჯობდა.

სალიმ არაფერი უპასუხა.

— მიბრაზდები?

— არა, — გოგონამ ნელა მოაბრუნა თავი და ორაზროვნად შეხედა.

— კარგი რა, მე შენ ისეთი საიმედო ადამიანის ხელში დაგტოვე, წამითაც არ მეპარებოდა ეჭვი, რომ ჩემზე უკეთ მოგხედავდა. მახსოვს, ერთხელ ფეხი გადამიბრუნდა და ვაკომ რომ გაიგო, გვერდიდან არ მომშორებია. შვილივით ზრუნავდა ჩემზე. ასეთ შემთხვევებში იგი შეუცვლელია, დამიჯერე, არ ვარ მართალი?

სალიმ თავისთვის ჩაიღიმა. „მამიდა აზრზე არ არის, რამდენად შეუცვლელია ვაკო, ალბათ ვერც კი წარმოიდგენს. არა მგონია, მისი საიმედო მეგობარი გაჭირვების ჟამს მას დაბანაშიც მიხმარებოდა“. სალიმ თავადაც არ იცოდა, რატომ მისცა ამდენის უფლება მამაკაცს, თუმცა კი ამის გაფიქრებაზე სხეულში სიამოვნების ჟრუანტელმა დაურბინა და კმაყოფილმა გაიზმორა.

გაახსენდა, როგორ ჩამობანა ვაკომ საპნიანი ზურგი და ბოლოს, პატარა ბავშვივით, როგორ გაამშრალა პირსახოცით... თან წამითაც არ უცდია, ესარგებლა სიტუაციით, თორემ... განა, უარს ეტყოდა რამეზე? უარის სათქმელად სწორედ რომ არ იყო სალომე მზად...

— მართალი ხარ, მამიდა, შენი ახალგაზრდა ძმაკაცი თუ მეგობარი მართლაც შეუცვლელია, — დაეთანხმა სალი, თან თავს ძალა დაატანა, მოგონებებიდან თავი დაეღწია, — არ ვიცი, მის გარეშე რა მეშველებოდა, ალბათ თავს ვერაფერს გავართმევდი.

ამასობაში წვენის ჭიქებით ხელში ვაკოც დაბრუნდა. მის გამოჩენაზე სალის ისევ უცნაურად შეუტოკდა გული. მამაკაცს გამოუცნობი ღიმილი დასთამაშებდა ტუჩებზე. მან წვენით სავსე ჭიქა წინ დაუდგა გოგონას, თან იდუმალი მზერა ესროლა. მარინა ყურადღებით მისჩერებოდა ორივეს, მათი უსიტყვო დიალოგით ტკბებოდა, მაგრამ კომენტარი არ გაუკეთებია.

— რადგან უკვე აქ ხარ, მე აღარ შეგაწყენთ თავს. ისედაც, ახალი დღე დაიწყო, ჩემი წასვლის დროა, უამრავი საქმე მაქვს.

— დიდი მადლობა, ვაკო, ამ სიკეთეს ხომ იცი, რომ არ დაგივიწყებ, — მარინამ სალისგან შეუმჩნევლად, თვალი ჩაუკრა.

— მუდამ თქვენ გვერდით მიგულეთ, — ხელები გულზე დაიწყო ვაკომ და ორივეს თბილად დაემშვიდობა.

— მიხარია, ერთმანეთს რომ შეეწყვეთ, — თქვა მარინამ, როცა მამაკაცი წავიდა, — ამის იმედი თავიდანვე მქონდა. არ მინახავს ერთმანეთზე ასე ძალიან შეყვარებული წყვილი.

— ვის გულისხმობ? — გაოცებულმა სალიმ დიდრონი თვალები მიაპყრო.

— რა თქმა უნდა, შენ და ვაკოს, სხვას ვის? — ნიშნის მოგებით უპასუხა ქალმა.

— შეყვარებულს? თანაც ძალიან შეყვარებულს? — გაიმეორა ძმისშვილმა, — ხმამაღალი ნათქვამი ხომ არ არის, მამიდა, შენი მხრიდან? მგონი, ცოტას აჭარბებ.

ქალმა ტუჩები აიბზუა.

— შეიძლება, შენ ვერ ხვდები ამას ან არ გინდა აღიარო. იქნებ საკუთარ თავს არ უტყდები, რომ შეყვარებული ხარ? იცი, სხვისი გადასახედიდან რა ადვილი შესამჩნევია?

— კარგი რა, ნუ მაცინებ.

— არ გჯერა? რაც გინდა, ის მითხარი, მაგრამ შენს გულში თუ ჩაიხედავ, იქ სხვა რამეს აღმოაჩენ, — მტკიცედ წარმოთქვა მარინამ, წვენი მოსვა, წამოდგა და ჭიქიანად გაუჩინარდა, რათა ძმისშვილი თავის

ფიქრებთან მარტო დაეტოვებინა.

ნუთუ? ნუთუ მართლა შეყვარებულია? ასე ძალიან ეტყობა, ვაკო რომ მოსწონს? მერედა რა, რომ მოსწონს? განა ეს სიყვარულია? იქნებ მხოლოდ პრიმიტიული გატაცებაა და სხვა არაფერი? ქალია, ბოლოს და ბოლოს... ქალი, რომელიც ქმარს გაშორდა... ახალგაზრდა, ლამაზი... უცხო, სიმპათიური მამაკაცის ყურადღებამ თავბრუ დაახვია და ეგ არის... ხანდახან იმაზეც კი ფიქრობს, რომ ვაკო არაჩვეულებრივი საყვარელი იქნება. ჰო, რა მოხდა მერე! აბა, რა თავში იხლის მის ცოლობას? მეორედ გათხოვებას არ აპირებს! შენი ჭირიმე, მოიცა რა! ერთხელ რომ გათხოვდა, რა ხეირი? არ ჯობია, საყვარელი გაიჩინოს და თავისუფლება შეინარჩუნოს? როცა უნდა და სადაც უნდა, იქ წავა, არავინ უბრძანებს, დღეს სახლიდან არ გახვიდე და სამსახურიდან რომ დავბრუნდები, შინ დამხვდი, გამირეცხე, დამიუთოე, სადილი მომიმზადეო... უკვე დაიღალა ასეთი რამეებისგან. მაგრამ თუკი მამიდა სიმართლეს ამბობს? იქნებ მართლა ვერ ხვდება და ყურებამდეა შეყვარებული? არა, რა სისულელეა... მაგრამ მაშინ რატომ არის ასეთი აღგზნებული? ადრე მსგავსი ლტოლვა არასდროს ჰქონია მამაკაცის მიმართ. არც კი დასიზმრებია. ღმერთო, რაებზე ფიქრობს! ნუთუ ვერ ხვდება, რა შორს შეტოპა?! არის კი მზად ამისთვის? ხომ არ ჯობია, ცოტა შორს დაიჭიროს თავი? სანამ ცოლად გაჰყვებოდა, ავთოც არაჩვეულებრივი თაყვანისმცემელი იყო, ანებივრებდა და სიურპრიზსაც უხვად უმზადებდა, მაგრამ შეუღლების შემდეგ სრულიად შეიცვალა. ის კი არა, მისი ორი დაქალიც ხშირად ჩიოდა მასთან — რაც გავთხოვდით, საკუთარ ქმრებს ვერ ვცნობთო. ასეთები არიან მამაკაცები... დაქორწინების შემდეგ მბრძანებლობის სურვილი უათმაგდებათ, თავს ცოლის ბატონ-პატრონად დაიგულებენ და მის თავისუფლებას მაქსიმალურად უკვეცენ ფრთებს. უნდა კი სალის, ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ განმეორდეს მის ცხოვრებაში? არა და არა!

მოულოდნელად მარინამ გამოსძახა, ტელეფონთან გიხმობენო. კისრისტეხით გავარდა სასტუმრო ოთახში იმ იმედით, რომ ვაკო ურეკავდა. ეს წუთია, წავიდა და უკვე ველარ ითმენს. მგონი, ჩემზე უარეს დღეშია, ფიქრობდა გზადაგზა, მაგრამ...

ყურმილი აიღო თუ არა, მიხვდა, რომ ქმარყოფილი შერჩა ხელთ.

— გამარჯობა, სალი. მე ვარ...

— გიცანი...

— როგორ ხარ?

— მშვენივრად. რა გინდა, რატომ მირეკავ?

— მომენატრე. შენ არა?

— ასეთ შემთხვევაში, თავად დაგირეკავდი.

— მეგონა, ამ ხნის განმავლობაში წყენა გაგივლიდა და შემირიგდებოდი. ვიცი, ბევრ რამეში ვარ დამნაშავე, მაგრამ ადრე ვერ ვხვდებოდი ამას. ახლა მივხვდი და ძალიან ვნანობ. მომეცი კიდევ ერთი შანსი და ყველაფერს გამოვასწორებ.

— არ გინდა... ნუ ცდილობ ისეთ რამეს, რისი გაკეთებაც არ შეგიძლია, ეს შენს ძალებს აღემატება.

— რატომ გგონია?

— კარგად გიცნობ და იმიტომ.

— კარგი, გასაგებია... ისე მაინც არ დამეხმარები?

— რაში?

— შენმა დედინაცვალმა არ გითხრა?

— ჰო... მითხრა.

— მერე?

— რა მერე? მე რა შუაში ვარ?

— მომისმინე...

ავთო კარგა ხანს ლაპარაკობდა. სალი ერთხანს უგულისყუროდ უსმენდა, ბოლოს მოკლედ მოუჭრა.

— ავთო, მაპატიე, ახლა ძალიან ცუდად ვარ, უნდა დავიძინო. მოგვიანებით დამირეკე, კარგი? იქამდე მოვიფიქრებ, როგორ მოვიქცე, — და მის პასუხს არც დაელოდა, ისე დაკიდა ყურმილი.

ახლა ავთოზე ფიქრის თავი არ ჰქონდა. ძლივს იდგა ფეხზე, თვალები ებლიტებოდა. ნახევრად მძინარემ პლედს დაავლო ხელი, იქვე ტახტზე მიწვა, პლედი გადაიფარა და რამდენიმე წუთის შემდეგ ღრმა ძილს მისცა თავი.

მთელი დღე გათიშულს ეძინა, გვერდი არ შეუცვლია. საღამო ხანს, უკვე შებინდებულზე, თითქოს რაღაცამ

შეაკრთოო, შეშინებულმა გაახილა თვალები და...

ტახტზე, მის ფეხებთან, ვაკო ჩამომჯდარიყო...

— ხომ არ შეგაშინე?

— მერედა როგორ, ვერც წარმოიდგენ, — გოგონამ ნამძინარევი თვალები მოიფშვნიტა, — რომელი საათია?

— მალე დაღამდება.

— ღმერთო, რამდენი მეძინა! დიდი ხანია, მოხვედი?

— ეს წამია...

— გამოიძინე?

— არა... შენგან განსხვავებით, ძილი არ გამეკარა, თუმცა კი, ძალიან ვეცადე. მაინც აქეთ გამომიწია გულმა. ვიფიქრე, დავხედავ, როგორ არისმეთქი. გტკივა?

— არა... შენ თუ ასე წარამარა ივლი აქ, სამსახურს დაკარგავ. არ მინდა, შენი ცხოვრების ხელისშემშლელი ფაქტორი გავხდე.

— მერედა, რა ღამაზად ახერხებ ამას, რომ იცოდე. მსოფლიოში ყველაზე მომხიბვლელი „ხელისშემშლელი ფაქტორი“ ხარ.

— განსაკუთრებით მაშინ, როცა საავადმყოფოში ვიმყოფები თაბაშირის გადასახვევად, — სიცილი წასკდა სალის.

— საავადმყოფოში ყოფნასაც აქვს თავისი დადებითი მომენტები, მაგრამ თავადაც კარგად იცი, მე რაც ვიგულისხმე. ხომ არ ნანობ, რაც წუხელ მოხდა? გული ხომ არ გეთანაღრება რამეზე?

სალიმ უარის ნიშნად თავი გადაქნია და მთელი სახით გაიღიმა, მეტად აღარ შეეძლო თავის შეკავება, სახეზე მისი ნახვით გამოწვეული „ერთი დიდი სიამოვნება“ ეწერა.

— შენ? — კითხვა შეუბრუნა გოგონამ.

— წინააღმდეგ შემთხვევაში, აღარ მოვიდოდი, — ჩუმად უპასუხა მამაკაცმა და მისკენ მიიჩოჩა...

ამჯერად მთელი გზნებით აკოცა, როგორც შეყვარებულ მამაკაცებს სჩვევიათ, ისე. სალი თრთოლამ მოიცვა.

— ძლივს წესიერად არ გაკოცე? — ჩაიჩურჩულა ვაკომ და კვლავ მის ტუჩებს წაეტანა.

იგი ფრთხილობდა, რომ სალომეს ნაღრძობი ხელი არ სტკენოდა. მძლავრად მიიხუტა მკერდზე და გოგონამ იგრძნო, როგორ არათანაბრად და ძლიერად უცემდა გული მამაკაცს. არც მისი გული იყო უკეთეს დღეში. ლაპარაკი რომ შესძლებოდა, სასიყვარულო ფრაზების მთელ კორიანტელს დააყენებდა... კოცნა უსაზღვროდ ხანგრძლივი და მათრობელა აღმოჩნდა. ქალი და

მამაკაცი თავდავიწებას მისცემოდნენ, თუმცა, მათ სმენას მალევე მისწვდა აივანზე მოარული მარინას ფეხის ხმა.

— უბრალოდ, ვერ გავძელი ამის გარეშე... — ჩაიდუდუნა მამაკაცმა, როცა გოგონას ხელი შეუშვა.

— მეც, — აღიარა დამორცხვებუმა სალიმ, კოცნამ თითქოს სიცოცხლე დაუბრუნა, რაღა დროს ძილი იყო! — დიდხანს დარჩები?

— რამდენ ხანსაც გაგიხარდება.

— მაგრამ შენ ხომ წუხელ მთელი ღამე არ გიძინია...

— სულაც არ მეძინება... უფრო მეტიც, შენ გვერდით ერთი-ორი ღამე კიდევ არ დავიძინებ.

— თვალსაც არ მოხუჭავ? — ეშმაკურად ახედა გოგონამ.

— არც ერთი წამით.

— აი, გმირიიი! — შესძახა გამხიარულებულმა სალიმ, — სამაგიეროდ, ხვალ დილით, სამსახურში რომ წახვალ, მთელი დღე იყვინთავებ. ვფიქრობ, აჯობებს, წახვიდე და გამოიძინო.

— ჯერ მაცალე, ცოტა ხანს გიყურო, გავძღე შენი ცქერით...

გოგონამ სიამოვნებისგან თვალები დახუჭა და ამოიოხრა.

— უკვე გვიანაა...

— ჩვენ შეგვიძლია, შენს საძინებელში გადავინაცვლოთ... რამდენიმე წუთით მაინც, — ზედ ყურთან უჩურჩულა მამაკაცმა.

— მამიდაჩემი გინდა, გააგიჟო? შოკში ჩავარდება!

— მარინა? გგონია, მისი შოკირება ამ გზით მოხერხდება? — გაიცინა. — მგონი, პირიქით, აღტაცებულიც კი დარჩება. მას ხომ ასე ძალიან უნდა ჩვენი დაახლოება.

— ეგ ვიცი.

— როგორ ფიქრობ, ხვდება, რაც ჩვენ შორის წუხელ მოხდა?

— ჰო.

— მაშინ ყველაფერი კარგად ყოფილა, არ ღირს მის რეაქციაზე ნერვიულობა.

და მან კვლავ აკოცა. და სალიც კვლავ თრთოლამ აიტანა. მჭიდროდ მიეკრო მამაკაცის ფართო მკერდს და მკლავები კისერზე მოხვია. მოულოდნელად სასტუმრო ოთახში მარინა შემოვიდა, თუმცა წყვილს არც უცდია, ერთმანეთს მოსწყდომოდა... აზრი არ ჰქონდა... მაგრამ მარინას ნათქვამმა წამსვე გაანელა ის ეიფორია, რომელშიც ვაკო და სალი მის შემოსვლამდე იმყოფებოდნენ.

— მოუყევი ვაკოს შენი ქმრის ამბავი?

სალიმ ამოიკვნესა. რა უადგილოდ იცის ამ ქალმა რაღაცების წამოროშვა... რა დროს ეგ იყო? ამწუთას სულაც არ სურდა, ვაკოსთან თავის ყოფილ მეუღლეზე ესაუბრა. მამაკაცი ცოტა ხნით იყო მოსული და უნდოდა, ეს დრო სიამოვნებაში გაეტარებინა, მისი გვერდით ყოფნა გემრიელად შეეგრძნო... და მისი ტუჩების სიტკბოც....

— მასთან დაბრუნება გადაწყვიტე? — ჰკითხა ვაკომ და გამოხედვა ყინულივით ცივი გაუხდა.

— რა თქმა უნდა, არა, — შეცბა სალი, — ჩვენ სულ სხვა თემაზე ვისაუბრეთ.

— ამ დილით დაურეკა, — გააგრძელა მამიდამ, — ვიღაც თანამშრომელმა უჩივლა, გამაუპატიურაო და სარჩელი შეუტანა სასამართლოში. ავთოს უნდა, რომ სალომე დაეხმაროს ამ საქმეში.

— და როგორ უნდა დაეხმაროს?

— ალბათ მოწმედ დაუდგეს, სხვა რა შეუძლია სალოს? — მხრები აიჩეჩა მარინამ.

— უკვე გასაგებად ვუთხარი, თავი დამანებე-მეთქი, — სწრაფად დაამატა სალიმ, სანამ ვაკო ამ ყველაფრიდან არასასურველ დასკვნებს გამოიტანდა.

მაგრამ შეცდა... მამაკაცი ნელ-ნელა დამშვიდდა.

— დარწმუნებული ხარ, რომ მეტჯერ აღარ შეგაწუხებს? თუ კიდევ დაგირეკავს, მე...

გოგონამ ტუჩებზე ხელი ააფარა.

— აღარ დარეკავს. მიხვდა, რომ აზრი არა აქვს ჩემთან ლაპარაკს. ყველაფერი დამთავრდა.

— და თუ არ გაიგებს ამას, საქმე ჩემთან ექნება, — დაამატა მარინამ, — არ დავუშვებ, ვინმემ ჩემს ძმისშვილს გული ატკინოს. ვინც უნდა იყოს იგი.

— და იმ დროს მეც თუ აქ აღმოვჩნდები, ჩემს აზრსაც გავუზიარებ, დიდი სიამოვნებით, — მუქარა გაისმა ვაკოს ხმაში, — თუ გინდა, ჩავალ მოსკოვში და დაველაპარაკები, არ გამიჭირდება... არც დავიზარებ...

სალომეს ესიამოვნა მამაკაცის ასეთი რეაქცია, მაგრამ მისი შემოთავაზებისგან თავი შორს დაიჭირა.

— სხვისი ჩარევა არ არის საჭირო. თვითონ მოვუვლი ჩემს პრობლემას. ასე აჯობებს.

— დეგენერატი! ამისთანა ქალი გვერდით ჰყავდა და არ შეიფერა. ახლა, როცა გაუჭირდა, მიხვდა, რაც დაკარგა! კარგ დროს კი გაახსენდა. აქამდე სად იყო? თავიდანვე ვხვდებოდი, რა ჩიტიც ბრძანდებოდა, მაგრამ ვინ მომისმინა? შენი საქმისა შენ იცი, შვილო. ერთი რამ დაიმახსოვრე მხოლოდ: თავი არავის დააჩაგვრინო. შენ ამას არ იმსახურებ, ამისთვის არ გამიზრდიხარ! იმედია, თავს აღარ მოგვაბეზრებს. თუ კიდევ დარეკავს, აღარ ელოლიავო, ერთხელ და სამუდამოდ მოიშორე თავიდან, რომ სამუდამოდ დაგვავიწყოს თავისი სახელი.

ასეც მოხდა. ავთომ ორი დღის შემდეგ კვლავ დარეკა და სალომემ ისეთი დღე აყარა, მას შემდეგ მამაკაცს სურვილი არ გასჩენია, ყოფილ ცოლს შეხმიანებოდა.

ვაკო თითქმის ყოველდღე მოდიოდა მარინას სახლში, როგორც კი თავისუფალი დრო გამოუჩნდებოდა, მაშინვე სალის სანახავად მოეშურებოდა. ხან სად დაეხეტებოდნენ, ხან სად — ფეხით, მანქანით... რამდენჯერმე ღამითაც დარჩა მათთან, სწორედ იმ ოთახში, რომელიც სტუმრებისთვის იყო განკუთვნილი...

ეს ყველაზე ბედნიერი დღეები იყო სალის ცხოვრებაში.

მალე მარინას მეგობრის ქალიშვილიც ჩამოვიდა. გამხდარი და აწოწილი ნინი მოზარდ ბიჭს უფრო ჰგავდა, ვიდრე გოგონას. წითური, მოკლედ შეკრეჭილი თმა ჰქონდა, რაც საერთოდ არ უხდებოდა. ვიწრო სახე, კეხიანი ცხვირი, თხელი ტუჩები — რომ არა თვალები, ერთ შტერ გოგონად მიიჩნევდა კაცი. თვალები კი მართლაც გამაოგნებლად ლამაზი ჰქონდა — დიდრონი, ნაცრისფერი, წყლიანი...

— ვაი, მგონი, ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს! — შესძახა სალიმ, ნინი რომ დაინახა.

— არ გადამრიო, საიდან? — მარინა გაოცდა.

— ხათუნას დეიდაშვილია, ონაშვილის... როგორ ხარ, პატარავ? ხათო რას შვრება, როგორ არის? სკოლის შემდეგ თვალით არ მინახავს.

— რომელი ხათუნა, სალომე, რატომ ვერ ვიხსენებ? — ცნობისმოყვარედ შეხედა მამიდამ ძმისშვილს.

— ჩემი კლასელის, შენ არ იცნობ. ბოლო წელს გადმოვიდა ჩვენთან.

— მართლა? არ გადამრიო! ნინის დედა და მეც კლასელები ვიყავით.

— ვიცი, ხომ მითხარი. ნინი, მიცანი?

— დიახ, როგორ არა. ხათუნა ხშირად გახსენებს. არ დამავიწყდება, ღამეებს რომ ათენებდით ჭორაობაში. ხათო საბერძნეთშია, იქ გათხოვდა და არის, რა, — გაიცინა ნინიმ.

— რამხელა გაზრდილხარ, ქუჩაში რომ შემხვედროდი, ვერ გიცნობდი, — სალი გოგონას გადაეხვია.

— აჰა, გასახსენებელიც ბევრი გქონიათ, რაღა გიჭირთ აწი! — შესძახა მარინამ. — ახლა თქვენ შეგიძლიათ იჭორაოთ.

სალიმ ირონიულად აწკიპა წარბები. ეს ბავშვი მაშინაც ნერვებს უშლიდა, როცა მის დეიდაშვილთან მეგობრობდა. იმდენად თავხედი და ცნობისმოყვარე იყო, გოგონებს ლაპარაკს არ აცლიდა, მაგრამ რაღას იზამდა. სხვა თუ არაფერი, მამიდის ხათრით მაინც მოუწევდა თავაზიანობის გამოჩენა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მარი ჯაფარიძე

კარგა ხანს სდია ქალმა ირაკლის მანქანას, მაგრამ შემდეგ თვალსაწიერიდან დაეკარგა. დიღმის ტრასაზე, ერთგან მარცხნივაა გადასახვევი. გზა დაუსახლებელი ადგილისკენ მიემართება. პატარა მინდორზე მხოლოდ ძველი შენობების ნანგრევებია. გუმანით მიხვდა, რომ ირაკლის სწორედ იქ შეიძლებოდა, გადაეხვია და თვითონაც გზიდან გადავიდა.

არ შემცდარა. ნახევრად ჩამონგრეული შენობის ძირში ირაკლის მანქანა იდგა. ქალი იმ დროს წაადგა თავზე, როდესაც მამაკაცი მანქანიდან გონს მოსული გოდერძის გადმოთრევას ლამობდა, ის კი წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდა და თან არაადამიანურად „ბღუოდა“. ანა მამაკაცს წამოეშველა და გოდერძი მიწაზე დააგდეს. ირაკლიმ ხელები გაუხსნა თუ არა, ყბაში მაშინვე მოსდო მუშტი. გოდერძი წაბარბაცდა, მაგრამ თავის შეკავება შეძლო. თვითონაც მოიქნია ხელი, მაგრამ რაღაცნაირად, უმწეოდ გამოუვიდა და ირაკლისგან მომდევნო დარტყმა მიიღო. კარგა ხანს გაგრძელდა მათი ჩხუბი. ირაკლი აშკარად ჯობნიდა და ანას შეეშინდა, მამაკაცი ხელში არ შემოჰკვდომოდა. მათი გაშველება სცადა, მაგრამ გოდერძის მუშტი ფერდში მოხვდა და ტკივილისგან წელში მოიხარა. ამის გამო ირაკლი უფრო გახელდა. მოწინააღმდეგე ძირს დასცა და ზედ შემოაჯდა. ანამ დროულად მოახერხა მისი გონზე მოყვანა, თორემ უეჭველად დაახრჩობდა, ისეთი ძალით უჭერდა თითებს ყელზე.

გოდერძი კარგა ხანს ხროტინებდა. ვიდრე არ დარწმუნდნენ, რომ ცოცხალი გადარჩა, მანამდე არ წამოვიდნენ. შემდეგ ირაკლიმ ტანისამოსი ჩამოიფერთხა, მაგრამ დახეულ პერანგს ვერაფერი მოუხერხა და გაიხადა. ასე შიშვლად მიუჯდა საჭეს.

— აღარ გაბედო ანასთან და მის ოჯახთან მიკარება, თორემ მერე ვერაფერი გიშველის, იცოდე, — ღია ფანჯრიდან გასძახა გულაღმა გაშხლართულ მამაკაცს, რომელიც გვერდზე გადაბრუნებას ამაოდ ცდილობდა, და მანქანა დაძრა. ანა მორჩილად მიჰყვა უკან.

როგორც იქნა, ირაკლის სახლამდე მიაღწიეს. ანა ღელავდა იმის გამო, რომ მამაკაცს ცხვირიდან სისხლი მოსდიოდა, ტუჩიც გახეთქილი ჰქონდა და წარბიც.

ჭრილობები მოჰბანა, იოდის ხსნარით დაუმუშავა და დოლბანდიც შემოახვია.

— კიდევ კარგი, გასაკერი არ გაგიხდა, — უთხრა ირაკლის, როცა საქმეს მორჩა და მამაკაცი შორიდან შეათვალიერა.

სიცილი აუტყდა.

ირაკლიმ სარკეში ჩაიხედა და თვითონაც თავი ვერ შეიკავა. ორივენი გულიანად იცინოდნენ. მართლაც სასაცილოდ გამოიყურებოდა, სახეზე ოთხგან ჰქონდა დოლბანდი დაკრული და „სანტავიკით“ „დაწებებული“. „სანტავიკს“ მისი ცალი წარბი მაღლა აეზიდა და გაოცებულ იერს აძლევდა.

— რა უნდა გექნა, მე რომ არ ვყოფილიყავი იქ? კიდევ კარგი, ღმერთმა ჩაგაგონა და დახმარებისთვის ჩემთან მოგიყვანა.

— უჰ, ძალიან დამეხმარე, — გაიცინა ქალმა. მაგას ხომ მეც მოვახერხებდი?

— რას მოახერხებდი, გოგო, შენ დასატენი იარაღის გამოყენება იცი მარტო.

— აბა, აბა, საწყალი ანა, სულ ტყვიების გარეშე არ დადის?! ისე, რომ გვიჩივლოს, რას იზამ?

— ყურებზე ხახვი არ დაგვაჭრას!

— არაა გამორიცხული, მაგრამ შესაძლოა, იმან შეაჩეროს, რომ შანტაჟს გვიწყობდა თავად.

— ახლა შენ დაისვენე, მე კი წავალ, იკა, კარგი?

— ასე, ინვალიდს მიმატოვებ? — მამაკაცმა გატეხილ წარბზე ხელი მიიდო.

— არ მოკვდები, ნუ გეშინია, როდის იყო, ძაღლი კოჭლობით კვდებოდა?

— ეჰ, მე ხომ პატრონი არ მყავს, — ამოიოხრა ირაკლიმ, მაგრამ ქალმა არ შეიცოდა. დაბინტული ადგილები დაუკოცნა.

— რადგან გაკოცე, მალე მოგირჩება. უნდა წავიდე. ხვალ რამაზი ჩამოდის, ანას წაიყვანს და დღეს შინ აუცილებლად უნდა მივიდე. შვილთან ყოფნის ბედნიერებას ვერ მოვიკლებ, ის კი არა, გარეთ, საქმეზე რომ მიწევს გამოსვლა, იმაზეც გული მწყდება.

— კარგი, ანა, — ირაკლიმ თმაზე ხელი გადაუსვა და ბავშვივით მოეფერა.

ორმა კვირამ თვალის დახამხამებაში გაირბინა და სკოლაში წასვლის დრო მოვიდა. ანამ იმდენი ქნა, რომ რამაზს გოგონა იმ სკოლაში გადააყვანინა, სადაც ბელას უნდა ევლო.

— გოგონები ერთმანეთს შეეჩვივნენ, ტოლები არიან და ერთ კლასში იქნებიან. ორივეს ყურადღებას მივაქცევ, დამიჯერე, ასე ჯობია, — უმტკიცებდა მამაკაცს.

— კი, მაგრამ შენ გადმოიყვანე ბელა ანას სკოლაში, არ მინდა, რომ მასწავლებლები და მეგობრები გამოიცვალოს, — ეწინააღმდეგებოდა რამაზი.

— იცი, ბელამ აუცილებლად უნდა იაროს იმ სკოლაში, საამისო მიზეზი გვაქვს. დამიჯერე, რამაზ, ცუდს არ გირჩევ.

— კარგი, გენდობი, — ანამ თავისი გაიტანა.

— დე, რატომ უნდა ვიარო მაინცდამაინც იმ სკოლაში? — ჰკითხა ბელამ, როდესაც მარტო დარჩნენ.

— იმიტომ, რომ შენ ადრე იქ დადიოდი. მინდა, შენმა მეგობრებმა ნახონ, როგორ შეიცვალე. გახსოვს, მითხარი, ბავშვები დამცინოდნენ და სხვადასხვა, დამამცირებელ მეტსახელს მეძახდნენო?

— კი, — თავი დაუქნია ბავშვმა.

— ჰოდა, ახლა რევანშის დრო მოვიდა. შენ უნდა აჩვენო მათ, რომ ნიჭიერი და კარგი გოგო ხარ. პირობა უნდა მომცე, რომ არ შემარცხვენ და კარგად ისწავლი.

— მასწავლებელმა ხომ გითხრა, სულ ცოტა ხანში წამოეწევა თავის ტოლებსო? — ცხვირზე ხელი გაისვა ბელამ.

— კი, მაგრამ ეგ საკმარისი არაა. უფრო კარგად უნდა ისწავლო და მარტო რეპეტიტორმა კი არა, სკოლის მასწავლებლებმაც იგივე უნდა მითხრან და ყველა უნდა გააოცო შენი შესაძლებლობებით.

ბელამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და ამაყად გაჰყვა ქალს გვერდით.

მცირე ასაკის მიუხედვად, ბავშვი გრძნობდა, რომ ახალი ცხოვრება დაიწყო, იცოდა, რომ ანასთვის არ უნდა ეღალატა და საამისოდ ყველაფერს გააკეთებდა.

პირველ დღეს ანამ ორივე გოგონა ერთად მიიყვანა სკოლაში. გული სიხარულით ჰქონდა სავსე, რადგან საკუთარი შვილი პირველად მიიყვანა და პირველად მიეცა საშუალება, ნამდვილი, დედობრივი მზრუნველობა გამოეჩინა. ორივე გოგონას სასკოლო ტანისამოსიც თვითონ შეურჩია. ბავშ-



ვები ხელიხელჩაკიდებული შევიდნენ კლასში, ანამ კი დირექტორის კაბინეტს მიაშურა.

მიუხედავად იმისა, რომ იმ დღეს დირექტორს უამრავი საქმე ჰქონდა, ანას რამდენიმე წუთი მაინც დაუთმო.

— თქვენ ბელას კარგად იცნობთ და ისიც მოგეხსენებათ, რომ გოგონას რთული ბავშვობა ჰქონდა. ის ახლა მთლიანად შეიცვალა. მინდა, ყურადღება მიაქციოთ, რომ ბავშვებმა არ დაჩაგრონ. თუ გნებავთ, საამისოდ მშობელთა კრება მოიწვიეთ და სთხოვეთ მათ, რომ შვილები დაარიგონ. ან თუ გნებავთ, მე თავად ვთხოვ მათ. თუ შევნიშნავ, რომ ბავშვს უჭირს ძველ კლასელებთან შეგუება, სხვაგან გადავიყვან. ეს კი თქვენ ხელს არ მოგცემთ, რადგან მე სკოლისთვის ბევრის გაკეთება შემიძლია და გვერდით დაგიდგებით.

— ქალბატონო ანა, როგორც თქვენ გნებავთ, ყველაფერი ისე იქნება. ბელას არავინ გააბრაზებს. საამისოდ ყველა ღონეს ვიხმარ.

— ძალიან დამავალებთ. რაც შეეხება ბელას კლასში მეორე ახალ გოგონას, ის ჩემი უახლოესი მეგობრის შვილია და მასზეც იგივე მოთხოვნები ვრცელდება. თუმცა, ის დედას ჰგავს და თავს არავის დააჩაგვრინებს. იმედი მაქვს, რომ თუ დასჭირდება, ბელასაც გვერდით დაუდგება. კარგად ბრძანდებოდეთ, შეწუხებისთვის ბოდიშს გიხდით, დროის დათმობისთვის — მადლობას, — ანამ დირექტორს ხელი ჩამოართვა და კაბინეტი დატოვა. გოგონების საკლასო ოთახში გასაღების ჭუჭრუტანიდან შეიხედა და ერთ მერხზე მსხდომ ბავშვებს თვალი სიყვარულით შეავლო.

სკოლიდან გამოსულმა საბლიანის ტელეფონის ნომერი აკრიბა.

— გისმენ, საყვარელო, — ყურმილში მამაკაცის ალერსიანი ხმა გაისმა.

— როგორ ხარ? მოგენატრე ალბათ, — ქალმა კეკლუცად გაიცინა.

— ძალიან. ჩვენი ბოლო შეხვედრის შემდეგ მთელი 2 დღე გავიდა. ანა, დღეს განახავ? — ლამის დადნა ვახო.

— არ ვიცი, მოვიფიქრებ, — კეკლუცობდა ქალი.

— საღამოს დაგირეკავ, — შეჰპირდა საბლიანი.

საღამოს კი ისეთ დროს დაურეკა, როცა ანა ირაკლისთან და რამდენიმე მეგობართან ერთად ქალაქგარეთ, რესტორანში იმყოფებოდა. ვახოს ზარს უპასუხა, მაგრამ სუფრიდან წამოდგა და გარეთ გავიდა.

კარგა ხანს ილაპარაკეს, ქალი ბოდიშს უხდიდა იმის გამო, რომ მეგობრის დაბადების დღეზე იყო და მასთან შეხვედრას ვერ ახერხებდა... როგორც იქნა, დაემშვიდობა და ის იყო, შემობრუნდა, რომ ირაკლის გაბრაზებულ სახეს გადააწყდა.

— უი, შენც აქ ხარ? — უხერხულად ჩაილაპარაკა ქალმა, უფრო იმიტომ, რომ სათქმელი სხვა არაფერი ჰქონდა.

— დიახ და სიტყვასიტყვით მოვისმინე შენი ლაპარაკი! — ირაკლის ტონი ბრძანებას გამოხატავდა. მამაკაცს კონკრეტულად სიტყვა არ დასცდენია, მაგრამ ქალს მიმიკითა და ტონით აშკარად უბრძანებდა, ყველაფერი დაწვრილებით მოეყოლა და აეხსნა, რას ნიშნავდა მისი საქციელი.

— არაფრის ახსნას არ ვაპირებ, — თავი ჯიუტად გააქნია ანამ. გადაწყვიტა, ტყუილი არ ეთქვა.

— რას ნიშნავს, „ახსნას არ ვაპირებ?“ თავს ვალდებულად არ მიიჩნევ, რომ საქმის კურსში ჩამაყენო?

— არა, არ მივიჩნევ, რადგან ეს ჩემი პირადი საქმეა და ამაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. დრო მოვა და ყველაფერს გაიგებ. ახლა კი ჩემს აქ დარჩენას აზრი არ აქვს, მაინც უნდა ჩამაშხამო საღამო და ჯობია, წავიდე. შენ კი დარჩი. ერთ რამეს გეტყვი: იცოდე, რომ არასოდეს გიღალატებ... გულშიც არ გაივლო, რომ შეიძლება, ვინმეს შევხვდე და მასთან სექსი მქონდეს. ამას გულახდილად გეუბნები და ახლა გინდ დაიჯერე, გინდ — არა.

ანა ირაკლის პასუხს არ დალოდებია, ისე წავიდა. აღარც შეუხედავს მისთვის. მამაკაცი გამშრალი დატოვა.

მთელი საღამო მობილური გამორთული ჰქონდა და თავის ოთახში ჩაკეტილი, ბალიშში თავჩარგული ტიროდა.

როგორც სჩვეოდა, ღამე მიღებული გადაწყვეტილება დილით სისრულეში მოიყვანა. უთენია ადგა და სვანეთისკენ ისე გასწია, არავინ ჩაუყენებია საქმის კურსში. დედას დაუბარა, რამდენიმე დღე ქალაქიდან გავდივარ და თუ ტელეფონი გამორთული მექნება, არ ინერვიულოთ, მე თვითონ დაგირეკავთო.

ციცოს წინააღმდეგობის გაწევაც არ უცდია. იცოდა, უშედეგო იყო ანასთან ბრძოლა და მისთვის გადაწყვეტილების შეცვლა. ანას სვანეთმა გუნება გამოუკეთა. ჯერ გოჩას სოფელში შეიარა. იმ სახლს მიადგა, სადაც ერთი წლის განმავლობაში, ქმარზე მგლოვიარე, განდეგილივით ცხოვრობდა. თითოეულმა დღემ თვალწინ გაურბინა. გოჩასთან დაკავშირებით მოგონებები აეშალა და საბლიანზე შურისძიების სურვილით უფრო მეტად აივსო. გოჩას სახლის ყველა ოთახი ფეხდაფეხ მოიარა. თითქოს გარდაცვლილ მეუღლეს დაეძებდა.

„ნეტავ, მისი ერთი ნივთი მაინც მაპოვნინა, სამახსოვროდ წავიღებ. ადრე ამაზე არ მიფიქრია. მეგონა, რომ მის დავიწყებას ვერასოდეს მოვახერხებდი, მაგრამ დრო მართლაც ყველაფრის მკურნალი ყოფილა. ვგრძნობ, რომ შესაძლოა, რამდენიმე წლის შემდეგ უკვე ძალზე იშვიათად გამახსენდეს. ჯობია, მის სახსოვრად რაიმე ნივთი წავიღო, — ქალი ოთახიდან ოთახში გადიოდა, მაგრამ ისეთს ვერაფერს წააწყდა, რასაც შინ წაიღებდა, — ის კი არა და, იმასაც ვნანობ, ფიცი რომ დავდე, შურს ვიძიებ-მეთქი. არა, შიშმა არ დამრია ხელი. ანას გამოჩენამ შემაცვლევინა აზრი, მაგრამ ახლა უკვე გვიანია. რაც ვთქვი, ის უნდა გავაკეთო კიდეც“, — ფიქრობდა ქალი და სხვენში მიმავალ კიბეს ისე აუყვა, რომ არც დაფიქრებულა. როდესაც სიბნელეში ვერაფერი დაინახა, მაშინ გააცნობიერა, რომ სხვენზე იყო.

„ძალიანაც კარგი, იქნებ აქ მაინც ვნახო, რასაც დავეძებ“, — გაიფიქრა და კუთხეში მიდგმულ სკივრს დაეჭიდა, რომ ერთ მხარეს დატანებულ, პატარა სარკმელთან მიეთრია და სინათლის შუქზე მისი შიგთავსი ენახა.

სკივრიდან ერთმანეთის მიყოლებით ამოალაგა ძველი ტანისამოსი, გახუნებული, ალაგ-ალაგ დახეული ქოლგა, ჩრჩილისგან შეჭმული სვანური ქუდები, რომლებიც ალბათ გოჩას ბაბუის კუთვნილება გახლდათ და „ასაკით“ 150 წლის მაინც იქნებოდა... სკივრის ძირში მოზრდილი, ქაღალდის კონვერტი იდო, რომელშიც

გაყვითლებული სურათები და წერილები ელაგა. ზოგიერთი წერილი 1800-ანი წლებით იყო დათარიღებული. ანამ გულდასმით გადაიკითხა ყველა მათგანი და ცოტა ხნით წარსულში გადაინაცვლა. ჩვეულებრივი, არაფრისმთქმელი წერილები იყო — შორს მყოფი ნათესავები ერთმანეთის ამბავს კითხულობდნენ და ცხოვრებაში მომხდარ სიახლეებს უყვებოდნენ. უეცრად, მზერა ნაცნობ ხელწერას მისწვდა. ანას გააჟრჟოლა და ცივმა ოფლმა დაასხა... ხელში არაბულ ენაზე დაწერილი ფურცელი ეჭირა. უკვე ცხადი იყო, რომ ეს იმ სამფურცლიანი ჯადოს შუა ფურცელი იყო, რომელსაც ამდენი ხნის განმავლობაში ამაოდ ეძებდა. მოულოდნელობისა და შიშისგან ფურცელი ხელიდან გააგდო.

„გმადლობ, ღმერთო“, — აღმოხდა ქალს და პირჯვარი გადაისახა. ცრემლები თავისით ჩამოუგორდა. ცახცახებდა და თავს ვერ იოკებდა.

„აი, თურმე ვისი მოწყობილი ყოფილა ეს ოინი. როგორც ჩანს, ჯადოსთვის გოჩას დედამ გამწირა, მაგრამ საქმე ისაა, როდის გააკეთა ეს. გოჩას სიკვდილამდე თუ მას მერე? ალბათ გოჩას სიკვდილამდე, რადგან რძლად არ ვუნდოდი. როგორც ჩანს, ჩვენი დაშორება გადაწყვიტა და დაგვაშორა კიდეც, მაგრამ მხოლოდ სიკვდილის „წყალობით“, ბედმა კი სწორედ ქალბატონი თინათინი დასაჯა და შვილის სიკვდილით გაამწარა, ასეთი უღმერთო საქციელის გამო“...

ანამ ყველაფერი ასე დატოვა. ნივთების სკივრში ჩალაგებაზე აღარ უზრუნია. მხოლოდ საჭირო ფურცელი ჩადო ცელოფანის პარკში და მანქანის „ბარდაჩოკში“, იარაღთან ერთად საიმედოდ ჩაკეტა. სჯეროდა, რომ სწორედ ამ ჯადოს მოხსნაზე იყო მისი შემდგომი ცხოვრება დამოკიდებული. მოლამ ხომ უთხრა, თუ მესამე ფურცელს იპოვი, მოდი და ჯადოს მოვხსნიო? რატომ არ გაანადგურა თინათინმა ეს ფურცელი? ნუთუ საბოლოოდ არ გაწირა?

ანამ გადაწყვიტა, რომ თბილისში დაბრუნებისთანავე მიაკითხავდა თინათინს და ამ საქციელის გამო პასუხსაც მოსთხოვდა.

გოჩას სახლის კარი დაღვრემილმა გამოიხურა. ამჯერად დარწმუნებული იყო, აქ უკანასკნელად იყო მოსული და აღარასოდეს დაბრუნდებოდა.

თავისი სახლი გაუკაცურებული დახვდა. ეზოსაც ეტყობოდა, რომ იქ დიდი ხნის განმავლობაში არავინ ყოფილა. ანას გული დასწყდა, მაგრამ ამის მიუხედავად, დედას იქ საცხოვრებლად ვერ გამოუშვებდა და მარტოობისთვის ვერ გაიმეტებდა.

ღამე მურთაზის ოჯახში გაატარა. ბიძაშვილის ცოლს მისი დანახვა გაუხარდა. მთელი ღამე ლაპარაკში გაათენეს. რძალს ყველაფერი აინტერესებდა, რაც ანასთან და მის შვილთან იყო დაკავშირებული და რაშიც მის ქმარს დიდი „ამაგი“ ჰქონდა. თან ქმარზე ბრაზობდა, რომ საკუთარი ბიძაშვილი ასეთ დღეში ჩააგდო, თან ტიროდა და ხანდახან ანას გადაეხვეოდა ხოლმე და ქმრის მაგივრად პატიებას სთხოვდა.

ქალებმა გამთენიისას დაიძინეს, მაგრამ ანა ადრე ადგა. აივანზე გასულმა თვალი ვერ მოსწყვიტა მწვანედ მობიბინე ბალახზე, ამომავალი მზის სხივებისგან მბრწყინავ ნამს. ბალახის ღეროებზე პატარა ბურთულებად იყო „დალაგებული“ ნამი და ჯადოსნურად ბრწყინავდა. ქოში აივანზე დატოვა, კიბე ფეხშიშველმა ჩაიარა და ბალახზე დადგა. ესიამოვნა სიგრილე...

„ოდესღაც აუცილებლად დავბრუნდები სვანეთში საცხოვრებლად“, — გაიფიქრა ქალმა და გული დასწყდა, რომ ეს ბედნიერება ხანმოკლე იყო და სულ რამდენიმე დღეს გასტანდა. შესცივდა. თბილისში იმ დროს შემოდგომის სიცხე იქნებოდა, მაგრამ მთაში უკვე ციოდა. ანას ფეხები გაეყინა და ოთახში შევიდა. რძალს უზარმაზარი, სვანური ღუმელი გაეხურებინა და კუბდარს აცხობდა. ანამ იქვე, კედელზე მიჭედებულ ლურსმანზე ჩამოკონწიალებული შალი ჩამოხსნა და მხრებზე მოიხურა. შალს უმი რძის, ბალახის, ნაკელის სუნი ასდიოდა, მაგრამ ეს სუნიც კი ესიამოვნა...

საუზმის შემდეგ კი ეკლესიისკენ მიმავალ გზას გაუყვა. მანანა თან არ იახლა. ბოდიში მოუხადა და გაყოლაზე უარი უთხრა — მამაოსთან კონფიდენციალური საუბარი მაქვს, ნუ გეწყინება, მაგრამ მარტო წავალო.

მანქანა ეზოში დატოვა. ეკლესია საკმაოდ შორს იყო, ლამის 10 კილომეტრი ჰქონდა გასავლელი, მაგრამ ამას არ შეუშინდა. ფეხზე მოხერხებული ფეხსაცმელი მოირგო, თბილად ჩაიცვა და გზას გაუდგა. ლამის გადავიწყებოდა ეკლესიისკენ მიმავალი გზა. ბევრი რამ იყო შეცვლილი. იქ, სადაც წინათ ბილიკი გადიოდა, ახლა შარაგზა იყო, სადაც შარაგზა ახსოვდა, იქ ასფალტი დაეგოთ... შუადღე გადასული იყო, როცა ტაძარი გამოჩნდა...

მამაოს ძალიან გაუკვირდა მისი დანახვა. ანა ჯერ ხელზე ემთხვია მოძღვარს, შემდეგ — გადაკოცნა.

— როგორ ხარ, ქალო? — ასე იცოდა მამაომ მიმართვა.

— არა მიშავს, ღვთის წყალობით კარგად ვარ.

— წამოდი, ეზოში დავსხდეთ, შენი ამბები მომიყევი, — მამაომ ხელით კარისკენ ანიშნა და კრიალოსანის დამარცვლა განაგრძო.

ტაძრიდან გავიდნენ და ეზოში, მორზე ჩამოსხდნენ.

მომდევნო რამდენიმე საათის განმავლობაში ანა დაწვრილებით ჰყვებოდა თავის ამბებს — ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ თავს გადახდენილ ყველა წვრილმანს. არ უნდოდა, რაიმე გამორჩენოდა. თითქოს თანდათან იცლებოდა ცუდი შეგრძნებებისგან, ცარიელდებოდა, მის ადგილს კი სიმსუბუქე იკავებდა. ქალი შვებას გრძნობდა. ამის შესახებ მამაოსაც გაუმხილა.

— აი, თურმე რა მჭირდებოდა, გული ამიტომ მქონდა დამძიმებული... მშობლიური კუთხის ნახვამ და თქვენთან გულახდილმა საუბარმა დიდი ტვირთისგან გამათავისუფლა, — უთხრა ბოლოს.

— ანა, მიჭირს იმ საკითხზე საუბრის წამოწყება, რაც ყველაზე მეტად მაინტერესებს.

— მამაო, მოდი, ამ თემაზე ნუ ვილაპარაკებთ. როდესაც აღსარების სათქმელად მოვალ, მაშინ გაიგებთ ყველაფერს.

— მაგრამ შენ სულს იმ ცოდვითაც იმძიმებ, რომ ქორწინების გარეშე ცხოვრობ მამაკაცთან.

— მე მასთან არ ვცხოვრობ.

— მით უმეტეს. რა ჰქვია თქვენს ურთიერთობას ამ ეტაპზე? — მოძღვარმა თვალებში ჩახედა ანას.

— ხალხის აზრს თუ ვიკითხავთ, ალბათ საყვარლები ვართ, მაგრამ ჩვენ ძალიან გვიყვარს...

— მორჩი! — ხელი აღმართა მოძღვარმა. — ეგ აღარ გაიმეორო. „მაგრამ გვიყვარს“ არაფერს ნიშნავს. ჯვარი უნდა დაიწეროთ.

— ახლა, როცა ჯადოს მოხსნა შემიძლია, ხელს არაფერი შეგვიშლის. რამდენიმე საქმე მაქვს ბოლომდე მისაყვანი და აუცილებლად დავიწერთ ჯვარს, — დაჰპირდა ანა.

უკანა გზაზე მსუბუქად მოდიოდა და გულში რაღაც უხაროდა... თუმცა, რამაზის ზარმა გუნება გაუფუჭა.

— ანა, მე და შენ სალაპარაკო გვაქვს, სერიოზულ თემაზე, — უთხრა მამაკაცმა.

— რა ხდება, რამაზ?

— შენებმა მითხრეს, ქალაქში არ არისო. რომ ჩამოხვალ, მაშინ ვილაპარაკოთ, მგონი, თავადაც იცი, რომ ბევრი რამ გვაქვს გასარკვევი. დროებით, — ცივად დაემშვიდობა რამაზი და ტელეფონი გათიშა.

ანას გული მოეწურა და ტკივილი იგრძო.

„მორჩა, დამთავრდა! როგორც ჩანს, ეთერმა სიტყვა შეასრულა და რამაზს ყველაფერი უამბო“, — გაიფიქრა ქალმა და იქვე, მოზრდილ ქვაზე ჩამოჯდა. გზის გაგრძელება ვერ შეძლო.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მარი ჯაფარიძე

მოგესალმებით, როგორ ხართ? იმედია, მალე „მოხუთშაბათდა“ და დიდი ხნით არ მოიწყინეთ. ამ კვირაში საინტერესო ამბები მოვიდა. მგონი, შეეჩვიეთ უთემობას, არა?.. დარწმუნებული ვარ, მოსაყოლი არ გამოგელევათ. ახლა იმის შესახებ, რომ ზოგიერთი მკითხველი საკმაოდ უხერხულ კითხვებს მისვამს. მაპატიეთ, მაგრამ სხვისი საიდუმლოს გათქმა არ შემიძლია. მესმის თქვენი, როცა მეუბნებით, არავის ვეტყვი, უბრალოდ, ჩემთვის მაინტერესებსო, მაგრამ არ შემიძლია თქმა და რა ვქნა?! არ ვიქნები მართალი ზოგიერთ მკითხველთან. ასე რომ, ნუ ჩამაყენებთ უხერხულ მდგომარეობაში და შეეცადეთ, თქვენთვის საინტერესო ინფორმაცია უჩემოდ მოიძიოთ. ახლა კი თქვენს მესიჯებს გავეცნოთ.

აჩრდილები და „იდი პროჩა“

„მის დაბნეულობა“

„კონკურსი „მის დაბნეულობა“ რომ არსებობდეს, მაკას გვირგვინი და პრემია ერთდროულად ეკუთვნის. მხოლოდ მას შეუძლია პაემანზე წასვლა, ბანკომატიდან პლასტიკური ბარათის გამოღება და ცალ ხელზე მანიკიურის წასმა დაავიწყდეს. ამას წინათ, მისი დახმარება დამჭირდა, მისსავე საქმეში. საფრანგეთის საელჩოში ჯგუფელების ნამუშევრები მქონდა წაღებული და აღმოჩნდა, რომ მაკას მონაცემებს სიზუსტე აკლდა. სასწრაფოდ დავურეკე და ვუთხარი, ამბასადორთან (ელჩთან) ვარ და მალე მოდი-მეთქი. სიტყვა ფრანგულად ვთქვი და მეგონა, მისთვის გასაგები იყო. 10 წუთში მანდ ვარო. ნახევარი საათის მერე ევროპულად შეკაზმოთდი და დავურეკე. დედამისმა მიპასუხა, შენს სანახავად წამოვიდა და სიჩქარეში მობილური შინ დარჩაო (თორემ „სინელეში“ სულ თან აქვს, რა). კარგა ხნის ლოდინის მერე, მაკაზე გაცეცხლებული წამოვედი და სახლში მისულს მირეკავს ქალბატონი. საყვედურებით ამავსო, ამ სიცხეში რას დამაყენე ამბასადორთანო?! უკვე გადარევას ვაპირებდი, რომ საეჭვო აზრმა გამკრა თავში. სად მელოდებოდი-მეთქი? — ვკითხე. სად და „ბერიკების“ მხარესო. აბა, რაღა მეთქვა? სიცილის გარდა, რა დამრჩენოდა? ალბათ მიხვდით, რომ ეს ჩემი „მის დაბნეულობა“ სასტუმრო „ამბასადორთან“ იდგა მთელი საათი. :) პარიუანკა“.

აჩრდილი

„წლების წინ, ჩემს ნათესავს ავარიაში 20 წლის გოგონა დაეღუპა. როგორც წესი, მიცვალებულს პატივი მიაგეს. ერთ დღეს გოგონას ოთახში მამამისი შევიდა და ტირილი დაიწყო. უცებ დაინახა, რომ ჭერიდან რაღაც ჩრდილი დაეშვა და შვილი გამოეცხადა. უთხრა, — მამა, არ დაიყვირო, თორემ ველარ მნახავო, — მაგრამ კაცს ისე შეეშინდა, რომ დაიყვირა და სულიც გაქრა. ამის შემდეგ მისი საწოლის თავზე წმინდა ნინოს და წმინდა ნიკოლოზის ხატები ერთმანეთს ცვლიდნენ. ამ ამბით ყველა გაოცებული იყო. იმ პერიოდში დასავლეთში დიდი მიწისძვრა მოხდა და ეს სახლიც დაინგრა. თუმცა გადარჩა კედელი, — ის კედელი, რომელზეც წმინდა ნინოს და წმინდა ნიკოლოზის ხატები გამოეცხადებოდნენ ხოლმე. ჰო, სულ დამავიწყდა, ამ გოგონას ნინო ერქვა. დასავლეთში ეს ამბავი ალბათ ყველას ახსოვს. დიდია უფლის ძალა. ლა-ლოლა“.

უხილავი სტუმარი

„ერთ-ერთ ბინაში მე და ჩემი დაქალი ვცხოვრობდით ქირით. თავიდან ყველაფერი ჩვეულებრივად იყო. ვმუშაობდი, მოვიდოდი და ვიძინებდი. ყველაფერი კი ისე უცნაურად დაიწყო, ახლა რომ მახსენდება, უფრო მეშინია. ერთ საღამოს, დაღლილმა შხაპი მივიღე და ის იყო, დაძინებას ვაპირებდი, რომ ჩემ გვერდით აშკარად ვიგრძენი ცივი სუნთქვა და იატაკის ჭრაჭუნი. გავშრი. ხმა გაჩერდა. თავი დავირწმუნე, მომეჩვენა-მეთქი. დილით რკინის კარი ღია დაგვხვდა. არადა, ვიცი, ჩავკეტე. ვიფიქრე, ესეც დამავიწყდა-მეთქი. 2-3 დღე გავიდა და როცა უკვე აღარც მახსოვდა, დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო?! გავივლიდით და გვერდზე ჭრაჭუნით მოგვყვებოდა ხმა. სააბაზანოში გვხვდებოდა გუბე. არადა, გამორიცხული იყო, იქ წყალი დაღვრილიყო. კარი გვხვდებოდა ღია. თან, ასჯერ ვამოწმებდით. ბოლოს კი დავრწმუნდით, რომ ჩვენ გარდა კიდევ სხვა, უხილავი ცხოვრობდა. ბოლო „კაპიკებით“ 2 კგ კარტოფილი ვიყიდე. ამის მეტი არაფერი გვქონდა. ძალიან გვშიოდა და როცა შესანვავად მივედით, სადღა იყო? გაქრა! აი, მაშინ მართლა შემეშინდა და ნამდვილად ვიგრძენი, როგორ იდგა ჩვენთან. შეშინებულებმა შუქი დავტოვეთ და მთელი ღამე გავათენეთ. კიდევ ვცდილობდით, არ დაგვეჯერებინა ეს, რაღაც ახსნას ვუძებნიდით, რომ ამ დროს სამზარეულოდან ლეწვა-მტვრევის ხმა გავიგონეთ. გავცვივდით და ყველაფერი თავის ადგილზე იყო. იქიდან მალევე წამოვედით. ასე, ტექნიკურად გამოგვყარეს. ჩემი ნიკი იკნება ჰიოპომსა“.

ლამაზი მოგონება

მინდა, ყველას ვუსურვო ლამაზი სიყვარული და ერთი ამბავი მოგითხროთ: ნამდვილი ამბავი, მოხუცი კაცისა. ისე შევიდა ასაკში, მისთვის სიყვარული ღალატის, ორგულობის, მარტოობის ტოლფასი იყო. ცხოვრობდა მარტო, მის ირგვლივ წყვდიადს და ტკივილს დაედო ბინა. მისი ლექსებიც უიღბლო სიყვარულზე „ღიღინებდნენ“. ღმერთმა ისმინა თითქოს, დაუამა ტკივილი და სიყვარულის ანგელოზი მოუვლინა. გაიცნო 15 წლით პატარა, ლამაზი, სიცოცხლით სავსე, ნაზი და თბილი, მშვენიერი გოგო. დრო გადიოდა. მალე სიყვარულშიც გამოუტყდა. დაიწყო ლამაზი სიყვარულის, ბედნიერი დღეები. დაიჯერა და იწამა ნამდვილი სიყვარული. მისთვის ცოცხლობდა, ათას სიგიჟეს ჩაიდენდა მისთვის. ბავშვივით უცემდა გული. როგორც ჩუმად, უთქმელად შემოფრინდა, ისე უთქმელად, ჩუმად გაქრა მისი ცხოვრებიდან ყველაზე საყვარელი ადამიანი. კვლავ მარტოობა, წყვდიადი, ტკივილი... არ ნანობს, რომ დაიჯერა, რომ მიატოვა. თითქოს ამართლებს კიდეც. ყველა სარკმელში ხედავს მის მოღიმარ სახეს, ლამაზ თვალებს. აცრემლებული, გულდათუთქული ამოიკვნესებს და იტყვის ჩურჩულით: — მადლობა, ძვირფასო, გმადლობ, რომ არსებობ, გმადლობ, რომ მიყვარხარ. მის ოთახს მისი სურათები ამშვენებს. ყველა სურათს „მეტსახელი“ შეარქვა. ყველას თავისებურად უღიმის, ეფერება, ნაზად აკოცებს და ოცნებით მიდის იმ ადგილზე, სადაც პირველად ნახა შორ სარკმელში მოღიმარი, მისი მშვენიერი სახე“.

ცოლ-ქმრის შემრიგებელი

„ჩემს მეზობელს, ელისოს (სოფელში) ესტუმრა თავისი სამშობლოდან, მეზობელი მანანა. ცოტა ვერ არი, რა... აქეთ-იქით დადის, რადგან სახლიდან გამოაგდეს. ელოსაც ცოტა აკლია და... მოკლედ, შეხმატკბილებულები დადიოდნენ. მანანამ აიჩემა, გინდა თუ არა, ჩაი დავლიოთ, „კოფე“ მალე აბერებსო და დღეში სამჯერ მთელი ოჯახი ჩაის სვამს. ელოს დედამთილმა ლამის თავი მოიკლას ეჭვიანობით. საქმე ისაა, რომ მანანა მიშას ეპრანჭება. მანანას მაღლა სძინავს, მიშას კი გარეთ, აივანზე და თუ გულოს უკვე 20 წელია, მიშასთან სარეცელი არ გაუყვია, რაც მანჩო ესტუმრა, ქმარუკასთან იძინებს. მიშა კი ისეთი გაბადრული დადის ყოველდღე, რომ აშკარაა, კმაყოფილია. აბა, რა იქნება? ამ სიბერეში ქალების გაპრანჭვას ეღირსა. მაგრ! მოვლენების განვითარებას ოპერატიულად მოგაწვდით შემდეგ ნომრებში. ლორელაი“.

მარწყვი და წნევა

„დაფიქრებულხართ, რა აკლია ადამიანს ბედნიერებისთვის? მე უამრავჯერ... რა შეიძლება უნდოდეს და არ ჰქონდეს ადამიანს? კომპიუტერი, ფული, სახლი და კიდევ ათასი რამ, მაგრამ წნევაც არ გქონდეს, გაგიგონიათ?! ახლავე აგიხსნით, რაშია საქმე: წინა კვირას შეუძლოდ გავხდი, თავბრუ დამეხვა და გული წამივიდა. „სასწრაფოო!“ — დაიყვირა ჩემმა კეთილისმსურველმა, მაგრამ მე და „სასწრაფო“ ისე ვართ, როგორც ვირი და სარაფანი. ჰოდა, მეზობელს დაუძახეს, მოდი ამ ბედდაქცეულს წნევა გაუზომეო. ისიც, „03“-ზე ადრე მოვიდა დანიშნულების ადგილას და 5-წუთიანი, ხელზე აპარატის „დამონტაჟების“ შემდეგ, დიაგნოზიც დასვა: 180/140. ბალღს მაგხელა წნევა არ ექნებაო, — გამოსტაცა აპარატი ხელიდან კეთილისმსურველმა და იმდენი „ღეჭა“ ხელში აპარატის ბურთულა, მთელი ხელი გამიბუჟდა. მალე, „ცუუუუუო“, აპარატმა და დიაგნოზი №2 — 40/30. ბოლოს აღმოჩნდა, რომ ისეთი დაბალი წნევა მქონდა, არც მესინჯებოდა. უბედო კაცის ბედი რა ვთქვი, თორემ წნევაც ფული ხომ არ ღირს, არა? წამალი გადამაყლაპეს და მიმეძინა (მოგვიანებით გავიგე, ძილის წამალი მოუციათ, რა თქმა უნდა, შეცდომით)... შარშან ზაფხულს მეზობელმა მთხოვა, მარწყვის დაკრეფაში მომეხმარე და ფულს მოგცემ, უკვე დიდი ბიჭი ხარ, გამოიყენებო. მეზობელს უარს ვეტყოდი?! მივეხმარე, რა თქმა უნდა. მერე, მეორე მეზობელ-

მა და ა.შ. ასე ხუმრობა-ხუმრობაში ფულის მოგროვება შევძელი და ხუმრობით შევქმენი კომპანია „მარწყვიდენტი“, რომელიც ხალხს სამუშაოდ ეპატიჟებოდა. ასე ხუმრობა-სიცილ-ხარხარში ეს ნიუსი მთელ სოფელს მოედო. ახლა იტყვით, წნევა და მარწყვი რა კავშირშიაო?! აგიხსნით: ჩემი შარშანდელი კლიენტები დამაცხრნენ თავზე, — წამოიყვანე შენი ბრიგადა და წამოდი სამსახურშიო. ჯერ უწამლოდ ვარ დაქლიავებული და დილის 6 საათზე წამომხტარი, თან წამალგადაყლაპული, ხომ წარმოგიდგენიათ, რა სანახავი ვიქნებოდი?! ჰოდა, დავკარგე კლიენტურა და დავრჩი უხელფასოდ. ვამბობ, უბედო ვარ-მეთქი და ა, ბატონო — „დასტავლენო“. რუისპირი“.

ყოფილი პატიმრის მოგონება

„ერთ ამბავს მოგიყვებით, მაინც არ მეძინება: ეს ამბავი მაშინ მოხდა, საქართველოს ზონებში ჯერ კიდევ „პალაჟენი“ რომ იყო და ყველას მობილური ჰქონდა. ჰოდა, ვწევარ ოთახში უსაქმოდ და ვფიქრობ, დრო როგორ მოვკლა, ვის ვეკაიფო. ჩვენს ბარაკში პირველ სართულზე ექიმების ოთახი იყო. 3 ქალი და 1 კაცი იყო მთელი მედპერსონალი. დილით მოდიოდნენ, წამლებს დაარიგებდნენ და საღამოს მიდიოდნენ. ერთი ჩემი ახლობელი მათი ოთახის გვერდზე ცხოვრობდა. ძაან „გაწელილ-გამოწელილი“ ტიპი იყო და მაგას დავადგი თვალი. დავურეკე და ვეუბნები: მამუკა, ძმურად, „მაგარი“ ცუდად ვარ, ნუ ჩამომიყვან, მანდვე ხარ და შედი ექიმთან და უთხარი, კონტრაცეპცია მოგცეს, მე დილით გამოვართვი და ვუთხარი, რომ შენთვის გინდა, ცუდად ხარ ვითომ, წაეწუწუნე-მეთქი. — რა წამალიაო? — ტკივილგამაყუჩებელიამეთქი. — კარგიო. „კაროჩე“, შესულა და სხედან ექიმები, პირში სიგარეტი, თან 1000 კლდეზე ნაფორთხიალები ტიპები (ერთხელ ფეხი რომ არ დაუცდათ!). შევიდა მამუკაც, გრეხვით და კლაკვნით და ეუბნება: აუ, მუცელი მტკივა, კონტრაცეპცია მომეცითო. ახლა იქ რა ამბავი ატყდებოდა, თქვენ მიხვდით. ზონაში რომ ჩასახვის საწინააღმდეგო აბებს მოითხოვ, თან პატიმრების ყბაში ჩემი მტერი ჩავარდა. დაინახავდნენ ამ საწყალს და, — ფეხმძიმედ ხარ, მამუკაო?! კაი ხანს ელადავებოდნენ. ისე, არ მეგონა თუ „თოხლავდა“, — რეკლამებს მაინც არ უყურებდა?!. მარა მაინც ჩვენი მამუკა იყო და ყველას გვიყვარდა. აბა, დროებით. კბბ“.

როგორ გავხდი „იდიპროჩა“

ეს ამბავი დიდი ხნის წინ მოხდა. სკოლა სოფელში ხუთებზე დავამთავრე. თეატრალური ინსტიტუტის I კურსის სტუდენტი ვარ. ჩემი მეტყველების პედაგოგის, ნინელი ჩიქოვანის წყალობით, ვცხოვრობ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობთან, ცეცილია წუწუნავასთან. ქ-ნ ცეცილიას სადილობის შემდეგ, დივანზე უყვარდა წამოწოლა, მეც იქვე ვიჯექი და წიგნს ვკითხულობდი. რადიოში ოპერა „პიკის ქალს“ გადმოსცემდნენ. ცეცილია მუსიკას აჰყვა და თავისთვის დაიწყო ღიღინი. უეცრად რადიომიმღებიდან მესმის: „იდიი პროოოჩ!“ თავი ავწიე და გაკვირვებულმა, სმენა დავძაბე. კიდევ გაიმეორა: „იდიიი პროოოჩ!“ წამოვხტი გაგიჟებული. ცეცილიას ჩემი რეაქცია არ გამოჰპარვია: — რა იყო, ნენაააა? — ქ-ნო ცეცილია, თქვენთან თბილისში, რადიოდან უცენზურო სიტყვები დასაშვებია-მეთქი? ცეცილიას სიცილი წასკდა, წამოჯდა. აი, აი, კიდევ იმეორებს, არა რცხვენია?!. ცუდი სიტყვა ამხანაგთანაც არ უნდა თქვა, ეს კი რადიოში გაჰკივის, თანაც — სიმღერით-მეთქი. ცეცილია ჩაბჟირდა. რუსულში რომ „ჭ“ არ არის, ყველამ იცის, „ჩ“ უნდა თქვას, აბა, რა! „იდი“ — ვიცით, რომ „წადის“ ნიშნავს, გამოვამჟღავნე ჩემი რუსულის ცოდნა, რატომ იცინით-მეთქი? ერთხელაც ჩაბჟირდა ქალი. მე გაკვირვებული შევყურებდი, ხომ არ გაგიჟდა-მეთქი? შემდეგ სიტყვებს ძლივს მოუხმო და მითარგმნა, რასაც ნიშნავდა, „იდი პროჩ“... საღამოს ქ-ნი ცეცილია თეატრში წავიყვანე. ალბათ იქაც მოჰყვა ეს ამბავი. წამოსაყვანად რომ მივედი, ჩვენი სცენის კორიფეები — გომელაური და კვანტლიანი მომვარდნენ და სიცილი დამაყარეს, — ჩვენი „იდი პროჩა“ მოვიდაო! ადვილი წარმოსადგენია ჩემი მდგომარეობა. ვიდექი, ბავშვივით გაშეშებული... ეს საქმე ასე არ დამთავრებულა: ქ-ნი ცეცილიას ძმა, ალექსანდრე წუწუნავა, რუსეთში განსწავლული, დიდი რეჟისორი იყო. იმჟამად ოპერის თეატრის დირექტორიც გახლდათ და მთავარი რეჟისორიც. კვირაობით მის ოჯახში ვსადილობდით. რუსი ცოლი ჰყავდა, ულამაზესი, თამარა მიხაილოვნა. მოსამსახურეს სუფრა უკვე გაეწყო. ცეცილიამ ახლა ამათ უამბო ოპერის ამბავი. ბატონმა ალექსანდრემ იმდენი იცინა, ცრემლები სდიოდა. ცოტა ხნით გაჩერდებოდა, შემდეგ ისევ აუტყდებოდა სიცილი: ნეტავ, მაშინ მეც იქ ვყოფილიყავი, ამის სახე მენახაო. აი, ასე გავხდი „იდიპროჩა“. ნანი დუმბაძე“.

ბედოვლათი ხელოსნები

„ეს ამბავი თელავში მოხდა, თანაც — კვირიკე დიდის ქუჩაზე (ეს იმისთვის ვთქვი, ვინმეს კიდევ არ შეეპაროს ეჭვი, რომ არც გამოგონილია და არც ანეკდოტია გადაკეთებული). ჩემი დის ნათლიამ გაზი რომ შეიყვანა, შევიდა სამზარეულოში შესამოწმებლად. ასანთს გაჰკრა, გაზის „კამფორა“ გახსნა და — ჰოი, საოცრებავ!.. „კამფორიდან“, ბუნებრივი აირის ნაცვლად, წყალი წამოვიდა. გადაირია გია. გარეთ გამოვიდა უბანში და იდგა გაოცებული სახით. ამ დროს გაიარა მეზობელმა და მიესალმა. გია ეკითხება: ბიჭო, ხომ მიცნობ? — კიო, უპასუხა მეზობელმა. — გიჟი ვარო? — ჰკითხა გიამ. — არა, რა გიჟიო?! — გაეცინა მეზობელს. გიამ მოუყვა, რაც მოხდა. თურმე ნუ იტყვით და, ხელოსანს არევია და გაზის მილის ნაცვლად, წყლის მილი მიუერთა. :) ასეც ხდება თელავში. მის რეალი“.

დაუბრუნებელი ვალი

„მუხიანის მუნიციპალიტეტში, სადაც იურიდიულ პრაქტიკას „ვამხეცებ“, იქაურმა თანამშრომლებმა ადამიანის ფსიქიკაზე დაიწყეს საუბარი და ასეთი ამბავიც „შემოეთქვათ“: ქართლის ერთ-ერთ სოფელში 75 წლის ილიკო გარდაცვლილა. მის პანაშვიდზე იქაური მეზობელი ბიჭი მისულა და დატირების შემდეგ ასეთი რაღაც დაუყოლებია: ილიკო ბიძია, შენთვის ვალი მქონდა დასაბრუნებელი, ვერ მოვასწარი და გივი ბაბუას გამოვატან ერთ-ორ კვირაშიო, — გაუხუმრიასავით. ხუმრობა იქით იყოს და ერთ-ორ კვირაში გივი ბაბუც გარდაცვლილა... მის პანაშვიდზეც მისულა ეს ბიჭი და იქაც უთქვამს, — ილიკოს ვალი მქონდა შენთან გასატანებელი, ვერ მოვასწარი და აგერ, გოგიას გამოვატან, ცოტა ხანში ისიც წამოგეწევათო... ამის გამგები გოგია მართლაც ცუდად გამხდარა და 2 კვირის მერე ძლივს „გამოუტაციათ სამშვიდობოს“... ამ ბიჭისთვის კი კაი ალიყურიც უთავაზებიათ: რა ვალი გაქვს ასეთი, შე შობელძაღლო, პანაშვიდებზე არ დაგინახოთ მოსულიო! იმავ წუთს, ქართულ პრაქტიკას უცხოურიც მოაყოლეს: გერმანიაში გულით დაავადებული კაცი მკურნალობდა კარდიოლოგთან, რომელიც ამ პაციენტს ყოველი ნერვიული შეტევისას ასე ამშვიდებდა: სანამ ცოცხალი ვარ, შენ არაფერი მოგივაო... ცოტა ხანში ეს ექიმი მომკვდარა და იმის ნათქვამის გამო — ჩემი ექიმი მოკვდა და მალე მეც მოვკვდებიო, — ის კაციც მიჰყოლია უკან. ლიმონა-მანიუ“.

■

თქვენთვის საინტერესო თემაზე ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწეროთ ელფოსტაზე:
marorita77@yahoo.com

ფოტო, რომელმაც წარწერა დაკარგა

• „ლამაზი გოგო და მახინჯი მუსიკა“.

• „აი, ნახეთ, რა დღეში ჩამაგდო „კლასიკის“ მოსმენამ?! ჩამომეძინა და დავშავდი“.

• „აუუ, ვგიჟდები ჩემს გარეგნობაზე“.

• „აშკარაა, რომ ჩემს ქმარს ძალიან ვუყვარვარ“.

• „გემზე ნაყიდ მონას ვგავარ“.

• „მუსიკალური რელაქსაცია, მეუღლესთან „მეგობრული გარჩევის“ შემდეგ“.

• „ფლეიტაზე დაკვრა მსხვერპლს მოითხოვს“. მს. მძინარა.

• „ვფიქრობ, უფრო სქელკედლიანი სახლი უნდა ვიყიდო“.

• „ჩვენ ისეთი ცელქები ვართ/ და ისეთი ლაღები,/ ვერ გვიშველის, ჩემო კარგო,/ მაგ მუსიკის ჰანგები“. ლუნა.

• „კი, მარა ამ ჯოხს ინსტრუქცია არ მოჰყვა?“

• „რომ არ უყვართ, იმიტომ მაქვს თვალი ჩალურჯებული. ბაჭია“.

• „ეს მაშინ, როცა ზუსტად იცი, რომ ნაბახუსევზე საყვარელ ქმარს აღაფრთოვანებ, უსაზღვრო ნიჭიერებით“.

• „იმ დღეს რეპეტიცია კორპუსში, ღამე გავიარე“.

• „მირტყით, მირტყით, მე მაინც ჩემსას დავუკრავ“.

• „სტრიპტიზი კლასიკურ მუსიკაზე“.

• „მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებთ, ისიც შინაურიაო“. აჩრდილი.

• „ვინ მიგასიფათა, გენაცვალე?“ კლეოპატრა.

• „მაგ შენს დაკრულზე, ლამაზო, ხედავ, დაყრუვდა ყველა, თვალიც კი გამოგილურჯეს, არ შეეშვები ესლაც? თორემ იცოდე, მაგ ჰანგებს, შეეწირები, კარგო, თვალების დალურჯებასაც, აღარ გაკმარებ, მარტო“.

• „ჰოდა, შეეშვი მოცარტს და ისევ შალახო დაუკარი!“ ბოდიალა.

• „ადრე უყვარდა“.

• „სანამ ქვემოთა მეზობელი ამოვა, მეორე თვალსაც ჩამილურჯებს და კბილს ჩამომიღებს, კიდევ მოვასწრებ დაკვრას“. ჭრიჭინა“.

• „მეზობლებს კი გვიყვარს კლასიკური მუსიკა, მაგრამ მაგან დაკვრა, არ იცის“.

• „რაც არ უნდა მირტყა ურო, მაინც უნდა გავახურო“.

• „ზოგი ასე უბერავს!“

• „მერე რა, რომ ნაცემია, მოცარტს ბერავს კვლავ ჟენია“.

• „მოცარტს ფრენა უყვარდა, შეუყვარდა გოგონა, ბოლოს ისე გაუბრაზდა, დაუკარგა გონება“.

• „აუ, ჩემი, გუშინ ქორწილში მაგრად გავერთე“. ეტალონი.

„თვალზეც ეტყობა, რომ კარგი მუსიკოსია“.

„ჩაბერა“ და მიიღო კიდეც“.

„სწავლა დასაცინი კი არა, დასაფასებელია“

„ადამიანი სიყვარულისთვის დროს ყოველთვის გამონახავს“

„გზის“ №20-ში დაიბეჭდა 19 წლის სალის მესიჯი. მშობლებზე გაბრაზებული გოგონა გვწერდა: „არ ვიცი, როგორ მოვიქცე. ჯერ ერთი, ისინი ყველაფერს მიკრძალავენ, მხოლოდ ის უნდათ, რომ ბევრი ვიკითხო, ვისწავლო და განათლებული ადამიანი ვიყო, იმას კი არ ფიქრობენ, რომ მოზარდი ვარ და გართობა, დასვენებაც მჭირდება“.

ლიკა ქაჯაია

ბრუზინკა:

„ერთი მხრივ, უნდა გიხაროდეს, ასეთი მშობლები რომ გყავს. ხომ იცი, ახალგაზრდების უმეტესობა უფულობის გამო ვერ ემზადება, ბევრს კოლეჯიც კი სანატრელი აქვს; მეორე მხრივ, ძალიან ცუდია, ასე მკაცრად და თან, უსაფუძვლოდ რომ გავიწროებენ. მათ უთხარი: მე ხომ ყველაფერს გიჯერებთ და იქნებ, ჩემ მიმართ ლმობიერება გამოიჩინოთ, ცოტა ამომასუნთქეთ, ამდენს ნუღარ მსაყვედურობთ, თორემ საერთოდ არ ვისწავლი და თქვენი შრომაც წყალში ჩაიყრება-თქო. ჰოდა, იქნებ ამის შემდეგ მაინც დაფიქრდნენ“.

ჯორდანო:

„სწავლა ყველასთვის აუცილებელია. ხომ გაგიგონია, — სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდებისო, მაგრამ განტვირთვაც საჭიროა. მშობლებს აუხსენი, რომ სწავლასთან ერთად, გართობაც გჭირდება. ჰო, თავის დროზე „ლოვეც“ გეყოლება, მაგას ნუ დარდობ“.

სვანუკა:

„ჩემო კარგო, მეც შენი ასაკის ვარ და მინდა, რჩევა მოგცე: დამიჯერე, მშობლებზე ტყუილად ბრაზობ, მათ მხოლოდ ის უნდათ, რომ საუკეთესო მომავალი გქონდეს, ამისთვის კი სწავლა აუცილებელია... არ ხარ ისეთ ასაკში, რომ „ლოვეს“ არყოლის გამო დაპანიკდე. გირჩევ, ნერვები დაიმშვიდო და მშობლებს დაუჯერო“.

რუსპირი:

„პირველ რიგში, თერმომეტრი აიღე და იღლიაში ამოიდე. დარწმუნებული ვარ, აჭარბებ! აბა, რომელი მშობელი გადააქცევს შვილს ზომბად?.. „დედიკოს გოგო“ მაშინ იქნებოდი, სრული თავისუფლება რომ გქონდეს და კვირაში 7 დღე, 24 საათი ქუჩაში იყო ან საუკეთესო შემთხვევაში, სალონში იჯდე. ნუთუ ვერ ხვდები, რომ მშობლებს შენთვის კარგი უნდათ?.. „ლოვე“ მინდოდეს და მშობლები კი არა, ბორკილებიც ვერ დამიჭერს. მერწმუნე, ადამიანი სიყვარულისთვის დროს ყოველთვის გამონახავს. თან, ხომ იცი, — სიყვარულსა მალვა უნდაო... აბა, მითხარი, წიგნებსა და პოეტებზე ლაპარაკი არ სჯობს ჯასტინ ტიმბერლეიკის ტრუსებსა და აგილერას პომადებზე ლაყბობას? ახლა გგონია, რომ კარჩაკეტილად ცხოვრობ და ეს არ მოგწონს, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ეს კარი გაიღება და წარმატებული ქალი იქნები. ახალგაზრდების 90%-ს ის გვანაღვლებს, რომ წიგნებს ვერ ვყიდულობთ, მასწავლებელს ფულს ვერ ვუხდით და ეს ნახე, რა. P.S. ჭირვეულის და პატარძლის მორჯულება გამიგონია, მაგრამ მშობლის?!.“

ჩეკო:

„საყვარელო, მესმის შენი, მაგრამ არ მესმის შენი მშობლების. ამ მესიჯიდან გამომდინარე, ისინი საზიზღარი და ცხოვრებას ჩამორჩენილი ადამიანები არიან. შენს ადგილას ყველაფერს თავს დავანებებდი. დროა, მათ აუხსნა, რომ თავისუფლება გჭირდება“.

ხიშნიკი 18:

„მე ისეთი ადამიანი ვარ, რომელიც ნებისმიერი ხასიათის გოგოს შეეწყობა; მერწმუნე, ყველა თემაზე შემიძლია ლაპარაკი. ჰოდა, თუ გინდა, ვიმეგობროთ. 15 წლამდე ჩემი მშობლებიც მზღუდავდნენ, მაგრამ ახლა ამას ვეღარ ახერხებენ. ნურავის მისცემ უფლებას, გამოგიყენოს და მართლა ზომბად გაქციოს. მშობლებმა შეიძლება, სახლში გამოგკეტონ, მაგრამ კითხვას ხომ ვერ გაიძულებენ?! მათ ერთხელ მაინც თუ არ დაემორჩილები, მერე შენს აზრს ანგარიშს გაუწევენ“.

კუტრინა:

„ჩემო კარგო, მგონი, ტვინის ოპერაცია უნდა გაიკეთო (ბოდიში, თუ გეწყინა, მაგრამ ეს სიმართლეა!). აბა, შე ოჯახაშენებულო, მშობელი ყველანაირად ცდილობს, გასწავლოს და ამით უკმაყოფილო როგორ ხარ? ჯერ სწავლა და მერე გავლაო, — ეგ მაინც არ გაგიგონია? რა ხართ ეს ახალგაზრდა გოგონები, რა. შენი მშობლებისნაირი პატრონი რომ მყოლოდა, ახლა ფასიანზე კი არ ვიქნებოდი, უფასოზე ჩავაბარებდი. P. S. ისწავლე, სალი, გენაცვალე, ისწავლე, თორემ ბოლოს თავში წაიშენ ხელებს. თუ ნასწავლი იქნები, მომავალში ფეხს ფეხზე გადაიდებ და ისე იცხოვრებ — ხომ კარგი იქნება? დაიმახსოვრე: „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების!“

გოციკა:

„ჩემი აზრით, მშობლები უნდა დაარწმუნო, რომ გართობაც გჭირდება. საკუთარი გამოცდილებიდან გეუბნები, — თუ მოინდომებ, ამას შეძლებ! თანაც, ასეთი განათლებული თუ ხარ, წესით, ეს არ უნდა გაგიჭირდეს. მათზე ფსიქოლოგიურად იმოქმედე და შედეგს მიაღწევ“.

მგზავრი 13:

„ტუტუცი ხარ თუ თავს იდებილებ? მაპატიე, მაგრამ თავში ტვინი გაქვს? ასე გააგრძელე აზროვნება და 19 წლის კი არა, 69 წლისაც გასათხოვარი იქნები. P.S. მშობლები ოთახში გამოკეტე, ყურში მარილი ჩააყარე და მორჯულდებიან... უჰ, შენ „შუა ქალაქის“ სცენარისტი უნდა იყო“.

უცნობი:

„შვილო, შენნაირები შობენ დავით აღმაშენებელს, ილიას, ვაჟას, აკაკის, გრიგოლ რობაქიძეს, ზვიადს და კოსტავას. თუ შენს დიდებულ მშობლებს დაუჯერებ, დიდი ქალი იქნები“.

მისტერ:

„ჩემი შეხედულებით, მშობლები შენს განათლებაზე, კეთილდღეობაზე ზრუნავენ და მაგას ბევრი ლაი-ლაი არ უნდა, მაგრამ მათი გადამეტებული ზრუნვა თინეიჯერებისთვის საჭირო თავისუფალი დროის გატარებას ავტომატურად ზღუდავს. როგორც ვირუსს ანტივირუსი, ტრისტანს კი იზოლდა, ასევე ესაჭიროება ზომბს ვაქცინა. ინგრედიენტები ჩემზე იყოს, გამოყენება — შენზე. მშობლებთან ისე ილაპარაკე, როგორც ზრდასრულ, ჩამოყალიბებულ ადამიანს შეშვენის. დედ-მამას უთხარი, რომ მათ მზრუნველობას აფასებ, ბედნიერი და იღბლიანი ხარ, რადგან უფალმა არაჩვეულებრივი მშობლები გარგუნა, მაგრამ ასეთი რეჟიმით ცხოვრება არ შეგიძლია, რომ თავს მარტოდ, ეულად გრძნობ და ამ ყველაფრის დაძლევაში მათი დახმარება გჭირდება. მშობლებს სთხოვე, — ერთი შანსი მომეცით და დაგიმტკიცებთ, რომ სწავლასთან ერთად, გართობასაც მოახერხებ. P.S. გიჟთან მისაუბრია, „ცისფერთანაც“, ლესბოსელთანაც, იეღოველთანაც და ისეთ ადამიანთანაც, რომელიც 10 სიტყვიდან 11-ს ტყუილს ამბობს, მაგრამ ზომბთან და მიცვალებულთან არასდროს მილაპარაკია“.

ცქნაფა:

„ჩემო კარგო, შენ გამო ძალიან ვწუხვარ. კარგია, რომ მშობლებს პატივს სცემ, რადგან მათ შეგქმნეს, მაგრამ არ მესმის, ამდენს რატომ ითმენ? შენს ადგილას ახლა „ასათიანზე“ ვიქნებოდი... მგონი დროა, შენი გრძნობები მშობლებს გაუზიარო და თუ ვერ გაგიგეს, ცოტა „გაჭედო“ კიდეც. წარმატებებს გისურვებ!“

LOCUST:

„არა, მშობლები ასე ნამდვილად არ მექცევიან, პირიქით, სრული თავისუფლება მომცეს, მენდობიან და მეც, მათ იმედებს ვუმართლებ, მაგრამ შენს შემთხვევაში საქმე რთულადაა. სალი, იქნებ, მშობლებს დაელაპარაკო. მათ მოსთხოვე, მოგისმინონ, მერე კი უთხარი ის ყველაფერი, რაც ჩვენ მოგვიყევი. აუხსენი, რომ ასე ცხოვრება აღარ შეგიძლია, რომ შენც ადამიანი ხარ, რომელსაც სწავლასთან ერთად, გართობა და მხიარულებაც სჭირდება; თუ მაინც ვერ გაგიგებენ, მაშინ... სხვა გზა არაა, ისინი ფაქტის წინაშე უნდა დააყენო. მათ კატეგორიულად მოსთხოვე, თავისუფლება მოგცენ და თუ უარს გეტყვიან, დაიმუქრე, — მაშინ სწავლასაც დავანებებ თავსთქო. არა მგონია, ამ ხერხმა არ გაჭრას. აბა, შენ იცი, წარმატებები!“

დადუნა:

„ეჰ, ცუდია, მშობლები რომ ვერ გიგებენ. შენ რა გგონია, მე უკეთეს დღეში ვარ? დედის აკრძალვის მიუხედავად, მე მაინც, ჩუმად ვხვდები „ლოვეს“. მშობლებს უნდა გააგებინო, რომ პატარა აღარ ხარ. წარმატებებს გისურვებ, საყვარელო! გაკოცე“.

რეალელი:

„ნუ დარდობ, „ლოვე“ რომ არ გყავს — ჯერ ხომ მხოლოდ 19 წლის ხარ. მშობლებს უნდათ, განათლებული იყო, მაგრამ მთლად ასეც არ შეიძლება. იქნებ დედას დაელაპარაკო და ურთიერთობა მოაგვაროთ... ვინც „დედიკოს გოგოს“ გეძახის, უვიცია. სწავლა დასაცინი კი არა, დასაფასებელია. მომავალში არ ინანებ, ბევრს რომ სწავლობდი“.

ლუნა:

„მშობლები შვილებს ვერ უგებენ და უნდათ, მოზარდებიც პატარა ბავშვებივით დაიმორჩილონ. ნუთუ, მათ არ გაუვლიათ ის ასაკი, როცა სწავლის გარდა, სიყვარულიც საჭირო და აუცილებელია?! მართალია, გადაჭარბებული არაფერი ვარგა!.. კარგია, წიგნების კითხვა რომ გიყვარს, მაგრამ თუ ყველაფერი რეალურად არ შეიგრძენი და შენს თავზე არ გამოსცადე, ისე არაფერი გამოვა, ადამიანებთან ურთიერთობა აუცილებელია... ჰო, უმეგობროდ ცხოვრება საშინელებაა. დედას წააკითხე ჩვენი რჩევები და იქნებ აზრი შეიცვალოს. ყველაფერ კარგს გისურვებ! ისე, მე შენნაირ ნაკითხ და განათლებულ მეგობარზე ვოცნებობ. გაკოცე“.

დადუ:

„ძვირფასო სალი, შენი ამბავი ძალიან განვიცადე. მეც შენი ასაკის ვარ და მსგავსი პრობლემა არასდროს მქონია. არ მინდა, უტაქტოდ გამომივიდეს, მაგრამ თუ შენს განათლებაზე ასე თავგამოდებით ზრუნავენ, ისიც კარგად უნდა გააცნობიერონ, რომ ადამიანი ამ ასაკში ყალიბდება, მიზანი უჩნდება, ხოლო კარჩაკეტილობა, გარემოსგან იზოლირება მოზარდს დეპრესიულს ხდის. აუხსენი მშობლებს, რომ სიცოცხლე გინდა (ხომ მიხვდი, რასაც ვგულისხმობ) და თუ ამან არ გაჭრა, სხვა ხერხს მიმართე, ოღონდ მშობლებს ძალიანაც ნუ დაუპირისპირდები“.

სევდიანი პრინცესა:

„სალი, მშობლების ზრუნვა, თუნდაც ეს მომაბეზრებელი იყოს, აუცილებლად უნდა დააფასო. დაფიქრდი, რამდენი ბავშვია ასეთ ზრუნვას მოკლებული, შენ კი ყველაფერი გაქვს... მშობლებს დაუჯერე, სწავლას მიხედე, პიროვნებად ჩამოყალიბდი და ვინც გაგიგებს, ის იქნება შენი მეგობარი. სხვათა შორის, მე უკვე ძალიან მომწონხარ და მინდა, ვიმეგობროთ. ბევრს აღარ მოგწერ, თუ დამეკონტაქტები, ერთმანეთს გავუგებთ“.

ეკა (გათუმიდან):

„შენს სხვა რას უყურებ? სკოლაც და უნივერსიტეტიც ფრიადზე დავამთავრე, იმ პერიოდში მხოლოდ წიგნები მაინტერესებდა, მაგრამ ამის გამო ბიჭები კი არ დამცინოდნენ, არამედ პირიქით, მათ ყურადღებას ვიმსახურებდი. სხვათა შორის, ძალიან განათლებულ, ერუდირებულ პიროვნებებს მოვწონდი. საბოლოოდ, ჩემზე განათლებულს გავყევი ცოლად (ის ჩემზე 12 წლით უფროსია) და დღეს უბედნიერესი ქალი ვარ!.. ასე რომ, სწავლა ხელს კი არ გიშლის, არამედ გზას გიკაფავს ბედნიერი მომავლისკენ“.

MS. MDZINARA:

„გამარჯობა. ჯერ ერთი, თვითონ ამბობ, მშობლებს უნდათ განათლებული ვიყოო და მაგაში ცუდს რას ხედავ?.. ახლა ნასწავლი ხალხი არავის უნდა და უსწავლელი ხომ საერთოდ, არავის ენდომები. ცოტაც გაუძელი. წარმატებები!“

VTIKUNAS PAXUNXULA:

„ძალიან ცუდია, მშობლები მკაცრად რომ გექცევიან. რა თქმა უნდა, სწავლა ყველაზე დიდი განძია, მაგრამ გადაჭარბებული არაფერი ვარგა. უკვე დიდი გოგო ხარ, ჰოდა, მეგობრებთან ურთიერთობა და „ლოვეც“ გჭირდება. სიყვარული ძალიან მაგარია!“

მაკატერინა:

„ჩემო კარგო, მშობლებს ნუ ადანაშაულებ, მათ შენთვის კარგი უნდათ. ხომ არ ჯობია, მათ შენი პრობლემების შესახებ დაელაპარაკო? ღმერთი გაფარავდეს“.

მაკა:

„მესმის შენი, მაგრამ ნუ ამბობ, რომ ზომბივით გზრდიან. გართობასა და დროის ტარებას ყოველთვის მოასწრებ. 20 წლის ვარ და არასდროს მინანია, ეს წლები კითხვას და სწავლას რომ დავუთმე“.

ფლამინგო:

„უმადური შვილივით ლაპარაკობ. მშობლებს შენთვის სიკეთე უნდათ. აბა, დაფიქრდი, უსწავლელმა რა უნდა გააკეთო? აბა, მიმოიხედე, უფულობის გამო რამდენი ბავშვი ამბობს სწავლაზე უარს, შენ კი იმას წუწუნებ, დრო არ მაქვს გასართობადო... მეგობრებთან ერთად წასვლაზე ბევრჯერ მეც მითქვამს უარი, მაგრამ ამის გამო არავინ დამიკარგავს; მშობლებისთვისაც არასდროს მითქვამს საყვედური, პირიქით — მადლობელი ვარ, რომ სწავლის შესაძლებლობა მომცეს... „ლოვეზე“ არ იდარდო, აუცილებლად გამოჩნდება ადამიანი, რომელიც ისეთს შეგიყვარებს, როგორიც ხარ. განა, პოეზია და ლიტერატურა დასაცინია? — მაგრამ ჭკვიანების დაცინვა სულელების საქმეა, რას იზამ... მერწმუნე, წლების შემდეგ დედ-მამას ყველაფრისთვის მადლობას ეტყვი“.

მირანდა:

„შენი მშობლების კარგად მესმის, მაგრამ შვილის პირად ცხოვრებაში ცხვირი არ უნდა ჩაყონ. დედ-მამას ჰკითხე, შენ ადგილას როგორ ხასიათზე იქნებოდნენ? ისინი დაარწმუნე, — თქვენი გაზრდილი შვილი ცუდს არ ჩავიდენ-თქო. დამიჯერე, ეს გაჭრის!.. ვხედავ, რომანტიკოსი ხარ და მალე გამოჩნდება ისეთი ადამიანიც, რომელიც გაგიგებს. აბა, რად გინდა ისეთი კაცი, „მერანზე“ რომ გკითხავს, — გალაკტიონისაა? დამიჯერე, ცხოვრება წინ გაქვს“.

სვანის ასული:

„რა თქმა უნდა, ზომიერება ყველაფერში საჭიროა და იმედია, ფსიქოლოგიურად ან ემოციურად არ გადაიღლები. ცოტაც გაუძელი და მალე სტუდენტი გახდები, უკეთეს შემთხვევაში, გრანტსაც აიღებ, ჰოდა, ცხოვრების საუკეთესო ეტაპი დაიწყება, ახალ ნაცნობებს შეიძენ და სიყვარულიც მოულოდნელად დაგატყდება თავს... ახლა უნდა გამხნევდე, ძალების მაქსიმალური მობილიზაცია უნდა მოახდინო. რაც შეეხება იმას, რომ პოეტებზე, წიგნებზე შეგიძლია ლაპარაკი, მერწმუნე, პირადად მე და საპირისპირო სქესის ყველა ღირსეულ წარმომადგენელსაც, ძალიან მოგვწონს განათლებულ ადამიანებთან საუბარი... შენ გამორჩეული ხარ და ამის ნუ გრცხვენია!“ ■

„მშობლები ლამის, ხელით ეხებოდნენ ერთმანეთს...“

მერიკო, *17 წლის:*

„გამარჯობა, თქვენი დახმარება მეც დამჭირდა. 17 წლის ვარ და ამ ხნის განმავლობაში, ერთი დღეც არ ვყოფილვარ ბედნიერი. იცით, რატომ? — არ მახსოვს დღე, როცა ჩემს ოჯახში ჩხუბი არ მომხდარა. მშობლები გამუდმებით ეკამათებოდნენ ერთმანეთს, ჩხუბისას არც ერთს არ უნდოდა რაიმეს დათმობა და ლამის, ხელით ეხებოდნენ ერთმანეთს, ახლა კი დაშორდნენ. ალბათ, ასე სჯობია, რადგან მათ ცოლქმრულ თანაცხოვრებას აზრიც არ ჰქონდა... ახლა არ ვიცი, დედასთან წავიდე თუ მამასთან დავრჩე? — ასეთი არჩევანი ძალიან ძნელი გასაკეთებელია“.

P.S. ***მაშ ასე, თუ მერიკოს წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს.*** ■

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. მსურს ოჯახის შექმნა სერიოზულ, დასაქმებულ, 45-48 წლამდე მამაკაცთან. ვინც ჩემით დაინტერესდება, ჩემი მხრიდან მას სითბო და სიყვარული არასოდეს მოაკლდება!

2. ვარ მაღალი, ექიმი, ყველაფრით უზრუნველყოფილი, ალერსიანი, 35 წლის. გამომეხმაუროს თბილისში მცხოვრები, დასაქმებული, ინტელიგენტი მამაკაცი.

3. ოჯახის შექმნის მიზნით დამიკავშირდეს 36 წლის ზემოთ, განათლებულ-დასაქმებული, თბილისელი მამაკაცი. ვარ ყოფილი მოცეკვავე, უმშვენიერესი ხასიათის, კისკისა, ცოტა წუნია.

4. ვეხმაურები „გზა“ №17-ში დაბეჭდილ, მე-12 განცხადების ავტორს. ვარ 37 წლის, სიმპათიური ქალბატონი. თუ დაგაინტერესებთ, გამომეხმაურეთ. ლესკო.

5. გამარჯობა. მე ჯულიეტა ვარ. გავიცნობ ისეთ მამაკაცს, რომელიც გამიგებს. ვარ გათხოვილი, მაგრამ ქმარი მეუხეშება და თან სხვა უყვარს. რჩევა მინდა, როგორ მოვიქცე.

6. ვეხმაურები „გზა“ №19-ში გამოქვეყნებულ, მე-16 მესიჯის ავტორს, 29 წლის, ქვრივ მამაკაცს. ვარ 28 წლის, განათხოვარი. თუ თანახმა იქნებით, შემეხმიანეთ.

7. მყავს მეგობარი ქალბატონი, 47 წლის, მაღალი, ცოტა პუტკუნა. ცხოვრობს თბილისში და მოსკოვში. კარგი მეოჯახე, ალაღი და პატიოსანი. დამირეკოს პატიოსანმა, მეოჯახე მამაკაცმა.

8. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 42 წლამდე ასაკის, შრომისმოყვარე მამაკაცს, თუნდაც ქვრივს. ვარ 35 წლის, სამსახურითა და ბინით უზრუნველყოფილი. ვცხოვრობ რუსთავში.

9. გავიცნობ იმერეთში მცხოვრებ მამაკაცს. ვარ 41 წლის, ქვრივი. შემეხმიანოს ჩემი შესაფერისი. გართობისთვის ნუ შეწუხდებით.

10. მინდა, სერიოზული ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნო ახალგაზრდა, გულთბილი, ოჯახის მოყვარული მამაკაცი. გახლავართ ირმა, 24 წლის.

11. გავიცნობ მხოლოდ ბიზნესმენ ადამიანს, ნამდვილი სიყვარულისთვის, 23-28 წლამდე. არასერიოზულებმა თავი შეიკავეთ.

12. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ მდიდარ, ბიზნესმენ ადამიანს. მხოლოდ ერთი ნაკლი მაქვს — სიღარიბე. 23 წლის ნანა.

კაცები

13. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 28 წლამდე ასაკის, ქალაქელ, ლამაზ და მოწესრიგებულ მანდილოსანს. ბუბუ.

14. ვეხმაურები „გზა“ №18-ში გამოქვეყნებული, მე-5 მესიჯის ავტორს. ვარ 22 წლის, დასაქმებული, თბილისელი. ყველანაირად დაგეხმარებით. გთხოვთ, შემეხმიანოთ.

15. სითბო და სიყვარული რომ არ აკლდეს შენს გულს, ამ ფურცელს არ წაიკითხავდი. ნუ ყოყმანობ, გელოდები. თბილისი, თემო, 38 წლის.

16. ვარ 32 წლის, წყნარი, მშვიდი, მორწმუნე. ვარ ვეტერინარი. მინდა გავიცნო გოგონა, 25-დან 30 წლამდე. 155-165 სიმაღლის, რაიონიდან, წყნარი, პატიოსანი, ეკლესიური.

17. ვარ 25 წლის, დასაქმებული მამაკაცი. ოჯახის შესაქმნელად გავიცნობ კარგ და ლამაზ გოგოს. სასურველია, იყოს დასავლეთიდან. ბუდუ.

18. ვარ 22 წლის. გავიცნობ გოგონას, 22-დან 30 წლამდე. ვარ ფეხბურთელი, მაღალი, სიმპათიური. დამიკავშირდით.

19. ვარ თმაკულულა, სიმპათიური, 20 წლის ბიჭი. აუცილებლად გამომეხმაურეთ გოგონები.

20. ვეხმაურები მერვე მესიჯის ავტორს, მანდილოსანს, სერიოზული ურთიერთობისთვის.

21. ვეხმაურები „გზა“ №20, მერვე მესიჯის ავტორ მანდილოსანს. ვარ 33 წლის.

22. ვარ 33 წლის, მაღალი (188 სმ), ათლეტური აღნაგობის, ძალიან სიმპათიური, საკმაოდ განათლებული, მიყვარს ხელოვნების მრავალი დარგი, თავადაც მშვენივრად ვმღერი და ვცეკვავ.

23. ვეხმიანები „გზა“ №20, მე-4 მესიჯის ავტორს, 27 წლის ირმას. ვარ 33 წლის, მაღალი, ათლეტური, სიმპათიური, განათლებული. დამიკავშირდი. ლაშა.

24. გავიცნობ ზრდილობიან, მეოჯახე და სულიერად ლამაზ მანდილოსანს, ვისაც ნამდვილად სურს ოჯახი. სასურველია, იყოს რაიონიდან, 32-36 წლამდე. მომწერეთ 21 საათის შემდეგ.

25. ნუთუ შეუძლებელია, „გზის“ დახმარებით შევძლო თბილი და ტკბილი ოჯახის შექმნა? გავიცნობ თბილისელ, სუსტ, სუფთა წარსულის მქონე, პატიოსან გოგოს, 23-29 წლის. 29/167/70/.

ვეძებ

26. ვეძებთ ნათელა ჯემალის ასულ ნადაშვილს, დაახლოებით 50 წლის. მთელ ოჯახს ძალიან გვიყვარხარ! ლილი წიკლაური.

27. ვეძებ ბავშვობის მეგობარს, გალის რაიონში, სოფ. დიხაზურგაში მცხოვრებ

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ღ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

ნატო გრიგოლის ასულ ფიფიას. 38-39 წლის. ჰყავს დები და ძმა. დამიკავშირდით. თამრიკო.

28. ვეძებ ქალბატონ მზიას, მცხეთაში, 1993 წელს ორივეს გვეყოლა გიორგი. იმ კრიტიკულ დღეებში მისი ძუძუთი იკვებებოდა ჩემი შვილი. ვთხოვ, შემეხმიანოს.

სხვადასხვა

• მისტერ, კაცურად გეტყვი და კაცურად გამიგე: მემეს ბოდიში მოუხადე და გააგრძელე შენი მოღვაწეობა „გზაში“. ხომ მიმიხვდი, რისი თქმაც მინდა? კუტრინა.

• დოლარ, შენ ვის რა უნდა უთხრა, სინდისის არქონაზე? პლაგიატის მნიშვნელობა თუ იცი, ეგეც მიღწევაა, შენთვის! არ არის რუისპირი შენი გაფუჭებული ენით საყბედო... სიტუაციაში გაერკვიე და დასკვნები ბოლოს გამოიტანე, კუდიანო! კუტრინა.

• რუისპირ, კლეოპატრა, სოფი19, ფეშენა, სანტა, მემე, დამავოი, მიყვარხართ და გაფასებთ, გაიხარეთ! P.S. მამიდა, შენს ძმიშვილს წინდები მოუქსოვე? :) კუტრინა.

• უნიკო შემქებელო, მესიამოვნა შენი სიტყვები. თვალს გიკრავ, გიღიმი და თბილი სიტყვით გმოსავ. შენ კი, შე მართლა ხიხო, ჩემგან შენთვის სასარგებლოს ვერაფერს მოისმენ. ამიტომ, უმჯობესი იქნება, კალოშები ჩაიცვა, ყანაში შეხვიდე და თოხნო ან ბოსლისკენ აიღე გეზი და ბოჩოლა გამოკვებე. :-) მისტერ.

• ვიყოთ ერთად, ვუმღეროთ სიყვარულს, მოვეფეროთ, გულები ვაჩუქოთ ერთმანეთს. ერთად ავაშენოთ სიყვარულის სახლი. ვიყოთ ყვავილები, სიყვარულის თაიგულის. აჩრდილი.

• თოვლის ფიფქი ვარ, სიყვარულით ნაზად რომ დნება. სიყვარული ვარ უხმაურო, ჩუმი და წყნარი. ის სანთელი ვარ, შენთვის რომ კვდება. სულით კი მუდამ აჩრდილია ლამაზი ქალის.

• შენს იეზიდობას მაშინ გაიხსენებ მისტერ, როცა ქართველებს ლანძღავ, შე დვარნიაშკის კუდუსუნზე მიკრულო ტკიპავ ან ტვინგაფუღურუებულო. ახლა შენ აირჩიე, შე სიკო!

• კიდევ ერთ „გზიდან“ წასულს მოვიკითხავ. ვეტყვი, რომ ძაან მიყვარს და ვაფასებ. მის თემებსა და გზავნილებს უდიდეს პატივს ვცემ! ვიცი, დაბრუნდება და კვლავ გაგვამხიარულებს, თავისი ნაწერებით. მისი ნიკია ფეშენა! ასე რომ, ფეშენ, ველოდები შენს დაბრუნებას და დანარჩენს მერე დავწერ შენზე... :) კუტრინა.

• ამ სავსე ჭიქითა და წრფელი გულით იმ კაცს გაუმარჯოს, რუისპირი რომ ჰქვია! გაიხარე გიო, იხარე და იდღეგრძელე, მრავალჟამიერ! ვისაც რუისპირომანია შეგეყარათ, ყველას გეხუტეთ გულებში! P.S. გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი და რუისპირი... :) ჩემთვის ასეა. კუტრინა.

• როგორ ხარ, ჩემო ძმაო? ვიცი, შენ სულით ძლიერი ხარ და გაუძლებ. ჯეკი ტყუილად არ გქვია. ყველას ენატრები. მთავარია, შენ იყო მაგრად. ძალიან მიყვარხარ. გაკოცე ბევრი.

• ჩემო სიცოცხლევ, ჩვენ კარგად ვართ, ბავშვებს ენატრები ძალიან. ნიკას — განსაკუთრებით. ტელეფონი წაიღო და თუ შეგიძლია, მობილურზე დამირეკე ხოლმე.

• დათო, მარის გამოართვი ჩემი ნომერი ან დღეს, რუსთავში, 4-ზე, ინტერნატების საბავშვო ბაღთან გელოდები. რომ გიცნო, შორტებით მოდი და ფიასაც გაჭმევ. რუსთავი.

• პაატა, როგორ ხარ? ხათო ვარ. მადომ გამოგიგზავნა. გოჭი, მენატრები ძალიან. ყველაფერი კარგადაა, ნიკაც და ლუკაც. ტელეფონი წაიღო ჩოხელმა და მობილურზე დამირეკე. მიყვარხარ. ხათო.

• პრივეტ ყველას! მე ახალი ვარ და პირველად ვამესიჯებ. მაგრად მიყვარხართ ყველა (გამონაკლისებიც არიან) და მინდა, თქვენი ოჯახის წევრად მიმიღოთ. მაკო.

• ცოტა გვიან წავიკითხე და მე-19 ნომერში დაწერილმა „დედამთილის დატირებამ“ გული მატკინა. აღმაშფოთებელია. არ მინდა, დავიჯერო. იმედია, მთხრობელი ტყუის. სარვიეტა.

• დაჩი გრძელიშვილის საავტორო გადაცემა ვნახე მტკვარზე და ეს მდინარე ცოცხალ არსებად წარმოვიდგინე, რომელსაც ჩვენგან გაფრთხილება და სიყვარულიც კი სჭირდება! სულ მიჩნდება პროტესტის გრძნობა იმ მოქალაქეების მიმართ, ვინც დაუფიქრებლად ყრის მდინარეში სხვადასხვა საგნებს. ნუთუ, ჩვენ ასე უნდა გვიყვარდეს ის?! სარვიეტა.

• სალამი ყველას. მაგარი ხალხით ხართ. განსაკუთრებით მინდა ახლოს გავიცნო ქალი ცდუნება. მინდა, კარგი და კეთილი მეგობარი შევიძინო, მისი სახით. შოთა.

• ჩემო პაატა, დღეს ორშაბათია, ხვალ ნიკას ზეიმია. კარგად არიან ბავშვები. მენატრები ძალიან. ინტერნეტი გავათიშვინე. დათომ წაიღო ტელეფონი. გაკოცე ბევრი. ხათო.

• მონატრების ხეივანში ანთებულა სიყვარულის უცნაური კელაპტარი. მერე უცბად ფიქრთა თოვა დაწყებულა, აღგზნებულა ოცნებათა თეთრი ქარი. ცრემლებს ლურჯი ტბის აუზი შეუვსიათ, აფრენილან ზეცად მოგონებები, გრძნობებს ჩუმად სადღეგრძელო შეუსვიათ, უგალობდნენ ნაზად თეთრი მტრედები. ჩავიძირე ამ ჯადოსნურ სამყაროში, კელაპტართან შენზე ფიქრებს წავაწყდი, ჩემი გული დაიპყარი მოკლე დროში, შენთან სიყვარულის ომში დავმარცხდი. ბელურას. კლეოპატრა.

• ვიცი, მეძებდი წუხელ კარდაკარ, ვიცი, ლოდინით გადაიღალე, ვიცი, მიხვდი, რომ გრძნობა დამთავრდა, ვიცი, მიხვდი, რომ დააგვიანე. ვიცი, რომ სევდად გექცა ოცნება, ვიცი, რომ ისევ ჩემზე გიყდები, ვიცი, რომ იცი, აღარ მოხდება, იცი, რომ ერთად აღარ ვიქნებით. კლეოპატრა.

• მთელი გულით მინდა, რომ ჩემი სიყვარული ამ ჟურნალით გამოვხატო: გიო, ჩემი გულის ფეთქვა ხარ. გვიაააააან მიყვარხარ. შენი მეჩე.

• აი, მარი, ვზიავარ ჩემთვის სამუშაოზე და ხელები მექაჩება კლავიატურისკენ, რომ ავაწაპწაპო და რამე მოგწერო. თუნდაც სისულელე. გაძლება მოგცეს ღმერთმა. გაკოცე. კლეოპატრა.

• იცით, ერთი ბიჭი ერთი ნახვით შემიყვარდა. ახლაც თვეში ორჯერ ან ვნახავ ან — არა. რა ვქნა, არ ვიცი. მირჩიეთ რამე, ვკვდები! SPOONY.

• თქვენს ჟურნალში წავიკითხე ემიგრანთის სევდა, რომელიც გამჩენ დედაზე წერს: ასე მითხრა, თუ არ ჩამოხვალ საბერძნეთში, ჩემი ნაყიდი ტანსაცმელი გაიხადე და ბოზობით ირჩინე თავიო. მე ვიცნობ ამ დედა-შვილს და გავგიჟდი, რამხელა ტყუილი დაწერა ამ პატარა გოგომ, საკუთარ დედაზე. მეორეც, ზუსტად დაწეროს, დეტალებში, რატომ ჩამოიყვანა დედამ, თბილისში რაც გააკეთა და აქ რასაც აკეთებს, ისიც თქვას. მერე ლანძღოს დედამისი. 5 წელია, მის დედას ცრემლი არ შეშრობია. მალადეც შენ, სევდიანო გოგოვ, საკუთარ დედას რომ ლანძღავ. დედაშენის ადგილზე გაგათახსირებდი. ღმერთმა კარგი ნერვები მისცეს, შენ დედას. თავს რომ არ გაჭრის, მიკვირს. თქვენი ჟურნალის მკითხველი, დარეჯანი.

• როგორ ხართ, ჩემო საყვარლებო და მონატრებულებო? მე დავბრუნდი. პრინციპში, არც წავსულვარ. დროებითი ტაიმაუტი ავიღე და ახალი შემართებითა მონდომებით მოვედი. ამ ხნის მანძილზე ძალიან მენატრებოდით. ერთმა გოგომ მითხრა, ძალიან დამაკლდი და დაბრუნდიო. თააამთ, გამოჩნდი. მე უკვე აქ ვარ. მიყვარხართ. თოლია.

• ვარ ერთგული მკითხველი „გზის“ და რჩევა მინდა, თქვენგან. მიყვარს 25 წლის ბიჭი. მე 14 წლის ვარ. თან ეს ბიჭი ბიძაჩემის ძმაკაცია.

• დიდი სიყვარულით მარის, საბერძნეთის ემიგრანტების სახელით. „მობილი-ზაციაში“ „სხვადასხვა“ მესიჯებს 3 გვერდი აქვს დათმობილი და „ბილოცავს“ — 3/4. რატომ შეგვიმცირე გვერდი? (*ემიგრანტებს ჩემგან გულთბილი სალამი. გვერდი არ შეგვიმცირებია. ყველა მილოცვას ვბეჭდავთ, რაც მოდის. თუ მეტი არაა, მე ხომ ვერ მოვიგონებ? — ავტ.*).

• არა, მარ, ტელეფონი კი ჩართული გაქვს, შენ სადა ბრძანდები, თორემ...

• მაარ, შენს ადგილზე რომ ვიყო, იცი, რას ვიზამდი? მაგ „მობილი-ზაციას“ გავაუქმებდი და მის ნაცვლად ახალგაზრდა პოეტების ლექსებს დავბეჭდავდი. მაშინ ვეღარ შეჭამენ ერთმანეთს. შენც მოისვენებ და ჩვენც. სანტა. (*სანტა, შენი რჩევა რომ გავითვალისწინო, მერე მე შემჭამენ ახალგაზრდა პოეტები, სხვისი რატომ დაბეჭდე და ჩემი არაო... ასე რომ, ისევ თქვენ რომ შეჭამოთ ერთმანეთი, ის ჯობია (ნუ ჭამთ ერთმანეთს-მეთქი, რომ გეუბნებით, არ გესმით და იქნებ „უკულმა“ ნათქვამმა გამოიღოს შედეგი? — ავტ.*).

• პატარა რომ ვიყავი, ცოტა ხანს რუსეთში ვცხოვრობდი. ვცელქობდი. მეზობელთან ზარს დავრეკავდი ხოლმე და გავრბოდი. ნუუ, ერთხელაც გამომიჭირეს და ნებითა მათითა გამოსწორების გზაზე დამაყენეს. ახლა ჩემთან აზარუნებენ ბავშვები, მაგრამ არაფერს ვეუბნები. მე მესმის მათი დაა... კლეოპატრა.

• მაარ, შენ მაგარი ხარ, მაგრამ ეგ ჟურნალი გაბანძდა მაგრად. ეს იმის ბრალია, რომ ყველა დეგენერატს უბეჭდავ და გოიმებს მაგიტომ მიჰყავთ პარადი. კარგი მგზავნელები მიდიან და კრეტინები რჩებიან. მაგალითად, მისტერი მაგრად მომწონდა ადრე, მაგრამ ახლა მაგის გზავნილებს ირონიულად ვკითხულობ. რატომ? იმიტომ, რომ მაგარი ბიჭის როლს თამაშობს და საკმაოდ გოიმურად. EKO BOY-ს ბაძავს და ასე ცდილობს ყურადღების მიქცევას. ელექტრას ვეთანხმები. გადაკეთებულს, ჯობია, საკუთარი ლექსები მოგონოს. ან კლეოპატრა, დღე და ღამე ღმერთის ხსენებაშია. დავიჯერო, ასეთი მორწმუნეა? ეჭვი მეპარება. ვითომ სიყვარულს გამოხატავს მარის მიმართ, მესიჯები რომ დაუბეჭდოს. კიდევ სანტა... ისეთ ბრძნულ აზრებს აფრქვევს, ვითომ ცხოვრებაში შეცდომა არ დაუშვია. ჟურნალში ყველა დედა ტერეზას როლს თამაშობთ, გარეთ კი ყვე-

ლა დამპლები და ინტრიგანები ხართ. მეცოდება მარი, თქვენისთანა ყეყეჩების ხელში. P.S. მთელი „გზის“ მასშტაბით უგოიმესია — ASHLEY. ესეც ასე. ვთქვი, რასაც ვფიქრობდი. ნანიკო.

• ნანა ბერიძევ, ჩვენო შვილო, მე და შენს დედიკოს ძალიან გვენატრები. განსაკუთრებით — დედაშენს, თეონას. ჩვენ ხომ 2 წლის დაგტოვეთ ბებიასთან და ახლა ექვსის ხარ. უზომოდ დიდია შენი მონატრება. გეფერებით და გეხუტებით. მერაბი და თეონა ბერიძეები.

• წაიკითხეთ ბიბლია,/ შიგ სიმართლე წერია,/ რისი ცოდნაც ძნელია,/ რისი პოვნაც წესია,/ წესი მაინც წესია,/ ეს ნათქვამიც ძველია,/ რომ არ იცით, წესია,/ მიტომც მარჯვობს მელია,/ დღეს სიმართლე ძნელია,/ შენიც თურმე მტერია,/ ცუდის პოვნა ადვილია,/ კარგის — ძალზე ძნელია./ სიმართლის დრო ნულია,/ სულ მთლად დაკარგულია,/ ყველა ერთი ტოლია,/ კარგია თუ ცუდია./ კარგი მხოლოდ გმირია,/ ეს ხომ უბრალოდ, მითია?/ ბევრი ასეთი ვირია,/ მხოლოდ ავისა მქნელია,/ გრძნობა რომ გვქონდეს წრფელია,/ ეს ხომ დღეს ჩვენი ვალია?/ კარგის პოვნა რომ ძნელია,/ ამის მოწმეც ხომ ღმერთია?/ ახლა სიმართლის ჯერია,/ სხვა დანარჩენი — ერთია,/ დღეს ხომ სიკეთე ჩვენია,/ არ გავახაროთ მტერია... ლუნა.

• აღშფოთებული ვარ, რაა, ამ ვითომ გაევროპელებული ბავშვებით. მეტროში ჭედვა იყო. ერთი გოგო იჯდა. გვერდით წიგნი ედო. რამდენჯერაც დაჯდომა დააპირეს, იმდენჯერ გადაირია, წიგნს ფეხები სტკივა და დაასვენეთო. ერთი პატარათავიანი ქალი ისე გაბრაზდა, ლამის ქოლგა ჩაათხლიშა თავში. მთელი ვაგონი მაგას უყურებდა და ჭორაობდა: დედაა, რა ახალგაზრდობა მოდის?! — რაღა მოდის ქალო, მოსულები არ არიან?! — მაგათ მშობლებს რა ვუთხარი, ასათიანზე უნდა დააწვინონ. — რა ასათიანი ქალო, ეგ ხომ მკვდარია... დანარჩენი ვეღარ გავიგონე, საპატიო მიზეზის გამო. გადმოვბრძანდი მეტროდან. სანტა.

• რას შვრებით? მე თბილისში ვარ, ჩემს ძვირფას თირკმელთან ერთად და ვმკურნალობ. ბოლოს როდის გაგახსენდათ კამ-კამა, ჰა? მეგობრობაც ეგრე უნდა. კამ-კამა.

• CRAYZI GIRL-ს მინდა ვუთხრა დიდი მადლობა, რომ გავახსენდი. ჩემს როხროხას. მიყვარხარ ქალო, გულში. კამ-კამა.

• გამარჯობა მარი, როგორ ხარ? ისე გკითხე, უცებ არ მიპასუხო. მგზავნელებო, თქვენ როგორ ხართ? დიდი ხანია, არ მოგიწერია, მაგრამ არც ერთი ნომერი არ ჩამიგდია. ხუთშაბათს კრიმინალისტიკის ლექციაზე „გზავნილების“ კითხვა „აბეზალოვკად“ მექცა. ვერაფრით ხვდება ჩემი ლექტორი, შენიშვნის მიღებისას კმაყოფილი და ხალისიანი თვალებით რატომ ვუყურებ. :) მომენატრეთ! მართლა, მართლა! კარგია, ახალი მგზავნელები რომ შემოგვემატნენ, ცუდია, ძველი კოლორიტი მგზავნელები რომ მიდიან. მწყინს, „გზას“ რომ თმობენ და ელევიან. დაბრუნდით!!! ნუ ჩხუბობთ, რაა! ყველაზე მეტად რა გამიხარდა, იცით? საიდან უნდა იცოდეთ? მე-16 ნომერში, ვიღაცას უნიკოდ ჰქონდა მოწერილი: ატარექსია, მომენატრეო. ვერც კი წარმოიდგენ, როგორ გამახარე იმ დღეს! მადლობა შენ, ამისთვის და თუ მეტყვი, რომელი ხარ, უფრო გამიხარდება. მოვიკითხავ ფისოს და მატიტელას. რატომ არ ჩანხართ? ვუსამძიმრებ რუისპირს. დაბრუნებას ვთხოვ ძველებს, მოვიკითხავ ყველას და ყველაფერ კარგს და ღამაზს გისურვებთ. P.S. ერთ კვირაში ვამთავრებ სწავლას და სტუდენტი აღარ ვიქნები. გული საოცრად მიმძიმდება, ვერაფერს ვუხერხებ ამ მელანქოლიურ გრძნობას. ატარექსია.

• ფიქრი და მოგონება სიხარულით ამბობს: ბედნიერი ვარ, ლამაზი მოგონებები, ლამაზ სიყვარულზე გულს რომ მითრთოლებს, იცხოვრეთ სიყვარულით. გაუფრთხილდით ერთმანეთს. აჩრდილი.

• იცი, მშურს ღამის. რატომ, ბოთე? მშურს, შიშველს რომ გხედავს და უხმოდ გეალერსება. არ მინდა, გშურდეს. ცრემლი შენიშნა და უხმოდ მოეხვია. :) 9717.

• ჩემს გიუ და გადარეულ გვრიტებს ვკოცნი უამრავს, დახრჩობამდე. ჩემი პათალა ბარტყები ხართ. არ გინდათ, მე და ბეღურამ გიშვილოთ ორივეს? ჰა? გაკოცეთ. კლეოპატრა.

• ვახუნხულ, შე გადარეულო, სად დამეკარგე, ტელეფონი როდის გექნება, ჰა? ფლამინგო, ჭრიჭო, სოფ, რეალ, გრუზ, ეშმაკუნა, ლუნა, სანტა, პიკოლო, ASHLEY, მიყვარხართ. კლეოპატრა.

• დიდი სიყვარულით მოვიკითხავ კუტრინას დედას. დიდი მადლობა, ასეთი საყვარელი შვილის გაზრდისთვის, როგორიც ჩემი ძმუკაა. ჩემი დედიკოც ხართ, ასევე. კლეოპატრა.

• ჩემი ლამაზი ქალები როგორ არიან? იდუმალო ქალო, გამოჯანმრთელდი? სევდიანო ქალო, ქუთაისში რა ხდებოდა? ჩემი ქალი ცდუნება სად დამეკარგა? მე სულ მახსოვხართ! ჭრიჭინა.

• დიდი სიყვარულით მოვიკითხავ „გზის“ ერთგულ მკითხველ გაიკოს. სიხარულო, ძალიან მიყვარხარ. ჭრიჭინა.

• ბებოს გავყევი ბანკში, პენსია უნდა აეღო. რომ გამოვედით, ნერვებმოშლილმა ჩავიბურდღუნე, ფუ, რა უყურადღებო თანამშრომლები და მოუწესრიგებელი ბანკია-მეთქი და ბებო მეუბნება, რათა შვილო, სკამები ხომ იყოო? ჭრიჭინა.

• მინდა, ჩემი გულისტკივილი ამ ლექსით გამოვხატო, რომელიც ერთ-ერთ მგზავნელს ეძღვნება. მან ძალიან მატკინა გული. თუმცა, მაშინვე ვაპატიე. ამ შემთხვევაზე ბევრს ვფიქრობდი და სწორედ მაშინ დავწერე ეს ლექსი. გულში ყველა გრძნობა ერთად დასამარდა, ნეტავ ხალხი ასე რატომ გადაგვარდა? ვინც კი შემოვუშვი თბილად ამ ჩემს გულში, ყველამ მიღალატა, ჩამაფურთხა სულში. გულში დასამარდა ერთად ყველა გრძნობა, უკვე დამეკარგა ყველას მიმართ ნდობა, უკვე მეუფლება, რაღაც წინათგრძნობა, ჩემთვის აღარასდროს მოვა შემოდგომა. არასოდეს მქონდა ვინმეს მიმართ შური, ვცდილობდი, რომ არავისთვის არ მეტკინა გული, ალბათ უნდა ვიყო ასე უბედური, ქვეყნად დავდიოდე როგორც მარტოსული! სევდიანი ქალი.

• მარ, მართალია მგზავნელები. დაბლოკე მესიჯები და აღარავინ იუზრდელებს. ხალხს მაგათი საქმის გარჩევები არ აინტერესებს. ჭრიჭინა.

• ფლამინგო, ეგ არის შენი პირობა, თბილისში ჩამოვალო? ქალბატონო ფლამინგოს დედავ, გამოუშვით რა, თქვენი შვილი? გპირდებით, საიმედო ხელში იქნება. :) ჭრიჭინა.

• მგზავნელებს: პატივს არ ვცემ მე უტაქტო მიმართვებს, ვერვინ იტანს, ჩემგან ნათქვამ სიმართლეს, უკვე შავად მეჩვენება სინათლეც, ცხოვრებაში არასოდეს მიმართლებს. რა ვქნა, გული თუ ვერ იტანს სიავეს, სიალალით ვერავის ვგვრი სიამეს, ვინც მიყვარდა, რად მაყენებს ზიანს მე, ვერასოდეს ვნახავ ნუთუ, მზიან დღეს? ვინც რომ გულით მიყვარს, ყველა გამირბის, ვინც რომ მიყვარს, გულზე მამჩნევს იარებს, ჩემი ბედი, სულ უკუღმა ტრიალებს, ბედი სწყალობთ ბოროტებს და ტიალებს. ეს ცხოვრება რა უაზროდ გამირბის, დამიბზარა ყველამ გულის კედლები, წუთი წუთს სდევს, დრო როგორ სწრაფად მირბის, სიკვდილს ველი, ისევ სიკვდილს ვნებდები. მასში ვეძებ ჩემი სულის სიმშვიდეს, აბა ამ გულს მაშ სხვა რა დაამშვიდებს? უფალს ვუხმობ, ვლოცავ უფლის სიდიდეს, ის ერთია, ვინც რომ მე დამამშვიდებს! სევდიანი ქალი.

• მეგობარს ვთხოვე, გამსახურდიას „ვაზის ყვავილობა“ ან „მთვარის მოტაცება“ მიშოვე, წავიკითხავ-მეთქი. იმან კი ზღაპარი, „ათას ერთი ღამე“ მომიტანა, რომელიც მეხუთე კლასში წავიკითხე. :) ოჰ, გიო, გიო, რა ტყუილად გიდუღებ ყოველღამე ჩაის. ჭრიჭინა.

• დოლარ, 2012 რომ დადგეს, ტორნადომ და ქარიშხალმა ჟანამ რომ გადამიაროს, ბოდიშს, შენ მაინც არ მოგიხდი! შენ მელაპარაკები ნამუსზე? ბოდიში მომიხადეო, კაცო... სულ 50 კგ ვარ და 5 კილო დავიკელი, იმდენი ვიცინე შენზე! რუისპირი.

• მარი, ძალიან მომწონს შენი „მინიროგანები“ და ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვკითხულობ. ასევე ძალიან მომწონს „გზავნილები“ და მგზავნელები. მგზავნელებო, ყველანი კარგები ხართ და ყველანი მომწონხართ. სვანუკა.

• წავშალე მესიჯი მარ, რომელიც შენთვის უნდა მომეწერა და რომელშიც შენდამი საყვედურები იყო დაწერილი. იმიტომ, რომ გამახსენდა ის სიტყვები, რომელიც მაესტრომ პირველი ნახვისას მითხრა: ის ერთია, ჩვენ კი ათასიო. გადავიფიქრე... კამ-კამა.

• აი, მეც მოვედიი... როგორ ხართ, ჩემო კარგებო? ქუთაისში კონცერტი ჩატარდაა?! ნუ მკითხავთ. სულ „ზვეზდოჩკები“ ჰყავდათ ჩამოყვანილი. ისე, კარგი დრო კი ვატარეთ მეგობრებმა. ისე, ბერბიჭა ნაღდად დააკლდა „გზას“. და კიდევ ბევრი კარგი მგზავნელი. მინდა, ყველასთან ვიმეგობრო. რას იტყვით? გიჟპოეტა.

• ვაა, გადარეულო, მე — კარგად, შენ? შენ ემშვიდობები სტუდენტობას, მე კი უნდა დავიწყო. მაგაააარ! სანტა.

• ეჰ, თქვენ ერთმანეთის ლანძღვა-გინების გარეშე არ შეგიძლიათ, რაა... რა გჭირთ, წაიღეთ ტვინი და „გზის“ ფურცლები. P.S. რუისპირ, მაპატიე, რაა, ვერ გწერ. ჩავრთავ და შეგეხმიანები. სანტა.

• მგზავნელების დედაბოძო,/ დედაფუძევ, დედაღმერთო,/ ჩვენო მარი ჯაფარიძევ,/ „გზის“ ფურცლებზე, მუდამ მხსნელო.../ რამდენს სწყალობს შენი კალთა,/ უხვად რომ აბერტყავ ჩვენზე,/ და შენნაირ კარგ დედიკოს,/ ჩვენ არ გავცვლით არაფერზე!/ მარად კარგად უნდა გვყავდე,/ რომ აღგეზარდო კარგ ბავშვებად/ და თუ ჩვენ არ დაგიჯერებთ,/ ჯურგმულიორკს გვგზავნე, ხელად...

• ტყის სიღრმეში სიმარტოვე გამეფებულა, დაფარულა არემარე მწვანე ფოთლებით, სიჩუმეში სინანული ამღერებულა, დაქანცულა დედამიწა თეთრი ოცნებით. ზეცა ნისლით შეღებილა ათასფერებად, კვნესის ჩუმი მარტოობის დანაშაული, დაღამებულა თითქოს უკვე აღარ თენდება და სინდისსაც წაეკიდა მწველი ალმური. გავიქცევი, ამ გარემოს ჩავეხუტები. გამარჯობა, მე ახალი ვარ. ძალიან მიყვარს „გზავნილების“ კითხვა და ყველანი ძალიან მიყვარხართ! შემოპარული.

• გრუზინკა, ძალიან მეცნობი. შენ თუ ის ადამიანი ხარ, ვინც მგონია, ძალიან გამახარებ, მეგობარო. მიგანიშნებ, სიკალუს დაქალი, ერთ-ერთ ჩათში? ყველა მგზავნელს მოკითხვა. ნუ ჩხუბობთ, ქართველები ვართ, გვიყვარდეს ერთმანეთი და საქართველო

ჩვენით გაბრწყინდება... ზუკ.

• აეეეეე, წუხელ იცით, რა მომდიოდა, რომ ვუყურებდი, ბერნაბეუზე „ინტერს“ რომ გადასცეს თასი? მინდოდა, მეწივლა და მეკივლა, წამერთმია თასი და რეალისთვის გადამეცა... ეჰ, როგორ მინდოდა, ბერნაბეუზე 2010 წელს მეათე ლიგის მოგებაააა?! მოურინიო გენიაა! ჰოდა, იქითა სეზონიდან ჩვენია და, მერე კი დავიბრუნებთ ძველ დიდებას! ჰააალააა! მადრიიიდ! რეალის გიჟი ფანი, მის რეალი.

• ჩემო მარი, ბერბიჭასა და რუისპირის წასვლამ გული მატკინა, თითქოს მგზავნელეთი დაცარიელდა. მადლობა ღმერთს, ბევრი გვყავს საუკეთესოები: თეზი, ლუნა, ლიმონა, მის რეალი, კლეოპატრა, მემე, ჭრიჭინა, ემიგრანტი და სხვა. მიყვარხართ, თქვენ შემოგევლოთ ნ. დუმბაძე.

• ჩვენს ყველა სკოლადამთავრებულ მგზავნელს, სესის და WHITE ANGEL-ის თამადობით (მეტი არ მახსოვს, ვინ დაამთავრა), ვულოცავ ბოლო ზარს. სულ წარმატებებით გევლოთ, ლამაზებო. SWEET-GIRL.

• ე.ი. მე პლაგიატობისგან დაზღვეული ვარ და იცით, რატომ. ამას წინათ ვამბობდი, ამბავი თავს თუ არ გადამხდა, ან საკუთარი თვალით თუ არ დავინახე, სხვისი მოყოლილით გზავნილს ან საერთოდ ვერ ვწერ, ან საშინელი გამომდის-მეთქი და ერთმა მითხრა, ეგოისტი ხარ და იმიტომო. ა, თუ არ ვყოფილვარ მართალი... თან ცილისწამებისგანაც დაზღვეული ვარ. ან რაღა სხვისი ამბები ვწერო, ჩემი იმდენი მაქვს, დღეიდან სრულ იზოლაციაში რომ მამყოფონ, მთელი წელი მეყოფა საწერად. დღე არ გავა, რამე არ დამემართოს და აბა, რა იქნება? გკოცნით, თქვენი გიჟ-ხიფათა, SWEET-GIRL.

• კ-ლიკ, ამას წინათ, სხვადასხვა პოეტების ეპიგრამებს ვკითხულობდი და ერთ-ერთი იმდენად მომეწონა, მინდა, გაგანდო. ჩემს მოწიწებას ბრიყვთა მიმართ არა აქვს ზღვარი.../ ჩვენ მათი ვალი, სამუდამო ვალად მიგვყვება.../ რადგანაც ქვეყნად რომ არ იყვნენ ბრიყვები სხვანი,/ მაშინ ჩვენ თვითონ მოგვიწევდა ყოფნა ბრიყვებად. ხო, ხედავ, რამხელა სამსახურს გვიწევენ და ვაცადოთ, რაა. SWEET-GIRL.

• ვაიმე, ვაიმე, ვაიმეეე! აქ ისევ კბენა-ღრენის ხასიათზეა ზოგ-ზოგიერთი? კარგი, რაა... ნაყინის ჭამით დაიღლება ადამიანი და თქვენ ამ ჩხუბით რით ველარ დაიღალეთ? რაღაც, ყური მოვკარი, ერთმანეთის ლაქუცით აღარ დაიღალეთო? ვიღაცა ამბობდა დაა... ერთი ჩემს გულში ჩაგახედა, ნეტავ... მისს რეალ, ჩუუუ, აცეტონივით აორთქლებულო ილინ, ხათათუღა, ლიმონჩიკ, სეს, ბათუმელებო, რუისპირო, 9717, პარი, სიკვდილ, დუუჩ, იკჩო, უუუუძალიანესად მიყვარხართ და ყველა აფერისტის, მლიქვნელის და პირფერი სულიერის — ტუუუუ... მოსულა? ჰოდა, ეგრეეე... ვისაც სიყვარული არ შეუძლია, გაგვატარეთ, რაა და ზედმეტი ჭორებისა და ეჭვებისგან ტვინის უჯრედებს ნუ გადაიღლით... SWEET-GIRL.

• ცოცხალო თოჯინავ, გმადლობ მოკითხვისთვის. არა, გენაცვალე, ბოროტ ენებს უკვე აღარ ვაქცევ ყურადღებას. უარყოფითენერგიაგამტარი ვარ, უკვე და აქ ვარ, თქვენთან... გაკოცე... SWEET-GIRL.

• ვიღაცამ ნახა ჩემი ლექსები, თქვა ირონიით: უგრძნია, ბავშვსო, რითმა კარგია, დახვეწა უნდა, თუმც მაინც მისს ლექსს ფანები ჰყავსო. გულში შეირხა რაღაც ბავშურად, არც კი ჩავთვალე, რომ მეთქვა რამე, შემომიტიეს თუმცა მუზებმა, უიარაღოდ დარჩენილს, ღამე. რიდი ჰმართებსო წამკითხველს ლექსის, თუმც არ მოელი, არ გსურს დიდება, ლექსებში სული გადმოვიტანე, ჩემი გრძნობები მასში ვლინდება. ნაბიჯით წინ! იარ... ნაბიჯით — უკან და დგახარ კვლავაც, ნაცნონ ადგილზე, კვლავ არის გვიან, ადრეა მუდამ და დრო ჩერდება, კვლავაც საწყისზე. ღამეა თეთრი... დილაა ბნელი... წრე არის ირგვლივ, უცნობ მანძილზე, აქაა მტერი, იქ კი მოყვარე, სიცილი ისმის მძაფრი, საშიშზე. იბნევა მტვერი, გვიცქერის ღმერთი, ოდნავ იღება ძველი კარიბჭე, მიზანი ბევრი, ფიქრი კი ერთი და დგახარ კვლავაც, ნაცნობ ადგილზე. მის რეალი.

• მარი-სალი, „რეალელო“, გული გამითბა თქვენითა, გეტყობათ, „რეალს“ ქომაგობთ, ამას ვერ აღვწერ ენითა. ხათო, შენ ისევ ჩვენთან ხარ, კვლავ სიმართლისა გამგები, ლიმონ, მარადის ყველგანა, იბრწყინებს ჩვენი ტანდემი. დალი, მადლობა სითბოსთვის, ეგ ამბავ მითხრეს მეცაო, ჰოოოდა, იმდენი ვიცინე, მსურს იხალისოთ თქვენცაო. რუისპირ, მეც გითანაგრძნობ, დაგვიანებით, ძამიკო, კუტრინ, მზადა ვარ იცოდე, შენთან და-ძმობა გავიყო. დაბოლოს, ჩავეხუტები, ჩუპის, სოფის და კიკოს,

• მხოლოდ ერთსა მთხოვს მე გული, კვლავ მოვეფერო ნიკოს! P.S. მეგობარს ფიცი არ უნდა, მტერს ვერ არწმუნებ მტკიცებით, გამგებნო ჩემი აზრისა, ვიცი, ამასაც მიხვდებით. :) მის რეალი.

გილოცავ!

• დიმიტრი ქარსელაძეს, ალფისა კოპალიანს და ნანა მიქაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, სულის სიმხნევეს, ლამაზი დღეების სიმრავლეს. მაკა.

• ქეთი აკოფაშვილო, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ სიხარულს და ბედნიერებას. მომავალ წელს სტუდენტისთვის მომელოცოს. მზია ბებო.

• საყვარელ ბიძაშვილებს, იაგო, მაკა და ვოვა ხიჯაკაძეებს ვულოცავ დაბადების დღეს, 29, 30 და 31 მაისს. ჯანმრთელობას, ბედნიერებას და უფლის წყალობას გისურვებთ. ნაცნობი.

• მეგუჩი, ჩემო სიხარულო, თვალებბრიალა და სასახელო შვილო, 28 მაისს გილოცავ დაბადების დღეს, მრავალს დაგასწროს უფალმა, გქონოდეს ბედნიერი და უდარდელი ბავშვობა, ყოფილიყავი კეთილი და სპეტაკი გულის მქონე, საამაყო ქართველი ქალი, მშობლების ამაგის დამფასებელი და მუდამ სიკეთის მთესველი, შენისთანა მშობლების შვილს არც გაქვს უფლება, სხვაგვარად მოიქცე. გფარავდეს უფალი და დედა ღვთისმშობელი. შენი დედიკო, ნანა. იდუმალი-ქალი.

• ჩემს დაიკოს, მეგი ხურციას 28 მაისს ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და სურვილების ასრულებას. დედიკოს და მამიკოს დაუჯერე და არ იქაჯო, ძალიან მიყვარხარ და გაკოცე ბევრი. შენი ძამიკო, ნიკუშა.

• ჩვენს ძმას, ვოვას, ბიძაშვილებს — მაკას და იაგოს ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და წინსვლას. გკოცნით, მიშკა და თამარ ხიჯაკაძეები.

• ანა ჩხაიძე, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერ, ლამაზ სიცოცხლეს, ულევ სიხარულს და წარმატებებს, სწავლასა და ცხოვრებაში.

• ჩემს დეიდაშვილს, ირინა ჩხეტიანს ვულოცავ დაბადების დღეს, 21 მაისს. უბედნიერესი ყოფილიყავი, შენს ახალშექმნილ ოჯახთან ერთად. ყველას გვიყვარხარ. თ. ნემსწვერიძე.

• დაბადების დღეს, 21 მაისს ვულოცავ დიმიტრი ქარსელაძეს. ვუსურვებ წინსვლას, გამძლეობას და ყველაფერს საუკეთესოს. უფალმა დაგლოცოს და სწორ გზაზე გატაროს! თ. ნ.

• ჩემო საყვარელო დედიკო, გილოცავ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, შვილებთან ერთად. ულევ სიხარულს გისურვებ. ნუცა.

• თიანეთში, თათია ზითანიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. უფალი და ღვთისმშობელი გფარავდეს, ჩემო პატარავ. გკოცნი, შენი უცნობი მაია დეიდა.

• თბილისში, პატარა მთიულს, ვალერი წიკლაურს ვულოცავ დაბადების დღეს. გფარავდეს უფალი და ღვთისმშობელი. გკოცნი, მაია დეიდა.

• ჩემს უზომოდ მონატრებულ, უძვირფასეს და უსაყვარლეს დისშვილს, ლაშა არდოტელს ვულოცავ დაბადების დღეს, 28 მაისს. დეიდას სიხარულო და სილაღევ, მრავალი შენი დაბადების დღე გეზეიმოს ჯანმრთელს, ბედნიერს და გახარებულს! ლამაზი სიყვარული, სიკეთე და სიხარული ყოფილიყოს შენი ცხოვრების თანამგზავრი! გისურვებ ყველაფერ კარგს და საუკეთესოს! უფალი გფარავდეს, ყველგან და ყოველთვის! თამრიკო.

• 26 მაისს დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს საყვარელ რძალს, ჩემი ზაურის ცოლს, იას. ყოველთვის მხიარული ყოფილიყავი და შენით გვეამაყოს. ღმერთი გფარავდეთ. ზაირა.

• 29 მაისს დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს მეუღლეს, ნოდარ ჭელიძეს. ვუსურვებ კარგად ყოფნას და ჯანმრთელობას, მის საყვარელ შვილებთან და შვილიშვილთან ერთად. მენატრები ძალიან. გამაგრდი. მეუღლე, მაია.

• ჩემს თვალით უნახავ შვილიშვილს, მაიკო ჭელიძეს 31 მაისს ვულოცავ 2 წლის შესრულებას. გისურვებ ჩემო ანგელოზო, ჩემო სიცოცხლევ, ჯანმრთელი და სასახელო გოგო გაიზარდო. გკოცნის შენი უცნობი მაია ბებო.

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ტაიმ-აუტი

ძვირად ღირებული კაბები



13 მლნ დოლარად შეაფასეს მოდელიერ რენე შტრაუსისა და იუველირ მარტინ კატცის მიერ შექმნილი, ბრილიანტებით მორთული კაბა. იგი 2006 წლის საქორწინო კაბების გამოფენაზე წარადგინეს, მაგრამ მყიდველი დღემდე არ გამოუჩნდა.

ფილმ „ადამიანი-ობობა 3“-ის პრეზენტაციაზე მოდელ სამანტა მუმბას, ინგლისელი დიზაინერის, სკოტ ხენშალის მიერ შეკერილი, ბრილიანტის თვლებით გაფორმეული კაბა ეცვა. ძვირფასი ქვების ფასი 9 მლნ დოლარია. მოდელს პრემიერაზე დაცვა დაჰყვებოდა. ღონისძიების შემდეგ კაბას ბრილიანტები მოხსნეს და სპონსორებს დაუბრუნეს.

სულ რაღაც 8,5 მლნ დოლარი ღირს იაპონელი დიზაინერის, იუმი კაცურას მიერ შეკერილი საქორწინო კაბა, რომელსაც თეთრი ბრილიანტები და ათასი იაპონური მარგალიტი ამშვენებს.

1961 წელს ჯონ კენედის დაბადების დღეს, მერილინ მონროს, ჟან ლუის მიერ შეკერილი კაბა ეცვა (სხვათა შორის, კაბას „დაბადების დღე“ ჰქვია). აღსანიშნავია, რომ კაბაში მსახიობმა 12 ათასი დოლარი გადაიხადა, ხოლო „სოთბის“ აუქციონზე ერთმა ნიუ-იორკელმა კომერსანტმა 1,6 მლნ დოლარად შეიძინა.

პირველად, ბრილიანტებით მორთული, საღამოს შავი კაბა მარია გრახოფოგელის ჩვენებაზე მოდელ ჯოდი კიდს ეცვა. თავდაპირველად მისი ფასი 500 ათასი დოლარი იყო, მაგრამ 1,8 მლნ დოლარად გაიყიდა.

არაბი პატარძლისათვის ამერიკულ საქორწინო კაბების სალონს ბრილიანტებითა და „სვაროვსკის“ თვლებით მორთული კაბა შეუკვეთეს. დამკვეთმა 300 ათასი დოლარი გადაიხადა.

იაპონელმა იუველირმა, გინზა ტანაკამ ტოკიოს კოლეჯის ჩვენებაზე, 15 ათასი ავსტრალიური ოქროს მონეტით გაფორმებული კაბა წარმოადგინა. კაბა 10 კგ-ს იწონიდა და 300 ათას დოლარზე ცოტა ნაკლები ღირდა. ამავე ჩვენებაზე წარმოადგინეს მონეტებით გაფორმებული მოსასხამი, რომელიც 15 კგ-ს იწონიდა. დაახლოებით ამავე ფასში გაიყიდა ამავე დიზაინერის მიერ ოქროს სირმით მოქსოვილი 1,5 კგ-იანი კაბა.

2007-2008 წლის შემოდგომის ჩვენებაზე წარმოდგენილი „დიორის“ თითოეული კაბა 200 ათას დოლარზე ნაკლები არ ღირდა. რამდენიმე, ჩვენების დასრულებისთანავე გაიყიდა.

200 ათასი დაუჯდა მილიარდერ დონალდ ტრამპს საცოლის — მოდელ მელანი კრაუსის საქორწინო კაბა. მასზე 90 მეტრი ატლასი და ვერცხლის ნაკეთობები დაიხარჯა. კაბას 550 საათის განმავლობაში ხელით აფორმებდნენ. აღსანიშნავია, რომ ქორწილამდე კაბა ჩვენებაზე წარმოადგინეს. მოდელმა სამოსის სიმძიმეს ვერ გაუძლო და პოდიუმზე დაეცა, მაგრამ კრაუსს ასეთი ექსცესი არ დამართვია.

შუა საუკუნეების სტილში შექმნილი, 150 ათასი „სვაროვსკის“ თვლით მორთული კაბა 127 ათას დოლარად გაიყიდა.

125 ათასი დოლარი ღირს დიზაინერ კეტრინ უოლკერის მიერ შეკერილი თეთრი შიფონის კაბა, რომელიც ინგლისის პრინცესა დაიანას ორჯერ ეცვა: პირველად — 1989 წელს, ლონდონის საოპერო თეატრში „მის საიგონის“ პრემიერაზე და 1997 წელს — კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე. ■

მოამზადა **რუსუდან გელაშვილმა**

ფარიკაობის „ოქროს ხანა“

...რომის ოლიმპიური თამაშები კარს იყო მომდგარი. ქართველი სპორტსმენების უმრავლესობამ ჯერ კიდევ არ იცოდა, ვინ გაემგზავრებოდა იტალიის დედაქალაქში. ზოგ სახეობაში საკავშირო ჩემპიონატები ჯერ კიდევ არ დასრულებულიყო, ზოგშიც საკონტროლო შეხვედრების შედეგებზე იყო დამოკიდებული საბჭოთა ნაკრებისათვის კანდიდატების შერჩევა. ჩვენი ათლეტებიდან, ოლიმპიურ დელეგაციაში მოხვედრის იმედი ძირითადად, თავისუფალი და კლასიკური სტილით მოჭიდავეებს ჰქონდათ, თუმცა რომის საგზურებისთვის კალათბურთელები, მძლეოსნები, წყალბურთელები და მოფარიკავეებიც იბრძოდნენ.

გოგი ფრანგიშვილი

გასული საუკუნის პირველ ნახევარში თბილისის კინოეკრანებზე ალექსანდრე დიუმას „სამი მუშკეტერის“ გამოსვლის შემდეგ, ფარიკაობა საქართველოში ძალიან პოპულარული გახდა. ბორის პაიჭაძის, ავთანდილ ღოღობერიძისა და ოთარ ქორქიას მიმდევარ პატარა ბიჭებს ახლა უკვე დ'არტანიანობის მსურველი ცეროდენა რაინდებიც შეემატნენ და მალე ქართულმა საფარიკაო სკოლამ საკავშირო არენაზე სერიოზულ წარმატებებს მიაღწია.

ჩვენებურთაგან პირველმა, ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებში აკაკი მეიფარიანმა იასპარეზა. მელბურნის საფარიკაო ბილიკებზე რევაზ ცირეკიძე და იური ოსიპოვი გამოდიოდნენ, რომში კი ერთდროულად რამდენიმე თბილისელ „მუშკეტერს“ ჰქონდა გამგზავრების შანსი, მაგრამ ჯერ სარატოვში, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში უნდა მოეპოვებინათ ოლიმპიური საგზურები. ფარიკაობაში შეჯიბრებები, პირადი პირველობის გარდა, გუნდურშიც ტარდება, მაგრამ ეს ტურნირები ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავდება. ერთნი წარმატებას უმეტესად, პირად ასპარეზობაში აღწევენ, სხვები გუნდისთვის იხარჯებიან ბოლომდე. ქართველები უფრო მეტად, გუნდურ მებრძოლებად მიიჩნეოდნენ. ესპადრონში (ხმლით ფარიკაობა), ნუგზარ ასათიანთან ერთად, „ბურევესტნიკის“ საკავშირო ნაკრებში ევგენი ჩერეპოვსკი და ვალერი ჟიტნი გამოდიოდნენ. ისინი პრაქტიკულად, საბჭოთა კავშირის მეორე გუნდს წარმოადგენდნენ, ხოლო ქვეყნის ძირითად ნაკრებში მოსკოველ არმიელთა ტიტულოვანი მოფარიკავეები — დავით ტიშლერი, ლევ კუზნეცოვი, მარკ რაკიტა და უმარ მავლიხანოვი ასპარეზობდნენ.

საკავშირო ჩემპიონატის ფინალში ნუგზარ ასათიანმა ზედიზედ 3 ორთაბრძოლა მოიგო, ანგარიშით — 8:7 მაინც არმიელები ლიდერობდნენ, ჩხვლეტების შეფარდებაც მათ უკეთესი ჰქონდათ. ამიტომ დასკვნით შეხვედრაში მავლიხანოვთან ასათიანს დიდი ანგარიშით უნდა მოეგო. იმ პერიოდში ესპადრონში ელექტროაპარატურა ჯერ კიდევ არ არსებობდა, მეტოქეების წამიერი მოქმედების დაფიქსირებაც მსაჯებს ხშირად უჭირდათ და ისინიც, როგორც წესი, უფრო ტიტულოვან სპორტსმენებს სწყალობდნენ. ამ სიტუაციაში ახალგაზრდა თბილისელი ესპადრონისტის გამარჯვება ძალზე საეჭვო იყო. მაგრამ ნუგზარ ასათიანმა იმ დღეს უმარ მავლიხანოვსაც აჯობა და მსაჯებსაც, ფინალი 5:2 მოიგო და მორის სახვაძესთან ერთად, საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტულიც პირველად მოიპოვა.

ჩემპიონატის მედლებს, მათ გარდა, გურამ კოსტავა (დაშნა) და იური ოსიპოვი (რაპირა) დაეუფლნენ, მაგრამ ნაკრებში მხოლოდ ასათიანი და კოსტავა მოხვდნენ.

რომის კონგრესის სასახლეში ნუგზარ ასათიანის ოლიმპიური დებიუტი უიღბლო აღმოჩნდა. ქართველმა ესპადრონისტმა და მისმა თანაგუნდელებმა პირველ წრეში არგენტინის ნაკრები დაამარცხეს, მაგრამ შემდეგ აშშ-ის გუნდთან, ჩხვლეტების უარესი შეფარდებით წააგეს და მედლებისთვის ბრძოლასაც გამოეთიშნენ. ნუგზარ ასათიანმა გუნდურ ასპარეზობაშიც და პირადშიც 4-4 შეხვედრა მოიგო, მაგრამ საკუთარი გამოსვლით უკმაყოფილო დარჩა. ამის შესახებ იგი მოგვიანებით, ავტობიოგრაფიულ წიგნშიც წერდა:

„რომის ოლიმპიადამ, თუ შეიძლება, ასე ითქვას, არასასიამოვნო მოგებები დამიტოვა. იმ დროისათვის საერთაშორისო სარბიელზე თითქმის არ მიცნობდნენ, ამას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს სპორტსმენის მორალური სიმხნევისთვის. უცნობ მოფარიკავეს არც მსაჯები სწყალობენ. ამ დამოკიდებულების სუსხი წინასწარი შეხვედრების დროსვე ვიგრძენი. მჩაგრავდა არა მარტო ძლიერი მეტოქეების ოსტატობა, არამედ მსაჯების დაუნდობლობაც... ამით სრულებითაც არ ვაპირებ თავის მართლებას. ჩემი მარცხი კანონზომიერი იყო. მე უნდა მეზრუნა ფარიკაობის მსოფლიო სტანდარტების დაუფლებისთვის, რასაც დამატებით მუშაობა ესაჭიროებოდა“.

ესპადრონისტებისგან განსხვავებით, დაშნის ოსტატებმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. მესამე ადგილისთვის შეხვედრაში უნგრეთის ძლიერ გუნდთან, გურამ კოსტავამ ყველა მეტოქე დაამარცხა და ქართველ მოფარიკავეთაგან პირველი ავიდა ოლიმპიურ კვარცხლბეკზე.

მომქანცველი სეზონი ჩვენმა „მუშკეტერებმა“ საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებით დაასრულეს. თანაც, ყველასთვის მოულოდნელად, ქართველმა სპორტსმენებმა სამივე იარაღში იმარჯვეს: რაპირაში თასს იური ოსიპოვი დაეუფლა, დაშნაში — გურამ კოსტავა, ესპადრონში კი — ნუგზარ ასათიანი. მომავალში ქართველმა მოფარიკავეებმა კიდევ ბევრი გამარჯვება იზეიმეს, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებიც გახდნენ, მაგრამ საბჭოთა იმპერია ისე დაიშალა, ქვეყნის მთავარ პრიზს სამივე სახეობაში ვეღარ დაეუფლნენ.

მორის სახვაძე და ნუგზარ ასათიანი

საკავშირო თასის გათამაშებაში გამარჯვების შემდეგ ნუგზარ ასათიანმა და გურამ კოსტავამ ლენინგრადში, 1961 წლის საბჭოთა კავშირის პირად ჩემპიონატშიც იმარჯვეს. ესპადრონისტთა ტურნირის ფინალისტებს შორის ყველაზე ტიტულოვანი, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, მოსკოველი ლევ კუზნეცოვი იყო. ფინალში 8 საუკეთესო სპორტსმენი წრიული სისტემით ასპარეზობდა. ასათიანისა და კუზნეცოვის ორთაბრძოლაში მოსკოველმა იმარჯვა და 5 მოგებით დაწინაურდა კიდეც, მაგრამ კიდევ ერთი ბრძოლა იყო დარჩენილი — ნუგზარ ასათიანსა და მარკ რაკიტას შორის: გამარჯვების შემთხვევაში, ქართველი ლიდერს დაეწეოდა და მათ შორის დამატებითი შეხვედრა დაინიშნებოდა. ასეც მოხდა. ნუგზარ ასათიანმა ჯერ მარკ რაკიტა დაამარცხა, ხოლო შემდეგ ლევ კუზნეცოვსაც ისეთი ძალით შეუტია, მოსკოველი არმიელი ვერ ახერხებდა მეტნაკლებად საიმედო დაცვის პოვნას. თბილისელმა „მუშკეტერმა“ სრული რევანში აიღო და საკავშირო ჩემპიონატში მეორე ოქროს მედალიც დაისაკუთრა. მისი გამარჯვება ამჯერადაც მოულოდნელი იყო. ასე განსაჯეთ, ორგანიზატორებს საქართველოს ჰიმნიც არ მოუმზადებიათ და გვიან ღამით ლენინგრადის რადიოში კაცი სასწრაფოდ აფრინეს, დაჯილდოების ცერემონიისთვის რომ მოესწროთ. 2 დღის შემდეგ ეს ჰიმნი ორგანიზატორებს კიდევ ერთხელ დასჭირდათ — როდესაც გურამ კოსტავამ დაშნაში ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, — ერთი თვის შემდეგ კი ორივე ქართველი მოფარიკავე ტურნირის მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობდა.

ნუგზარ ასათიანმა თავის სადებიუტო მსოფლიოს ჩემპიონატშიც გამოავლინა გუნდური მებრძოლის ხასიათი და საბჭოთა ნაკრებთან ერთად, ვერცხლის მედალს დაეუფლა. ფინალში პირველობა მათ მხოლოდ აღიარებულ ფავორიტებს — პოლონელებს დაუთმეს. რაც შეეხება გურამ კოსტავას, იგი დაშნით მოფარიკავეთა ტურნირის ნამდვილი გმირი გახდა. გადამწყვეტი შეხვედრა საფრანგეთის ძლიერ გუნდთან კოსტავასა და მსოფლიოს ჩემპიონის — გიტეს ორთაბრძოლით დაიწყო. ანგარიშით 5:2 ქართველმა მოფარიკავემ მოიგო. მაგრამ შემდეგ, ნაკრების სხვა წევრებმა ზედიზედ 3 შეხვედრა წააგეს და ფინალის პირველი წრის შემდეგ, 3:1 ფრანგები დაწინაურდნენ. მეორე წრე კვლავ ჩვენებურის გამარჯვებით დაიწყო. მაგრამ თანაგუნდელებმა ამჯერადაც ვერ აუბეს მხარი და გურამ კოსტავაც პრაქტიკულად მარტო ებრძოდა მეტოქეებს. ფინიშზე მან ჯერ გაათანაბრა საერთო ანგარიში (8:8), ხოლო შემდეგ, დასკვნით შეხვედრაში, 5:1 ფრანგთა კიდევ ერთი მსოფლიოს ჩემპიონი — მუიალი გაანადგურა. ფარიკაობაში გურამ კოსტავამ ტურინიდან მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედალი პირველმა ჩამოიტანა. ამასთან, იტალიაში მან 22 ორთაბრძოლიდან 21-ში იმარჯვა.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მონაწილენი

გასული საუკუნის 60-იან წლები ქართველი ფარიკაობის აყვავების ხანა იყო. ჩვენი მოფარიკავეები საკავშირო ჩემპიონატებსაც იგებდნენ, თასის გათამაშებებშიც იმარჯვებდნენ და საერთაშორისო სარბიელზეც წარმატებით გამოდიოდნენ. მაგრამ საბჭოთა ნაკრების მწვრთნელები მათ ხშირად არ სწყალობდნენ. თბილისელი რაპირისტი იური ოსიპოვი წლების განმავლობაში სხვადასხვა რანგის ტურნირში სტაბილურად ასპარეზობდა, ქვეყნის მთავარი გუნდის კარი კი მისთვის დახშული იყო. მიზეზი — მისივე დაუვიწყარი გამარჯვება იტალიელთა ლეგენდარულ „მაესტროსთან“, ედუარდო მანჯაროტისთან. მანჯაროტი ერთნაირად ვირტუოზულად ფლობდა რაპირასაც და დაშნასაც. მან ექვსჯერ მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონატებში ათზე მეტ ოქროს მედალს ფლობდა. იური ოსიპოვმა მელბურნის თამაშებში სწორედ ასეთი ტიტულოვანი მეტოქე დაამარცხა, ხოლო როდესაც მას მოსკოვში გადასვლა და ნაირნაირ პრივილეგიასთან ერთად, საბჭოთა ნაკრებში გარანტირებული ადგილი შესთავაზეს, მაინც საქართველოში დარჩენა ამჯობინა. თბილისელი რაპირისტი 1962-63 წლებშიც დაეუფლა საკავშირო ჩემპიონატების მედლებს და წესით, მსოფლიოს ჩემპიონატებშიც უნდა მიეღო მონაწილეობა, მაგრამ საბჭოეთის ნაკრებში მის ადგილს კვლავ სხვები იკავებდნენ...

მსოფლიოს ჩემპიონატზე გდანსკში (პოლონეთი) ქართველი „მუშკეტერებიდან“ მხოლოდ ნუგზარ ასათიანი და გურამ კოსტავა გაემგზავრნენ. პოლონეთიდან ორივე მედლებით ხელდამშვენებული დაბრუნდა: ასათიანი გუნდური ტურნირის „ვერცხლით“, ხოლო კოსტავა — პირადი ჩემპიონატის „ბრინჯაოთი“, თუმცა ორივე მეტსაც იმსახურებდა, განსაკუთრებით — ასათიანი. გადამწყვეტ შეხვედრაში საბჭოთა ნაკრების მეტოქე პოლონეთის გუნდი იყო, რომელმაც ბოლო 3 ჩემპიონატში ზედიზედ იმარჯვა და არც ახლა აპირებდა პოზიციების დათმობას, მით უმეტეს, რომ სწორედ მაშინ მასპინძლები გდანსკის დაარსების ათასი წლისთავს ზეიმობდა. ფინალი ფრედ 8:8 დასრულდა. მეტოქეებს ჩხვლეტების რაოდენობაც თანაბარი აღმოაჩნდათ და დებულებით, უძლიერესის ვინაობა ერთ დამატებით ბრძოლაში უნდა გარკვეულიყო. პოლონელებმა თავიანთი ბედი მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონს, ეჟი პავლოვსკის ანდვეს, საბჭოთა მწვრთნელებმა კი — უტიტულო უმარ მავლიხანოვს და მწარედაც შეცდნენ. გამოცდილმა პავლოვსკიმ მშრალი ანგარიშით 5:0 დაამარცხა მეტოქე და გუნდთან ერთად, მეოთხე ოქროს მედალიც მიითვალა. საბჭოთა ნაკრებს და მათ შორის, ნუგზარ ასათიანს, კვლავ ვერცხლის ჯილდო ერგო.

უკვე რამდენიმე წელი იყო, რაც ქართველი ესპადრონისტი ოფიციალურ საერთაშორისო ტურნირებში ასპარეზობდა, მაგრამ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლას ვერ ახერხებდა. გუნდის ძირითადი ბირთვი, რომის ოლიმპიადიდან მოყოლებული, სტაბილური იყო (ნუგზარ ასათიანი, იაკობ რილსკი, უმარ მავლიხანოვი). ამ სამეულის გარდა ტოკიოს თამაშებში მონაწილეობა მარკ რაკიტასაც ჰქონდა გარანტირებული. საბჭოთა ნაკრებში ვაკანტური ერთადერთი ადგილი რჩებოდა, რომელიც მინსკის საკავშირო ჩემპიონატში გამარჯვებულს უნდა დაეკავებინა.

ბელორუსიის დედაქალაქში ფინალური შეხვედრების შემდეგ ნუგზარ ასათიანს, მორის სახვაძესა და ბორის მელნიკოვს მოგებათა თანაბარი რაოდენობა დაუგროვდათ და მათ შორის დამატებითი ორთაბრძოლები დაინიშნა. მეტოქეებმა თითო შეხვედრა მოიგეს, მეორე რაუნდში კი სახვაძეს ნერვებმა უმტყუნა და ვერცხლის მედალსღა დასჯერდა. ჩემპიონი ლენინგრადელი ესპადრონისტი გახდა, ასათიანი — ბრინჯაოს პრიზიორი. ნუგზარ ასათიანმა და მორის სახვაძემ მინსკში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები მაინც მოიპოვეს, ოღონდ გუნდურ ტურნირში, მაგრამ მორისი, ამ ოქრო-ვერცხლითაც, კვლავ ვერ მოხვდა ოლიმპიურ ნაკრებში.

ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს დელეგაცია 18 სპორტსმენით გაემგზავრა, იქიდან კი 11-მა სხვადასხვა სინჯის მედალი ჩამოიტანა. ერთ-ერთის, თან — ოქროს მედლის მფლობელი, ნუგზარ ასათიანი გახდა. საბჭოთა ნაკრებმა საკმაოდ ადვილად სძლია მასპინძელთა გუნდს, შემდეგ — აშშ-ის ნაკრებს, ნახევარფინალში — პოლონელებს და ოლიმპიურ ფინალში იტალიის გუნდს დაუპირისპირდა. გადამწყვეტ შეხვედრაში, ნუგზარ ასათიანთან ერთად, საფარიკაო ბილიკზე იაკობ რილსკი, უმარ მავლიხანოვი და მარკ რაკიტა გამოვიდნენ. მათგან ყველაზე ტიტულოვანი — მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი რილსკი იყო, ხოლო იტალიელთაგან ყველაზე მრისხანე მეტოქე — ვლადიმირო კალარეზე აღმოჩნდა. ფინალში მან ოთხივე ბრძოლა მოიგო, მათ შორის, ნუგზარ ასათიანთან. მაგრამ გადამწყვეტი ორთაბრძოლა მაინც ქართველ მოფარიკავეს ერგო. ასათიანმა დასკვნით ორთაბრძოლაში, ელ ჯანპაულო კალანჩინი დაამარცხა და საბჭოთა ესპადრონისტთა ნაკრებმა პირველად მოიპოვა ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლები. აი, როგორ იხსენებდა მოგვიანებით ამ გადამწყვეტ ბრძოლას თავად ოლიმპიური ჩემპიონი:

„იტალიელი უხერხული მეტოქე აღმოჩნდა. იგი უარყოფდა ბრძოლის კლასიკურ მანერას, მოულოდნელ გაგრძელებას ირჩევდა, ძალზე სწრაფ ტემპში იბრძოდა. იმდენად ვღელავდი, რომ შეხვედრის მსვლელობა დაწვრილებით აღარ მახსოვს. მეგობრები მეუბნებოდნენ, ბრძოლა ღამაზი და დაძაბული იყოო. სილამაზისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ერთი კი ვიცი — წუთითაც არ მქონია მოსვენება... ჩვენი გუნდის წევრები სარბიელზე გადმოცვივდნენ, მეხვევიან, მილოცავენ. ჩემს ბედნიერებას საზღვარი არა აქვს. ვიყურები მოწინააღმდეგისკენ, მას საფარიკაო ნიღაბი მოუხსნია, ისმენს თანაგუნდელების დამამშვიდებელ სიტყვებს, თვალები კი ცრემლებითა აქვს სავსე... ტოკიოს ოლიმპიადა საუკეთესო ფურ-

ცელია ჩემს სპორტულ ბიოგრაფიაში“.

ამის მიუხედავად, ნუგზარ ასათიანს ტოკიოს ოლიმპიადამ მაინც დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დაუტოვა, ვინაიდან ნაკრების მწვრთნელებმა პირად ასპარეზობებში მონაწილეობის უფლება არ მისცეს. ოლიმპიური ჩემპიონი უნგრელი ტიბორ პეჟი გახდა, რომელსაც თბილისელი „მუშკეტერი“ ხშირად უგებდა. ბოლოს, სწორედ ოლიმპიურ წელს, ვარშავის საერთაშორისო ტურნირში სძლია და დარწმუნებული იყო, იაპონიის დედაქალაქშიც შეძლებდა მის დამარცხებას.

ტოკიოდან ჩვენმა მოფარიკავეებმა პირადი შეჯიბრებების მედალი მაინც ჩამოიტანეს, დაშნაში ბრინჯაოს ჯილდოს გურამ კოსტავა დაეუფლა.

იმავე 1964 წელს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა ტაშკენტის „ოქროს მატჩში“ მოსკოვის „ტორპედო“ დაამარცხეს და საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა პირველად მოიპოვეს. „დინამოელთა“ გამარჯვებას დანატრებულმა გულშემატკივრებმა გაზეთ „ლელოს“ გამოკითხვით, საქართველოს საუკეთესო სპორტსმენად სლავა მეტრეველი დაასახელეს. რჩეულთა შორის მოხვდა ნუგზარ ასათიანიც. მომდევნო წელს იგი, გურამ კოსტავასთან ერთად, პოპულარულმა პოლონურმა ჟურნალმა — „სპორტოვეცმა“ მსოფლიოს საუკეთესო მოფარიკავეთა ათეულშიც შეიყვანა. ქართველ მაესტროებს ეს პატივი პარიზის მსოფლიოს ჩემპიონატში მოპოვებული გამარჯვებების გამო ერგოთ. გურამ კოსტავა პიერ დე კუბერტენის სახელობის სასახლის საფარიკაო ბილიკებზე პირადი და გუნდური ტურნირების ბრინჯაოს მედლებს დაეუფლა, ხოლო ნუგზარ ასათიანმა ოლიმპიური ჩემპიონობის შემდეგ, ამჯერად მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. პარიზულ ფინალში, ტოკიოს ოლიმპიადის მსგავსად, საბჭოთა ნაკრებმა იტალიის გუნდს ისევ 9:7 სძლია.

...ნუგზარ ასათიანის სპორტული კარიერა დასასრულს უახლოვდებოდა. 1976 წლის საკავშირო სპარტაკიადაზე კიდევ ერთ ჯილდოს — ვერცხლის მედალს დაეუფლა, მეხიკოს ოლიმპიადის წინ საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაშიც გაიმარჯვა და ბოლო შეკრებებზე ყველა კონკურენტს აჯობა. მაგრამ არც მას და არც გურამ კოსტავას მეხიკოს თამაშებში მონაწილეობის შანსი აღარ მისცეს. ორივე გუნდში, როგორც ესპადრონისტთა ნაკრებში, ასევე დაშნის ოსტატებში, თაობათა ცვლა დაიწყო. ქართულ ფარიკაობაში კი ოქროს ხანა მთავრდებოდა.

მის აღორძინებამდე კიდევ დიდი დრო გაივლის, ვიდრე თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე ალექსანდრე დიუმას „სამი მუშკეტერის“ ახალი ვარიანტი არ გამოვა და მიხეილ მესხის, გურამ საღარაძისა თუ ზურაბ საკანდელიძის მიმდევარ ბიჭებს დ'არტანიანობის მსურველი ცეროდენა რაინდები არ შეემატებიან. ■

WORLD CUP 2010

FIFA 1 მილიარდით გამდიდრდება

ფიფას მესვეურთა გამოთვლით, მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის სუფთა მოგებამ შესაძლოა, 1 მილიარდ დოლარს მიაღწიოს. ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ჯერომ ვალკემ განაცხადა, რომ ტურნირის მატჩების ტრანსლაციისა და სპონსორობის უფლებების გაყიდვებიდან მიღებული თანხა მოგების სახით, საერთო ჯამში 3,3 მლრდ დოლარია. აქედან ფიფას დაახლოებით 1,2 მლრდ სამხრეთ აფრიკაში მუნდიალის ორგანიზებაზე დაეხარჯება. გარდა ამისა, 1 მილიარდი დოლარი ასოციაციამ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადებაში ჩაბმული სახელმწიფო ორგანიზაციების დასახმარებლად გამოყო. ფიფას დარჩება 1 მილიარდი დოლარი, თუმცა, ვალკეს თქმით, ამისთვის „მოგების“ წოდება ჯერჯერობით ნაადრევია: ფული სარეზერვო ფონდში ჩაირიცხება, რომლის გამოყენებაც დაუგეგმავი ფინანსური ხარჯების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი. ■

დიეგო მარადონა: „საკუთარი თავის მტერი ხომ არ ვარ?!“

დიეგო მარადონა აბსურდულად მიიჩნევს ბოლო პერიოდში გავრცელებულ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც მას მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატზე ლეო მესის წარმატებული გამოსვლა არ სურს. „ალბისელესტეს“ თავკაცის თქმით, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ დიეგო საკუთარ თავს უმტრობდა. „როგორ შეიძლება, მესის წარმატებული გამოსვლა არ მინდოდეს?! ისე გამოდის, რომ მას ცუდად თამაში უნდა ვაიძულო. მაგრამ რატომ უნდა მოვიქცე ასე, თუ იგი გუნდისთვის და შესაბამისად, ჩემთვის თამაშობს?! არგენტინელები ასეთი მოთამაშით უნდა ამაყობდნენ და ღმერთმა ქნას, იგი საუკეთესო იყოს მსოფლიო პირველობაზე“, — განაცხადა მარადონამ.

თავად ლეო მესის მოსაზრებით, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის არცთუ ისე სახარბიელოდ ჩატარების მიუხედავად, არგენტინელებს მომავალი მუნდიალის მოგება შეუძლიათ: „დიახ, შესარჩევ ციკლში მოწოდების სიმაღლეზე ნამდვილად არ ვყოფილვართ, მაგრამ ეს შეიძლება, ჩვენთვის სასარგებლოც აღმოჩნდეს, რადგან მეტოქეთათვის სიურპრიზების შეთავაზება შეგვიძლია. შესანიშნავი იქნება, თუ ღმერთის დახმარებით, ეს ტურნირი ჩემი და არგენტინის ნაკრების მუნდიალად იქცევა. მუდმივად წნეხის ქვეშ ვიმყოფები, რადგან ჩემგან ყოველთვის კარგად თამაშსა და ტიტულების მოგებას მოითხოვენ, თუმცა ეს თემა არ მაშფოთებს. არგენტინის ნაკრები მხოლოდ მესი ხომ არ არის“, — აცხადებს „ბარსას“ ლიდერი. ■

შვეიცარიული ბანკი უპირატესობას ბრაზილიას ანიჭებს

ბრაზილიის ნაკრები მომავალი მსოფლიოს პირველობის უმთავრესი ფავორიტია — სპეციალური კვლევის შემდეგ, ასეთ დასკვნამდე მივიდნენ შვეიცარიული ბანკის — UBS — ექსპერტები. იმის გამოსაკვლევად, თუ გამარჯვების როგორი შანსი აქვს მუნდიალის მონაწილე ამა თუ იმ გუნდს, მათ სპეციალური მათემატიკური მოდელი გამოიყენეს. შედეგად, ექსპერტებმა შეადგინეს იმ ნაკრებთა ჩამონათვალი, რომლებსაც ტურნირის მეოთხედფინალში მონაწილეობისთვის ყველაზე დიდი შანსები აქვთ. ლაპარაკია ბრაზილიის, გერმანიის, იტალიის, ჰოლანდიის, საფრანგეთის, არგენტინის, ესპანეთისა და ინგლისის გუნდებზე. თითოეული მათგანი მსოფლიო ფეხბურთის გრანდად მიიჩნევა. გარდა ამისა, გამოთვლილია ჩემპიონატზე მათი გამარჯვების ალბათობაც. ბრაზილიელთა შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი 22%-ს აღწევს, გერმანიას 18% აქვს, იტალიას — 13%, ჰოლანდიას — 8%, საფრანგეთს — 6%, არგენტინას — 5%, ხოლო ესპანეთსა და ინგლისს — 4-4%. კვლევის ავტორები ხაზს უსვამენ იმას, რომ გამოთვლებისას ითვალისწინებდნენ არა მხოლოდ თითოეული გუნდის პოტენციალს, არამედ გასულ მსოფლიო პირველობებზე მიღწეულ შედეგებს. UBS-ის მიერ შემუშავებულმა საფეხბურთო პროგნოზების მეთოდმა საუცხოო შედეგი გამოიღო 2006 წლის მუნდიალის წინაც. კერძოდ, ბანკმა მაშინ მეოთხედფინალურ ეტაპზე მონაწილე 8 გუნდიდან 6-ის გამოცნობა მოახერხა. გარდა ამისა, UBS-მა ზუსტად დაასახელა ტურნირის გამარჯვებულიც — იტალიის ეროვნული ნაკრები. ■

დუნგა და მისი ფავორიტები

იტალიური „მილანის“ ვარსკვლავი რონალდინიო ბრაზილიის ეროვნული ნაკრების მხოლოდ სათადარიგო მოთამაშეთა რიგებში მოხვდა. როგორც ცნობილია, „სელესაოს“ მთავარმა მწვრთნელმა, დუნგამ 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გასამგზავრებელ სავარაუდო შემადგენლობაში არ შეიყვანა, რასაც საფეხბურთო სამყაროში დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ბრაზილიელთა თავკაცი 2010 წლის მსოფლიო პირველობის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელმა, დენი ჯორდანმაც კი გააკრიტიკა. ის ძალზე აღშფოთებულა მას შემდეგ, რაც გაუგია, რომ პენტაკამპეონთა მწვრთნელმა „მილანის“ ნახევარმცველი საჩემპიონატო წინასწარ განაცხადში არ შეიყვანა. „არიან სპეციალისტები, რომლებიც თავს ღმერთს უტოლებენ. მათ მთელი მსოფლიოსთვის იმის დამტკიცება სურთ, რომ მხოლოდ საკუთარ მოსაზრებებზე დაყრდნობით მოქმედებენ — მიუხედავად იმისა, სწორად იქცევიან თუ არა. როგორ შეიძლებოდა რონალდინიოს გარეშე შემადგენლობის დასახელება? საუბარი ხომ გენიოსზეა“, — დასძინა ჯორდანმა.

ყვითელმაისურიანთა თავკაცის გადაწყვეტილებას გულგრილი არც „ფორმულა-1“-ის ბრაზილიელი პილოტი, ფელიპე მასა დაუტოვებია, რომლის აზრითაც, კარლოს დუნგამ წინასწარ განაცხადში სწორედ ის მოთამაშეები არ შეიყვანა, რომლებსაც გუნდისთვის ნამდვილად შეუძლიათ სარგებლობის მოტანა. „სიმართლე ის არის, რომ ისევე, როგორც ბრაზილიელთა უმრავლესობას, ეს მეც არ მომწონს. მსოფლიოს ჩემპიონატზე საუკეთესო ფეხბურთელები უნდა წაიყვანო, რასაც დუნგა ნამდვილად არ აპირებს. მან ნაკრებში ისინი იხმო, ვისაც ენდობა და არა ისინი, ვინც უფრო ნიჭიერები არიან. პირადად მე, გუნდში „რეალის“ წარმომადგენელ მარსელოს და „ბარსელონელ“ მაკსველს მივიწვევდი. რონალდინიოც აუცილებლად უნდა გაემგზავროს აფრიკაში“, — ამბობს ავტომრბოლელი.

წინასწარი შემადგენლობის მიღმა დარჩენამ იმედი გაუცრუა „მილანის“ კიდევ ერთ წარმომადგენელს, თავდამსხმელ პატოს. „დათრგუნვილი ვარ იმის გამო, რომ ჩემი გვარი წინასწარ სიაში არ ფიგურირებს. მაგრამ ჯერ კიდევ ახალგაზრდა გახლავართ, — განაცხადა მან. — ახლა ჩემი მიზანი — 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრაა, მით უმეტეს, რომ ის ჩემს სამშობლოში გაიმართება. რაც შეეხება ჩემს მომავალს, — „მილანთან“ კონტრაქტი კიდევ 4 წლით მაკავშირებს და გუნდში ვრჩები“.

დუნგას გადაწყვეტილების შესახებ განსხვავებული მოსაზრება აქვს წინასწარ შემადგენლობაში მოხვედრილ, მილანის „ინტერის“ მცველ ლუსიოს, რომელიც მიიჩნევს, რომ მისი ნაკრების თავკაცმა გუნდის ხერხემალი შექმნა და მას დაეყრდნობა კიდეც. ლუსიოს თქმით, იგი მუნდიალს გადაღლილი ეგებება, თუმცა „სელესაოს“ წარმატებაში ეჭვი არ ეპარება: „იტალიის ჩემპიონატსა და ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობა უდიდეს კონცენტრაციას მოითხოვს, მაგრამ ეროვნულ ნაკრებში თამაშზე დიდი პატივი არ არსებობს. ჩვენი გუნდი ტურნირის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია“.

დუნგას გადაწყვეტილებას იწონებს თავად „ფეხბურთის მეფეც“: პელემ ხუმრობით ხაზი იმასაც გაუსვა, რომ ეროვნულ გუნდში მშობლიური „სანტოსის“ მთელი შემადგენლობის ხილვა სურს. „თუ დუნგას გადაწყვეტილებას გავაანალიზებთ, მას უნდა გავუგოთ. მწვრთნელმა უპირატესობა ახალგაზრდობას მიანიჭა. ერთი მხრივ, რა თქმა უნდა, დასანანია, რომ „სანტოსის“ ისეთი მოთამაშეები, როგორებიც ნეიმარი და პაულუ ენრიკე განზუ არიან, ეროვნული ნაკრების მიღმა აღმოჩნდნენ. მაგრამ მეორე მხრივ, დუნგამ მხედველობაში მიიღო ის, თუ რა რთული მატჩების გამართვა მოუწევს ნაკრებს მუნდიალზე“, — ამბობს ბრაზილიელი სუპერვარსკვლავი. ■

იცნობენ თუ არა მერობის კანდიდატები საკუთარ ქალაქს...

ამჯერად ჩვენი რესპონდენტები გოგი თოფაძე, ზვიად ძიძიგური, გია ჭანტურია, გიორგი ლალიძე და ნიკა ივანიშვილი არიან. მერობის ყველა კანდიდატთან შეხვედრა იმის გამო ვერ შევძელით, რომ ზოგიერთმა დროის უქონლობა მოიმიზეზა. რესპონდენტებისთვის კითხვები თბილისის თემატიკაზე შევარჩიეთ. ვნახოთ, ვინ უფრო კარგად იცნობს ქალაქს, რომლის თავკაცობასაც აპირებს.

თამუნა კვინიკაძე

„მრეწველთა“ ლიდერი და მერობის კანდიდატი **გოგი თოფაძე** *პროფესიით ინჟინერ-ტექნოლოგია. საქართველოში პირველს მიენიჭა „კულტურის მეცენატის“ წოდება. არის საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში. პოეზიაზე მეტად პროზაული ნაწარმოებები იზიდავს. მას ნათესაური კავშირი ჰქონდა ოთარ ჭილაძესთან (დის მეუღლე გახლდათ). ამბობს, რომ დის ოჯახში არაერთ უცხოელ ავტორს შეხვედრია. არჩილ სულაკაური, ჭაბუა ამირეჯიბი, მუხრან მაჭავარიანი, ალექსანდრე პუშკინი, მიხეილ ლერმონტოვი — ასეთია საყვარელ მწერალთა არასრული ჩამონათვალი. კითხვაზე — რომელ ლიტერატურულ პერსონაჟთან იმეგობრებდით? — „მრეწველთა“ ლიდერი დაუფიქრებლად მპასუხობს: — დათა თუთაშხიასთან. ამირეჯიბის ეს უკვდავი პერსონაჟი თავისი ხედვით, სამართლიანობის განცდით და ვაჟკაცობით იზიდავს.*

„ეროვნული საბჭოს“ კანდიდატისთვის — **ზვიად ძიძიგურისთვის** *ეს ნაცნობი რუბრიკაა. „ერუდიტის“ სტუმარი ის დაახლოებით 2 წლის წინ იყო. მაშინ პასუხის გაცემა დასმული კითხვების უმრავლესობაზე შეძლო. შეხვედრაზე ახლაც სიამოვნებით დაგვთანხმდა. მისი საყვარელი ავტორები გურამ დოჩანაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ვაჟა-ფშაველა და ილია ჭავჭავაძე არიან. ამბობს, რომ მის ცხოვრებაშიც იყო ბედნიერი პერიოდი, როცა მხატვრული ლიტერატურის წასაკითხად დრო ჰქონდა, ახლა ეს მისთვის ფუფუნებაა. მაგრამ ვაჟა-ფშაველას ლექსების გადაკითხვას პერიოდულად მაინც ახერხებს. განსაკუთრებით მაშინ, როცა 1 ბოთლი ღვინო აქვს დალეული. ზეპირად „კაი ყმას“ მიამბობს, დასასრულს მეუბნება, რომ ამ ბუმბერაზი კლასიკოსის პოეზია სიმხნევეს მატებს. ლიტერატურული პერსონაჟებიდან გურამ დოჩანაშვილის დომენიკოსთან მეგობრობის სურვილს გამოთქვამს.*

„ქრისტიან-დემოკრატების“ მერობის კანდიდატი **გია ჭანტურია** *პროფესიით ფილოლოგია. უყვარს ქართული კლასიკოსი მწერლები — ვაჟა-ფშაველა, ჭაბუა ამირეჯიბი, ილია ჭავჭავაძე. პერიოდულად ნოდარ დუმბაძის მოთხრობებს უბრუნდება ხოლმე. პოეზიაზე ლაპარაკი დაუსრულებლად შეუძლია. ამბობს, რომ მის ოჯახში ყველაზე დიდ სიმდიდრედ წიგნი მიიჩნევა. ყოველთვის კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდათ. ასე რომ, წიგნის მოპარვა არასდროს დასჭირვებია. თუ მისგან წიგნს ითხოვთ და არ დაუბრუნებთ, არ ეწყინება. რა მოხდა? ესე იგი, ძალიან მოეწონაო, — თქვენს საქციელს ასეთ გამართლებას მოუძებნის.*

პოლიტიკური პარტიის — „მომავალი საქართველოს“ ლიდერი **გიორგი ლალიძე** *თბილისის მერობის კანდიდატთაგან პირველი იყო, ვინც ამ რუბრიკაში ჩავწერე. ის პროფესიით იურისტია. ძალიან უყვარს მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება. კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ ის ნაწარმოებია, რომელმაც მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. კითხვაზე — რომელ ლიტერატურულ პერსონაჟთან იმეგობრებდით? მცირე პაუზის შემდეგ, მპასუხობს — მიმაჩნია, რომ პატრიოტი ადამიანი ვარ. პერსონაჟთაგან ერთ-ერთის დასახელება ძალიან მიჭირს. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ სამშობლო მასაც ჩემსავით ძალიან უნდა უყვარდეს.*

„სახალხო დემოკრატების“ ლიდერი — **ნიკა ივანიშვილი** *კი დეტექტივების მოყვარული ყოფილა. აღიარებს, რომ ბავშვობაში წიგნის კითხვას ქუჩაში გასვლა და ეზოში თამაში ერჩივნა. მაშინ დრო ჰქონდა, მაგრამ წაკითხვის სურვილი — ნაკლებად. ახლა სურვილი დიდი აქვს, მაგრამ საამისოდ ნაკლები დრო რჩება. ავტორი, რომელსაც ვერავისში გაცვლის, ჭაბუა ამირეჯიბია. მისი „დათა თუთაშხია“ არაერთხელ აქვს წაკითხული. ამბობს, რომ ნაწარმოების მთავარ გმირთან სიამოვნებით იმეგობრებდა. იმედი აქვს, მასთან ურთიერთობაზე უარს არც დათა იტყოდა, შეიძლება, ერთადერთი იმით დაიწუნოს, რომ იარაღში ვერ ერკვევა, თორემ ცხენით ჯირითში ნებისმიერს გაეჯიბრება. როცა ბატონ ნიკას კაბინეტში „ერუდიტის“ ჩასაწერად ვესტუმრე, სამუშაო მაგიდაზე „თბილისის ენციკლოპედია“ შევნიშნე.*

— **ბატონო ნიკა, ჩემთან შეხვედრის წინ ენციკლოპედიას გადახედეთ?**

— (იცინის) ჩემმა სიმამრმა საჩუქრად მომიტანა. ქალაქის მერობას აპირებ და თბილისზე ბევრი რამ უნდა იცოდეო.

— **მართალი უთქვამს.**

— თქვენც ამის გასარკვევად არ მოხვედით?

— **რა თქმა უნდა, ამას ცოტა ხანში გავარკვევ. წიგნებს საჩუქრად თავადაც ხშირად ყიდულობთ?**

— უმეტესად ბავშვებისთვის ვყიდულობ. ძალიან კარგი ილუსტრირებული წიგნები გამოდის. ასე ჩემს ბავშვობაში რომ ყოფილიყო...

— **ქუჩისკენ თვალი აღარ გაგექცეოდათ?**

— არა, სიმართლე გითხრათ, ქუჩისკენ თვალი ახლაც გამირბის. უბრალოდ წიგნი იმაზე მეტად მეყვარებოდა, ვიდრე დღეს მიყვარს.

თბილისის მერობის კანდიდატებისთვის შემდეგი კითხვები შევარჩიეთ:

კითხვა 1

— დაასახელეთ ყველაზე გრძელი პროსპექტი თბილისში?

ამ კითხვაზე სწორი პასუხის გაცემა მხოლოდ გია

სიმართლე გითხრათ, ქუჩისკენ თვალი ახლაც გამირბის

ჭანტურიამ შეძლო. ნიკა ივანიშვილმა — წერეთლის, ხოლო გოგი თოფაძემ აღმაშენებლის პროსპექტი დაასახელა. გიორგი ლაღიძემ დასმულ კითხვაზე კითხვითვე მიპასუხა:

— ამას რატომ მეკითხებით, გინდათ, რომ დამაბნიოთ?

— ჩემი მიზანი თქვენი დაბნევა სულაც არ არის. მერობის კანდიდატი ხართ, მაინტერესებს, როგორ იცნობთ ქალაქს, რომლის თავკაცობასაც აპირებთ.

— ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებთ.

— დაიმახსოვრეთ, თბილისში სიგრძით ყველაზე დიდი — ვაჟა-ფშაველას პროსპექტია.

კითხვა 2

— რომელი ტაძარია ნახსენები გალაკტიონის ლექსში „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში?“

აღმოჩნდა, რომ ეს ლექსი ზვიად ძიძიგურმა თავიდან ბოლომდე ზეპირად იცის. სწორი პასუხის გაცემა შეძლო გია ჭანტურიამაც, ხოლო ნიკა ივანიშვილმა და გოგი თოფაძემ ეს ლექსი საერთოდ ვერ გაიხსენეს. გიორგი ლაღიძემ კითხვა ისევ გამიპროტესტა.

— რა არის, ეს რა რთული კითხვები შეგირჩევიათ.

— ბატონო გიორგი, არ იფიქროთ, რომ „რთული“ კითხვებით მხოლოდ თქვენ გჩაგრავთ. ყველა კანდიდატს ერთსა და იმავეს ვეკითხები. როგორც ჩანს, პოეზია არ გიყვართ.

— პოეზია მიყვარს, მაგრამ პასუხი არც ამ კითხვაზე მაქვს. სხვა კანდიდატებმა გიპასუხეს?

— ამას „გზაში“ წაიკითხავთ. გალაკტიონის შემდეგი სტროფი უნდა გაგეხსენებინათ: „შემოიჭრება სიონში სხივი და თეთრ ოლარებს ააელვარებს“.

კითხვა 3

— რომელ წელს იმოგზაურა შარდენმა თბილისში?

ეს ის კითხვა აღმოჩნდა, რომელზეც პასუხის გაცემა ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ შეძლო. შარდენი თბილისში 1673 წელს იმყოფებოდა.

კითხვა 4

— „...თბილისის განთქმულ აბანოებში წავედი, აბანოს შესასვლელთან მეაბანოე იჯდა, მოხუცი სპარსელი. მან კარი გამიღო, შევედი დიდ ოთახში, სპარსელმა აბანოში შემიყვანა, რკინა-გოგირდის წყარო კლდეში გამოკვეთილ აუზში ჩაჩხრიალებდა. დაბადებიდან არ შევხვედრივარ არც რუსეთში, არც თურქეთში თბილისის აბანოებზე უფრო დიდებულ რამეს“... — რომელი რუსი მწერლის მოგონებებში ვკითხულობთ ამ სიტყვებს?

ნიკა ივანიშვილმა ჩათვალა, რომ ეს რუსი მწერალი მიხეილ ლერმონტოვი იყო. ხოლო სწორი პასუხის გაცემა ყველა დანარჩენმა კანდიდატმა შეძლო. მათ ამ სიტყვების ავტორად ალექსანდრე პუშკინი დაასახელეს.

კითხვა 5

— რომელ მოედანს ერქვა ერევნის მოედანი?

ამ კითხვაზე პასუხი ზვიად ძიძიგურს, გია ჭანტურიას და გოგი თოფაძეს მზად ჰქონდათ. ნიკა ივანიშვილმა ჯერ ავლაბრის მოედანი დაასახელა, მოგვიანებით გაიხსენა, რომ სწორი პასუხი თავისუფლების მოედანია. გიორგი ლაღიძემ კითხვა ისევ დამიწუნა.

კითხვა 6

— მთაწმინდაზე ალექსანდრე გრიბოედოვის საფლავზე გამოსახულია წიგნი, რომელსაც აწერია...

გია ჭანტურია, გოგი თოფაძე:

— „ვაი ჭკუისაგან“.

ზვიად ძიძიგურმა, ნიკა ივანიშვილმა და გიორგი ლაღიძემ ვერ მიპასუხეს.

კითხვა 7

— ვინ არის ტექსტის ავტორი სიმღერისა — „ტრიალებს“ ფილმიდან „ვერის უბნის მელოდიები“?

გიორგი ლაღიძე:

— (ღიღინებს) ტრიალებს, ტრიალებს, ბედის ბორბალი ტრიალებს...

ზვიად ძიძიგური:

— მუსიკა გოგი ცაბაძეს ეკუთვნის და ტექსტის ავტორს ვერ დაგისახელებთ.

გოგი თოფაძე:

— რა თქმა უნდა, ტექსტის ავტორი პეტრე გრუზინსკია.

ამ კითხვაზე სწორი პასუხის გაცემა მხოლოდ გია ჭანტურიამ შეძლო. მან ტექსტის ავტორად მორის ფოცხიშვილი დაასახელა.

კითხვა 8

— რომელი მდინარე ასაზრდოებს თბილისის ზღვას?

ეს ის კითხვა აღმოჩნდა, რომელზე პასუხის გაცემაც (ორი) გიორგი ლაღიძის გარდა ყველა კანდიდატმა შეძლო. მან ორი სავარაუდო პასუხი — არაგვი ან მტკვარი დაასახელა.

კითხვა 9

— ვინ არის ქანდაკების — „ქართვლის დედა“ ავტორი?

საბედნიეროდ, ყველა კანდიდატმა იცის, რომ ცნობილი ქანდაკების ავტორი ელგუჯა ამაშუკელია.

კითხვა 10

— რომელ წელს გაიხსნა თბილისის მეტროპოლიტენი?

გია ჭანტურიამ ამ თარიღად 1968 წელი დაასახელა. ზვიად ძიძიგურმა — 1965 წელი, ნიკა ივანიშვილის და გიორგი ლაღიძის პასუხი იყო — არ ვიცი. ზუსტი თარიღი 1966 წლის 11 იანვარი მხოლოდ გოგი თოფაძემ დაასახელა.

კითხვა 11

— როგორც ლადო გუდიაშვილი იგონებს, 1919 წელს რუსთაველის თეატრის სარდაფში პოეტებმა კაფე გახსნეს, სადაც ახალ ლექსებს კითხულობდნენ. იქვე გამოდიოდნენ იმ დროისთვის გამოჩენილი მომღერლები და მოცეკვავეები. რა ერქვა იმ კაფეს?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გოგი თოფაძემ და ნიკა ივანიშვილმა შეძლეს. ზვიად ძიძიგურმა „ცისფერი ყანწები“ უწოდა, გიორგი ლაღიძემ პასუხის გაცემა ვერ შეძლო. ყველაზე ამომწურავი გია ჭანტურიას პასუხი აღმოჩნდა.

— „ქიმერიონი“ ერქვა. ამ კაფეში კედლებზე გაგარინის ნახატები იყო. ერთ-ერთ ნახატს „ქიმერა“ ერქვა.

სახელწოდებაც ამ ნახატიდან წამოვიდა. ერთხელ კაფეში მისულ რუს სტუმრებს ეჭვიც გამოუთქვამთ, „ქიმერა“ ნამდვილად გაგარინს ეკუთვნოდა თუ არა. შემდეგ პაოლო იაშვილს სახელის გადარქმევა მოუნდომებია, რის გამოც ტიციანთან კამათიც მოსვლია. „ქიმერიონი“ იმ დროის თბილისელთათვის ერთ-ერთი საყვარელი ადგილი იყო.

კითხვა 12

— ვინ არის სიმღერა „თბილისოს“ ტექსტის ავტორი, რომელზეც რეზო ლაღიძის უკვდავი მელოდია შეიქმნა?

გიორგი ლაღიძე:

— ვა! როგორ ვერ ვიხსენებ (*ფიქრობს*). ზარი ახლობელთან არ შეიძლება?

— გვარად ლაღიძე რომ არ იყოთ, ამის უფლებას მოგცემდით.

— მაშინ ვერ გიპასუხებთ.

„თბილისოს“ ტექსტის ავტორი ვერც ნიკა ივანიშვილმა გაიხსენა. სწორი პასუხის გაცემა ზვიად ძიძიგურმა და გია ჭანტურიამ შეძლეს. ხოლო გოგი თოფაძემ ამ კითხვის დასმისთანავე ირონიულად ჩაიცინა.

— ტექსტის ავტორი პეტრე გრუზინსკია.

— ბატონო გოგი, როგორც ვიცი, „თბილისოს“ მელოდიის სარეკლამო რგოლში გამოყენების გამო რევაზ ლაღიძის შთამომავლებმა გიჩივლეს, დავა კიდევ გრძელდება?

— 2000 წლის 4 მაისის დადგენილებით, ქალაქის მერიამ „თბილისო“ თბილისის ჰიმნად გამოაცხადა და კომპოზიტორის შთამომავლებს შესაბამისი თანხა გადაუხადეს. ჩვენ ეს დოკუმენტი სასამართლოში წარვადგინეთ. ჰიმნის გამოყენების უფლება ყველას აქვს.

კითხვა 13

— ვინ შეადგინა თბილისის პირველი ტოპოგრაფიული გეგმა?

— ვახუშტი ბატონიშვილმა. — ასეთი იყო ზვიად ძიძიგურისა და გოგი თოფაძის პასუხი. გია ჭანტურიამ კუზნეცოვი დაასახელა. სწორი პასუხის გაცემა ვერც გიორგი ლაღიძემ და ნიკა ივანიშვილმა შეძლეს.

კითხვა 14

— „კაცს შეუძლია, ყოველთვის იყოს თუნდ იაპონიაში, თუნდ შვეიცარიაში, თუნდ ინგლისში, მაგრამ ცხოვრებით კი მარტო თბილისში უნდა იცხოვროს“. — რომანტიკოსთა ეპოქის რომელ მწერალს ეკუთვნის ეს სიტყვები?

გოგი თოფაძე:

— ავტორს ვერ დაგისახელებთ, მაგრამ თავადაც ზუსტად ასე ვფიქრობ...

ამ ციტატის ავტორის — გრიგოლ ორბელიანის დასახელება მხოლოდ გია ჭანტურიამ შეძლო. ვერც ერთმა სხვა კანდიდატმა ვერ მიპასუხა.

კითხვა 15

— სად მდებარეობდა „რუსის ბაზარი“, რომელსაც მაშინ „სალდათების ბაზარსაც“ ეძახდნენ?

ეს ის კითხვა აღმოჩნდა, რომელზეც პასუხის გაცემა ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ შეძლო. რუსის ბაზარი ორბელიანის მოედანზე (ყოფილი კოლმეურნეობის) მდებარეობდა, მაშინ ბაზრის ტერიტორიის მიმდებარე ქუჩასაც „რუსის ქუჩა“ ერქვა, დღეს ეს ქუჩა ვოვა ვეკუას სახელს ატარებს.

კითხვა 16

— „შენ აგიხსნია ბევრი ქარაგმა/ ქორონიკონის კენტი და ლუწი,/ მაგრამ არ იცი, ჩვენმა ქალაქმა/ რა სურათები მოხატა უწინ...“ — ვინ არის ამ სტროფის ავტორი?

გია ჭანტურია:

— ორ პოეტზე ვფიქრობ, რომ არ შემეშალოს, ამ ლექსიდან სხვა სტროფიც მითხარით.

— სიძველისადმი გრძნობა, პატივი/ თუ შენში ოდნავ მაინც ელვარებს — მიხვდები, ასე ანდამატივით/ რისთვის ვდარაჯობ თბილისის კარებს“.

— ეს სტროფი იოსებ გრიშაშვილის პოეზიიდან არის. ავტორის დასახელება ზვიად ძიძიგურმა, ნიკა ივანიშვილმა და გოგი თოფაძემაც შეძლეს. გიორგი ლაღიძეს კი ამ სტროფმა გალაკტიონის „მერი“ გაახსენა.

— შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს მერი,/ მერი, იმ ღამეს მაგ თვალთა კრთომა...“

— ბატონო გიორგი, აქ „მერი“ რა შუაშია?

— არ ვიცი, ეს ლექსი უეცრად გამახსენდა და ვთქვი. დასმულ კითხვაზე ვერ გიპასუხებთ.

კითხვა 17

— XVIII საუკუნეში რამდენი კარი ჰქონდა თბილისს?

ზვიად ძიძიგური:

— ისტორიიდან მახსოვს, კრწანისის ბრძოლის დროს მტერმა იერიში თბილისის 3 კარზე მიიტანა. ამ 3 კარის

— ვა! როგორ ვერ ვიხსენებ... ზარი ახლობელთან არ შეიძლება?

გარდა ქალაქს სხვა შემოსასვლელებიც ჰქონდა, მაგრამ რაოდენობას ზუსტად ვერ ვიხსენებ.

ნიკა ივანიშვილმა — 3, ხოლო გოგი თოფაძემ 5 კარი დაასახელა. ამ კითხვაზე სწორი პასუხის (თბილისს 6 კარი ჰქონდა) გაცემა გიორგი ლაღიძემ და გია ჭანტურიამ შეძლეს.

კითხვა 18

— გადმოცემით ამ ადგილზე კერპთაყვანისმცემელთა სალოცავი მდგარა. ქრისტიანული ეკლესიის მშენებლობას ცამეტ ასურელ მამათაგან ერთ-ერთის — დავითის სახელს უკავშირებენ. მასვე უკავშირდება ლეგენდა ეკლესიის სახელწოდების წარმოშობის შესახებ. ერთმა მონაზონმა მაზდეანების წაქეზებით მამა დავითს ცილი დასწამა, თითქოს მისგან დაორსულებულიყოს. დავითს განუცხადებია, — თუ დამნაშავე ვარ, ქალმა ბავშვი შვას, თუ მართალი — ქვაო. ქალს ქვა უშვია. რა ჰქვია დღეს ამ ეკლესიას?

— ქაშუეთი. — ამ კითხვაზე ყველა რესპონდენტმა სწორად მიპასუხა.

კითხვა 19

— დაასრულეთ ბისმარკის ცნობილი გამონათქვამი: „არასოდეს არ ტყუიან ისე, როგორც ომის დროს, ნადირობის შემდეგ და...

— „... და არჩევნების წინ“. — გამონათქვამის დასრულება ნიკა ივანიშვილის გარდა ყველა კანდიდატმა შეძლო.

— ავტორს ეთანხმებით?

ნიკა ივანიშვილი:

— ჯერჯერობით ტყუილი არავისთვის მითქვამს. პოლიტიკაში ახალბედა ვარ. ეს კითხვა მომავალ არჩევნებზე რომ დამისვათ, არ ვიცი, იმავეს გიპასუხებთ თუ — არა, მაგრამ გპირდებით, ჩემი პასუხი გულწრფელი იქნება.

„ვეთანხმები, მაგრამ მე არ ვიტყუები“ — ასეთი იყო დანარჩენი კანდიდატების პასუხები.

■

ანეკდოტები

გოგონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. ძაღლის წელიწადში, ევგენი პეტროსიანის „მტკიცებით“, რომელი „კერძი“ უნდა ამშვენებდეს საახალწლო სუფრას?
2. დაასრულეთ გლადიატორთა შორის მოარული გამონათქვამი: „ღმერთს თუ უყვარხარ“...
3. დაასრულეთ მიხაილ ზადორნოვის ხუმრობა: „პიანაია ზმეია პოლზაეტ“...
4. 1952 წელს გადაღებულ ფილმში „ტარას შევჩენკო“ მთავარი როლი სერგეი ბონდარჩუკმა შეასრულა. სტალინს ფილმი ისე მოეწონა, რომ მსახიობს „ჭეშმარიტად სახალხო არტისტი“ („ვოისტინუ ნაროდნი არტისტ“) უწოდა. რისთვის აღმოჩნდა საკმარისი სტალინის მიერ წარმოთქმული ეს სამი სიტყვა?
5. დაასახელეთ ორი ქალაქი, სადაც მხატვრული ფილმი — „რაჭა ჩემი სიყვარულია“ გადაღებული.
6. რა არის ქლამიდი?
7. II მსოფლიო ომის დროს ამერიკელთა ტყვეობაში ჩავარდნილი იაპონელები გამოგონილ სახელსა და გვარს ასახელებდნენ. რატომ?
8. კანის ბრძოლის შემდეგ ჰანიბალმა ბეჭდები დახსნა დახოცილ რომაელებს და სამშობლოში გაგზავნა. რა მიზნით?
9. „საზღვარგარეთიდან უამრავი წიგნი ჩამომქონდა. ჩემი კლასელი, დათო ყიფიანი დამცინოდა, რა დროს „ჯინჟკებით“ სიარულია, შე დებილო, ახლა „სპერკნიჟკებით“ უნდა დადიოდეო“. ვინ არის მთხრობელი?
10. დაასახელეთ ადამიანი, რომელთან განშორების შემდეგაც მარია კალასი სცენაზე აღარ გამოსულა.
11. დაასახელეთ ყველაზე დიდი შხამიანი გველი.
12. რა არის ინტერლინგვისტიკა?

* * *

კაცი მეზობელს ეკითხება:
— რევაზია, ჩემი თხა არ იწველება და ხომ არ იცი, რაში უნდა იყოს საქმე?
— კი მარა, შენ ღორი არ გყავს?
— ჰოო... რა ვიცი, ღორია თუ თხა, მაგრამ არ იწველება და ნეტავ, რაში უნდა იყოს საქმე?..

* * *

ექსკურსიამძღოლი ტურისტებს:
— თუ ჩვენი პატივცემული ქალბატონები გაჩუმდებიან, ნიაგარის ჩანჩქერის ხმას გაიგონებთ.

* * *

— ჩემი უფროსი სუფთა ნეხვია!
— ეე, ბიჭო, შენ უკან დგას!
— არა, მე კარგი გაგებით ვამბობ.

* * *

მიხო პატრულმა გააჩერა, ის კი თავს იმართლებს გამწარებული:
— კარგი რა, უფროსო, შეუძლებელია, სიჩქარისათვის გადამეჭარბებინა.
— ვითომ რატომ?
— სიდედრთან მივდივარ, ეს ოხერი...

* * *

— ამდენი ვაჟკაცი შევძინე სამშობლოს და ესენი კი რაღაც ალიმენტებზე მელაპარაკებიან!..

* * *

— ბატონო მოსამართლევ, რამდენ წელს მომისჯით სიდედრის მკვლელობისთვის?
— ათ წელიწადს, მაგრამ თუ ჩემს სიდედრსაც ზედ მიაყოლებ, სასჯელს გაგინახევრებ.

* * *

— ფეხზე რა მოგივიდა, ჭიჭიკია?
— ძაღლმა მიკბინა, ბისკვიტიამ.
— საკუთარმა ძაღლმა რავა გაგიმეტა?!
— ფხიზელი მივედი სახლში და ვერ მიცნო.

* * *

— უკაცრავად, გოგონი, სად იშოვეთ ასეთი ლამაზი ფეხები?
— მაღაზიაში, — ეშმაკურად იღიმება გოგო.
— ეგ სიფათი კი ხურდაში მოგცეს, არა?!

* * *

კუპეში ორი მგზავრი იჯდა. ერთმა დიდხანს უყურა მეორეს და უთხრა:
— იცით, ულვაშები რომ არა, თქვენ სულ ჩემს ცოლს ჰგავხართ.
— კი, მაგრამ, მე რომ ულვაშები არ მაქვს?
— სამაგიეროდ, ჩემს ცოლს აქვს.

* * *

— ფუჰ, შენი! სულ ორი წუთით გავედი და ჩვენებს გოლი გაუტანეს!.. ახია მაგათზე, აწი ეცოდინებათ მეკარე ლუდზე რომ არ უნდა გაგზავნონ!

* * *

კაცი მივიდა სამსახურში ჩალურჯებული თვალით. თანამშრომელი ეკითხება:
— რა დაგემართა?
— შვილმა დამარტყა.
— რატომ?
— დედა შევაგინე.
— კიდევ კაი, ფაქტზე არ წაგისწრო.

* * *

მიხო თბილისში ჩამოვიდა და ღამის გასათევად სასტუმროში მივიდა. ადმინისტრატორი მიეგება:

— მობრძანდით, პატივცემულო მიხო. აი, ამ ნომერში იცხოვრებთ, ბატონო ჩემო! ეს უბრალო ნომერი არ გეგონოთ. ამ ერთი კვირის წინ აქ თვით ბუშმა გაათია ღამე. თქვენ შეგიძლიათ დაიტრაბახოთ, — ბუშის ნაწოლ საწოლში ვიწექიო!..

— შენა, ჯო, ახლა გოგოებ დაუძახე და ლოგინი გამააცვლევინე! ბუშის ნაწოლ საწოლში... ეგა, მაგან იტრაბახოი, მე თუ ჩავწვები მის ნაწოლშია...

* * *

სვანს 100-მდე კაცი მოსდევს. გამვლელი ეკითხება:

— რატომ მოგდევენ?

— რა ვიცი, მარტორქა მოვკალი და გამომეკიდნენ, — უპასუხა სვანმა და სირბილი გააგრძელა.

გამვლელი ამ ამბით დაინტერესდა და ახლა ხალხს ჰკითხა:

— რატომ მისდევთ?

— თამადა მოგვიკლა, მაგ დედა...

* * *

ღამის ორ საათზე კაცი სამზარეულოს კარადაში იქექება. გამოდის ნამძინარევი ცოლი.

— აქ სადღაც არყით სავსე ბოთლი მქონდა.

— ეგ ხომ მამაშენის გასვენებაზე დალიე!

— მართლა? აუ, მეც არა ვთქვი, ეს მამაჩემი სადღა დაიკარგა-მეთქი?!

* * *

სვანი კონსერვატორიაში გამოცდას აბარებს.

— მე ნოტს ავიღებ და შენ გამოიცანი, — ეუბნება გამომცდელი.

— მიდი! — რიხიანად პასუხობს სვანი და შეტრიალდება.

გამომცდელი აიღებს ნოტს. სვანი შემოტრიალდება და ეუბნება:

— შენ იყავი, ვერ მომატყუებ!

* * *

ორი ნარკომანი ცათამბჯენზეა და ლაპარაკობს:

— საშკა, აქედან რომ გადავხტე, მიწამდე რამდენი ხანი დამჭირდება?

— სამი დღე და ღამე.

— მერე მოვკვდები?

— აბა, რა, შე ჩემა, სამი დღეღამე საჭმლის გარეშე ვერ გაძლებ!

* * *

სვანი „მარშრუტკაში“ ავა. ჩასვლისას მძღოლს ეუბნება:

— ფული არ მაქვს და მოდი, პანღური ამომარტყი, რა.

მძღოლი ამოარტყამს.

— ახლა კიდევ ერთხელ ამომარტყი, რა.

მძღოლი ისევ ამოარტყამს. გახარებული სვანი მეგობარს გასძახებს:

— გურამ, შენიც გადახდილია.

* * *

სვანი მამამისთან იჩხუბებს და სახლიდან წავა. რამდენიმე თვეში შინ წერილს გაგზავნის. მამა ბარათს გახსნის, კონვერტიდან ცარიელ ფურცელს ამოიღებს და ჩაილაპარაკებს:

— ვა, კიდევ არ მელაპარაკება, ეს შობელძაღლი...

* * *

ყბაახვეული გურული ქუჩაში მიდის. მეგობარი ეკითხება:

— რა გჭირს, ძამა?

— მარტო ვარ სახლში და რომ მოვკვდე, ყბას ვინ ამიხვევს?

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. „შემწვარი კორეელი“.
2. „...ბავშვობაში კვდები“.
3. „...პრიამო“.
4. იმისათვის, რომ მეორე დღეს ბონდარჩუკისთვის სახალხო არტისტის წოდება ოფიციალურად მიენიჭებინათ.
5. სოხუმი და ბრატისლავა.
6. ასე ერქვა ძველი ბერძნებისა და რომაელების სამოსელს, ერთგვარ ლაბადას, რომელსაც გულზე ან მარჯვენა მხარზე ჰქონდა შესაკრავი.
7. რათა საკუთარი ოჯახის ღირსება არ შეელახათ.
8. რათა კართაგენში პირადი მტრებისათვის ხმა გაეკმენდინებინა და სენატისაგან დამხმარე ჯარი გამოეთხოვა.
9. კოტე ყუბანეიშვილი.
10. არისტოტელე ონასისი.
11. სამეფო კობრა. იგი 4 მეტრს აღწევს სიგრძეში.
12. მეცნიერებას ხელოვნურ ენათა შესახებ.

ჩვენი ფოტო მაღვრეა

ჰოროსკოპი

27 მაისი - 2 ივნისი

ვირაყი

ახალი იდეების განხორციელებაში კოლეგები დაგეხმარებიან. მეტი დრო გაატარეთ საყვარელ ადამიანთან. დასვენების დღეებში ნასვამი საჭეს ნუ მიუჯდებით.

კურიო

მიზნის მისაღწევად იბრძოლეთ. ხელსაყრელია ხელმძღვანელობასა და გავლენიან პირებთან საქმიანი მოლაპარაკება. მოერიდეთ ახლობლებთან კონფლიქტს.

ტყუპი

კარგი პერიოდია ცოდნის გასაღრმავებლად. უცხოელი კოლეგების დახმარებით ბიზნესს გააფართოებთ. შეეცადეთ, ოჯახის წევრებთან დაძაბული ურთიერთობა გამოასწოროთ. დასვენების დღეებში ქალაქგარეთ მგზავრობისგან თავი შეიკავეთ.

კიბიწხიტი

ემოციურად დატვირთული პერიოდი გელით. კვირის ძირითადი თემა ფინანსური პრობლემების გადაწყვეტაა. თქვენს სასიკეთოდ მოგვარდება საკრედიტო, ალიმენტისა და მემკვიდრეობითი საკითხები.

ლიო

რომანტიკული ნაცნობობა შესაძლოა, დიდ გრძნობაში გადაიზარდოს. სამსახურში უფრო მეტ წარმატებას მიაღწევთ, თუ კოლეგებთან აგრესიული არ იქნებით. თავისუფალი დრო მშობლებთან ერთად გაატარეთ.

ყანწუდი

საოჯახო საქმეებით დაკავდით. შეიძინეთ ახალი ავეჯი. უსიამოვნებები თავიდან რომ აიცილოთ, გარშემო მყოფებთან გულახდილ საუბრებს მოერიდეთ. მეტი ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას.

ხანწიბიდ

განწყობილებას ბავშვებთან ურთიერთობა გამოგისწორებთ. რომანტიკული შეხვედრები გელით. ეცადეთ, თქვენს საყვარელ ადამიანსა და მეგობრებს შორის კონფლიქტი არ წარმოიშვას.

ბიბიბიდი

კარგი პერიოდია ნათესავებთან ურთიერთობის მოსაგვარებლად, შესარიგებლად. სამსახურში საქმეები ისე გადაანაწილეთ, რომ არ გადაიღალოთ. მოერიდეთ კონფლიქტს საყვარელ ადამიანთან.

ბუვიდდიხანწი

ახალ მეგობრებს შეიძენთ. შესაძლოა მეზობლებსაც დაუმეგობრდეთ. კარგი პერიოდია ახალი პროექტების განსახორციელებლად. დასვენების დღეებში მგზავრობისას, მით უმეტეს, თუ ავტოს თავად მართავთ, სიფრთხილე გამოიჩინეთ.

ოხიხ ჩუბ

კვირის დასაწყისში წარმატებით მოაგვარებთ ფინანსურ საკითხებს. ავანტიურისა და სარისკო ქმედებისგან თავი შეიკავეთ. მოერიდეთ კონფლიქტს გარშემო მყოფებთან. დასვენების დღეებში სადღესასწაულო სადილი მოამზადეთ.

ბიბიწყუდი

იდეებისა და ახალი პროექტების განხორციელების შანსი მოგეცემათ. გაფრთხილდით, რათა არ წამოეგოთ პროვოკაციას და არ გაერიოთ სკანდალში.

ოიბეზიბი

ისეთი საქმიანობით დაკავდით, რაც სიამოვნებას და სულიერ სიმშვიდეს მოგანიჭებთ. ნაკლები ყურადღება მიაქციეთ ცრურწმენებს. დასვენების დღეები ბუნების წიაღში გაატარეთ.

წარმატებას ფენ-შუის თილისმები მოგიტანთ

ცხენის ფიგურა წარმატებისა და კარიერის სიმბოლოდ მიიჩნევა. იგი აგრეთვე ოპტიმიზმისა და მიზანსწრაფულობის სიმბოლოცაა.

სპილო სიმდიდრის სიმბოლო გახლავთ. ჩინელები ფიგურას რაფაზე დებენ. მას ხორთუმი აუცილებლად ზემოთ უნდა ჰქონდეს აწეული.

სიყვარულში გაგიმართლებთ, თუ წყვილი იხვის ფიგურას ბინის სამხრეთ-დასავლეთ ზონაში მოათავსებთ.

მონეტების ხე ფინანსურად გაგაძლიერებთ. ხე, რომელზეც ნახევრად ძვირფასი თვლები „იზრდება“, წარმატებასა და სიმდიდრეს მოგიტანთ. ფორთოხლის ხე ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის სიმბოლოა. მანდარინისა — სიყვარულისა და სიმდიდრის.

დრაკონი, რომელსაც მარგალიტი უჭირავს, სიბრძნის, სიკეთისა და წარმატების სიმბოლოა. იგი ჩინეთში იმპერატორთა მფარველ თილისმად მიიჩნევა. დრაკონისთავიანი კუ პრობლემებსა და წარუმატებლობებს აგარიდებთ.

გემი სიმდიდრესა და წარმატებას მოგიტანთ (აუცილებლად აწეული აფრები უნდა ჰქონდეს), მაგრამ ყურადღება გამოიჩინეთ, ჩაძირული გემის ასლი არ შეიძინოთ. იგი ბინის ან ოფისის შემოსასვლელ კართან ან ფანჯარასთან მოათავსეთ. გემი მონეტებით, ოქროსა და ვერცხლის სამკაულებით „დატვირთეთ“.

ოქროს თევზის ფიგურა (თევზს შესაძლოა, პირში ჩინური მონეტა ედოს) ბიზნესში წარმატებას მოგიტანთ. სიმბოლო სამუშაო მაგიდაზე დადეთ.

ხოტეი ანუ გაღიმებული ბუდა სიმდიდრისა და ბედნიერების სიმბოლოა. სხვათა შორის, ბერი ხოტეი რეალური პიროვნება იყო. იგი ჩინეთში ცხოვრობდა. ზურგზე გადაკიდებული ხურჯინით დადიოდა. მისი გამოჩენის შემდეგ ყველგან სიმდიდრე და ბედნიერება ისადგურებდა.

თუ ბინაში ან ოფისში ნეგატიური ატმოსფერო სუფევს, ლომის ფიგურა კართან ან ფანჯარასთან მოათავსეთ.

ჩინური მონეტები (მრგვალი მონეტა, ოთხკუთხედი ჭრილით) ფინანსურად გაგაძლიერებთ. სასურველია, რამდენიმე მონეტა შემოსასვლელში, ნოხის ქვეშ დამალოთ. აგრეთვე საფულით ატარეთ სამი, ერთმანეთზე წითელი ძაფით გადაბმული მონეტა.

მარაო ბინას ნეგატიური ენერგიისგან გაათავისუფლებს. სახლში სიმშვიდე და ჰარმონია დაისადგურებს.

ძაღლი ფუს სიმბოლო ქურდებისა და არასასიამოვნო სტუმრებისგან დაგიცავთ.

ბიზნესში წარმატებას მიაღწევთ, თუ ვაჭრობის, მოგზაურობისა და წარმატების სიმბოლო გენეშას ფიგურას სამუშაო მაგიდაზე მოათავსებთ.

თუ ჯანმრთელობის გაუმჯობესება გსურთ, ხელში ხშირ-ხშირად ატრიალეთ ჯანმრთელობის ჩინური ბურთები. ბურთების სწრაფი ტრიალი საათის ისრის მიმართულებით იანის ენერგიით აგავსებთ; ნელი, საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით — ინის.

წარმატებასა და ფინანსურ კეთილდღეობას სამთათიანი ბაყაყის სიმბოლო მოგიტანთ, რომელსაც პირით ჩინური მონეტა უჭირავს. ფიგურა ან შემოსასვლელ კართან, ან ბინის სამხეთ-აღმოსავლეთ ნაწილში დადეთ.



ზინა ნომრის სკანვორდის პასუხები 1. ელექტრობა; 2. მეანი; 3. ქედანი; 4. არარატი; 5. უბანი; 6. ლინდგრენი; 7. გია; 8. აისი; 9. აბოლიცია; 10. მარიჯანი; 11. ნატო; 12. ოტელო; 13. ბაცილა; 14. მალავი; 15. სენეკა; 16. შნო; 17. ალაბამა; 18. აისი; 19. ესე; 20. შეკელი; 21. ლაბადა; 22. ბინოკლი; 23. ასული; 24. გალავანი; 25. ელენთა; 26. ვადა; 27. გვამი; 28. ხალიჩა; 29. კოლტი; 30. ციმციმი; 31. მასალა; 32. ობი; 33. ვალაბი; 34. შოვი; 35. ლატავრა; 36. კნავილი; 37. ასკერი; 38. ლოტო; 39. მარიონეტი; 40. ოლიმპი.
სურათებზე: 1. ეშლი ჯადი; 2. პოლ უოლკერი.

სპეციალური კროსვორდი

შევსების წესი: **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.**

გ. გერმანელი მწერალი; **ზ**. ლეგენდარული საბჭოთა მზვერავი, რომელმაც II მსოფლიო ომის დროს შეძლო დაედგინა, რომ იაპონია საბჭოთა კავშირზე თავდასხმას არ აპირებდა, რამაც სტალინს საშუალება მისცა, შორეული აღმოსავლეთიდან დასავლეთის ფრონტზე ჯარები გადმოესროლა; **ა**. დაავადება, რომელსაც სულის ხუთვის შეტევები ახასიათებს; **გ**. ვულკანური წარმოშობის ცხელი წყარო, საიდანაც პერიოდულად სცემს წყლისა და ორთქლის შადრევანი; **ზ**. სპარსული წარმოშობის შორისდებული, „სიკვდილი!“, „არგადარჩენა!“ (ითქმის წყევლად); **ი**. რა დარჩა პანდორას ყუთში, მას შემდეგ რაც იქიდან შური, ბოროტება, ავადმყოფობები და მრავალი სხვა უბედურება ამოფრინდა; **ს**. იტალიელი კომპოზიტორი, რომელიც გადმოცემის თანახმად ფარულად მტრობდა მოცარტს (თუმცა არ არსებობს რაიმე მტკიცებულება, რომ მოცარტი მისი ინტრიგების გამო დაიღუპა); **თ**. ირანის დედაქალაქი; **ვ**. თბილისის საკლათბურთო კლუბი; **ი**. ფარული, ოდნავ შესამჩნევი დაცინვა; **ს**. ბერძნული ცეკვა; **ა*** ყაჩაღი, რომელსაც მცხეთაში დაუდგეს ძეგლი; **ო*** რა გვარი იყო ჟაკლინ კენედის მეორე ქმარი; **ბ**. პოლონური ცეკვა; **კ*** ანსამბლ „ივერიის“ სოლისტი მამაკაცი; **ი*** უწყინარი ხასიათის დამცინავი დამოკიდებულება რაიმესადმი; **თ*** ფელამუში; **ხ*** აჭარული ცეკვა; **ვ*** მუსიკალური ინსტრუმენტი, რომელზეც უკრავდა შერლოკ ჰოლმსი; **ე*** ლეგენდარული პორტუგალიელი ფეხბურთელი; **ლ*** საფრანგეთის მეფეთა რეზიდენცია; **ი*** იაპონური მხატვრობა, ყვავილების, ფოთლებისა და ტოტებისაგან გამოსახულების შექმნა; **ს*** პარიზის უნივერსიტეტი; **თ*** ქართველი მომღერალი ქალი, ანსამბლ „ივერიის“ ყოფილი სოლისტი, ქეთევანის როლის შემსრულებელი მიუზიკლში „ჩხიკვთა ქორწილი“; **ვ*** ქალის პირბადე; **ი*** ქართული ხალხური შეჯიბრება ცხენოსნობასა და უბუნიკო შუბის სროლაში; **ს*** შავი ზღვისპირა კურორტი რუსეთში; **ა*** ნახევარკუნძული, რომელზეც მდებარეობს იტალია; **ო*** ძვირფასი ლითონი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თ* თაობა; **ძ*** ქოქოსი; **ვ*** ვერონა; **ე*** ემოცია; **ნ*** ნოსტე; **ა*** ალყა; **რ*** რვალი; **შ*** შედევრი; **ე*** ეგრისი; **ბ*** მზიური; **ც*** ცთომილი; **დ*** დუქარდი; **ა*** აბრაამი; **რ*** რიონი; **ხ*** ხიმინჯი; **ა*** ავჭალა; **რ*** რეესტრი; **თ*** თოდაძე; **ა*** ამერიკა; **რ*** რელიეფი; **ჩ*** ჩამიჩი; **ე*** ეპარქია; **ვ*** ვაიმარი; **ა*** ანცი; **ნ*** ნეი; **შ*** შოსე; **ი*** იპონი.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:

ოქროს ყადრი ოქრომჭედელმა იცისო

იაპონური სენსაცია სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

7	1	5	9	6	4	2	8	3
4	6	8	2	7	3	5	1	9
3	2	9	5	8	1	4	7	6
1	9	7	6	5	2	3	4	8
8	4	6	3	1	9	7	5	2
2	5	3	7	4	8	9	6	1
9	8	4	1	3	5	6	2	7
5	7	2	8	9	6	1	3	4
6	3	1	4	2	7	8	9	5

3	8	4	9	7	6	5	1	2
5	6	7	1	3	2	4	9	8
9	1	2	4	5	8	7	6	3
7	3	8	2	4	1	6	5	9
6	4	1	8	9	5	2	3	7
2	5	9	3	6	7	1	8	4
8	7	6	5	2	9	3	4	1
4	9	5	7	1	3	8	2	6
1	2	3	6	8	4	9	7	5

6	1	7	2	8	4	9	5	3
8	9	3	1	5	6	4	2	7
2	4	5	7	3	9	8	1	6
4	8	6	5	9	3	2	7	1
1	5	2	6	7	8	3	9	4
3	7	9	4	1	2	5	6	8
5	6	4	3	2	1	7	8	9
9	2	1	8	4	7	6	3	5
7	3	8	9	6	5	1	4	2

* მარტივი

1			5		9	7		3
8					2		9	
9	4		6					2
7			2		4		5	6
3					7			8
4	2			3				7
5					6		7	4
	1		9					5
2		3	4		1			9

** საშუალო

1			9					5
	4			7				
		3		8				6
4					8			7
		8	2			1		
7			6	3				9
2				1		8		
				2			6	
6					3			2

*** რთული

1					6		3	
			3					8
2			9				7	
4				9		8		
	5		2	8			9	
		6		7				4
	1				8			2
7					2			
	6		5					7

ფოტოკუჩიოზები



სანო-სტუდია და გოგი ხარაბაძე

წარმოგიდგენთ: **აუდიო წიგნს**

ქოგნიტ

10 CD დისკი - რჩეული ლექსებით

მხოლოდ „ბიბლუსის“

წიგნის მაღაზიათა ქსელში

ფასი 28 ლარი

პოეზიის ხიბლი!..

მოესმინეთ, გაიხსენეთ

წიგნები მისამართზე მიტანით. ტელ: 38-26-74; 14-09-91 „ელვა.ჯი“

აქცია!

17 მაისი
6 ივნისი

შეიძინე 2ც. 100გ. ნესკაფე კლასიკი, წარმოადგინე მისი 2 მემბრანა
საჩუქრების გაცემის ცენტრში და მიიღე 10 000 ექსკლუზიური ჭიქიდან

1 საჩუქრად

საჩუქრების გაცემის ცენტრების
მისამართები და მუშაობის განრიგი:
პარასკევი: 17:00 – 21:00 სთ;
შაბათი-კვირა: 12:00 – 20:00 სთ

1. "XL" - დიღმის მასივი Vკვ., IIIა კორპ.
2. მარკეტი - მარჯანიშვილის ქ. №30
3. "რაჭა" - გურამიშვილის ქ. №23
4. მარკეტი - აბაშიძის ქ. №39
5. "MIX" - კოსტავას ქ. №54
6. "ლიდერი" - ლეონიძის ქ. №6
7. "მარკეტი 51" - შარტავას ქ. №4
8. "სალვი" - ვაჟა-ფშაველას გამ. №58
9. უნივერსამი - თემქა, IX და X კვ. შორის მდებარე სავაჭრო ცენტრი
10. "მარკეტი ნუცუბიძის 19" - ნუცუბიძის ქ. №19
11. "ევრაზია" - გლდანი, ხიზანიშვილის ქ. №15
12. "პროგრესი" - ჩოლოყაშვილის ქ. №57ა

სარგებლობისრეგულია

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ ცხელ ხაზზე: 822 15 70 07
ყოველ დღე 11:00-დან 19:00-მდე ინფორმაციის მიღება უფასოა.

როდენი – წონაში დასაკლები უნიკალური საშუალება!

მისი დროული მიღება თავიდან აგაცილებთ წონაში მატებასაც

როდენი

- ეკოლოგიურად სუფთა, ბუნებრივი პროდუქტი
- ხელს უშლის ნახშირწყლების სხიმებში გადასვლას
- ხელს უწყობს სხიმების ბოლომდე დაწვას
- აკვეთთებს მადას ენერგიის მომატების ფონზე
- ნორმამდე დაჰყავს სიმსუქნის ჰორმონი ლეპტინი და ქოლესტერინი
- ორგანიზმიდან გამოაქვს ზედმეტი სითხე და შლაკები
- ანესრიგებს საჭმლის მომნელებელ სისტემას

მიღების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

NS

მოგვაკითხეთ მისამართზე:
თბილისი, რუსთაველის გამზ. №28
ან მიმართეთ „ნეოფარმის“ და „ჯი პი სის“ საფფთიაქო ქსელს,
როგორც თბილისში, ასევე
ქუთაისსა და ბათუმში.
დაგვიკავშირდით ტელ. ნომრებზე
99 00 14; 895308405;
893 668318; 899 21 02 32
e-mail - promoita@mail.ru
nikosaniltd@mail.ge

ყოველთვიურად მიიღეთ ერთი ახალი ტომი საყმაწვილო სერიიდან -„ ეს სამყაროა“. სამყარო, რომელიც უფროსებსაც გააოცებს!

წიგნების კიდევ ერთი საოცარი სერია „კვირის პალიტრისგან“

ტომი №4

ბამოგონებები

31 მაისიდან - 7 ივნისამდე

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის

სპეციალური ფასი 15 ლარი!

შეიძინეთ
„კვირის პალიტრასთან“ ერთად

„კვირის პალიტრის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ!
წიგნის შეძენის მსურველები დაუკავშირდით
„ელვა.ჯი“-ს ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი
სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ

სერია „ეს სამყაროა“-ს I, II,და III ტომი „რაინდები და ციხე კოშკები“, „ეგვიპტე“ და „მტაცებლები“ გაყიდვაშია წიგნის მაღაზიებში